

ზვიად ოქროპირიძე

ჩვენი თავის გასაღები

პრაქტიკული რჩევები ჩემს შვილებს:

როგორ გავაცნობიეროთ საკუთარი თავი

როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანული რწმენით

რა უნდა ვიცოდეთ რწმენისა და რელიგიების შესახებ

რა უნდა ვიცოდეთ მედიტაციური პრაქტიკების შესახებ

რას ნიშნავს სამშობლო და ეროვნული ღირებულებები

როგორ გავძლიერდეთ და განვავითაროთ ჩვენი უნარები

როგორ დავიცვათ საკუთარი თავი და პირადი უსაფრთხოება

როგორ დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება და ვიყოთ წარმატებულები

2022 წელი

ზვიად ოქროპირიძე

ჩვენი

თავის გასაღები

პრაქტიკული რჩევები ჩემს შვილებს:

როგორ გავაცნობიეროთ საკუთარი თავი

როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანული რწმენით

რა უნდა ვიცოდეთ რწმენისა და რელიგიების შესახებ

რა უნდა ვიცოდეთ მედიტაციური პრაქტიკების შესახებ

რას ნიშნავს სამშობლო და ეროვნული ღირებულებები

როგორ გავძლიერდეთ და განგავითაროთ ჩვენი უნარები

როგორ დავიცვათ საკუთარი თავი და პირადი უსაფრთხოება

როგორ დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება და ვიყოთ წარმატებულები

2022 წელი

© ზვიად ოქროპირიძე
ყველა უფლება დაცულია
ISBN 978-9941-9810-8-1

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ერთ დღეს გადავწყვიტე, რომ ჩემი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება წერილობით ჩამომეყალიბებინა და გამეზიარებინა ჩემი შვილებისთვის. წერილობით იმიტომ, რომ ზოგადად მოზარდ თაობას, არა მხოლოდ მათ, გეპირი რჩევა-დარიგებების ნაკლებად სჭერათ და არც მოგისმენენ. არადა, მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ჰქონდეთ გარკვეული საკითხების მიმართ ღრმა ცოდნა, ასევე სწორი ხედვა და ღირებულებები. ამიტომაც ვიფიქრე, რომ მათ ცხოვრებაში დადგებოდა დრო, როდესაც ისინი გამოვიდოდნენ ბავშვობის ასაკიდან, დაინტერესდებოდნენ უფრო სერიოზული საკითხებითაც და ამ დროს ჩემი ცოდნა და გამოცდილება შეიძლება რაიმეში გამოდგომოდათ მათ.

ამ წიგნის მთავარი დანიშნულებაა, რომ შეძლებისდაგვარად მარტივი და გასაგები ენით გავაგებინო მათ, თუ ჩემი აზრით, რა არის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი, როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანული რწმენით, როგორ გავაცნობიეროთ ანუ ვიპოვოთ საკუთარი თავი და როგორ განვვითარდეთ იმისათვის, რომ ვიყოთ უფრო წარმატებულები და ბედნიერები. ცხადია, აღნიშნულ საკითხებს უამრავი ჭკვიანი ადამიანი განიხილავს და მხატვრული ენით თუ სხვა ფორმით ცდილობს საკუთარი აზრების გადმოცემას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში თითქოს მთავარი სათქმელი მაინც უთქმელი რჩება – ადამიანებმა ისევ არ ვიცით თუ ვინ ვართ, რა გვინდა, როგორ ვიცხოვროთ სწორად, საერთოდ რა არის სწორი და რა არასწორი, რა ვაკეთოთ და ა.შ.. ასეთ საკითხებზე უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაც არსებობს და უკვე ნამდვილად ვეღარ გაიგებ, სად არის სიმართლე და სად სიყალბე, რაც კიდევ უფრო აბნევს და აბრკოლებს განსაკუთრებით მოზარდ თაობას. ამ წიგნში მე გადმოვცემ ჩემს შეხედულებებს და ვცდილობ, პასუხი გავცე ზემოთ დასმულ სა-

კითხვებს. ჩემი ამრით, ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც აბრკოლებთ და ხელს უშლით ადამიანებს ამ ყველაფრის გარკვევაში, პირველ რიგში, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები კარგად ვერ გაცნობიერებთ საკუთარ თავს, არ გიცით ვინ ვართ და ვინ გვმართავს ჩვენ. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ამას ჩვენი განვითარების არცერთ ეტაპზე არავინ გვასწავლის. ამიტომაც არის, რომ ადამიანების უფრო დიდ ნაწილს გააჩნია მხოლოდ „საბაზისო ცნობიერება“ და მხოლოდ მცირე მათგანი თუ ფლობს „ცნობიერების უმაღლეს დონეს“, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც მოაზროვნე ინდივიდის გაცნობიერებას (თვითცნობიერებას). მართლაც, საინტერესოა რამდენ ადამიანს შეუძლია გასცეს პასუხი ერთი შეხედვით ამ მარტივ კითხვაზე, თუ – „ვინ ვარ მე?“ წიგნის რამდენიმე გვერდი ეხება სწორედ ამ პრობლემას და გვთავაზობს ერთ-ერთგვარ გამოსავალს ამ ძილბურანის მდგომარეობიდან.

წიგნი შედგება 3 ნაწილისგან: პირველ ნაწილში – მთელი გულწრფელობით და გულახდილობით არის გადმოცემული ჩემი ცხოვრების ეტაპები და ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა ჩემს რწმენაზე, რაც ვფიქრობ საინტერესო იქნება ჩემი შვილებისთვის. მეორე ნაწილი – ეხება რელიგიურ და ზოგადსაკაცობრიო საკითხებს, სადაც მე ვცდილობ, პასუხი გავცე ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს როგორებიც არის – არსებობს თუ არა ღმერთი; აქვს თუ არა ადამიანს უკვდავი სული; რატომ ითვლება იესო ქრისტე ღმერთად; რა სასწაულები მოახდინა და რა იქადაგა მან; ვინ არის სულიწმინდა და რატომ არის ის ღმერთი; რა უნდა ვიცოდეთ რწმენისა და რელიგიების შესახებ; რა არის ჰიპნოზი; მედიტაცია; ისიხამი და ა.შ. მესამე ნაწილი კი ეთმობა ჩემს პრაქტიკულ რჩევებს – თუ როგორ უნდა გავაცნობიეროთ საკუთარი თავი; როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანულად; რა ღირებულებები უნდა გვქონდეს; როგორ მივალწიოთ პიროვნულ განვითარებას; როგორ გავძლიერდეთ და დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება; რო-

გორ დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება და გავხდეთ უფრო წარმატებულები და ბედნიერები და ა.შ..

წიგნში განხილული საკითხები მე დაახლოებით ორი წლის განმავლობაში დავამუშავე და ბოლოს 48 წლის ასაკში ერთად მოვუყარე თავი. ამასთან, ზოგიერთი საკითხის დამუშავება მე გადავწყვიტე ჩემი შვილების შეკითხვებიდან გამომდინარე. ჩავთვალე, რომ წერილობითი ფორმით პასუხი უფრო დასაბუთებული და დამაჯერებელი იქნებოდა მათთვის. შემდეგ მიმოვიხილე ამ კითხვა-პასუხებთან დაკავშირებული სხვა თანმდევი საკითხებიც და მუშაობის დასრულების შემდეგ ვიფიქრე, რომ ცალ-ცალკე დამუშავებული თემები შეიძლება ერთ წიგნადაც გაერთიანებულიყო, რაც კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა მათთვის. შემდეგ ისიც ვიფიქრე, რომ აქ მოცემული საკითხები, თავისი აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო არა მხოლოდ ჩემი შვილებისთვის, არამედ სხვა მოზარდების, მათი მშობლების ან თუნდაც რელიგიური, სამეცნიერო თუ ადამიანის პირადი განვითარების თემატიკით დაინტერესებული ადამიანებისთვისაც. ამ აზრმა საბოლოოდ გადამანწყვეტინა მისი წიგნის სახით გამოცემა და გამიჩნდა სურვილი, რომ ის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო სიმართლისა და ჭეშმარიტების ძიებით დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის. ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი, რომ ეს წიგნი ერთიანად წაიკითხოს ადამიანმა. წიგნის სარჩევი და თემატურადი დაყოფა იმისთვის არის, რომ მკითხველი გაეცნოს იმ ნუთისთვის მისთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხს და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია, რაც შესაძლოა დაეხმაროს მას ცხოვრებაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ჩემი აზრით, ეს წიგნი უფრო მეტად არის **„საერთო ცხოვრებაში“ მყოფი ქრისტიანების პრაქტიკული სახელმძღვანელო**, რომელიც დაეხმარება მათ ამ ხიფათითა და გამოწვევებით აღსავსე და იმავდროულად ძალიან საინტერესო ცხოვრების ღირსეულად გავ-

ლაში. მე აქ შეგნებულად არ განვიხილავ ქრისტიანულ დოგმატიკას, ვინაიდან აღნიშნულ საკითხებზე უამრავი რელიგიური ლიტერატურა არსებობს და ვეცდები ყურადღება გავამახვილო უფრო ისეთ საკვანძო თემებზე, რომლებიც ემსახურება ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცებას, სამშობლობის მიმართ სიყვარულის გაღვივებას, საკუთარი თავის გაცნობიერებასა და ადამიანის პიროვნულ განვითარებას. ფაქტიურად, ასეთი მსჯელობით მე იმავდროულად გადმოვცემ ასევე ჩემს შეხედულებასაც, თუ ჩემი წარმოდგენით როგორი უნდა იყოს – ე.წ. **„ნამდვილი ადამიანი“**.

მკითხველისთვის ეს წიგნი, იმიტაც იქნება საინტერესო, რომ მასში ვრცლად არის განხილული ყველა დროისთვის ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიც არის – **საკუთარი თავის გაცნობიერება, ანუ საკუთარი ვინაობის გარკვევა. დელფოს ორაკულის დევინი: „შეიცან თავი შენი“** – ამ საკითხზე მსჯელობდნენ ყველა დროის უდიდესი მოაზროვნე და ბრძენი ადამიანები. ჯერ კიდევ **სოკრატე**, რომელიც ითვლება ანტიკური ხანის ფილოსოფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად, თვლიდა, რომ ადამიანში უმთავრესი მიზანი არის არა ზოგადად ცოდნის დაგროვება, არამედ – **„აზრი თვითშემეცნების შესახებ“**. მართლაც, თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ცოდნის დაგროვება არის უბრალოდ გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღება და შენახვა, ხოლო თვითშემეცნება კი სრულიად განსხვავებული პროცესია და გულისხმობს უშუალოდ ადამიანის შინაგანი სამყაროს, ანუ საკუთარი თავის შესახებ ცოდნას. როგორც უკვე აღინიშნა, თვითშემეცნების საკითხზე ყველა დროსა და ეპოქაში მსჯელობდნენ და საუბრობდნენ მის მნიშვნელობაზე, თუმცა, ჩემთვის პრაქტიკულად უცნობია, გვთავაზობდა თუ არა რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრება მისი მიღწევის კონკრეტულ გზას – რჩევებსა და დარიგებებს. როგორც გავარკვიე, რეალურად ამ საკითხს უფრო მეტად უღრმავდებოდნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები - ქრისტიანები, ინდუისტები და შესაძლოა რელიგიების მიმდევრე-

ბიჯ. ისინი გვთავაზობენ თვითშემეცნების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს და ასევე მათი მიღწევის კონკრეტულ გზებს, რომელიც რა თქმა უნდა თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებთან ერთად განხილული იქნება ამ წიგნში. თვითშემეცნების საკითხების ზოგადი მიმოხილვისა და არსებული პრაქტიკების განზოგადების შემდეგ, წიგნში შემოთავაზებული იქნება ასევე ჩემი კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გაგაცნობიეროთ საკუთარი თავი, ანუ როგორ ვიპოვოთ „ჩვენი თავის გასაღები“ და მივიღწიოთ თვითშემეცნების სასურველ შედეგებს, რაც ცხადია ეფუძნება ამ სფეროში დაგროვილ საუკუნოვან ცოდნას, გამოცდილებასა და პრაქტიკას. არ მგონია არსებობდეს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უფრო მეტად აღმატებული და საინტერესო იქნება ადამიანისთვის.

და ბოლოს – მოხარული ვიქნები, თუ ეს წიგნი იმავდროულად შეასრულებს ასევე თავის მისიონერულ დანიშნულებასაც და თუნდაც ერთ ადამიანს მაინც დაეხმარება ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცების, საკუთარი თავის პოვნის, უფრო მეტი თავდაჯერებულობის, პიროვნული განვითარებისა და წარმატების მიღწევის საქმეში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

№		გვ.
	პირველი ნაწილი	
1	ჩემი ცხოვრების ეტაპები	11-21
2	ჩემი რწმენა და სასწაულები	22-28
3	ჩემი ლოცვა	29-30
	მეორე ნაწილი	
4	არსებობს თუ არა ღმერთი	31-42
5	აქვს თუ არა ადამიანს უკვდავი სული	43-49
6	რატომ არის იესო ქრისტე ღმერთი	50-55
6.1	ამონარიდები ძველი აღთქმიდან	56-65
6.2	ამონარიდები ახალი აღთქმიდან	66-75
7	იესოს სასწაულები და ქადაგებები	76-77
8	რატომ არის სულიწმინდა ღმერთი	78-81
9	ქრისტიანული სასწაულები	82-83
10	რელიგია და მეცნიერება	84-89
11	რწმენა და ჰიპნოზი	90-99
12	ქრისტიანობა და იუდაიზმი	100-104
13	ქრისტიანობა და ისლამი	105-109
14	ქრისტიანობა და ინდუიზმი	110-114
15	მედიტაცია და მედიტაციის პრობლემები	115-119
16	ისიხაზმი და მედიტაცია	120-122

	მესამე ნაწილი	
17-24	ჩემი რჩევები:	
17	გვწამდეს ღმერთი და ვიცხოვროთ ქრისტიანულად	123-133
18	გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო და ვიყოთ ნამდვილი პატრიოტები	134-146
19	გაგაცნობიეროთ და გმართოთ საკუთარი თავი	147-160
20	როგორი უნდა იყოს ადამიანის შინაგანი მდგომარეობა	161
ა	ვიყოთ მშვიდი და განონასწორებული ადამიანები	161
ბ	დადებითად განვანყოთ ჩვენი თავი	161
გ	გონებით უნდა ვიმყოფებოდეთ აწმყო ანუ რეალურ დროში	162
დ	დავიცვათ აზროვნების ბალანსი	162
ე	პატივი ვცეთ საკუთარ თავს	162
ვ	გვქონდეს შინაგანი თავისუფლება	163
ზ	ვიყოთ თავდაჭერებულნი და ავიმაღლოთ საკუთარი თვითშეფასება	164
21	როგორ განვავითაროთ ჩვენი შესაძლებლობები და უნარები:	166
ა	განვავითაროთ აზროვნებისა და წარმოსახვის უნარი	167
ბ	ვაკონტროლოთ და გმართოთ ჩვენი ემოციები	168
გ	გავძლიერდეთ ფიზიკურად და სულიერად	169
დ	გვქონდეს ინტერესის სფერო (ჰობი)	170
ე	ვიყოთ კარგი ორატორები	171
ვ	ვიყოთ თვითკრიტიკულები	172
ზ	ვიყოთ გადაწყვეტილებათუნარიანები	172

თ	ვიყოთ თამამნი და გამბედავნი	174
ი	ვიყოთ მხიარულები	174
კ	ვიყოთ აქტიურები	174
ლ	ვიყოთ ინიციატივიანები	175
მ	ვიყოთ კარგი ორგანიზატორები	175
ნ	ვისწავლოთ უცხო ენები	175
ო	გვექონდეს საიდუმლოების შენახვის უნარი	175
პ	ვეცადოთ ჩავწვდეთ და გავეგოთ სხვებს	175
ჟ	გვექონდეს დარწმუნების უნარი	176
22	როგორ გავხდეთ წარმატებულები	182
ა	დავგვემოთ ჩვენი საქმიანობა და განვსაზღვროთ ჩვენი მიზნები	182
ბ	სწორად შევარჩიოთ ჩვენი საქმიანობა (პროფესია)	183
გ	სწორად შევარჩიოთ მეგობრები	184
23	როგორ დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება	186
ა	თავიდან ავიცილოთ საფრთხეები და ვიცხოვროთ მშვიდობიანად	186
ბ	როგორ გავუმკლავდეთ ბრაზს	186
გ	როგორ ვიმოქმედოთ დამცირებისა და პირადი შეურაცხყოფისას	190
დ	როგორ დავიცვათ ბავშვები ბულინგისგან	192
24	როგორ გამოვიმუშავოთ გამძლეობის უნარი	195
ა	როგორ დავძლიოთ შიში	195
ბ	როგორ დავძლიოთ სტრესი	197
გ	როგორ დავძლიოთ ტკივილი	198

პირველი ნაწილი

1. ჩემი ცხოვრების ეტაპები

ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერა და შემდეგ მისი ეტაპებად დაყოფა თავდაპირველად გადავწყვიტე იმ მიზნით, რომ ჩემს შვილებს უფრო მეტი სცოდნოდათ ჩემ შესახებ და გარკვეული მაგალითებიც მიმეცა მათთვის. თუმცა, ამ საკითხებით უფრო ღრმად დაინტერესების შემდეგ გავარკვიე, რომ საკუთარი წარსულის გახსენება, მისი დახარისხება და ზოგადად ჩვენი ადრინდელი პიროვნების აღწერა-დახასიათება თურმე იმავდროულად საკუთარი თავის გაცნობიერების ერთ-ერთი გზაც ყოფილა. ის ეხმარება ადამიანს საკუთარი შეცდომის გამოსწორებაში და ცხოვრების შემდეგი ეტაპების უკეთ დაგეგმვაში. როგორც ჩანს, სწორედ იმიტომაც წერენ ჭკვიანი ადამიანები მემუარებს, რომ ამით ისინი ერთის მხრივ გადმოგვცემენ მათი ცხოვრების შესახებ საკუთარ ხედვებს და თავს გადახდენილ ისტორიებს (სადაც უფრო კარგად იკითხება მათი პიროვნების რეალური სახე) და მეორე მხრივ, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ცდილობენ საკუთარი თავის გაცნობიერებას. ამ საკითხზე მუშაობის დროს მეც გადავხედე ჩემი ცხოვრების განვლილ გზას და ამ პროცესში მართლაც ბევრი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა გავიხსენე, გამიცოცხლდა ბავშვობის მოგონებები, ემოციები და ა.შ.. რა თქმა უნდა აქ ვერ ვისაუბრებ ყველაფერზე, ვინაიდან ეს არ არის ჩემი მემუარები. ამ შემთხვევაში, ჩემი მიზანი არის მხოლოდ ის, რომ შეგამებული სახით გადმოვცე ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები და მოკლედ დავახასიათო ჩემი პიროვნება, რაც ვფიქრობ საინტერესო იქნება ჩემი შვილებისთვის.

სკოლამდელი პერიოდი - ეს პერიოდი მაინც და მაინც დიდად არაფრით იყო გამორჩეული. ერთი ჩვეულებრივი და თითქოს არაფრით განსხვავებული ბავშვი ვიყავი. როგორც ყველას, ისე მეც მიყვარდა ბავშვებთან თამაში და გართობა. ამასთან, ვიყავი ძალიან მშვიდი და წყნარი, მაგრამ როდესაც საბავშვო ბაღში შევედი, ამბობენ, რომ ხასიათი შემეცვალა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, არ მინდოდა ჯერ ბაღში წასვლა და შემდეგ იქიდან წამოს-

ვლა. მახსოვს ბალის ძალიან ბევრი მომენტი – მასწავლებლები და ბავშვები, ბალიდან გამოპარვა და დედაჩემის სკოლის კიბეებზე ლოდინი, ბალის აუზში ბანაობა, პლასტელიანი ქუდის თავზე დანებება და სხვა ბევრი სახალისო ამბავი.

დანყებითი კლასები – მახსოვს პირველ კლასში წასვლის მომენტი და ჩემი პირველი მასწავლებელი, ეროსი მანჯგალაძის და – ბელა მაჭგალაძე, რომელიც ძალიან გვიყვარდა ბავშვებს თავისი ადამიანური სითბოსა და ყურადღების გამო. სკოლაში ვიყავი ვარგი მოსწავლე, ჭკვიანი, წესიერი და ბეჭითი. სხვა უფლება არც მქონდა - დედაჩემი ხომ იმავე სკოლის პედაგოგი და შემდეგ დირექტორიც იყო. მახსოვს სკოლის თითქმის ყველა ეპიზოდი, მათ შორის სკოლაში კალათბურთის მასწავლებლის გივი ქილიტაურის მოსვლა, საკალათბურთო გუნდ „მართვეში“ ჩარიცხვა, სხვადასხვა დარბაზში ვარჯიშები და ა.შ..

ბედნიერი ბავშვობა – დანყებით კლასებში ვიყავი ძალიან მხიარული და ზომიერების ფარგლებში ცელქიც. ჩემს თანატოლ ბავშვებს სრული თავისუფლება გვქონდა – სადაც გვინდოდა იქ მივდიოდით, გვიანობამდე ვრჩებოდით და კარგად ვერთობოდით, ძირითადად სპორტით. ხანდახან სიგარეტიც გაგვისინჯავს და სხვა ცელქობებიც გვქონია (ოღონდ არა ნარკოტიკი). ერთი მეზობელი ხულიგანსაც კი მეძახდა, ეს ცუდი ბავშვი გაიზრდებაო, მაგრამ რა თქმა უნდა ეს არ იყო სწორი. უზრდელი არასდროს ვყოფილვარ და უფროსისადმი პატივისცემა ყოველთვის მქონდა. ბავშვობის პერიოდიდან უამრავი რამე მახსენდება. მახსენდება ჩვენი ერთ-ერთი შტაბი საქვების შენობაზე, სადაც მხოლოდ ხეზე ასვლით შეიძლებოდა მოვხვედრილიყავით. მახსენდება ჩვენი მეზობელი „ქრთი მახოს“ პატარა შემოღობილი ეზო, სადაც ნაირ-ნაირი ველოსიპედები და ძაღლები გვყავდა, ასევე გვქონდა ტელევიზორების ქარხნიდან წამოღებული კორდონებისგან გაკეთებული „შტაბი“. მახსენდება ბასეინის და ციხის ტერიტორიაზე „ბირჟაობა“, შავნაბადას „გორაზე“ ხშირად სიარული და „თამარის წყარო“, სტადიონზე თამაში და სხვა ბევრი რამე.. ერთი სიტყვით მე ბრწყინვალე ბავშვობა მქონდა, სავსე სიხარულით და ბედნიერებით. ამ პერიოდს ემთხვევა ასევე ჩემი წარმატებები კა-

ლათბურთში – ვიყავი საქართველოს მრავალგზის და ერთხელ საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც.

უფროსი კლასები – დაახლოებით 8-9 კლასიდან თანდათანობით შევიცვალე. ამ ასაკში რატომღაც უკვე აღარ მიზიდავდა ბავშვური გართობები და არც თანატოლების სალაპარაკო თემები. ვგრძნობდი, რომ რაღაც სხვა მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი კონკრეტულად რა. ერთი კი ვიცოდი ზუსტად, რომ არ მინდოდა სხვებისნაირი ვყოფილიყავი და ჩვეულებრივი ადამიანივით მეცხოვრა. მინდოდა რაღაცით გამორჩეული და განსხვავებული ვყოფილიყავი. შემდეგ გაუცნობიერებლად დავიწყე საკუთარი თავის დაკვირვება, მაგრამ ბევრს ვერაფერს მივხვდი. ამის გამო ზოგჯერ დაბნეულიც ვიყავი. მეგობრებთან ასე ძველი ინერციით ვაგრძელებდი ურთიერთობას. ამ პერიოდში რამდენჯერმე მომიწია სკოლის შეცვლაც – კალათბურთის სპორტული სკოლიდან უბნის სკოლაში გადასვლა და პირიქით. ბოლოს ისევ სპორტული სკოლა დავამთავრე. შეიძლება ამ ფაქტორმაც რაღაც გავლენა მოახდინა ჩემზე და თანატოლებთან ცოტა გაუცხოებაც გამოიწვია. ამ პერიოდის მოვლენებიდან მე განსაკუთრებით თბილად და კარგად მახსენდება ჩემი სპორტული სკოლის დამრიგებელი - მანანა რამიშვილი, რომელიც უდიდეს სიყვარულს და ყურადღებას იჩენდა ჩვენ მიმართ. ის ცდილობდა ყველა ბავშვისთვის გაეგო და ნამდვილი დედობრივი მზრუნველობა გაეწია.

ცხოვრების ახალი ინტერესები – სკოლის დამთავრებამდე 2 წლით ადრე სიარული დავიწყე ჯერ კარატეზე და შემდეგ კუნგფუზე, რომლის მიმართაც დიდი ინტერესი გამიჩნდა. ამ დროს უკვე აღარ დავდიოდი კალათბურთზე, ვინაიდან ჩემი რამდენიმე ტანმალალი თანაგუნდელი მწვრთნელმა საბერძნეთში წაიყვანა და გუნდი ფაქტობრივად დაიშალა. კუნგფუს მიმართ ინტერესის გაღვივებას ხელი შეუწყო ჩემმა მწვრთნელმა, პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის წევრმა ნოდარი მაისურაძემ. ის საუკეთესო მასწავლებელი და ნამდვილი პატრიოტი იყო. მან ჩვენში რწმენა გააღვივა და სამშობლოს მიმართ სიყვარული გვასწავლა. ყოველ ვარჯიშს ჩვენ ვიწყებდით ლოცვით – „მამაო ჩვენო“. დამამთავრებელ მე-11 კლასში კი ვარჯიშები დილის 6:30 საათზე გვეწყებოდა, ამინდის მიუხედავად. ასეთი ცხოვრების წესმა მე კიდევ უფრო შემ-

ცვალა. ჩემში განმტკიცდა ღმერთის რწმენა და გამიჩნდა მიზანი – ფიზიკური და სულიერი სრულყოფა. მე უკვე აღარ მაინტერესებდა ჩვეულებრივი ყოფითი საკითხები, მათ შორის თანატოლების ინტერესები და ღირებულებები. მე ისე შევედი სპორტულ-რელიგიური ცხოვრების აზარტში, რომ გავხდი ძალიან თავმდაბალი და ზედმეტად მორიდებულიც, ვცდილობდი წმინდა და უცოდველი ცხოვრებით მეცხოვრა, თან – მევარჯიშა, მელოცა, მემარხულა, არ განმეკითხა, არ შემეგინა, აგრესია არ გამომეხატა და ა.შ. ასეთი ცხოვრების წესი რა თქმა უნდა კიდევ უფრო ზრდიდა თანატოლებთან გაუცხოებას, მაგრამ ამას განსაკუთრებულად არ განვიცდიდი, ვინაიდან მჯეროდა, რომ სწორ გზაზე ვიდექი. ვარჯიშების შედეგად, მე ფიზიკურად გავძლიერდი და კარგ შედეგებსაც მივაღწიე. ვარჯიშები მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და მეხმარებოდა ცხოვრების უკეთ გააზრებაში, თუმცა, მეორე მხრივ, უკვე აშკარა ხდებოდა, რომ ასეთი ცხოვრების გზა მე და ჩემს თანაგუნდელებსაც რეალურ ცხოვრებას გვაშორებდა და უფრო ასკეტური ცხოვრებისკენ მიგვაქანებდა. შემდგომში, ყველა ჩემი თანაგუნდელი ღრმად მორწმუნე გახდა, მათგან ერთი მღვდელი (მამა გრიგოლ აბესაძე) და ერთი ბერი (გოჩა ლომსაძე) გამოვიდა. ამ პერიოდში მეც მიფიქრია ამ გზაზე, მაგრამ მშობლების ფაქტორის თუ რელიგიური საკითხების არასაკმარისი ცოდნის გამო ვერ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იმ პერიოდში ჩემი ცხოვრების ეს ნაწილი იყო ერთ-ერთი საუკეთესო ჩემს ცხოვრებაში, ვინაიდან ვიდექი სულიერი და ფიზიკური აღმავლობის გზაზე და ვგრძნობდი დიდ სიამოვნებასა და ბედნიერებას.

დამამთავრებელი კლასები – ვატყობდი, რომ დამამთავრებელ კლასებში თანაკლასელებთან ურთიერთობა ნელ-ნელა იცვლებოდა. თუ ადრე ვმეგობრობდით, ერთად ვთამაშობდით და ვერთობოდით, ეხლა ჩვენი გზები იყოფოდა – მე უკვე კუნგფუსს და რელიგიის სამყაროში ვცხოვრობდი და მინდოდა წმინდა ცხოვრებით მეცხოვრა, ბევრი მათგანისთვის კი ეს ყველაფერი უცხო იყო. მე განსაკუთრებულად მალიზიანებდა – სხვისი დაცინვა, დაჩაგვრა, გინება, ჩხუბი, ნარკოტიკი, გარყვნილება, კრიმინალური მენტალიტეტი და სხვა მსგავსი საქციელი, რომელიც იმ დროს

ჩემს თანატოლებში ძალიან პოპულარული იყო. მე მაქსიმალურად ვერიდებოდი ასეთ თანატოლებთან ურთიერთობას, რომ ჩვენ შორის კონფლიქტი არ მომხდარიყო და მართლაც, ამ პერიოდში შარი და ხიფათი ბევრი იყო, მაგრამ ღვთის წყალობით მე არავისთან კონფლიქტი არ მქონია. განსხვავებული სამყარო იყო ჩემი უბანი (კრწანისის ქუჩა) და სამეგობლო, სადაც მე მყავდა ბავშვობის მართლაც საუკეთესო მეგობრები – მამუკა ფხოველიშვილი, ლაშა გიგაური, დათო გიორგობიანი და მახო შამოვეი. ამასთან, ლაშა თან კუნგფუს მეგობარიც იყო. ჩვენ ერთად ვვარჯიშობდით და ერთნაირი ცხოვრების წესით ვცხოვრობდით. ლაშასთან და მამუკასთან განსაკუთრებული სიახლოვე და ბევრი საერთო მქონდა, რაც შემდგომში უკვე ნათელმირონობაშიც გადაიზარდა.

სტუდენტობის პერიოდი - სტუდენტობის პერიოდი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სკოლის პერიოდისგან. აქ ძირითადად იყვნენ სწავლას და განვითარებას მოწყურებული ახალგაზრდები. მათთან საერთო ენის გამონახვა და დამეგობრება ძალიან ადვილი იყო. აქ არავინ ფიქრობდა სხვის დამცირებას და არავის ჰქონდა კრიმინალური მენტალიტეტი. ყველას თავის საქმე ჰქონდა და არავინ სხვის საქმეში არ ერეოდა. მოკლედ, სტუდენტობა მართლაც საუკეთესო პერიოდი იყო როგორც განათლების შეძენისა, ისე სპორტული და რელიგიური ცხოვრების თავისუფლებისთვის. სტუდენტობის დროს მე კვლავაც აქტიურად ვაგრძელებდი სპორტულ საქმიანობას. ჩვენი მწვრთნელის ნოდარი მაისურაძის საქართველოდან იძულებით წასვლის მიუხედავად, ჩვენ კიდევ 2 წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ გუნდი. ამის შემდეგ, მე გადავედი კუნგფუს მეორე მწვრთნელთან დათო ხომერიკთან, რომელმაც 1993 წელს გახსნა კიკბოქსინგის პირველი კლუბი – „ტინი“. 1995 წელს კი გავეხდი კიკბოქსინგში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი. ნახევარფინალში დავამარცხე საქართველოს მოქმედი ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, მაგრამ მიღებული ტრავმების გამო უკვე ვეღარ შევძელი ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობა. ამიტომ, მეორე ადგილს დაგვრდი ისე, რომ სპორტის ამ სახეობაში მე არცერთი ოფიციალური ბრძოლა არ წამიგია და ყველა ბრძოლა პირველივე რაუნდში მქონდა

დამთავრებული. მოკლედ, სტუდენტობის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი დაემთხვა 90-იანი წლების არეულობებს, სახელმწიფო გადატრიალებასა და კრიზისს.

პროფესიული სპორტი და მედიტაცია – სტუდენტობის პერიოდში მე უკვე აქტიურად ვიყავი დაკავებული პროფესიული სპორტით – კიკბოქსით და სწორედ ამ მიმართულებით ვგეგმავდი ჩემი სპორტული კარიერის გაგრძელებას. მინდოდა ყველა დამემარცხებინა და მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი. პარალელურად ვაკეთებდი მედიტაციებს, რომელსაც გვასწავლიდა ჩემი კიკბოქსის მეორე მასწავლებელი – **თენგივ გელოიაშვილი**. ამ კაცზე მინდა ცალკე ვისაუბრო. იმიტომ, რომ მისგან ჩემი ცხოვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო რაღაცები ვისწავლე. ის იმავდროულად იყო იოგას და მძლეოსნობის მასწავლებელიც. იმ პერიოდში ის პარალელურად ავარჯიშებდა სამთავრობო დაცვის სპეცნაზს და ძალიან კარგად მომზადებული ბიჭები ჰყავდა. გარკვეულ დღეებში ჩვენს გუნდს მათთან ერთად გვინევდა ვარჯიში. უნდა ვალია, რომ ამ ადამიანთან შეხვედრამდე მე მაინც ბოლომდე ვერ ვახერხებდი საკუთარ თავში გარკვევას/საკუთარი თავის გაცნობიერებას. მე არ ვიცოდი საკუთარი თავის დაკვირვების სწორი გზა და ეს მდგომარეობა მუდმივად მანუხებდა, ვინაიდან მანამდე ასეთი რამე ჩემთვის არავის უსწავლებია. ეს ადამიანი, სამთავრობო დაცვის ბიჭებთან ერთად პარალელურად გვითარებდა ხოლმე მედიტაციურ ვარჯიშებსაც, რომლის დროსაც ხდებოდა საკუთარი თავის დაკვირვება და გაცნობიერება. ამ ვარჯიშების შედეგად, მე ჩათვალე, რომ რეალურად დავინახე ჩემი თავი (ჩემი „მე“, „სული“, „გონება“, თუ რასაც დავარქმევთ) და **გიპოვე საკუთარი თავის ე.წ. „გასაღები“**, რისი შეგრძნებაც მე მანამდე არასდროს მქონია. მე ისე ვგრძნობდი თავს, რომ თითქოს გამოვიღვიძე, ხელახლა დავიბადე და ყველაფერის შესწავლა-გაცნობიერება თავიდან დავიწყე. ამის შემდეგ, მე უფრო თავდაჭერებულიც გავხდი, კარგად შევიგრძნობდი დროსა და რეალობას, უკეთ ვიცოდი თუ ვინ ვიყავი და რა მინდოდა. ფსიქოლოგიურადაც უკვე ისე ვიყავი მომზადებული, რომ რაიმეს შიში ნაკლებად მქონდა და თუ მოვინდომებდი, ნებისმიერი რამის გაკეთებას შეგ-

ძლებდი. მე მივხვდი თუ როგორ გამოადგებოდა ასეთი ვარჯიშები ყველა ადამიანს და განსაკუთრებით დაცვის ბიჭებს. მოგვიანებით, გავარკვიე, რომ საკუთარი თავის დაკვირვებისა და გაცნობიერების მსგავსი პრაქტიკა თურმე ქრისტიანობაშიც არსებობდა და ის განსაკუთრებულ სიმაღლეზეც იყო აყვანილი განსაკუთრებით ზოგიერთ ასკეტურ მიმართულებაში (ამ საკითხებზე უფრო დეტალურად ვისაუბრებ მე-16 და მე-19 თავებში).

სამსახურებები – 1996 წელს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის აპარატში, სადაც რეკომენდაცია გამიწია პარლამენტის წევრმა თამაზ აქუბარდიამ. ჩემი მუშაობის პირველი დღე დაემთხვა ჩემს დაბადების დღეს – 27 ივნისს. იმ დღეს კომიტეტის წევრები აღნიშნავდნენ საგაზაფხულო სესიის წარმატებით დასრულებას და ჩემი დაბადების დღეც სადღეგრძელოთი მომილოცეს. სამსახურში განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული გარემო იყო. ამასთან, მეგობრული ურთიერთობები იყო როგორც დეპუტატებთან, ისე აპარატის თანამშრომლებთან. მე პრაქტიკულად შეხება მქონდა ყველა სამთავრობო დანგეზულებასთან და პარლამენტის სტრუქტურულ ერთეულთან. ბევრ მათგანთან კარგი მეგობრული ურთიერთობებიც ჩამომიყალიბდა. ადამიანებმა, რომლებმაც პარლამენტში ჩემთან ერთად დაინწყეს კარიერა (სახელებს აღარ ჩამოვთვლი), დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, ზოგიერთი მათგანი – გენპროკურორი გახდა, ზოგი – მინისტრი, ზოგი საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს წევრი, ზოგი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ზოგი სახ. აუდიტის სამსახურის უფროსი და ა.შ. მაგრამ, მე მაინც უფრო ახლო ურთიერთობა მქონდა ჩემი კომიტეტის აპარატის თანამშრომლებთან – ტარიელ მუჯირიშვილთან და ზურაბ დეკანოზიშვილთან. მუშაობის გარდა ჩვენ კარგად ვერთობოდით, სხვა თანამშრომლებთან ერთად ხშირად ვქეიფობდით და ლუდს ვეძალებოდით. მოკლედი, კარგად შევიგრძნობდით ახალგაზრდულ წლებს. ამაზე შემძლია მთელი ისტორიები გავიხსენო.. 1998 წელს, ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარის – დავით ონოფრიშვილის რეკომენდაციით, მე სამუშაოდ გადავედი USAID-ის ერთ-ერთ პროექტში, რომელიც ჩემსა-

ვე სამუშაო ოთახში გაიხსნა და რითაც არსებითად გამოუმჯობესდა მატერიალური მდგომარეობა. შემდგომში, ჩემი სამუშაო კარიერა გაგრძელდა პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში, არასამთავრობო ორგანიზაცია – „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“, შემდეგ შსს-სა და თავდაცვის სამინისტროებში, ასევე საქართველოს დაზვერვის სამსახურში, სადაც მივალწიე არაპოლიტიკური თანამდებობისა და სახელმწიფო სპეციალური წოდებების მაქსიმალურ ზღვარს – გავხდი იურიდიული დეპარტამენტების უფროსი და მომენიჭა სხვადასხვა ძალოვანი უწყებების „პოლკოვნიკის“ სახელმწიფო სპეციალური წოდება. ვფიქრობ, რომ ჩემს სამსახურეობრივ კარიერას უკვალოდ და უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ პერიოდის განმავლობაში მე მონაწილეობა მივიღე ბევრ აქტივობაში და უშუალოდ მოვამზადე უამრავი სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელთაგან გამოვყოფდი რამდენიმე მათგანს:

- 2007 წელს მოვამზადე საბჭოთა კავშირის უშიშროების არქივის განსაიდუმლოების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც წარმატებით დამტკიცდა და იმავე წელს შევიდა ძალაში. ასეთი მნიშვნელოვანი სიახლე ფართოდ გაშუქდა მედიასაშუალებებში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ერთობლივი ღონისძიება გაიმართა ასევე საპატრიარქოს და შსს-ს ინიციატივითაც. კერძოდ, წმ. სამების საკათედრო ტაძარის საკონფერენციო დარბაზში, შსს-ს არქივის უფროსმა ომარ თუშურაშვილმა წარმოადგინა ჟურნალ „შსს-ს არქივის“ სპეციალური გამოშვება, სადაც ასახული იყო საბჭოთა პერიოდში უშუალოდ სასულიერო პირების მიმართ განხორციელებული დევნისა და შევიწროების შემზარავი ფაქტები. აღნიშნულ ღონისძიებაზე, შსს-ს სახელით სიტყვით გამოსვლა მომიწია მეც, სადაც დამსწრე საზოგადოებას გავაცანი ის სამართლებრივი აქტი, რომელიც საფუძვლად დაედო უშიშროების არქივის განსაიდუმლოებას და ვისაუბრე ასევე აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე;
- 2017 წელს საკონსტიტუციო რეფორმის ჯგუფს თავდაცვის სამინისტროდან მიენოლა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი, რომელშიც ასახული იყო მათ შო-

რის ჩემი მოსაზრებებიც, კერძოდ: ა) საქართველოს თავდაცვის ძალების ძირითად ფუნქციებს უნდა დამატებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებულ „უსაფრთხოების დონისძიებებში“ მონაწილეობა (იგულისხმება ანტიტერორისტულ და სხვა ოპერაციებში მონაწილეობა); ბ) საქართველოს თავდაცვის ძალებს უნდა ჰქონოდათ საგანგებო სიტუაციებში სწრაფად ჩართვის შესაძლებლობა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებისა და პარლამენტის თანხმობის გარეშე; გ) საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილება, აგრეთვე პრეზიდენტის დეკრეტის „უფლების შემზღუდველი ნაწილი“ ძალაში უნდა შესულიყო მათი გამოცემის მომენტიდან და ამისთვის აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო პარლამენტის თანხმობა; დ) მომეტებული საფრთხის გამო ძალოვანი უწყებების მოსამსახურეებს არ უნდა ჰქონოდათ შეკრებებში და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება და ა.შ.. აღნიშნული შეთავაზებები სრულად აისახა საქართველოს კონსტიტუციაში;

- თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში (3 წელი) მოვამზადე ასევე კანონპროექტი – „სამხედრო ძალების რეგერვის და სამხედრო სარეგერვო სამსახურის შესახებ“, რომელიც მიღებულია და წარმატებით მუშაობს, ასევე, სამხედრო მოსამსახურის ეთიკის კოდექსი და ა.შ.;
- უფრო გრძელვადიანი და ნაყოფიერი გამოდგა შსს-ში მუშაობის პერიოდი (10 წელი), როდესაც პირადად, ხოლო რიგ შემთხვევაში დარგის სპეციალისტებთან ერთად მოვამზადე:
 - საკანონმდებლო პაკეტი - „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“;
 - საკანონმდებლო პაკეტი - „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;
 - „პოლიციის შესახებ“ კანონის პროექტის სამსახურის გავლის ნაწილი;
 - კანონპროექტი - „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“;

- კანონპროექტი - შსს-ს მომსახურების სააგენტოს ვადებისა და საფასურების შესახებ;
- შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც განისაზღვრა: ა) თავდაცვის სამინისტროდან საზღვაო ძალების გამოყოფა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის შემადგენლობაში მისი სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სახით ჩამოყალიბება; ბ) შსს-ს ცალკეული საავიაციო ქვედანაყოფებისა და ტექნიკის თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალებისთვის გადაცემა; გ) სასაზღვრო პოლიციიდან სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტების საპატრულო პოლიციის დაქვემდებარებაში გადაცემა;
- კანონპროექტები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა - ჯარიმის და საურავის ოდენობების შემცირება, ვიდუოჯარიმების შემოღება, ღვედის სავალდებულობა, ავტომანქანებზე მინების დამუქების აკრძალვა, ავტოავარიების დროს ზიანის დაჩქარებული წესით ანაზღაურება და სხვა მრავალი;
- საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც განისაზღვრა პასუხისმგებლობა - ა) ცივი და პნევმატური იარაღების ტარებისათვის; ბ) პირადი კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევისათვის;
- საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც განისაზღვრა – საქართველოს მოქალაქეობის, ბინადრობის, ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების დროს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების სამართლებრივი საფუძვლები;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოწმის დაცვის მარეგულირებელი ნორმები და მოწმის დაცვის წესი;

- საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟების ვალდებულება დაეკისრათ – საბანკო-საკრედიტო დაწესებულებებს, აფთიაქებს, აბარტული თამაშობების ორგანიზატორებსა და ავტოგასამართ სადგურებს;
- დაზვერვის სამსახურში მუშაობის პერიოდში მოვამზადე საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფდა – სადაზვერვო სისტემის ეფექტურ კონტროლს, საკადრო სისტემის მდგრადობას, ხელმძღვანელი თანამდებობების გამოცდილი თანამშრომლებით დაკომპლექტებას, საჭარო დაწესებულებების მიერ სადაზვერვო დაწესებულებების მიმართ დახმარების გაწევას, დაზვერვის სფეროში სტრატეგიული დოკუმენტების შეუფერხებლად დამტკიცებას და სადაზვერვო სისტემის შემდგომ დახვეწა-განვითარებას;
- ნაყოფიერი გამოდგა ასევე USAID-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტში მუშაობის პერიოდი (6 წელი), როდესაც იურისტების ჯგუფთან ერთად მოვამზადე მიწის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრული ანალიზი, შევქმენით სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების საკანონმდებლო საფუძვლები, უშუალოდ მოვამზადე კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ და ა.შ.
- საპარლამენტო კომიტეტებში მუშაობისას კი ძირითადად დაკავებული ვიყავი კანონპროექტების სამართლებრივი ექსპერტიზით, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტების მომზადებით და მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირებით.

2. ჩემი რწმენა და სასწაულები

ამ ნაწილში მე მთელი გულწრფელობით და დაუფარავად გამოვცემ იმ ფაქტებსა და მოვლენებს, რამაც ჩემს რწმენაზე არსებითი გავლენა მოახდინა და განამტკიცა ჩემში უფლის რწმენა. თუ კარგად დავაკვირდებით, მსგავსი რამ ყველა ადამიანის ცხოვრებაში ხდება, თუმცა სამწუხაროდ შემდგომში ჩვენ მალევე ვივინყებთ და აღარ ვაქცევთ მათ სათანადო ყურადღებას. არადა ამ დროს, ჩვენ შეიძლება ვერც ვხვდებოდეთ, რომ სწორედ ესეთი „ამოუხსნელი“ ფაქტებით თუ მოვლენებით შეიძლება გვესაუბრებოდეს ჩვენ უფალი და სურდეს მისკენ მოქცევა ან რწმენაში განმტკიცება. ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი ეს პროცესი (ანუ ფაქტებისა და მოვლენების გახსენება-დაფიქსირება) იმავდროულად წარმოადგენს საკუთარი თავის გაცნობიერების ერთ-ერთ გზასაც, ვინაიდან ამ დროს ადამიანი კიდევ უფრო ღრმად იხედება თავის წარსულში და იხსენებს საკუთარ პიროვნებას – თუ ვინ იყო, როგორი იყო, რა გადახდა, რა შეგრძნებები და ემოციები ჰქონდა მას და ა.შ.. თავისთავად უკვე ეს პროცესი ახდენს პირდაპირ გავლენას ადამიანზე და ის იწყებს საკუთარი თავის შესწავლა-გაცნობიერებას. ამ ნაწილში მეც გავიხსენებ ჩემ მიერ განვლილ პერიოდს და ქრონოლოგიურად ჩამოვთვლი რამდენიმე ასეთ მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოვლენას:

1. დაახლოებით 3-5 წლის ასაკში - ძალიან განვიცდიდი იმას, რომ ყველა ადამიანი კვდებოდა და დადგებოდა ის დროც, როდესაც მეც მოკვდებოდი. ამაზე ღამღამობით ვტიროდი კიდევ. ერთხელ სიზმარში მეჩვენა რაღაც (არ მახსოვს რა იყო ეს), რომელმაც მითხრა, რომ არ მენერვიულა ამაზე, რომ ადამიანი უკვდავია და ის არ კვდება. იმ ღამის შემდეგ მართლა დავწყნარდი და უკვე აღარ ვნერვიულობდი. დაახლოებით იმავე პერიოდში სიზმარში ვნახე სამი თეთრ წვერიანი და თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი. მათი ნათქვამი მე არ მახსოვს. უბრალოდ მახსოვს ადგილი, სადაც ისინი ვიხილე. მცირე ასაკის მიუხედავად, ეს ორივე სიზმარი დღემდე კარგად მახსოვს.

2. დაახლოებით 9-10 კლასში ვიქნებოდი – იმ დროს ყველა ლაპარაკობდა, რომ 2000 წელს მეორედ მოსვლა იქნებაო. ერთხელ სიზმარში ვნახე ეს 2000 წელი და ქრისტეს ქალაქი, რომელიც გარშემორტყმული იყო მაღალი კედლით, იყო დიდი რკინის კარები და ვიცოდი რომ შიგნით იყვნენ ქრისტეს რჩეული მორწმუნეები და გარეთ ყველა სხვა ადამიანი. მე მინდოდა შესვლა მაგრამ კარები არავინ გამიხსნა და ამას ძალიან განვიცდიდი (ამ დროს ძალიან ზოგადი წარმოდგენა მქონდა ქრისტიანობაზე, არ მქონდა წაკითხული არც სახარება და არც იოანეს გამოცხადება). ეს სურათი დღემდე თვალწინ მიდგას.

3. დამამთავრებელ 11 კლასში ვიქნებოდი – ამ დროს აქტიურად ვვარჯიშობდი კუნთებში. ძილში ხშირად მემართებოდა, რომ თითქოს რაღაც მანვებოდა, მგუდავდა, სუნთქვა მეკვროდა და მთელი სხეული მიმძიმდებოდა, გონებაზე ვიყავი, მაგრამ სხეულს ვეღარ ვმართავდი, მაგრამ როგორც კი თვალებს გავახელდი მომენტალურად ძალას ვიკრებდი და გონებაზე მოვდიოდი. ამ ასაკში და შემდეგ სტუდენტობის პერიოდშიც მსგავსი რამე ხშირად მემართებოდა. ყველაზე საინტერესო აქ ის არის, რომ – ასეთი მდგომარეობა უმაღლეს ქრებოდა ხოლმე, როცა ძილშივე წარმოვთქვამდი იესოს ლოცვას – „უფალო იესო ქრისტე შემიწყალე მე ცოდვილი“. იმ დროს მე უკვე მორწმუნე ვიყავი, ეკლესიაშიც დავდიოდი, ვმარხულობდი კიდეც, მაგრამ რატომღაც არ ვეზიარებოდი.

4. დაახლოებით I კურსზე ვიქნებოდი – ამ დროს უკვე მორწმუნედ ვთვლიდი თავს, მაგრამ არ მქონდა საკმარისი რელიგიური განათლება. სიზმარში ვნახე სიონის ეკლესია, რომელიც იყო დამწვარი-გადაბუკული და დაცარიელებული. შემდეგ 1991-1992 წლების თბილისის ომად წოდებული მოვლენებიც მოხდა, რამაც ყველას გული გვატკინა და ჩვენი ოცნებები დაამსხვრია.

5. დაახლოებით 1-2 კურსზე ვიქნებოდი – იმ დროს ძალიან იშვიათად მემართებოდა დაუდგენელი ტკივილი ჭიპის არეში, რომელსაც წამალიც არ მიყურებდა. პირველად დამემართა უნივერსიტეტში პირველივე მისაღებ გამოცდაზე. მთელი ღამე გავათენე საავადმყოფოში, ექიმები უფრო ბრმანაწლავზე ეჭვობდნენ და ოპერაციასაც მიპირებდნენ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს. ტკივილ-

მა დილით გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე თავისით გამი-
არა. იგივე ტკივილი განმეორდა 1 წლის შემდეგ. ვიყავი სახლში
და ტკივილისგან ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. დავიწყე ლოცვა
და გულმხურვალედ ვთხოვდი უფალს, შეენდო ჩემი ცოდვები და
ტკივილს გაეფლო და მართლაც 1-2 საათში ტკივილმა თავისით
გამიარა.

6. 2005 წელი იყო – მამაჩემის გარდაცვალებიდან მეორმოცე
დღეს დილით, სანამ ეკლესიაში წავიდოდი პანაშვიდის გადასახ-
დელად, გამთენიისას სიზმარში თუ ძილბურანში ვნახე მამაჩემი,
მოვიდა ჩემთან და საწოლში ჩამეხუტა. მე ცხადიერად ვიგრძენი
მისი სითბო, მელაპარაკებოდა, მადლობა გადამიხადა, დამემ-
შვიდობა და წავიდა.

7. 2006 წელი – სიზმარში ვნახე მამაჩემი, ტანს ზემოთ გახდილი
იყო. მითხრა, რომ ესხლა განვთავისუფლდი და მოგხედავთო. ამ
სიზმრიდან მალევე ამოვვდივით ვალებიდან და თავი მართლაც
თავისუფლად ვიგრძენით.

8. 2007 წელი – 33 წლის ვიყავი და მანამდე არ ვფიქრობდი და-
ოჯახებაზე. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ უფრო მეტად დავ-
ფიქრდი ამაზე. დავიწყე სიონის ეკლესიაში აქტიურად სიარული
და ქრისტეს ხატს გულმხურვალედ ვევედრებოდი და ზუსტად იმ
წელს დავქორწინდი. უფალმა ისეთი მეორე ნახევარი შემირჩია,
რომელიც მართლაც მეყვარებოდა და შევძლებდი მასთან თა-
ნაცხოვრებას.

9. 2008 წელი – ჩემს მეუღლეს ხათუნა ხუტიაშვილს ვეუბნებო-
დი, რომ ბავშვი 3 აგვისტოს დაიბადება-თქო. ეს თარიღი რალაც-
ნაირად ამეკვიბატა და მომდიოდა თავში. როცა ეს დღე მოახ-
ლოვდა, ხათუნას არ ეჯერა, ჯერ ვერაფერს ვგრძნობო. მე ვუთხა-
რი – კარგი, მე ახლა სანთელს ავანთებ და ვნახოთ-მეთქი. სანთე-
ლი ავანთე და ნატუკა მართლაც 3 აგვისტოს დაიბადა.

10. 2011 წელი – ბარბარობა დღეს დამეწყო ძლიერი თავბრუს-
ხვევები, მიხურდა და მტკიოდა თავი, ფეხზე ძლივს ვიდექი, რე-
ალობის შეგრძნება დავკარგე, თითქოს ძილბურანში და სიზმარ-
ში ვიყავი. სხვა მხრივ ჩვეულებრივად ვიყავი – ვაზროვნებდი და
ფიზიკური ძალაც არ დამიკარგავს. გასაკვირი აქ ის იყო, რომ ას-
ეთი მდგომარეობა ვიზუალურად არ მეტყობოდა და სხვები ვერ

ამჩნევდნენ ამას. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მინიმუმ 3-4 წელი და შემდეგ წლებში ნელ-ნელა გამოვედი მდგომარეობიდან. ექიმების დანიშნული წამლები არ მშველოდა, პირიქით უფრო ცუდად მხდოდა. ამიტომ საერთოდ უარი ვთქვი მათ მიღებაზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ექიმებმა ვერ გამიგეს რა მჭირდა. ჩემი აზრით, ასეთი მდგომარეობა გამოწვეული იყო ფიზიკური და გონებრივი გადატვირთვით, ასევე მუდმივი დაძაბულობით და ძლიერი ნერვიულობით. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობდი ვიღაცამ ჭადო ხომ არ გამიკეთა-თქო ან რაიმე ცოდვის გამო ხომ არ ვისჯები-მეთქი. მე მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არც გამიგია და არც მინახავს. იმ დროს ჩემს თავს ვთვლიდი დიდ მორწმუნედ – ვლოცულობდი და ვმარხულობდი, მაგრამ რატომღაც ისევ არ ვეზიარებოდი და მოძღვარიც არ მყავდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მივედი სიონის ეკლესიაში მამა არჩილ ავანაშვილთან, რომელმაც მირჩია, რომ აღსარება ჩამებარებინა და შემდეგ ზიარება მიმელო. მე გავაკეთე ეს ყველაფერი და ჩემი დაკვირვებით უფრო ამ პერიოდიდან დაიწყო ჩემი მდგომარეობიდან გამოსვლა. კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნის პერიოდი დაემთხვა ჩემს სამსახურებრივ წინსვლისა და წარმატებების პერიოდს (2013 წელი). ძლივს ვსუნთქავდი, ფეხზე ძლივს ვიდექი და ასეთ მდგომარეობაში მყოფს მიწვედა საჯარო გამოსვლები. ყოველი გამოსვლის წინ ვლოცულობდი, რომ გონება არ დამეკარგა, დამხმარებოდა უფალი და ყველა გამოსვლა მართლაც წარმატებული იყო. მე თვითონ მიკვირდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი როგორ ვახერხებდი ამას და მადლობას ვუხდიდი უფალს მისი წყალობისა და დახმარებისთვის.

11. 2012 წელი იქნებოდა – ჩემს მალაზიაში დაახლოებით დამის 10 საათზე, სანამ დაგვეტავდი, შემოვიდა ერთი უცხოელი კაცი, ესე 35 წლამდე, პატარა წვერით, ოდნავ გრძელი თმით და ნაცრისფერი პლაშით. ინგლისურად მითხრა ფრანგი ვარო და 1 ბოთლი ლუდი მთხოვა. ნორმალურად იყო ჩაცმული და გაჭირვებულის არაფერი ეტყობოდა. ფულის გადახდა არც უცდია და არც მე მომითხოვია. იმ წუთშივე რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. ამ დროს მე საშინელი თავბრუსხვევები მაწუხებდა, ბანკის ვალი

მქონდა და ბევრს ვნერვიულობდი. მოკლედ ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. ეს ამბავი იმდენად უჩვეულოდ მომეჩვენა, რომ მაშინვე ვიფიქრე ამდენ განსაცდელში მყოფს უფალი ხომ არ გამოემცხადათქო. მართლაც, უჩვეულო სიტუაცია იყო – მოსკოვის გამზირზე, თანაც ღამე, როცა ტრანსპორტიც უკვე აღარ მოძრაობდა, ესე 35 წლამდე ასაკის ფრანგი, რომელსაც ფულიც არ შემოუთავაზებია, ოდნავ გრძელი თმით და მოკლე წვერით.. არ ვიცი სხვა რა უნდა იფიქროს ადამიანმა..

12. 2015 წლის 13 ივნისის – ღამით სახლში ვიყავით და საჭმელს ვჭამდით. გარეთ ძლიერი წვიმა იყო. უცებ ჩემმა შვილმა, 7 წლის ნატუკამ თქვა – „მინისძვრა აღარ უნდა იყოსო..“. მე ყურადღება მივაქციე მის ნათქვამს და ვკითხე მამიკო საიდან მოიტანე-თქო და იგივე გამიმეორა „აბა ხომ უნდა იყოს უკვე, დრო არისო..“. ნატუკა მთელი ღამე წრიალებდა და არ იძინებდა. ღამის 1 საათზე (ანუ 14 ივნისს) წყალდიდობამ ჩვენთანაც მოაღწია. ჩვენ ჩიქოვანის N36 კორპუსის პირველ სართულზე ვცხოვრობდით და გისოსებით დაცული და გადახურული ცალკე შესასვლელი გვქონდა ეზოს მხრიდან. წყლის მოვარდნისთანავე ბავშვები ამ გისოსებზე ავიყვანე და შემდეგ სახურავზე ბურთივით ვისროლე, ნატუკა გაზის მილს მოეჭიდა და თან მეორე ხელით თავისი 2 წლის ძამიკო – ბეგი ეჭირა. მე და ჩემი მეუღლე ვეღარ ავდიოდით სახურავზე. მივხვდი, რომ ძალიან ცუდად იყო ჩვენი საქმე და შევთხოვე ღმერთს დაგვეხმარე და გვიშველე-თქო. ამის შემდეგ, სახურავის თუნუქი ხელით ავანგრე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი ასვლაც და წვალე-წვალეებით ავედით. შემდეგ ჩვენ უსაფრთხო ადგილზე ორმა მეზობელმა გამოგვიყვანა, რომლებიც არ შეუშინდნენ გამძვინვარებულ სტიქიას და მათ სხვა მეზობლების გადარჩენაც შეძლეს. მეორე დღეს, როცა სახლში შემოვედით ყველაფერი აბელილი იყო წყლისა და ღამისგან. ხატების კუთხეც დასვრილი იყო, მაგრამ ყველა ხატი, მათ შორის პატარა მსუბუქი სასანთლეც კი თავის ადგილზე იდგა. ამ გაჭირვების ჟამს ჩვენ ბევრი ადამიანი და ორგანიზაცია დაგვეხმარა, დაგვეხმარა ასევე თბილისის მერია, ჩვენი სამსახურების კოლეგები, მეგობრები და ჩვენი დედა ეკლესია. ამასთან, პატრიარქის კურთხევით, სტიქიით დაზარალებულთა დახმარება თვითონ ეკლესიებმა ითავეს.

ჩვენ გაგვანაწილეს სიონის ეკლესიაში, საიდანაც შეგროვილი თანხით ჩვენს ახალ სახლში ხატებისთვის ერთი ლამაზი კუთხე მოვანწყეთ.

13. 2020 წელი – ერთ უცნაურ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა, რომელიც აშკარად შეპყრობილი იყო ან ვერ იყო ფსიქიკურად ჯანმრთელი. ადამიანებს ძალიან თრგუნავდა მასთან ურთიერთობა. ერთხანს ამ ადამიანთან ჩემმა ურთიერთობამ ყოველდღიური ხასიათი მიიღო. მასთან ასეთი ურთიერთობის შემდეგ, ერთ ღამეს, როდესაც დასაძინებლად დაგწექი, აშკარად ვიგრძენი რაღაც ძალის ზემოქმედება. ვერ ვიძინებდი, ვგრძობდი, რომ როგორც კი ძილს დავაპირებდი, რაღაც მანვებოდა და თითქოს ჩემში შემოსვლას ცდილობდა, თითქოს გონება მეზინდებოდა და ვითიშებოდა. ამოვიღე ჭვარი და დავიწყე ლოცვა „უფალო შეგვიწყალენ“, „უფალო იესო ქრისტე დაგვიფარე ყოველივე ბოროტისაგან“. მთელი ღამე ასე გავატარე და გამთენიისას ჩამეძინა. მე ვიგრძენი, რომ რაღაც ძალა შემეშვა და თავი დამანება. მე აშკარად შევიგრძენი ჭვრის ძალა და ამან კიდევ უფრო განამტკიცა ჩემი რწმენა.

14. ცხოვრებაში ყოველთვის ვგრძნობდი ღმერთის თანადგომას. როგორი რთული და გამოუვალი სიტუაციაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ დალაგდებოდა ხოლმე – ხიფათი და განსაცდელი ამცდებოდა, საქმეში ხელი მომემართებოდა და ა.შ. ეს შეეხება ყოველდღიურ, ჩვეულებრივ თუნდაც ყოფით საკითხებს: ერთხელ ძალღი დადმორბოდა ჩემსკენ საკუბენად და სანამ ჩემთან მოვიდოდა, მანქანა დაეჭახა; უბანში ერთ ძველ ბიჭთან კინალამ ჩხუბი მომივიდა და იმ წუთშივე სიტუაცია ისე განიმუხტა, რომ ამ ბიჭმა ასაფეთქებელი მაშხალის ჩაქრობა სცადა და ფეხი აუფეთქდა; მანქანით ვმოძრაობდი თბილისის მერიის მიმართულებით, ავდიოდი მარჯვენა სანაპიროდან და გზაჯვარედინზე უცბად მექანიკურად გადავუხვიე მარჯვენა მხარეს ვახუშტის ხიდისკენ და რომ არ გადამეხვია უეჭველი შემეტახებოდა ზუსტად ჩემი მიმართულებით დიდი სიჩქარით მომავალი ავტობუსი. და სხვა მრავალი ასეთი ფაქტის გახსენება შეიძლება.. მთელი ჩემი გავლილი ცხოვრება, სპორტული თუ სამსახურებრივი კარიერა უფლის დიდ წყალობაზე მეტყველებს – გა-

ლათბურთში საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვი-
ყავი, კიკბოქსში არავისთან დავმარცხებულვარ და საქართვე-
ლოს ვიცეჩემპიონის ტიტულიც მქონდა, სამსახურებრივ საქმიან-
ობაში კი თანამდებობრივი და წოდებრივი კარიერის ყველაზე
მაღალ საფეხურებს მივალწიე – გავხდი იურიდიული დეპარტა-
მენტების უფროსი და ძალოვანი უწყებების „პოლიკოვნიკი“. წარ-
მატებები თავისით მოდიოდა და დანინაურებისთვის მე განსა-
კუთრებულად არ ვინდომებდი. მე ვგრძნობდი, რომ უფაღს დაგ-
ყავდი თავისი გზებით და ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ღმერთის
ნებით ხდებოდა.

3. ჩემი ლოცვა

ეს ლოცვა მე თვითონ მოვიფიქრე ჩემი საჭიროებებიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ამ დროს, პიროველ რიგში მე მადლობას ვწირავ უფალს თავისი წყალობისა და დახმარებისათვის და ვთხოვ მას ჩვენს სულიერ განმეზღვრებას, ჯანმრთელობას, სულიწმინდის ნიჭითა და მადლით ავსებას, პიროველ განვითარებას, ოჯახში მშვიდობასა და კეთილდღეობას, ჩვენი სამშობლოს გამთლიანებას და სულიერ აღორძინებას, ასევე ხიფათის, განსაცდელისა და ბოროტი ძალებისაგან დაცვას, წმინდა და უცოდველ ცხოვრებას, ჩვენი ცხოვრების თანამეგზურობას და მის ღირსეულად გავლას. ჩემი ამრით, ეს ლოცვა, სხვა ლოცვების მსგავსად არის ღმერთთან დიალოგის საშუალება და მისი უმთავრესი მიზანია უფლის წყალობისა და მფარველობის მოპოვება, აგრეთვე ღმერთის დახმარებით ჩვენი პიროველი განვითარებისა და სრულყოფის გზაზე საკუთარი ნაკლოვანებების გამოსწორება და საჭირო უნარების შექმნა:

- გმადლობ შენ ქრისტე ღმერთო ჩვენო ყოველივე შენი სიკეთისათვის და გვედრები არ მიგვატოვო, შემოდი ჩვენში, გაგვწმინდე ჩვენ ყოველგვარი ცოდვისგან, ბილწისა და უკეთურობისგან და მოგვეცე ჩვენ წმინდა გული, რათა უფრო ახლოს ვიყოთ შენთან და გულმხურვალე და წმინდა იყოს ჩვენი ლოცვა;
- დაგვლოცე და გვაკურთხე ჩვენ ქრისტე ღმერთო და გვედრები, მოგვეცე ჩვენ ჯანმრთელობა და გვიხსენი ჩვენ ყოველგვარი სნეულებისგან, შიშისგან, ტკივილისგან, ხიფათისა და განსაცდელისაგან და აღგვავე ჩვენ უფალო – უფალი სულიწმინდის ძალით, მადლით, ნიჭითა და მფარველობით;
- ღმერთო, გვედრები შენ, დალოცე და აკურთხე ჩემი ოჯახი, ჩემი.. (სახელები) და მოგვეცე ჩვენ მშვიდობა შენი, რწმენა შენი, წყალობა შენი, მადლი შენი, სიკეთე, გახარება, ბედნიერება, ჯანმრთელობა, დოვლათი და ბარაქა, ურთი-

ერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა და მოგვეც შენი მფარველობა;

- დაგვლოცე და გვაკურთხე ჩვენ ქრისტე ღმერთო და გვედრები მოგვეც ჩვენ – კეთილგონიერება და კეთილმეტყველება, სიბრძნე და გონების გამჭრიახობა, რწმენა შენი და რწმენა საკუთარი თავის მიმართ, ძალა ფიზიკური, გონებრივი და სულიერი, უშიშარობა და სიმტკიცე, თავისუფლება და გამბედაობა, სიხარული და ბედნიერება, დოვლათი და ბარაქა ... (შეგვიძლია დავამატოთ, რაც გვჭირდება) და მოგვეც ჩვენ სრულყოფილება და ნმინდა გული;
- ღმერთო, შენ დალოცე და აკურთხე ჩვენი საქართველო და ქართველი ხალხი, გაამთლიანე და გააძლიერე ჩვენი ქვეყანა, ააღორძინე ქართული სული, განგვამტკიცე ჩვენ შენს რწმენაში და მოგვეც ჩვენ ერთმანეთის სიყვარული, მითევება, თანადგომა და ბოროტ ძალებზე გამარჯვება;
- ღმერთო, შენ დაგვიცავი ჩვენ ყოველგვარი ავი და ბოროტი ძალისგან, მისი საფრთხისა და განსაცდელისაგან, ჯადოთა ზემოქმედებისგან და გვედრები შემოდი ჩვენში, განაგდე ჩვენგან ყოველგვარი ბოროტი და უნმინდური ძალა და აღგვავსე ჩვენ შენი ძალითა და მადლით, შენი სიყვარულითა და სიკეთით, შენი სათნოებითა და კაცთმოყვარებით;
- უფალო დაგვიცავი ჩვენ ცოდვისა და უკეთური ცხოვრებისაგან, შენ გაგვიძეხი ჩვენ გმათა ცხოვრებისა ჩვენისათა და გვედრები გვაცხოვრე ჩვენ ღირსეულად, შეურცხვენლად მართლმადიდებლობაში და სრულყოფილებაში;
- უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო, გვედრები მოგვიტევე ჩვენ ცოდვანი ჩვენნი და გვაცხოვნენ ჩვენ, ამინ!!!

პეორე ნაწილი

4. არსებობს თუ არა ღმერთი

არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავისთვის ერთხელ მაინც არ დაესვას კითხვა, არსებობს თუ არა ღმერთი. ზოგისთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ხოლო ზოგისთვის არა. დღეისათვის საზოგადოებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ თითქოს მეცნიერებამ დაამტკიცა რომ ღმერთი არ არსებობს და მიზანმიმართულად ხდება ამ აზრის ტირაჟირება. სინამდვილეში კი, მეცნიერებამ არა თუ დაამტკიცა ღმერთის არარსებობა, არამედ მან ვერ აღმოაჩინა და ვერ დაადასტურა მისი არსებობის ფაქტი. ეს სულ სხვა მნიშვნელობის პასუხია. მართლაც, დღეისათვის არ არსებობს ისეთი მეცნიერული თეორია, რომელიც პირდაპირ დაადასტურებს ან უარყოფს ღმერთის არსებობას ან არარსებობას. საინტერესოა, ან როგორ უნდა აღმოეჩინა მეცნიერებამ ღმერთი, როდესაც მისი კვლევის საგანი მხოლოდ მატერიალური სამყაროა, ხოლო რელიგიური გაგებით – ღმერთი არამატერიალური მოვლენაა და მეცნიერული მეთოდებით მისი აღმოჩენა შეუძლებელია. ან იქნებ მართლაც არსებობს ე.წ. „პარალელური სამყარო/განზომილება“, რომელიც მეცნიერებამ ჯერ ვერ აღმოაჩინა. ასეთ თემებზე ფიქრისას, პირადად მე მჯერა და ვემხრობი უფრო იმ მოსაზრებას, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს, მან შექმნა ეს სამყარო და ის მონაწილეობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ჩემი მოსაზრებები ეფუძნება შემდეგ მსჯელობას და არგუმენტაციას:

1. ღმერთი უხილავი სულია - ბიბლიაში ნათქვამია, რომ ღმერთი არის სული, ანუ უხილავი არამატერიალური არსება. ამიტომ, მეცნიერება თავისი მატერიალური სამყაროს კვლევის მეთოდებით ვერასდროს დაამტკიცებს ღმერთის ფიზიკურად არსებობის ან არარსებობის ფაქტს. ანუ მეცნიერება ვერასდროს მივა ღმერთთან შეხების წერტილამდე იმიტომ, რომ ის უხილავი და არამატერიალურია. მატერიალური სამყაროს შესწავლით ადამიანს შე-

უძლია მიხვდეს მხოლოდ იმას, რომ მთელი ეს უკიდვანო სამყარო (კოსმოსი), რომელსაც არ აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული (რაც თავის მხრივ დაუჭერებელი საოცრებაა), თავისი ბუნების და მასში არსებული წესრიგიდან გამომდინარე არ შეიძლება შექმნილიყო „შემთხვევით“ და რომ ის მხოლოდ ყველაზე გონიერი არსების მიერ არის შექმნილი. შეუძლებელია უგუნურებიდან შეიქმნას გონიერება (კოსმოსი, წესრიგი), მით უფრო შეუძლებელია უგუნურებამ შექმნას გონიერების ყველა უმაღლესი ფორმა – სიცოცხლე. სხვათაშორის აღნიშნულ არგუმენტს გვერდს ვერ უვლის ვერცერთი მეცნიერი, მათ შორის ბევრი ათეისტიც. სინამდვილეში, მათთვის ბოლომდე ამოუხსნელ მოვლენას წარმოადგენს ე.წ. „ლოგიკური შემთხვევითი გარემოებების ჯაჭვი“, რომელმაც შექმნა გარკვეულ კანონზომიერებებს დაქვემდებარებული ცოცხალი სამყარო. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ასევე პარალელი გაგავლოთ ადამიანის გონებასთან. ის არის ტვინის მიერ შექმნილი ერთგვარი პროდუქტი (არამატერიალური ორგანო), რომელიც აცნობიერებს სამყაროს, წარმოქმნის აზრებს, ემოციებს, გრძნობებს და იღებს გადაწყვეტილებებს. გონება ნამდვილად უხილავია და მისი ვიზუალურად დანახვა შეუძლებელია თუნდაც რომელიმე ხელსაწყოს გამოყენებით. ანუ იმის დადგენა, თუ როგორ ქმნის ტვინი, როგორც მატერიალური ორგანო არამატერიალურ ცნობიერებას, აზრს, ემოციას თუ გრძნობას და საბოლოო ჯამში გონებას, ამ პროცესის მეცნიერული ხერხით, მეთოდით თუ ხელსაწყოთი ვიზუალურად დანახვა შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც მოიფიქრა მეცნიერებამ ფსიქოლოგია, როგორც მისი ერთ-ერთი დარგი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გონების და მასში მიმდინარე პროცესების მეტ-ნაკლებად გაგება (და არა მისი ვიზუალურად დანახვა). ამის გამო, ფსიქოლოგია იმავდროულად ითვლება მეცნიერების ყველაზე არაზუსტ დარგად, ვინაიდან საკვლევ ობიექტებთან დაკავშირებით ის ვერ საუბრობს აბსოლუტური სიმუსტით. ზოგიერთი მეცნიერი კი, ამ უზუსტობების თუ ცდომილებების გამო, საერთოდ არ თვლის მას მეცნიერებად. საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას რომ – მეცნიერება ერთ შემთხვევაში უარყოფს უხილავი არამატერიალური ომენტის არსებობას, ხოლო მეორე შემთხვევაში აღი-

არებს ასევე უხილავი არამატერიალური გონების არსებობას, რაც ნამდვილად გასაკვირია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ულტრა-ათეისტი მეცნიერი (მაგ., ფროიდი), ამ უხილავი გონების არსებობასაც კი უჭვის ქვეშ აყენებს და უფრო მეტად იხრება იმისკენ, რომ ღმერთის მსგავსად ისიც შეიძლება ადამიანის ილუზია იყოსო. ასეთი და სხვა მსგავსი მეცნიერები უფრო იქითკენ იხრებიან და დარწმუნებულებიც არიან ასევე იმაშიც, რომ ყველაფერი არამატერიალური – ადამიანის გონება თუ პიროვნული „მე“-ც, რა თქმა უნდა ადამიანის ილუზიაა. პრინციპში, მათი მხრიდან ასეთი შეხედულებები არც არის გასაკვირი, ვინაიდან ისინი კარგად ხვდებიან, რომ უხილავი გონების აღიარებით მათ არაპირდაპირ ღმერთის აღიარებაც გამოუვათ და ამის გამო, ძალიან ძრწიან და იკარგებიან საკუთარ აბსურდულ თეორიებში (ეს საკითხი უფრო გრცლად არის განხილული მე-5 თავში).

2. მატერიის შექმნის პირველწყარო ყოველთვის დაუდგენელი იქნება – სამყაროს შექმნა მეცნიერებისთვის ყოველთვის დარჩება ბოლომდე ამოუხსნელ მოვლენად. ნებისმიერი მეცნიერული აღმოჩენის შემდეგ კვლავაც იარსებებს კითხვები თუ რა იყო ამა თუ იმ საგნის, ნივთისა თუ მოვლენის შექმნის პირველწყარო. მაგალითად, მეცნიერულად დადგენილია, რომ სამყარო დიდი აფეთქების გზით შეიქმნა, მაგრამ მეცნიერებას ეხლა გასარკვევი ექნება ასეთი აფეთქების გამომწვევი ელემენტების შექმნის თავდაპირველი წყარო და ესეთი შეკითხვები გაგრძელდება უსასრულოდ. საბოლოო ჯამში კი მეცნიერებას რა თქმა უნდა გაუჭირდება ყველა ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა. აქედან გამომდინარე, მუდმივად იარსებებს სამყაროს შექმნის იდეალისტური თეორია, რომელიც უკავშირდება სამყაროს ზებუნებრივი ძალების (ღმერთის) მიერ შექმნას. ამასთან, ისიც არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ სამყაროს შექმნის იდეალისტური თეორია სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მეცნიერულ აღმოჩენებს, ვინაიდან რელიგიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა სახის ფიზიკური მოვლენების შედეგად განხორციელდებოდა ღმერთის ჩანაფიქრი - დიდი აფეთქებით თუ სხვა გზით. რელიგიისთვის მთავარია, რომ სამყარო თავისი კანონზომიერებებით და წესრიგით უზენაესი ძალის (ღმერთის) განზრახვით არის შექმნილი და კონკრე-

ტულ ფიზიკურ მოვლენებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. შეჯამების სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ – სამყაროს დიდი აფეთქების გზით შექმნის თეორია არ ეწინააღმდეგება სამყაროს შექმნის ბიბლიურ გაგებას.

3. უსიცოცხლო მატერიიდან ცოცხალი არსების შექმნა შეუძლებელია – ეს დასტურდება მეცნიერების მიერ ჩატარებული უამრავი ნარემატებელი ექსპერიმენტით. შესაბამისად, მეცნიერების მიერ ჭერჭერობით არ არის ამოხსნილი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაცემული იმ კითხვაზე, თუ როგორ შეიქმნა „პირველი ცოცხალი უჯრედი“ და საერთოდ როგორ შეიქმნა სიცოცხლე, თანაც მხოლოდ დედამიწაზე და არსად სხვაგან. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ მეცნიერები იმაზეც კი ვერ შეთანხმებულან თუ რომელი იყო პირველი – ქათამი თუ კვერცი, ნაყოფი თუ თესლი და ა.შ.. მეცნიერულად უკვე გამოკვლეული და დამტკიცებულია ისიც, რომ დედამიწას მზის სისტემაში ოდნავ განსხვავებული მდებარეობა რომ ჰქონოდა, მაშინ დედამიწაზე სიცოცხლე ვერ შეიქმნებოდა. და ასეთი „შემთხვევითობები“ არის ძალიან ბევრი. ეს და კიდევ სხვა ფაქტორებისა და გარემოებების სიმრავლე კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სიცოცხლე ქვების გროვებისგან ვერ შეიქმნებოდა და რომ აქ ე.წ. „შემთხვევითობა“ გამორიცხულია.

4. დარვინის ევოლუციის თეორია საკამათოა – ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორია წარმოადგენს მეცნიერული ათეიზმის ქვაკუთხედს. მას ეფუძნებოდა ათეიზმის ყველა პროპაგანდისტის – მარქსის, ენგელსის და სხვა მეცნიერების, ასევე დიქტატორული რეჟიმების (ბოლშევიკებისა თუ ფაშისტების) ანტირელიგიური მოსაზრებები. ზოგადად, მე-19 საუკუნე კაცობრიობას ათეისტურ-რევოლუციური შეხედულებების გაფურჩქნისა და აყვავების ხანადაც დაამახსოვრდა. ასეთი იდეები განსაკუთრებით პოპულარული და პრესტიჟული იყო ახალბედა მეცნიერებში. სწორედ ამ პერიოდში იწყებს თავის მოვანეობას დარვინიც. ამიტომ, უკვე გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ – ის, როგორც იმ ეპოქის ერთ დროს ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, უკვე თანდათანობით კარგავს რწმენას და სულ უფრო მეტად ავითარებს ათეისტურ შეხედულებებს. მას ჰყავდა ღრმად მორწმუნე ცოლი და შვილები

(რომლებიც სხვათაშორის ძალიან განიცდიდნენ მის შეხედულებებს), მაგრამ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის გაცნობის, ათეისტურად მოაზროვნე ადამიანებთან მჭიდროდ დაახლოებისა და ბოლოს შვილის გარდაცვალების შემდეგ მან მთლიანად დაკარგა ტრადიციული რწმენა. ის აკრიტიკებდა ბიბლიას და უსამართლობების გამო შეუძლებლად თვლიდა ბიბლიური ღმერთის არსებობას. ევოლუციის თეორიით კი ის განსაკუთრებით ამ პერიოდის შემდეგ დაინტერესდა და განუზომელი წვლილიც შეიტანა მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარვინი არ იყო ევოლუციის თეორიის თავდაპირველი ავტორი. ამ თეორიაზე ჯერ კიდევ მისი ბაბუა მუშაობდა, ხოლო შემდეგ ის გაეცნო – ჟან ლამარკისა და ალფრედ ვოლესის მსგავს თეორიებს და ამის შემდეგ მას, საკუთარი თეორიის საბოლოო ჩამოყალიბებაში უკვე დაეხმარნენ – ჩარლზ ლაველი და იოსებ ჰუკერი. არ არის გამორიცხული, რომ ევოლუციის თეორიით დაინტერესება დარვინს დასჭირდა სწორედ თავისი ანტირელიგიური შეხედულებების გასამყარებლადაც. საბოლოო ჯამში კი ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უარყოფდა ბიბლიურ ღმერთს, მაგრამ არ უარყოფდა სამყაროს შემოქმედი უზენაესი ძალის არსებობას, რომელსაც ის ღმერთსაც უწოდებდა. აღსანიშნავია, რომ დარვინის მიმართ არსებობდა სხვადასხვა ბრალდებებიც. ერთ-ერთი ბრალდება იყო, რომ თითქოს ის, მისი მამა და ბაბუა იყვნენ იმ დროისათვის საკმაოდ მიმზიდველი და გავლენიანი ბრიტანელ მასონთა ლოჟის წევრები, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ მას წიგნების სხვადასხვა ენებზე სწრაფად თარგმნასა და გავრცელებაში. მას ბრალს სდებდნენ აგრეთვე პლაგიატში – სხვისი ნაშრომების გამოყენებასა და მითვისებაში, რომ თითქოს ის თავისი მწირი განათლებით ვერ შეძლებდა ასეთი სიღრმისეული სამეცნიერო ნაშრომების შექმნას, ვინაიდან მას მხოლოდ 7 წლის სასკოლო და 2 წლის უმაღლესი განათლება ჰქონდა (სამედიცინო ფაკულტეტზე) და ბოლოს ის დაინტერესებული იყო მოგზაურობით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით.

არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ თითქოს მან სიკვდილამდე აღრე აღიარა შეცდომა თავის თეორიებში და დაუბრუნდა ღმერთის რწმენას, თუმცა ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშ-

ვნელობა. მისი ათეისტური თეორიები უკვე იმდენად არის ფეხმოკიდებული და გაბატონებული თანამედროვე მეცნიერებაში, რომ მათ ყველაზე მოწინავე და წამყვანი ადგილი უკავიათ. ეს თეორიები პირდაპირ უპირისპირდება ბიბლიას და მისგან რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობს. მართლაც, ამ თეორიის გაცნობის შემდეგ ბევრი მორწმუნე იბნევა და ვერ პოულობს პასუხებს ერთი შეხედვით ასეთი „მტკიცე სამეცნიერო აღმოჩენების“ წინააღმდეგ. თუმცა, ეს ასე არ არის. არსებობს უამრავი მეცნიერის განსხვავებული მოსაზრება, რომელიც უარყოფს დარვინის ევოლუციის თეორიას (განსაკუთრებით ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობას) და ეჭვქვეშ აყენებს მის სისწორეს. კერძოდ, დარვინის ევოლუციის თეორიაში დაეჭვების და კრიტიკის საფუძველს ქმნის შემდეგი მოსაზრებები:

ა) გენეტიკური შეუსაბამობა – დარვინის ევოლუციის თეორია პირდაპირ ვერ ამტკიცებს ჰომო-საპიენსსა (თანამედროვე ადამიანსა) და მის წინამორბედ ტიპებთან პირდაპირ გენეტიკურ კავშირს და ამას ის გენეტიკური მონაცემების ცვალებადი ხასიათით – გენების მუტაციით ხსნის. კერძოდ, ჰომო-საპიენსის უჯრედს აქვს ბირთვი და დაახლოებით 30 000-მდე გენომი, ხოლო მის წინამორბედ ჰომო-ერეკტიკუსს (ადამიანთან ყველაზე მისგავსებულ „მაიმუნადამიანს“) საერთოდ არ აქვს არც ბირთვი და არც გენომი; ჰომო-საპიენსის აქვს 3 მილიარდი ნიუკლიდი, ხოლო ჰომო-ერეკტიკუსს - 16,5 ათასი და ა.შ.). უფრო მეტიც, 2015 და 2020 წლებში ჩინელი მეცნიერის ში-ხუანის და მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, მათ შორის დნმ-ის კვლევა, პირდაპირ გამოორიცხავს რაიმე კავშირს ჰომო-საპიენსსა და მის წინამორბედ ადამიანის მსგავს არსებებს შორის. ყველანაირი გენეტიკური კავშირი გამოორიცხა აგრეთვე ე.წ. „ნეანდერტალიელ ადამიანთან“, რომელსაც თითქმის მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ავითარებდნენ დარვინისტები. გენეტიკური გამოკვლევების შედეგად ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ თანამედროვე ადამიანს უფრო მეტი კავშირი აქვს შიმპანზესთან, ვიდრე მის ე.წ. წინამორბედ ტიპებთან (მაგალითად, ადამიანს აქვს 46 ქრომოსომი, შიმპანზეს კი – 48, თუმცა მათი გენეტიკური მონაცემები თითქმის იდენტურია). მიუხედავად ამისა, ადამიანი

და შიმპანზე წარმოადგენენ ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სახეობებს და მათ არავინ თვლის ერთ სახეობად. როგორც ჩანს, დარვინისტური თეორია წინა პლანზე აყენებს უფრო ადამიანის ტიპებს შორის ანთროპოლოგიურ (აგებულების მიხედვით) კავშირს და მათ შორის არსებულ გენეტიკურ განსხვავებას არსებით უმესტობად არ თვლის. ამ თეორიის მიმდევრები კიდევ უფრო შორეულ წარსულშიც მიდიან და მთელი სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ თავის დროზე მაიმუნადადამიანებმაც განიცადეს მუტაცია და მათი წინაპარი ვირთხის მსგავსი არსება, თავვისოდენა „პურგატორიუსი“ იყო;

ბ) შეგნებულად მცდარი რეკონსტრუქცია – დარვინისტები მიზანმიმართულად ცდილობდნენ, რომ რეკონსტრუირების შედეგად ისეთი იერსახით აღედგინათ ე.წ. პირველყოფილი ადამიანები, რომ მოეხდინათ თანამედროვე ადამიანთან მათი გარეგნობის მაქსიმალურად მიმსგავსება. ამ გზით ისინი ცდილობდნენ უფრო, მეტი დამაჯერებლობა შეეძინათ საკუთარი თეორიისთვის, თუმცა მათ თავისუფლად შეეძლოთ აღნიშნული ტიპები უფრო მაიმუნის და არა ადამიანის მსგავსი იერსახითაც აღედგინათ, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღმოჩენილია მხოლოდ თავის ქალის ნიმუშები, სხეულის და კიდურების გარეშე. დარვინისტები განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ ასევე აღმოეჩინათ მაიმუნისა და ადამიანის „გარდამავალი არსების“ ნიმუშები, რომელიც ყველაზე სუსტი ადგილი იყო მათ თეორიაში. ამისათვის ისინი არ ერიდებოდნენ არც პირდაპირ გაყალბებას, კერძოდ:

– ასეთი „აღმოჩენის“ შესახებ მათ პირველად განაცხადეს 1912 წელს. მათი მტკიცებით, ეს იყო ე.წ. „პილტაუნის კაცი“ (Piltdown Man) და ამას მთელი 41 წლის განმავლობაში ატყუებდნენ კაცობრიობას. თუმცა, 1953 წელს დამატებითი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სინამდვილეში ეს იყო სრული ფალსიფიკაცია, ვინაიდან საკვლევი ნიმუში ხელოვნურად იყო დამზადებული თანამედროვე ადამიანის და ორაგუტანის თავის ქალის ნაწილეებისგან. ეს იყო გრანდიოზულად დიდი სკანდალი და იმავდროულად დიდი დარტყმა დარვინისტებისთვის, რამაც ბევრი დააეჭვა მათი განზრახვების კეთილსინდისიერებაში;

– ფალსიფიკაციების ისტორიიდან სკანდალურ აღმოჩენად ითვლება ასევე ე.წ. „გარდამავალი ადამიანის“ კიდევ ერთი ცრუ „აღმოჩენა“, რომელიც ცნობილია ე.წ. „ნებრასკას ადამიანის“ სახელწოდებით. სინამდვილეში აღმოჩენილი იყო მხოლოდ 1 ცალი კბილი (ეშვი), რომლისგანაც მათ აღადგინეს ე.წ. „გარდამავალი ადამიანის“ მთლიანი სურათი. თუმცა, 1928 წელს დადგინდა, რომ ეს კბილი ეკუთვნოდა ღორების ერთ-ერთ გადაშენებულ სახეობას;

– სრული სიცრუე და ფალსიფიკაცია აღმოჩნდა აგრეთვე დარვინისტების მიერ შედგენილი ე.წ. „ემბრიონის განვითარების ცხრილი“. მათი მტკიცებით, სანწყის ეტაპზე ყველა ემბრიონს ჰქონდა ერთი და იგივე ფორმა და მშობიარობამდე ის იცვლის თავის იერსახეს. თუმცა, ამ მოსაზრებას „სამეცნიერო თაღლითობა“ უწოდა მეცნიერთა ჯგუფმა მაიკლ რიჩარსონის ხელმძღვანელობით (1997 წელი), რომელმაც თავისი დასკვნა დააფუძნა 39 სხვადასხვა სახეობის ემბრიონის შესწავლის მაგალითებზე. მიუხედავად ამისა, ემბრიონის განვითარების ცხრილი კვლავაც შეტანილია ბიოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოებში და ის დღემდე ისწავლება სკოლებში, რის გამოც ბევრ ქვეყანაში ეწინააღმდეგებიან დარვინისტული თეორიის სკოლებში სწავლებას;

გ) ევოლუციის განსხვავებული თეორია – მეცნიერებაში არსებობს ევოლუციის განსხვავებული ინტერპრეტაციაც, რომელიც ევოლუციის თეორიიდან უარყოფს მხოლოდ მუტაციის შედეგად ახალი სახეობის შექმნას და ამტკიცებს, რომ მუტაციის შედეგად ერთი სახეობიდან მეორე სახეობის შექმნა არ ხდება, მაგალითად – მაიმუნისგან შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მაიმუნი, ძაღლისგან – ძაღლი, ადამიანისგან – ადამიანი და ა.შ. მათივე მტკიცებით, ცხოველთა ახალი სახეობები შეიძლება შეიქმნას შეჯვარების გზით, მაგრამ არა მუტაციით. ისინი გვარწმუნებენ, რომ ცხოველთა სახეობების დახვეწის და განვითარების პროცესი (ანუ ბუნებრივი ევოლუცია) დღესაც თვალსაჩინოდ მიმდინარეობს, მაგრამ ამ პროცესში ჩვენ რატომღაც ვერ ვხვდებით ერთი სახეობის მეორე სახეობად „გარდაქმნის“ მაგალითებს. შესაბამისად, ისინი ფიქრობენ, რომ დარვინის თეორია სრული ფიქციაა. მართლაც საინტერესოა, რატომ არ ხდება ამჟამად რომელიმე სახეობაში დარ-

გინისტრული მუტაციის პროცესი? წესით რომელიმე სახეობა ხომ უნდა განიცდიდეს მუტაციის შედეგად სხვა სახეობად გარდაქმნას?

დ) ადამიანის განსხვავებული წარმოშობა – არსებობს განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებებიც, რომელთა თანახმადაც ადამიანის წინაპარი არა მაიმუნი, არამედ შეიძლება წყლის ბინადარი ან სხვა არსებაც ყოფილიყო. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ადამიანს ყველაზე უფრო მეტი მსგავსება აქვს ზღვის ლომებთან - სხეულის აგებულების, წყალთან ადაპტირებული ტემპერატურის, ცურვის, ყვინთვის და ჰაერის შეკავების უნარის, ცხიმოვანი მასის, ადამიანის სხეულზე ბალნისა და თმის უწყვეტად ზრდის და სხვა მონაცემების გამო. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ ადამიანს უფრო დიდი მსგავსება არა მაიმუნთან, არამედ ღათვთან აქვსო და ა.შ. ეს მაგალითები იმისათვის მოვიყვანე, რათა ვიცოდეთ რომ ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულება და რომ ეს საკითხები ჯერ კიდევ საკამათოა. მოდი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ყველა თეორია გვერდზე რომ გადავდოთ, ისედაც თვალსაჩინოა და ამას ჩვენ თვითონაც კარგად ვხვდებით, რომ ამ სამყაროში ადამიანი არის სრულიად უნიკალური და განუმეორებელი მოვლენა, მისი მსგავსი ან ანალოგი არ არსებობს თუნდაც მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადამიანის სხეული არ არის ადაპტირებული არსებულ გარემოსთან და სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით მას არ შეუძლია შესამოსელის გარეშე არსებობა. მართლაც საინტერესოა, თუ რატომ მოხდა ისე, რომ ადამიანიმა ევოლუციის შედეგად ვერ შეიძინა (გამოიმუშავა) მისი გარემოსთან ადაპტაციისთვის აუცილებელი საშუალებები. ევოლუციის წესების მიხედვით, ყველა ცოცხალი არსების სხეული ევოლუციის პროცესში ხომ უფრო მეტად ადაპტირდება არსებულ გარემოსთან, მაგრამ ადამიანის შემთხვევაში ეს პირიქით მოხდა.

ე) ევოლუციის საათი არ მუშაობს – დარვინის მეცნიერული დასკვნის მიხედვით ადამიანის არსებობა დაახლოებით 3,5 მილიონ წელს ითვლის და დღემე მან დაახლოებით 9-ჯერ განიცადა ცვლილება (მუტაცია). ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ად-

ამიანის პირველ რვა ტიპს საერთოდ არ აქვს არანაირი მსგავსება თანამედროვე ადამიანთან. ჩემი დაკვირვებით, დარვინის თეორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ევოლუციის ეტაპებს შორის დროის ინტერვალი.** რომელიც სრულიად განსხვავებული და არაერთგვაროვანია – რიგ შემთხვევაში ის შეადგენს 1,4 მლნ. წელს, ხოლო ზოგ შემთხვევაში 200-დან 800 ათას წელს. ასეთი მკვეთრი განსხვავების გამო, შეიძლება ითქვას, რომ **ამ ინტერვალებს შორის კანონზომიერება საერთოდ არ არსებობს.** დარვინისტები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ადამიანი (ჰომოსაპიენსი) დაახლოებით 200 ათასი წლის წინ შეიქმნა (ე.წ. „მეტაქონდრიარული ევასგან“). ეს მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ უახლოეს ასწლეულში თუ ათასწლეულში მოსალოდნელია ევოლუციური პროცესების კიდევ უფრო გააქტიურება და თანამედროვე ადამიანის განვითარების სხვა ეტაპზე გადასვლა, ანუ კაცობრიობის შეცვლა (მუტაცია). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ უკვე საკმაოდ დროც არის გასული და ევოლუციის კანონების თანახმად ადამიანი აქამდეც შეიძლებოდა შეცვლილიყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთი რამე არ შეინიშნება. **აი სანამ ადამიანი არ შეიცვლება და არ გადავა ე.წ. „განვითარების მომდევნო საფეხურზე“, მანამდე დარვინის თეორია მხოლოდ ერთ სამეცნიერო მოსაზრებად დარჩება.** ნიშანდობლივია ასევე ისიც, რომ ეს თეორია არ გვთავაზობს არც მომავალი მუტირებული ადამიანის საგარაუდო პორტრეტს, თუმცა, ის იმავდროულად დამაჯერებლად საუბრობს მის წინამორბედ ტიპებთან ანთროპოლოგიურ კავშირებზე.

5. ბიბლია არ ეწინააღმდეგება დედამიწის შექმნის მეცნიერულ ახსნას - მეცნიერება ამბობს, რომ დედამიწა დაახლოებით 4 მილიარდი წლის წინ შეიქმნა. შესაბამისად, **მეცნიერება უარყოფს სამყაროს 7 დღეში შექმნის ბიბლიურ ისტორიას.** ეს გარემოება ხანდახან აბრკოლებს ზოგიერთ მორწმუნეს, თუმცა **ამ კითხვამდე არსებობს ძალიან მარტივი პასუხი** – ბიბლიის თანახმად, **უფლისთვის 1 დღე შეიძლება იყოს 1000 წელი** ან უფრო მეტი და ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ სამყარო, შექმნის **ბიბლიაში მოცემული ვადები პირობითია** და ის არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ღმერთი მუდმივი და მარადიულია. **შესაბამისად მისი**

არსებობა არ ექვემდებარება არანაირ დროს. ბიბლიაში მოცემული ვადები კი იმ ფორმით არის გადმოცემული, რომ ადამიანის გონება შეძლებისდაგვარად მიხედეს ბიბლიური ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიას და ეს ყველაფერი ადვილად გასაგები იყოს მისთვის. ანუ ბიბლიისთვის მთავარია ფაქტების ქრონოლოგია და არა დროის ზუსტი ვადების განსაზღვრა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებაც, რომელიც არ ეთანხმება საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერებას და მცდარად თვლის ფაქტებისა და მოვლენების დათარიღების მათ მიერ შემოთავაზებულ მეთოდს. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ვადები ზუსტად ემთხვევა ბიბლიის ქრონოლოგიას და არავითარი შეუთავსებლობა მათ შორის არ არსებობს.

6. სასწაულები რეალურად ხდება – ვაცობრიობის ისტორიაში უამრავი სასწაული მომხდარა. ამის გამო ადამიანებს ყოველთვის სწამდათ ზებუნებრივი ძალების. რელიგიის შექმნა ყოველთვის არ უკავშირდებოდა ადამიანთა მხრიდან გაუცნობიერებელ შიშს, ფანტაზიას და ამოუხსნელ ბუნებრივ მოვლენებს, როგორც ამას მეცნიერება მიიჩნევს. სასწაულები დღესაც ჩვენ თვალწინ ხდება, რამაც მეცნიერება დღეს და შეგნებულად არ საუბრობს. ამის დასტურია თუნდაც იერუსალიმში მაცხოვრის ტაძარში ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლა და სხვა უამრავი ქრისტიანული სასწაული. მეცნიერებისთვის ამოუხსნელი ზებუნებრივი მოვლენები სხვა რელიგიებშიც უხვად გვხვდება. ასე რომ სასწაულები ნამდვილად ხდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ისინი ამომწებენ ღმერთის არსებობას, ასვე ადამიანების მიმართ უფლის სიყვარულს და თანადგომას. თუ ადამიანი (თუნდაც ათეისტი) საკუთარ თავს კარგად დააკვირდება დარწმუნდება იმაში, რომ სასწაულები მის ცხოვრებაშიც მომხდარა – „შემთხვევით“ გადარჩენილა სახიფათო ვითარებაში, „შემთხვევით“ განკურნებულა სნეულებისგან, „შემთხვევით“ წარმატებისთვის მიუღწევია, „შემთხვევით“ სიმამარში თუ სხვა ვითარებაში აღმოუჩენია მეცნიერული გამოგონება და ა.შ. არადა ხომ შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირადაც ყოფილიყო (ადამიანისთვის საზიანოდ). სამწუხაროდ, შემდეგ ადამიანების უმეტესობას ავიწყდება ეს ყველაფერი, რომ თითქოს არც

არაფერი მომხდარა და აღარ გამოხატავს ღმერთის მიმართ მადლიერებას.

7. რწმენა ადამიანის ბუნებითი მოთხოვნილებაა – თუ ადამიანი საკუთარ თავს ვარგად დააკვირდება, დარწმუნდება იმაში, რომ **რწმენა არის ადამიანის ბუნებითი მოთხოვნილება, მისი უმთავრესი არსი და დანიშნულება.** ადამიანს მხოლოდ რწმენა ანიჭებს ნამდვილ სულიერ სიმშვიდეს, კმაყოფილებასა და ბედნიერებას. **მორწმუნეები ღმერთს საკუთარ თავში ეძებენ და არა ციურ სხეულებში ან კერპებში.** ბევრ მორწმუნეს უთქვამს, რომ ღმერთი საკუთარი თავის შეცნობის შემდეგ დაინახა, შეიგრძნო და განჭვრიტა მისი ღვთიური ენერგიები. **ანუ ადამიანის შინაგანი სამყარო იმავდროულად არის ღმერთის შეცნობის გზა.** რწმენა არის საზოგადოებისა და ინდივიდის **შინაგანი წესრიგი (დისციპლინა)** და მისი მოშლა იწვევს სახელმწიფოში ყველანაირი მორალური თუ მნეობრივი ფასეულობების რღვევას.

5. აქვს თუ არა ადამიანს უკვდავი სული

ისევე როგორც ღმერთის არსებობის საკითხი, ეს საკითხიც ძალიან აქტუალურია და ალელგებს ბევრ ადამიანს. ბევრს ჯერა ამის და ბევრს არა. არსებობს ძალიან ბევრი ურთიერთსაპირისპირო და ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი თეორია, რომელიც მართლაც თავგზას აუბნევს ადამიანს. ამასთან, უამრავი შეხედულება არსებობს როგორც სამეცნიერო, ისე რელიგიურ წრეებში, კერძოდ:

ა) უოტრა-ათეისტური მეცნიერების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ არაგითარი „სული“ არ არსებობს, ხოლო ზოგიერთი მათგანი კიდევ უფრო შორს მიდის და უარყოფს ასევე „გონების“ არსებობასაც კი ან ეჭვს გამოთქვამს მისი არსებობის თაობაზე. ასეთი დასკვნების გამოტანის საფუძველს მათ აძლევს ის გარემოება, რომ ადამიანის ორგანიზმში არც სული და არც გონება ვიზუალურად არ ჩანს. ანუ გონება არ არის ისეთივე ორგანო, როგორც არის მაგალითად გული, ტვინი ან სხვა. თითონ **ფრთილიც** კი არ არის დარწმუნებული იმაში, არსებობს თუ არა ადამიანის „გონება“, თუ ღმერთის მსგავსად ისიც ადამიანის „ილუმბიაა“. როგორც ჩანს, საზოგადოებაში უკვე ასეთი გაბატონებული შეხედულებებით შენუხებული **აინშტაინი** ამიტომაც სვამდა კითხვას - **„ნუთუ თქვენ მართლა გჯერათ რომ არ არსებობს ადამიანის გონება?“**. დღეისათვის ძალიან პოპულარულია **ფრთილის თეორიები**. მან, როგორც ჭეშმარიტმა ათეისტმა, წარმოადგინა თეორია, რომლითაც მისი ჭკუით გახლიჩა-დაანანევრა ადამიანის სული, როგორც ერთი მთლიანი არსება და მის ნაცვლად კაცობრიობას შესთავაზა ადამიანური ფსიქიკის – სამი ელემენტი: **იღ-ი, ეგო და სუპერ-ეგო**. ამასთან, იღ-ში ის მოიაზრებდა ადამიანის ყველა სურვილს და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს. **სუპერ-ეგო იყო** მისი ამრით ამ სურვილებისა და მისწრაფებების მაკოტროლებელი და შემზღუდველი ცენზორი, ანუ ე.წ. „ცუდი ტიპი“, რომელიც მუდმივად ჩაგრავდა და თრგუნავდა მათ, ხოლო „ეგო“ იყო გარკვეული დამბალანსებელი და მომრიგებელი ამ ორ ელემენტს შორის. ის ამ თავის გამოგონილ „სუპერ ეგოს“ (რომელსაც მისი მიმდევრები

ასევე ადამიანის პიროვნულ „მე“-საც უწოდებენ), **თვლიდა „მშობლების ხმალ/საკუთარ სინდისად“**, რომელიც იმრდებოდა ადამიანის ასაკის მატებასთან ერთად და უკვე სიმწიფის ასაკში ყალიბდებოდა ადამიანის მორალური და მწიფობრივი ღირებულებების სახით (ანუ ერთგვარ შინაგან ჟანდარმად). **ამრიგად, მისი აზრით, ადამიანის სუპერ-ეგო ანუ პიროვნული „მე“ ყოველთვის არ არსებობს და ადამიანში ის ჩნდება მხოლოდ ზრდასრულობის ასაკში**. სამწუხაროდ, ეს თეორიები უაღრესად პოპულარულია დღესაც. თუმცა, საინტერესოა თავის დროზე რა იყო მათი გამოგონების მთავარი მოტივაცია. როგორც ჩანს ფროიდისთვის მთავარი იყო ადამიანის სულის შესახებ იმ დროისათვის ჯერ კიდევ გაბატონებული წარმოდგენების დამსხვრევა და ამ გზით საჭარო აღიარების მოპოვება. ის ტრაბახობდა კიდევ იმით, რომ ადამიანის სულს და ზოგადად რელიგიურ შეხედულებებს ყველაზე მეტი ზიანი მიუყენა, მაგრამ ჩემი აზრით **ის სულ ტყუილად გაისარჯა** – სინამდვილეში მან ახსნა მხოლოდ **„ადამიანის მოთხოვნილებების სისტემა“** და მათი წარმოშობის, შერჩევისა და გადანყვევტილების მიღების მექანიზმი და არა – „ადამიანის ნამდვილი არსი“, მისი ძირითადი სუბსტანცია, ცოცხალი სული, პიროვნული „მე“, თუ რასაც ვუწოდებთ.

დღეისათვის, ათეისტი მეცნიერები უფრო დამაჯერებლად საუბრობენ ადამიანის „ცნობიერებაზე“ და ერთხმად აღიარებენ მის არსებობას, მაგრამ გონების მსგავსად მათ ვერც ამ ხორციელ ანუ მატერიალურ ორგანოს ვერ მიაკვლიეს. სამეცნიერო დაკვირვებების შედეგად, საბოლოო ჯამში ისინი მივიდნენ მხოლოდ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის „ცნობიერებას“ ქმნის ადამიანის ტვინი. კერძოდ, ტვინში არსებული მილიარდობით ნეირონი ერთმანეთისკენ აგზავნის ელექტრომაგნიტურ იმპულსებს (ტალღებს) და ქმნის კვანტურ პროცესებს (ანუ „ელექტრომაგნიტურ ველს“), მაგრამ თვითონ ეს პროცესი მაინც ვერ ქმნის მატერიალურად ხელშესახებ „ცნობიერებას“, რომლებიც კვლავაც უხილავი რჩება. საბოლოო ჯამში, ბევრი მათგანი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ილუზიაა ასევე ადამიანის შინაგანი „მე“ (ანუ პიროვნება), რომელიც ყოველწამიერად იცვლება და არასდროს რჩება იმავე სახით. ანუ ადამიანი მუდმივად გარდაიქმნება და ყოველწამიერად ხდება

სხვა ადამიანი. კარგით, დავუშვათ რომ ეს ყველაფერი ილუზიაა, მაშინ ისმის კითხვა - ვინ არის ის კიდეც სხვა ვინმე, ვინც ხვდება, ხედავს და აღიქვამს ამ ილუზიას? ასეთი ლოგიკით გამოდის, რომ ადამიანის შინაგან სამყაროში „მე“-ს გარდა, ნამდვილად ყოფილა კიდეც სხვა „ვინმე“, ვინც საკუთარ თავს ილუზიად აღიქვამს.

მოკლედ, როდესაც ასეთი „მოწინავე მეცნიერების“ შეხედულებებს ეცნობი, უკვე ბუნებრივად გიჩნდება ეჭვი მათ კვალიფიკაციაში და კეთილსინდისიერებაშიც. ე.ი. გამოდის, რომ თურმე ადამიანს არც გონება, არც ცნობიერება და არც პიროვნული „მე“ არ ჰქონია და ეს ყველაფერი სრული ილუზია ყოფილა. როგორც ჩანს, ისინი იმდენად არიან გატაცებულნი კლასიკური ათეისტური შეხედულებებით, რომ ველარ ხვდებიან თუ რამხელა ჩიხში შეჰყავთ მეცნიერება. იქმნება ასევე ისეთი შთაბეჭდილებაც, რომ მათ თვითდაკვირვების არანაირი პრაქტიკა არ ჰქონიათ და მათი „სამეცნიერო აღმოჩენები“ თავისნაირივე მსგავსი ადამიანების პირად გემოვნებას, გადმოცემებსა თუ ემოციებს ეფუძნება. ამ სიტყვების უტყუარობაში ძალიან მარტივად დარწმუნდება ყველა ის ადამიანი, რომელიც თვითონ ჩაიხედავს საკუთარ თავში და სწორედ იქ დაინახავს თავის მუდმივ და არაცვალებად პიროვნებას (მე-ს, გონებას, ცნობიერებას, სულს, თუ რასაც დავარქმევთ). ე.ი. გამოდის, რომ ისინი მართლა ვერ ხედავენ ან შეგნებულად მაღავენ სიმართლეს. თუმცა, გასაგებია მათი შიშები - არამატერიალური გონების არსებობის აღიარებით, მათ ხომ იმავდროულად არამატერიალური ღმერთის არსებობის აღიარებაც გამოუვსათ, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება მათ ათეისტურ წარმოდგენებს;

ბ) ათეისტურ მეცნიერებაში არსებობს ასევე სხვა შეხედულებებიც. რომლებიც არ უარყოფს ადამიანის შინაგანი სამყაროს (გონება, ცნობიერება და „მე“) არსებობას და თვლის, რომ ის ნამდვილად არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალურად არ ჩანს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ნამდვილად არსებობს ადამიანის არამატერიალური გონება (როგორც ტვინის პროდუქტი), რომელიც ქმნის ადამიანის ცნობიერებას, აზრებს, გრძნობებს, მესხიერებას და პიროვნულ „მე“-ს, მაგრამ ეს გონება, თავისი თანმდევნილებებით ქრება ადამიანის სიკვდილთან ერ-

თად. შესაბამისად, მათი მოსაზრებითაც არანაირი ადამიანის სული არ არსებობს;

გ) არსებობს ასევე ისეთი სამეცნიერო მოსაზრებებიც, რომლებიც აღიარებს ადამიანის როგორც გონების, ისე სულის არსებობას – ვერძოდ, ასეთ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის სული და გონება არ არის ერთი და იგივე - გონება არის ადამიანის სხეულის ამროვნებისა და გრძნობების ერთობლიობა, ხოლო სული მათ გარეშეც არსებობს და არის მუდმივად მყოფი გონიერი ცოცხალი არსება - მარადიული „მე“, რომელიც იყენებს სხეულსა და გონების რესურსებს. აქედან გამომდინარე, სული როგორც მუდმივად მყოფი გონიერი არსება, არის უკვდავი და გადადის ერთი სამყაროდან მეორეში (ანუ მატერიალურიდან არამატერიალურში). ამის დასადასტურებლად მათ მოჰყავთ კომაში მყოფი და კლინიკურად გარდაცვლილი ადამიანების მაგალითები, როდესაც ადამიანის ტვინი პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ ამ დროს ადამიანის ცნობიერება („მე“) კვლავაც აქტიურია და აღიქვამს ან ხედავს მისი სხეულის გარშემო მიმდინარე პროცესებს. ისინი ასევე თვლიან, რომ ადამიანის გონება (ცნობიერება) არ არის არც „ელექტრომაგნიტური ველი“, ვინაიდან ის არ რეაგირებს გარე ელექტრომაგნიტურ ტალღებზე. ადამიანის სულის არსებობის იდეას ეთანხმება იმ ადამიანების უმეტესი ნაწილი, რომელთაც აქვთ საკუთარი თავის დაკვირვების და გაცნობიერების მდიდარი პრაქტიკა.

რა თქმა უნდა მეც ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ნამდვილად არსებობს ადამიანის გონებაც და სულიც. ეს სულაც არ არის ადამიანის ფანტაზია და ილუზია. პირიქით, ჩემი აზრით, ეს ყველაზე უფრო ცხადი და ჭეშმარიტია განსაკუთრებით ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ფლობენ „ცნობიერების უმაღლეს დონეს“ და რეალურად შეიგრძნობენ საკუთარ არსებას. ამრიგად, სული არის ადამიანში არსებული გონიერი ცოცხალი არსება - ცნობიერება („მე“), რომელიც არსებობს ადამიანის აზრებისა და გრძნობებისგან (ანუ გონებისგან) დამოუკიდებლად. ის არის ჩვენს შიგნით მყოფი „გონიერი დამკვირვებელი“, რომელიც უყურებს და ხედავს საკუთარ თავში და მის გარშემო მიმდინარე პროცესებს. სული გონების (აზრების და გრძნობების) მეშვეობით მარ-

თავს სხეულს და უკავშირდება მატერიალურ სამყაროს. საბოლოო ჯამში კი, სხეული, გონება და სული ქმნის ადამიანის ერთიან არსებას – სრულ ადამიანს. ამის დანახვა შეუძლია ყველა ადამიანს, რომელიც კარგად ჩაიხედავს და გააცნობიერებს საკუთარ თავს (ამ საკითხს უშუალოდ ეხება – მე-19 თავი). ჩვენს ცხოვრებაში აუცილებლად დადგება ისეთი დღე, როდესაც საკამათო აღარაფერი იქნება და თითოეული ჩვენგანი ამას თვალნათლივ დავინახავთ. ადამიანებს, რომლებსაც სწამთ ადამიანის სულის არსებობა, საკუთარ შეხედულებებს ამყარებენ შემდეგი არგუმენტებით:

- 1) სული არის ისეთივე უხილავი არსება, როგორც ღმერთი – ასე მეცნიერებამ ვერც ღმერთის არსებობა დაადგინა იმიტომ, რომ მისი კვლევის საგანი არის მხოლოდ მატერიალური სამყარო/მატერიალური ნივთი. სული კი არ არის ხორცი ანუ მატერიალური საგანი. იმიტომ, თანამედროვე ათეისტური მეცნიერება მას ვერასდროს მიაკვლევს. თუ სული არ არსებობს, მაშინ არც ღმერთი არ არსებობს და პირიქით – თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ არც სული არსებობს;
- 2) კლინიკური სიკვდილი – კლინიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანები ყვებიან, თუ როგორ გამოვიდა მათი სხეულიდან სული, როგორ უყურებდა სული მალლიდან საკუთარ გვამს და ვინ რას აკეთებდა ამ პროცესში. ზოგიერთი ასევე ყვება ბნელი გვირაბის ბოლოს სინათლის მიმართულებით მოძრაობას, სიმშვიდის და სასიამოვნო მდგომარეობის შეგრძნებას, ხედავენ ქრისტეს, ზოგიც გარდაცვლილ ნათესავებს, საიქიო ცხოვრებას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მონათხრობი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ვინც ეს განიცადა (მათ შორის ათეისტებიც კი), ბევრი მათგანი ღრმად მორწმუნე გახდა, ვინაიდან მათ სხეულის გარეშე რეალურად იხილეს ეს ყველაფერი. კლინიკურ სიკვდილოზე „მეცნიერებას“ რა თქმა უნდა თავისებური ახსნა აქვს. ცხადია, „მეცნიერები“ ვიზუალურად ვერ დაინახავდნენ ამ პროცესს, თუმცა ერთგვარი გამოსავლის ძებნაში რა თქმა უნდა ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ – კლინიკური სიკვდილი არის

ადამიანის „ილუზია“, რომ ადამიანს ეს ყველაფერი ეჩვენება, ჟანგბადის ნაკლებობის გამო უვითარდება ე.წ. „გვირახის და სინათლის ხედვა“ და ა.შ., თუმცა იმავდროულად იმასაც ადასტურებენ, რომ ამ დროს ადამიანი მკვდარია, ვინაიდან გულისა და ტვინის მუშაობა გაჩერებულია და წესით ასეთი სიმპტომები აღარ უნდა აღენიშნებოდესო. ისინი ასეთ ადამიანებს (ანუ გარდაცვლილებს) ადარებენ ნარკოზის მდგომარეობაში მყოფ ცოცხალ პირებს და ამბობენ, რომ მსგავსი შეგრძნებები მათაც აღენიშნებათო, მაგრამ იმავდროულად ავიწყდებათ, რომ შესაძარებელი ობიექტებისგან განსხვავებით ამ დროს ისინი საუბრობენ უკვე გარდაცვლილ ადამიანებზე, რომლებსაც არც გული და აღარც ტვინი აღარ უმუშავებთ. სწორედ ამაზე უნდა ითქვას, რომ ასეთი „მეცნიერების“ ილუზიას და ფანტაზიას მართლაც არა აქვს საზღვარი. აქედან გამომდინარე, ეს კითხვა ათეისტური მეცნიერებისთვის მუდმივად ამოუხსნელი დარჩება - თუ რატომ ხედავს ადამიანი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ყველაფერს, რაც მისი გვამის გარშემო ხდება?

- 3) მედიტაციების დროს სულმა შეიძლება დატოვოს სხეული - იოგები ამტკიცებენ, რომ მედიტაციის დროს მათი სული ტოვებს სხეულს და იწყებს მოგზაურობას, ხოლო მედიტაციიდან გამოსვლის შემდეგ, ისინი უკვე დეტალურად ყვებიან თუ სად იყვნენ და რა ნახეს. ამაზე მეცნიერება ამბობს, რომ ეს-ეც „ილუზიაა“ და ადამიანს ეს ყველაფერი ეჩვენება. მაგრამ, კლინიკური სიკვდილის მსგავსად აქაც ისმის კითხვა თუ მას ეს ყველაფერი ეჩვენება, მაშინ როგორ ხდება, რომ ესეთი ადამიანები დიდი სიზუსტით აღწერენ ამ ყველაფერს?
- 4) სპირიტუალიზმი – ქურუმები, მაგები, ოკულტისტები თუ სხვა მისტიკოსები ამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ საიქიოდან ადამიანთა სულების გამოძახება და მათთან საუბარი. ბევრი თვითმხილველი იმასაც ამტკიცებს, რომ ამ დროს მართლაც ამოუხსნელი ფიზიკური მოვლენები ხდება – მაგიდები და სკამები თავისით გადაადგილდება, თეფში თავისით

ტრიალებს და ა.შ. ქრისტიანობა და სხვა აბრამისტული რელიგიები განსხვავებული თვალთ უყურებენ სპირიტუალიზმს და მას ბოროტ ძალებს უკავშირებენ;

- 5) თუ სული არ არსებობს, მაშინ ისმის კითხვა – ყველა წმინდანი და წინასწარმეტყველი ცრუობდა? არცერთი სასწაული არ მომხდარა და ეს ყველაფერი ტყუილია? რა თქმა უნდა ეს ასე არ არის. ჩვენ გვჯერა ამ ყველაფრის იმიტომ, რომ სასწაულები ნამდვილად ხდება. ამით ღმერთი ამოწმებს თავის არსებობას და ჩვენ მიმართ მის დიდ სიყვარულს. აქედან გამომდინარე, სულის არსებობის შესახებ სწავლებაც სწორი და უტყუარია.

სულის უკვდავების შესახებ იდეას იზიარებს ყველა ძირითადი რელიგია (ქრისტიანობა, ისლამი, ინდუიზმი, იუდაიზმის ფარისეველთა მიმართულება), გარდა იუდაიზმში სადუკველთა მიმართულებისა და ცალკეული ქრისტიანული სექტებისა, რომლისთვისაც სული იგივე სისხლია. სულის უკვდავების იდეა რელიგიათა უმეტესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია. საინტერესოა, თუ როგორ უყურებენ ეს რელიგიები სულის უკვდავებას და სად მიდის სული სიკვდილის შემდეგ - ქრისტიანობა და ისლამი ამბობს, რომ სიკვდილის შემდეგ სული არ რჩება ხილულ სამყაროში და მიცვალებულთა საყოველთაო ადდგომამდე მიდის სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, ხოლო ინდუიზმის მიხედვით – სული შეიძლება წავიდეს ღმერთთან (შეერწყას ღმერთს/გახდეს ღმერთი), მოხვდეს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში ან შეიძლება მოგვევლინოს სხვა ცოცხალ არსებად რეინკარნაციის გზით.

6. რატომ არის იესო ქრისტე ღმერთი

რელიგიურ წრეებში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, რომ თითქოს იესო ქრისტე არ არის ღმერთი და რომ ის იყო მხოლოდ მესია, წინასწარმეტყველი ან უბრალოდ წმინდა ადამიანი. ამ მოსაზრებას ავითარებენ არა მხოლოდ ისლამის მიმდევრები, არამედ თვით ქრისტიანული რელიგიების წარმომადგენელებიც (მაგალითად, იეჰოვას მოწმეები, ხოლო უფრო ძველ დროში არიოზელთა, ნობორეველთა, გნოსტიკოსთა და სხვა სექტები). იუდეველებისთვის კი, იესო საერთოდ არ არის მესია, ხოლო მათი აზრით, ნამდვილი მესიის მოსვლას სულ სხვა წინასწარმეტყველებები და წინაპირობები უნდა უძღოდეს. იმისათვის, რომ არ დავიბნეთ და არ ვიყოთ შეცდომაში შეყვანილი, აუცილებელია გვქონდეს ამ საკითხებისადმი ღრმა ცოდნა. ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა მთლიანად ეფუძნება ძველ და ახალ აღთქმებს. გარდა ამისა, ამ თავში ქვეთავების სახით იქნება მოცემული ასევე ამონარიდები ძველი და ახალი აღთქმიდან. მაშ ასე, რატომ არის იესო ქრისტე ღმერთი:

1. ის რომ იესო ქრისტე არის განკაცებული ღმერთი, ამის შესახებ ჩვენ ვიგებთ მისი **შობიდან. ის იშვა ქალწული მარიამისგან,** რითაც აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება, რომ ქალწულისაგან იშვებოდა ყრმა სახელად – **„ემანუილ“**, **რაც ნიშნავს – ჩვენთან არის ღმერთი.** ასეთი რამე არც მანამდე და არც მის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა. იესო ქრისტემ კაცობრივი ბუნება შეიძინა (ანუ ხორცი შეისხა ქალწული მარიამისაგან), ხოლო მისი სული სულიწმინდის ძალით გარდამოვიდა მასში. ე.ი. ის ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო, ვინაიდან მას ჰქონდა არა ადამიანის, არამედ ღმერთის სული. **ეს იყო სამყაროში ყველაზე დიდი მოვლენა და ამაზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა არაფერი მომხდარა, ვინაიდან თვითონ სამყაროს შემოქმედი ღმერთი განკაცდა.** ქრისტიანების დასაბნევად, მუსულმანები და სხვა სკეპტიკოსები იესოს პიროვნებას ხშირად ადარებენ ხოლმე პირველქმნილ **„ადამს“** და ამბობენ, რომ მას არცერთი მშობელი არ ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც არ იწოდება ღმერთად.

მაგრამ, ამ შემთხვევაში ამ ორ პიროვნებას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბიბლიური გადმოცემით, **„აღამი“ იყო მხოლოდ პირველი ადამიანი**, რომელიც არსად არ იწოდება ღვთის ძედ და მით უფრო „მხოლოდშობილ ძედ“. ძველ და ახალ აღთქმაში (ანუ ბიბლიაში) ეს სტატუსი ეკუთვნის მხოლოდ ერთ პიროვნებას - **„მესიას“**, ანუ იესო ქრისტეს და სხვა არავის.

2. სახარების მიხედვით, იესო იყო და არის მამა **ღმერთის მხოლოდშობილი ძე**. ეს იმას ნიშნავს, რომ ის იყო და არის ღმერთის ერთადერთი შვილი. ოღონდ არა ისეთი შვილი, როგორებიც ჩვენ ვართ, არამედ „მხოლოდშობილი ძე“, რომელიც მხოლოდ ის იყო და არა სხვა. ხოლო თუ ის ღმერთის ერთადერთი შვილი იყო ე.ი. ღმერთი ყოფილა. ეს ბუნებრივიც არის იმიტომ, რომ ღმერთის შვილი შეიძლება მხოლოდ ღმერთი იყოს, ადამიანის შვილი კი - მხოლოდ ადამიანი და ა.შ. ქრისტიანული გაგებით, **„მხოლოდშობილობა“ ნიშნავს არა ფიზიკურ შობას, არამედ ღმერთის წიაღში შობას**. ანუ ღმერთმა თავის თავში შვა ძე და ეს იყო სამყაროს შექმნამდე. უფლის წიაღში მხოლოდშობილმა ძემ კი ხორცი შეისხა ქალწული მარიამისგან, ხოლო მისი სული გარდამოვიდა სულიწმინდის ძალით. ამიტომაც, ქრისტიანული გაგებით **იესო ერთდროულად ითვლება 2 ბუნების მქონე არსებად – უქმნელ (როგორც მხოლოდშობილ ძედ) და იმაგდროულად ქმნილ არსებად – ანუ სრულ ადამიანად**.

3. იოანეს სახარების მიხედვით იესო არის „უფლის სიტყვა“ – **„დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“**. ე.ი. სახარებაში პირდაპირ წერია, რომ ის არის ღმერთი. თვითონ იესო ამბობს: **„მე მამაში ვარ და მამა ჩემში“** (იოანეს სახარება 5.11).

4. იესო იმის გამო აწამეს და მოკლეს, რომ იუდეველებმა მას მკრეხელობაში დასდეს ბრალი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ **ის თავს ღვთის ძედ და ღვთის ტოლად თვლიდა**. სახარებაში იუდეველთა ბრალდება პირდაპირ იკითხება – **„ვეთილი საქმისთვის კი არ გქოლავთ, არამედ ღვთის გმობისათვის და იმისთვის, რომ კაცი ხარ და ღმერთად ხდი შენს თავს“** (იოანეს სახარება); **„ვინ არის ეს, ღმერთს რომ გმობს? ვის ძაღუძს ცოდვების მიტეგება ერთი ღვთის გარდა?“** (ლუკას სახარება). იუდეველთა თვალში

იესო მხოლოდ სრულყოფილი კაცი ან წინასწარმეტყველი რომ ყოფილიყო, მაშინ მას სასიკვდილოდ არ გაიმეტებდნენ. **თუ ეს ასე არ არის, მაშინ ისმის კითხვა, რის გამო აწამეს და მოკლეს ის?** ამ კითხვაზე უასუხს ჩვენ ვერ მოვისმენთ განსხვავებულ ქრისტიანულ მოძღვრებებში, ხოლო ისლამის მიმდევრებმა ე.წ. „უნივერსალური გამოსავალი“ იპოვნეს – მათ საერთოდ უარყვეს ქრისტეს ჯვარცმის ფაქტი, ანუ ქრისტიანობის ქვაკუთხედი და საფუძველთა საფუძველი. არადა, ეს ყველაფერი რა თქმა უნდა დადასტურებულია შესაბამისი ისტორიული წყაროებით, რომელზეც უფრო ვრცლად არის საუბარი ქრისტიანობისა და ისლამის მიმოხილვის თავში.

5. იესო იყო და არის **ერთადერთი მესია (ანუ ქრისტე)**. ის იყო კაცობრიობის მხსნელი, ოღონდ არა ებრაელთა ფიზიკური მონობიდან განმათავისუფლებელი და ქვეყნების ძლევამოსილი მბრძანებელი, არამედ ადამიანების ცოდვის ტყვეობიდან მხსნელი და სულების გადამრჩენელი (ანუ მაცხოვრებელი). ის იყო უკანასკნელი მსხვერპლი (კრაგი), რომელიც დაიკლა ჩვენი ცოდვებისათვის. მან თავისი სისხლით გამოისყიდა ადამის მიერ ჩადენილი პირველქმნილი ცოდვა, ჯოჯობიდან ამოიყვანა მართალი ადამიანების სულები და კაცობრიობას უჩვენა ჰუმანიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ხსნისა და გადარჩენის გზა. ამასთან, მოკვდა მისი მხოლოდ ადამიანური ნაწილი და არა ღვთაებრივი. ის აღდგა ადამიანის უხრწნელი სხეულით, ამაღლდა ზეცად და **დაჯდა მარჯვნივ მამისა**. თვითონ იესო ამბობს – **„ამიერიდან ძე კაცისა იქნება ღვთის ძალის მარჯვნივ მჯდომარე“ (ლუკას სახარება 22.69)**. მარჯვნივ დაჯდომა კი ნიშნავს მამის თანასწორ მდგომარეობაში ყოფნას, ანუ – ღმერთობას. **ყველა ქრისტიანულ კონფესიაში იესო ითვლება მესიად**, ხოლო ის თუ ვინ არის მესია, ამაზე თვითონ იესო საუბრობს, როდესაც მიმართავს იუდეველებს: **„აჰა, დავითი უფალს უწოდებს მას და როგორა არის მისი ძე?“ (ლუკას სახარება 20.44)**. ანუ მესია როგორ შეიძლება იყოს დავითის ძე, როდესაც თვითონ დავითი უფალს უწოდებს მასო;

6. **იესომ ისეთი სასწაულები მოახდინა**, რომელიც მანამდე და არც მის შემდეგ არც ერთ ადამიანს არ მოუხდენია – ის კურნავს და აცოცხლებს ადამიანებს, განდევნის ბოროტ ძალებს, იმორჩი-

ლებს ბუნების ძალებს და ცხოველებს, დადის წყალზე, ხდება უჩინარი, შედის დახურულ ოთახში, სხვადასხვა ადგილებზე ერთდროულად ეცხადება რამდენიმე ადამიანს, თაბორის მთაზე აჩენს თავის ნამდვილ ბუნებას – ნათელს (ბრწყინდება), მკვდრეთით აღდგება, ცაში ამალდება და ა.შ.;

7. იესოს სცნობენ ავი სულები. ისინი ძრწიან მის დანახვაზე და საყვედურობენ მას: ბევრისგან ეშმაკებიც გამოდიოდნენ, ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა!“ ის კი რისხავდა და უკრძალავდა ლაპარაკს, რადგან იცოდნენ მათ, რომ ქრისტეა იგი. „რა გინდა ჩემგან, იესო, ძეო მაღალი ღვთისა? გევედრები, ნუ მტანჯავ“.

8. იესო არის მამის ტოლი და სწორი. ვინაიდან მას აქვს მამის მსგავსი შესაძლებლობები (ყოვლისშემძლეობა) - სასწაულმოქმედების, ცოდვათა მიტევების, კურნების, შენდობის, ადამიანთა ბოროტი ძალებისგან განდევნის, საღვთო სამართალის აღსრულების ძალაუფლება და ა.შ. სახარებაში მას თაყვანს სცემენ და ადიდებენ, როგორც მამა ღმერთს.

9. იესო რომ თვითმარქვია ყოფილიყო, მაშინ ღმერთი არ დაუშვებდა მისი რელიგიის მასობრივად და ასეთი მასშტაბებით გავრცელებას. დღეისათვის ქრისტიანობა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა და ამ რელიგიას მისდევს ყველა ეროვნებისა თუ რასის ადამიანი. ანუ ქრისტიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ რომელიმე ეთნიკური ჯგუფით, როგორც არის იუდაიზმი ან მხოლოდ კონკრეტულ ენაზე (არაბულ ენაზე) ღვთის მსახურების შესრულებით, როგორც არის ისლამი. ქრისტესთვის ყველა ადამიანი თანაბრად ძვირფასია და მისთვის არანაირ განმასხვავებელ ნიშანს მნიშვნელობა არა აქვს. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტიანობა საყოველთაო და ჭეშმარიტი რელიგიაა, ვინაიდან ღმერთი არ შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ერის ან ენობრივი ჯგუფის კუთვნილება. ღმერთი ყველასთვის ღმერთია. გარდა ამისა, ქრისტესი სწამთ და სჯერათ ასევე მუსულმანებსაც. ისლამი მსოფლიოში რაოდენობრივად მეორე რელიგიაა. ანუ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის იესო ქრისტე არის უაღრესად პატივსაცემი და გამორჩეული პიროვნება - ის არის ღმერთი, წინასწარმეტყველი ან

წმინდანი. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც მიგვანიშნებს ქრისტიანობის უნიკალურობასა და ჭეშმარიტებაზე - ეს არის ამ რელიგიის გავრცელების ფორმა. ისტორიულად ცნობილია, რომ ყველა სხვა რელიგიას ქვეყნის მხოლოდ ძლიერი და გავლენიანი ადამიანები ქმნიდნენ – ასეა იუდაიზმში (აბრაამი, მოსე), ისლამში (მუჰამედი) და ინდუიზმშიც (კრიშნა, რამა, ბუდა). მხოლოდ იესოს არ ჰქონდა ამქვეყნიური სიმდიდრე და ძალაუფლება. სხვა რელიგიები ვრცელდებოდა სახელისუფლო ვერტიკალიდან ქვედა მასებში და ამ პროცესს მაინც თან ახლდა ძალმომრეობითი გავრცელების ელემენტი, მაშინ როდესაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა საზოგადოების ქვედა ფენებიდან ზედა ფენებში და რწმენის გავრცელება ხდებოდა ქრისტესთვის თავგანწირული ადამიანების უსასტიკესი წამებითა და მსხვერპლით. ანუ ქრისტიანობის, როგორც რელიგიის გავრცელების ფორმას სხვა რელიგიებში ანალოგი არ მოეძებნება.

10. ამბობენ, რომ იესოს არასდროს უთქვამს, რომ ის არის ღმერთი – ეს ასე არ არის. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ იუდეველებში (და ნებისმიერ სხვა საზოგადოებაშიც) საკუთარ თავზე რაიმეს დამოწმება (ანუ თვითმარქვობა) არ ითვლებოდა სწორად. ეს არადამაჯერებლადაც ჟღერს. ამიტომ, საკუთარ თავზე დამოწმების ნაცვლად ის უპირატესობას ანიჭებდა იმას, რომ მისი არსება უშუალოდ მის მიერ გაკეთებული საქმეებიდან დაენახათ, შეეცნოთ და შეეფასებინათ. სწორედ ამიტომაც ერიდებოდა ის პირდაპირ თავის თავზე დამოწმებას. იესო მოციქულებს უსვამდა კითხვას თუ – „ვინა ვარ მე“, „რას ამბობს ხალხი, ვინა ვარ მე?“ და ელოდებოდა რომ ისინი თვითონ მიხვდებოდნენ ამას. ის ეუბნებოდა მათ – ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებს: „თვალები გაქვთ და ვერ ხედავთ, ყური გაქვთ და არ გესმით? და არც გახსოვთ? „და უთხრა მათ: „როგორ ვერ მიხვდით?“. ხოლო ვინც შეიცნო ის, უკრძალავდა მათ ამაზე ლაპარაკს მის მკვდრეობით აღდგომამდე. იესო ამას აკეთებდა ადამიანში რწმენის გაღვივების მიზნით, რომ ადამიანებს დაეჭვებინათ ის, რაც მათ პირდაპირ არ უხილავთ და არ გაუგონიათ. ღმერთის რწმენაც ხომ ასეა – უფალი უხილავია, მაგრამ ჩვენ მისი არსებობის გვჯერა და გვწამს. ადამიანები მხოლოდ რწმენის გზით მივალთ ღმერთთან. აღდგომის

შემდეგ თომა მოციქულმა პირდაპირ აღიარა – შენ ხარ უფალი და ღმერთი ჩემი, რაზეც იესომ უპასუხა – შენ გწამს იმიტომ, რომ მიხილე, მაგრამ ნეტარია ვისაც არ უხილავს და იწამებს! ამით მან ადამიანებს მისცა რწმენის შესახებ ერთგვარი სწავლება და იმაგდროულად დაანახა, თუ სად გადის ზღვარი ეჭვსა და რწმენას შორის. მართალია იესო ერიდებოდა საკუთარი თავის შესახებ პირდაპირ დამონშებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ის ამას პირდაპირ აკეთებს – პეტრე, თომა და ფილიპე მოციქულებთან, სამარიტელ ქალთან და იუდეველ მოვდეღმთაგრებთან.

6.1. ამონარიდები ძველი აღთქმიდან

ცნობილია, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთაგან მხოლოდ 16-მა დატოვა წიგნი. მათგან, ესაია, იერემია, იეშეკელი და დანიელი ითვლებიან დიდ წინასწარმეტყველებად, ვინაიდან მათ აქვთ მესიანისტური სწავლებები. აქედან, ესაიას წიგნი შეიცავს ყველაზე გასაგებად ჩამოყალიბებულ წინასწარმეტყველებას მაცხოვრის შესახებ. ამ წინასწარმეტყველებების გაცნობის შემდეგ ვხვდებით, რომ ძველი აღთქმის ყველა წინასწარმეტყველი გამოირჩეოდა ებრაელი ხალხის მიმართ უდიდესი სიყვარულითა და პატრიოტიზმით. მათი წინასწარმეტყველებების დიდი ნაწილი ეხება სწორედ ებრაელი ხალხის მიერ წარმოებულ განმათავისუფლებელ ბრძოლებს (გამარჯვებას ან მარცხს), მონობიდან გამოსხნას (გადარჩენას), ღმერთის რწმენაში განმტკიცებას, ებრაელი ხალხის მხსნელის მოვლინებას, უკანასკნელ ჟამს, ახალი იერუსალიმის შექმნას და ა.შ.

რაც შეეხება მესიანისტურ სწავლებას - ზოგადად რომ ვთქვათ, წინასწარმეტყველთა დიდი ნაწილი უფრო მეტად ხედავს მესიას, როგორც “ძლევაშობილ მბრძანებელს და მეფეს”, რომელიც მართავს მსოფლიოს ქვეყნებს, ხალხებს და ერებს. თუმცა, ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, დიდი წინასწარმეტყველები) გვთავაზობენ ასევე წამებული (ვნებული) მესიის სახესაც. ქრისტიანული გაგებით, წინასწარმეტყველების მიერ დანახული მესიის ეს ორი განსხვავებული სახე არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვინაიდან წამებულ მესიას განასახიერებს ამ სამყაროში პირველად მოვლინებული იესო, ხოლო ძლევაშობილ მესიას – მეორედ მომავალი იესო. იუდეველები კი, როგორც ჩანს, პირდაპირ იგებენ წინასწარმეტყველების მნიშვნელობას და ელოდებიან ამქვეყნიური ძალაუფლების მქონე მეფე-მესიას, რომელიც ფიზიკურად მართავს ქვეყნებს და ერებს. ჩემი აზრით, იუდეველთა მხრიდან წინასწარმეტყველებების ასეთი გაგება არის ცოტა რევანშისტურიც და სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ებრაელი ხალხის ტრაგიკულ ისტორიას, რომელიც სასუსა ომებით, ტანჯვით და ფიზიკურ გადარჩენაზე მუდმივად ზრუნვით.

წინასწარმეტყველება იესოს შობაზე

ესაია - 7.14. ამიტომ უფალი თვითონ მოგცემთ ნიშანს: ქალწული დაორსულდება და შობს ძეს და უწოდებს მას სახელად ემანუელს (ჩვენთანაა ღმერთი)!

შენიშვნა: ამაზე იუდეველები ამბობენ, რომ სიტყვა „ქალწული“ ქრისტიანებმა არასწორად თარგმნეს და სინამდვილეში ებრაულ სიტყვაში „ახალგაზრდა ქალი“ იგულისხმებაო, თუმცა ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნოა იმიტომ, რომ წინასწარმეტყველებაში „ახალგაზრდა ქალის“ ხსენებას არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არ ექნებოდა, რადგანაც მშობიარეთა უდიდესი ნაწილი სწორედ ახალგაზრდა ქალები არიან და ამაში საწინასწარმეტყველო არაფერია.

მოგვების მიერ ძღვენის მირთმევა

ესაია 60.6. აქლემთა სიმრავლე დაგფარავს შენ, მიდიანისა და ყველას კობაკნი. ყველანი შებადან მოვლენ, ოქროსა და გუნდრუკს მოიტანენ და უფლის დიდებას აუწყებენ.

მესიის შობის დრო

დანიელი 9.24. შენი ერისთვის და შენი წმიდა ქალაქისთვის სა-
მოცდაათი შვიდეულია დადგენილი, რათა აღიკვეთოს დანაშა-
ული, რათა ბოლო მოეღოს ცოდვებს, რათა შენდობილ იქნას უკ-
ეთურება, რათა დამყარდეს საუკუნო სამართლიანობა, რათა და-
იბეჭდოს ხილვა და წინასწარმეტყველება და რათა ცხებულ იქნას
წმიდათა წმიდა. **25** ოლონდ იცოდე და შეიგნე: იერუსალიმის აღ-
დგენისა და აშენების ბრძანების გამოსვლიდან ცხებულამდე, წი-
ნამძღვრამდე, იქნება შვიდი შვიდეული. და სამოცდაორ შვიდე-
ულში აღდგება და აშენდება თავისი მოედნითა და თხრილით.
ოლონდ ძნელობედობის ჟამს. **26** სამოცდაორი შვიდეულის **შემდეგ**
მოიკვეთება ცხებული და არაფერი ექნება. ქალაქსა და საწმი-
დარს დაანგრევს მომავალი წინამძღვრის ხალხი და მისი აღსას-
რული წარღვრით მოვა, ბოლომდე იქნება ომი. გაპარტახებანი
გადანწყვტილია.“

შენიშვნა: იესოს შობა ემთხვევა ებრაელთა ბაბილონიდან გამოსვლის და იერუსალიმის აღდგენის 70-ე წელს, თუმცა იუდეველები ირწმუნებიან, რომ ეს დრო უნდა აითვალოს სოლომონის ტაძრის აღდგენის გადაწყვეტილების მიღებიდან, რომელიც ჯერ არ დამდგარა. ასეთი შეხედულება რა თქმა უნდა არ არის სწორი, ვინაიდან 25-ე პუნქტში საუბარია იერუსალიმის (ანუ ქალაქის) და არა სოლომონის ტაძრის აღდგენაზე. გარდა ამისა, აქ საუბარია ასევე ცხებულის მოკვეთაზე და შემდეგ სანმინდარის (ანუ სოლომონის ტაძრის) დანგრევაზე.

მესიის შობის ადგილი

მიქა 52 შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამომივა ხელმწიფე ისრაელში, და დასაწყისიდან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან.”

ჩვილთა ამოხოცვა

იერემია 31.15 თქვა უფალმა: „ხმა გაისმა რამაში, გოდება და მწარე ტირილი, რახელი დასტირის თავის შვილებს; არ სურს ნუგეში შვილების გამო, რადგან აღარ არიან ისინი.”

გალილეადან ქადაგების დასაწყისი

ესაია 9.1. რადგან აღარ არის ბნელი მისთვის, ვინც შევიწროებულა. როგორც წინა დროებამ დაამცირა ზებულუნის ქვეყანა და ნაფთალის ქვეყანა, ისე უკანასკნელმა განადიდა ზღვის გზა იორდანეს გაღმა, წარმართთა გალილეა. 2 ბნელში მოარულმა ხალხმა იხილა დიდი ნათელი; სიკვდილის აჩრდილის ქვეყნის მცხოვრებლებზე გაბრწყინდა იგი.

იოანე ნათლისმცემელზე

ესაია 40.3. ხმა მლაღადებლისა უდაბნოში: „განუშადავთ გზა უფალს, მოუსწორეთ ტრამალებზე ბილიკი ჩვენს ღმერთს.”

ღვთის ცხებულზე

ესაია 42.1. „აი ჩემი მორჩილი, რომელიც მიჭირავს მე, ჩემი რჩეული, რომელიც სურს ჩემს გულს. დავდე მე მასზე ჩემი სული. სამართალს გაუჩინს იგი ხალხებს. 2 არ იყვირებს და არ აღიშალ-

ლებს. თავის ხმას ქუჩაში არ ასმენინებს. 3 გაჟეჟილ ლერწამს არ გადატეხს და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს, ჭემშარიტებით გამოიტანს განაჩენს. 4 სასოს არ წარიკვეთს და არც გატყდება, სანამ არ დაამყარებს ქვეყნად სამართალს. მის რჯულს კუნძულები დაელოდებიან.”

ესაია 11.2 და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა. **3** უფლის მოშიშებაშია მისი განცხრომა და თავისი თვალთახედვით არ გაასამართლებს, და თავისი ყურთასმენით არ ამხილებს. . . . **5** და იქნება სიმართლე სარტყელი მისი წელისა და ჭემშარიტება – სარტყელი მისი თეძოებისა. **6** და მგელი კრავთან ერთად იცხოვრებს, და ვეფხვი თიკნის გვერდით წამოწვება. . . . **10** და იქნება იმ დღეს: ფესვი იესესი, რომელიც ნიშნად დგას ხალხებისათვის და მისკენ გაემართებიან ერები, და დიდება იქნება მისი განსასვენებელი.

ახალ აღთქმაზე

იერემია 31.31 აჰა, მოდის დღეები,” – სიტყვა უფლისა, – „და დავუდებ მე ისრაელის სახლსა და იუდას სახლს ახალ აღთქმას, **32** არა ისეთ აღთქმას, რომელიც დავუდე მათ მამებს იმ დღეს, როდესაც ხელი მოვკიდე მათ, რომ გამომეყვანა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან, ჩემი აღთქმა, რომელიც მათ დაარღვიეს, მე კი ვპატრონობდი მათ,” – სიტყვა უფლისა. – **33** „რადგან ეს არის აღთქმა, რომელსაც დავუდებ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ,” – სიტყვა უფლისა, – „მივცემ მათ ჩემს რჯულს და მათ გულებზე დავწერ ამას, და მე ვეყოლები მათ ღმერთად და ისინი მეყოლებიან მე ერთად. **34** და აღარ ასწავლის მეტად თითოეული თავის მოყვასს და თითოეული თავის ძმას ასე: შეიცანი თუ უფალი! რადგან პატარიდან დიდამდე ყველას ვეცოდინები მე, – სიტყვა უფლისა. – რადგან ვაპატიებ მათ ურჯულოებას და მათ ცოდვებს აღარ გავიხსენებ მეტად.

იერუსალიმში დიდებით შესვლა

მაქარია 9.9 იხარე დიდად, სიონის ასულო! დაეცი ყიჟინა, იერუსალიმის ასულო! აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მართალი და

გამარჯვებული. თვინიერია ის და ამხედრებულია სახედარზე და ჩოჩორზე, ჭაკი ვირის ნაშიერზე.

30 ვერცხლად გაყიდვა

მაქარია 11.11 გატყდება იმ დღეს და მიხვდებიან ჩემი შემყურე დაბეჩავებული ცხვრები, რომ ეს უფლის სიტყვაა. **12** ვეტყვი მათ: „თუ გეთნევათ, მომეცით ჩემი გასამრჯელო, თუ არა და, ნუ მომცემთ. და მომიწონიან გასამრჯელოდ ოცდაათ ვერცხლს.“ **13** მითხრა უფალმა: „ჩაყარე ისინი საგანძურში – საუკეთესო საფასური, როგორც დაფასადი მათგან.“ მეც ავიღე ოცდაათი ვერცხლი და ჩავყარე უფლის სახლის საგანძურში.

იესო ვერ შეიცნეს

ესაია 6.1. მეფე ყუზიაჰუს სიკვდილის წელს ვიხილე მე უფალი, მკდომარე მაღალ და აღზევებულ ტახტზე და მისი კიდენი ავსებდა და ტაძარს. . . . **8** და მოვისმინე უფლის ხმა, რომელიც ამბობდა: „ვინ წარგვგავნო და ვინ წავა ჩვენთვის?“ და ვთქვი: „მე წარმგავნე!“ **9** და თქვა მან: „წადი და უთხარი ამ ხალხს: 'სმენით მოისმენთ და ვერ გაიგებთ, ხედვით დაინახავთ და ვერ მიხვდებით!' 10 გაასუქე ამ ხალხის გული და დაამძიმე მისი ყურები, და დაახუჭვინე მისი თვალი, რათა თვალებით ვერ იხილოს და ყურებით ვერ გაიგონოს, და მისმა გულმა ვერ გაიგოს, და არ შემობრუნდეს და არ განგკურნო.“

იესოს ტანჯვაზე და სიკვდილზე

ესაია 53.1. ვინ ირწმუნა ჩვენ მიერ მოსმენილი? და ვისზე გამოჩნდა მკლავი უფლისა? **2** ამოვიდა, როგორც ყლორტი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან, არც ტანადობა ჰქონია მას, არც დიდებულება, რომ გვეცქირა მისთვის, არც გარეგნობა, რომ მივეზიდე. **3** შესაზიზილი იყო ის და კაცთაგან მიტოვებული, გატანჯული და დასნეულებული. და ჩვენ სახეს ვარიდებდით მას, შესაზიზილი იყო და არაფრად ვაგდებდით. **4** მაგრამ იტვირთა მან ჩვენი სნეულებანი და ჩვენი ტკივილებით გაიტანჯა, ჩვენ კი ფიქრობდით, რომ ნაგვემი იყო, ღმერთის მიერ ნაცემი და წამებული. **5** მაგრამ ის დაჭრილი იყო ჩვენს დანაშაულოთა გა-

მო, დაღეწილი – ჩვენი ურჯულოების გამო; ჩვენი სასჯელი მასზე იყო; და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ. 6 ჩვენ ყველანი ცხვრებივით გზას ავცდით და თითოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა. და უფალმა მას დააკისრა, ყველა ჩვენგანის ურჯულოება. 7 შევიწროვებული იყო და წამებული, მაგრამ არ გაუხსნია თავისი ბაგე, როგორც კრაგი, დასაკლავად რომ მიჰყავთ, და როგორც ცხვარი, მის მპარსველთა წინაშე რომ დუმს. 8 პატიმრობიდან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი, და მის მოღვამაზე ვინ ილაპარაკებს? რადგან მოკვეთილ იქნა ცოცხალთა ქვეყნიდან, ჩემი ხალხის დანაშაულის გამო განიგმირა. 9 და ბოროტმოქმედებთან მიეცა საფლავი, მაგრამ მდიდრებთან იყო თავის სიკვდილში; თუმცა არ ჩაუდენია მას ძალადობა და სიძრუე არ იყო მის ბაგეში. 10 მაგრამ უფალს სურდა მისი დაღეწვა, მისი დასწეულება; თუ დასდებს ის თავის სულს დანაშაულის მსხვერპლად, იხილავს ის შთამომავლობას, გაიგრძელებს დღეებს, და უფლის ნება მისი ხელით მიაღწევს წარმატებას. 11 თავისი სულის ჯათისაგან იხილავს ნათელს და დაკმაყოფილდება; თავისი სიბრძნით მრავალთ გაამართლებს ჩემი მართალი მსახური; და მათ ცოდვებს ის იტვირთავს. 12 ამიტომ ბევრს მიეცემ მას წილად და ძლიერებთან გაინაწილებს ის ნადავლს, იმის სანაცვლოდ, რომ სასიკვდილოდ განირა თავისი სული და ბოროტმოქმედებთან შეირაცხა. და მრავალთა ცოდვა იტვირთა და დამნაშავეთათვის იშუამდგომლა.

იონა 1.12 მიუგო: „ამიღეთ, გადამაგდეთ ზღვაში და ზღვა დაგინწყნარდებათ, რადგან ვიცი, ეს დიდი ქარიშხალი ჩემ გამო დაგატყდათ თავს.“ 13 მოუსვენს ნიჩბები, რომ ხმელეთს მისდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან ზღვა კიდევ უფრო აუბობოქრდათ. 14 მაშინ შეჰლაღადეს უფალს და უთხრეს: „ჰე, უფალო, ნუ დაგვლოუბავ ამ კაცის გამო, მაგრამ ნურც მართალ სიხლს მოგვკითხავ. რადგან ისე მოანყვე, უფალო, როგორც გინდოდა.“ 15 აიღეს და ზღვაში გადააგდეს იონა და ზღვამ შეწყვიტა დეღვა. 16 დიდად შეეშინდათ ამ კაცებს უფლისა; მსხვერპლი შესწირეს და აღთქმები დაუდეს. 17 მოავლინა უფალმა დიდი თევზი და შთაანთქმევინა იონა. სამი დღე და სამი ღამე დაჰყო იონამ თევზის სტომაქში.

იონა 2.1 ლოცვა აღუვლინა იონამ უფალს, თავის ღმერთს, თევზის სტომიქიდან. **2** თქვა: „ჭირში მყოფმა შევლალადე უფალს და მან ხმა გამცა. შავეთის მუცლიდან შევლა ვითხოვე და შენ ისმინე ჩემი ვედრება. **10** უბრძანა უფალმა თევზს და მან ხმელეთზე გადმოანთხია იონა.

იესოს აღდგომა, ამაღლება და განდიდება

ესაია 52.13 აჰა, წარემართება ჩემს მსახურს, აღიმართება, აინჯება და დიდად ამაღლდება. 14 როგორც განცვიფრდნენ მრავალნი, შენი მნახველნი, რადგან დამახინებული იყო მისი პირისახე ისე, როგორც არავისი, და მისი იერი აღამის ძისას არ ჰგავდა. 15 ასე შეაშფოთებს ის ბევრ ხალხებს, მეფენი მოკუმავენ მის გამო პირს, რადგან დაინახავენ იმას, რაც არ უამბიათ მათთვის, და რაც არ სმენიათ, იმას გაიგებენ.

ლსია 6.1. წავიდეთ და მივიქცეთ უფლისკენ, რადგან მან დაგვგლიჯა და თავადვე განგვკურნავს; მან დაგვჭრა და თავადვე შეგვიხვევს ჭრილობას. **2** ის გაგაცოცხლებს ორი დღის შემდეგ, მესამე დღეს აღგვადგენს და ვიცოცხლებთ მის წინაშე.

ბოლო ჟამზე (მეორედ მოსვლაზე)

ესაია 11.11 და იქნება იმ დღეს: **უფალი ისევ, მეორედ გაინჯდენს თავის ხელს**, რათა გამოისყიდოს ნარჩენი თავისი ხალხისა, რომელიც დარჩება, აშურიდან და ეგვიპტიდან, ფათროსიდან და ქუშიდან, ყელამიიდან და შინყარიდან, ხამათიდან და ზღვის კუნძულებიდან. **12** და დროშას აღუმართავს ერებს, და შეკრებს გაძევებულთ ისრაელიდან და გაფანტულთ – იუდადან, შეაგროვებს ქვეყნის ოთხივე კიდიდან.

ესაია 40.5. გამორჩდება უფლის დიდება და იხილავს მას ყველა ხორციელი ერთიანად, რადგან უფლის ბაგემ წარმოთქვა. 10 აჰა, უფალი ღმერთი ძლიერებით მოვა, და მისი მკლავი იხელმწიფებს: აჰა, მისი საზღაური მასთანაა და მისი გასამრჯელო მის წინაშეა. **11** ვით მწყემსი დამწყემსავს თავის ფარას; თავისი მკლავით შეკრებს კრავებს და თავის უბეში ატარებს, წარუძღვება მეძუძურთ. **13** ვინ შეიცნო უფლის სული? და ვინ დამოძღვრა იგი თავისი რჩევით?

ქსაია 2.2 და იქნება, უკანასკნელ დღეებში განმტკიცდება მთა უფლის სახლისა, მთების სათავეში დადგინდება, და ამალღდება ბორცვებზე, და დინებას დაიწყებს მისკენ ყველა ერი. **3** და წაგლენ მრავალი ხალხები და იტყვიან: „მოდით და ავიდეთ უფლის მთაზე იაკობის ღმერთის სახლში, და ის გვასწავლის ჩვენ თავის გზებს, და ვივლით მისი ბილიკებით.“ რადგან სიონიდან გამოვა რჯული და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან. **4** და გაასამართლებს ის ერებს, და ამხილებს ის მრავალ ხალხებს; და . . . აღარ აღმართავს ერი ერზე მახვილს, და აღარ ისწავლიან მეტად ბრძოლას. **5** სახლო იაკობისა, მოდით და ვიართო უფლის ნათელში! **6** მაგრამ შენ მიატოვე შენი ხალხი, სახლი იაკობისა, რადგან გაიფანტა ალმოსავლეთიდან და მისნობენ ფილისტიმელთა და უცხოტომელთა მსგავსად; და უცხოტომელთა შვილებით კმაყოფილდებიან. **7** და გაივსო მისი ქვეყანა ვერცხლითა და ოქროთი, და ბოლო არ უჩანს მათ საგანძურს . . . **8** და გაივსო მისი ქვეყანა კერპებით, თავიანთი ხელის ნაკეთებს სცემენ თაყვანს, იმას, რაც მათმა თითებმა გააკეთეს. **9** და დამდაბლდა ადამიანი და დამცირდა კაცი; და შენ ნუ შეუნდობ მათ. **10** შეასწარ კლდეში და დაიმაღლე მიწაში უფლის შიშისაგან და მისი დიდებულების ბრწყინვალეებისაგან. **11** ადამიანის თვალთა ქედმაღლობა დამცირდება, და კაცთა ამპარტავნება დამდაბლდება, და მართო უფალი განდიდდება იმ დღეს. **12** რადგან უფალი ცაბათის დღე იქნება ყოველ ქედმათალსა და ამპარტავანზე და ყოველ ამალღებულზე . . . **17** დამდაბლდება ადამიანის ქედმაღლობა, და დამცირდება კაცთა ამპარტავნება, და მართო უფალი განდიდდება იმ დღეს. **18** და კერპები მთლიანად გაქრებიან. **19** და ადამიანები ჩაძვრებიან კლდეთა გამოქვაბულებში და მიწის ხვრელებში უფლის შიშისაგან და მისი დიდებულების ბრწყინვალეებისაგან, როდესაც ის აღდგება ქვეყნის მოსასპობად. **20** იმ დღეს გადაყრის ადამიანი თავის ვერცხლის კერპებს და თავის ოქროს კერპებს, რომლებიც გაიკეთა მან თხუნელებისა და ღამურების თაყვანის საცემად. **21** და ჩაიმალებიან მთის ბზარებში და კლდეთა ნაპრალებში უფლის შიშისაგან და მისი დიდებულების ბრწყინვალეებისაგან, როცა ის აღდგება ქვეყნის მოსასპობად. . . .

ესაია 60.1. „ადექი, განათდი, იერუსალიმო, რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე გაბრწყინდა. **2** რადგან აჰა, ბნელი დაფარავს დედამიწას და ბურუსი – ხალხებს; შენზე კი გაბრწყინდება უფალი და მისი დიდება შენზე გამოჩნდება. ნავენ ღრუბელივით და, როგორც მტრედები, თავიანთი სამტრედის სარკმელებთან? **19** ალარ გექნება შენ მზე დღის სინათლედ და მთვარის ნათება არ გაგინათებს, არამედ უფალი გეყოლება საუკუნო სინათლედ და შენი ღმერთი – შენს დიდებად. **20** ალარ ჩავა მეტად შენი მზე და შენი მთვარე არ დაცხრება, რადგან უფალი გეყოლება საუკუნო სინათლედ, და დღენი შენი გლოვისა დასრულდება.

დანელი 7. 13 ვიხილე ჩემს ღამეულ ხილვაში, აჰა, დაავინახე, ცის ორუბლებზე მოდიოდა კაცის ძის მსგავსი: იგი დღეებით ძველთან მოვიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე. **14** მიეცა მას ხელმწიფება, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხები, ტომნი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, რომელიც არ გადაივლის და მისი სამეფო არ დაიქცევა. **27** მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის ყველა სამეფოს დიდება უზენაესის წმიდების ერს მიეცემა. მისი სამეფო საუკუნო სამეფო იქნება და ყველა ხელმწიფე მას მოემსახურება და მას დაემორჩილება.

დანელი 10.14 მოვედი, რომ გაგაგებინო, რა ბედი ეწევა შენს ერს უკანასკნელ დღეებში, რადგან ეს ხილვაც იმ დღეებს შეეხება.” **15** როცა ამ სიტყვებს მეუბნებოდა, მიწაზე პირქვე დავემხე და დავმუნჯდი. **16** და აჰა, კაცის ძის მსგავსი შეეხო ჩემს ბაგებს და მე გავხსენი ბაგი და ავმეტყველდი. ვუთხარი ჩემ წინ მდგომს: „ჩემო ბატონო, ამ ხილვის გამო ტკივილებმა შემიპყრეს და ძალა ვეღარ შევინარჩუნე. **17** როგორ შეუძლია ჩემი ბატონის ასეთ მსახურს ელაპარაკოს ჩემს ასეთ ბატონს, რადგან ალარც ძალა შემირჩა და ალარც სუნთქვა დამირჩა?” **18** მაშინ კვლავ შემეხო კაცის იერის მქონე და გამამაგრა. **19** მითხრა: „ნუ გეშინია, სასურველო

კაცო, მშვიდობა შენდა! გამაგრდი, გამაგრდი." როცა მელაპარაკებოდა, გავმაგრდი და ვუთხარი: „ილაპარაკე, ჩემო ბატონო, რადგან შენ გამამაგრე.” **20** მითხრა: „თუ იცი, რისთვის მოვედი შენთან? **21** მაგრამ მე გაუწყებ ჭეშმარიტების წიგნში დაწერილს: არავინა მყავს, სიმტკიცეს რომ იჩენდეს მათ წინააღმდეგ, გარდა მიქაელისა, თქვენი მთავრისა.

6.2 აპონარიდები ახალი აღთქმიდან

იესოს ღმერთობის შესახებ გვითხულობთ სახარებაში, მოციქულთა ცხოვრებაში, ეპისტოლეებში და იოანეს გამოცხადებაში, კერძოდ:

იოანეს სახარება:

1.1. დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი;

1.15. იოანე ნათლისმცემელი მოწმობს მასზე და ღაღადებს: „ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე უპირატესია, გინაიდან ჩემზე უწინ იყო“.

1.18. ღმერთი არასოდეს არავის უნახავს. შოლოდ შობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გააცხადა.

1.23. იოანე ნათლისმცემელმა თქვა: „მე ვარ ხმა მღაღადებისა უდაბნოში: მოუხწორეთ გზა უფალს, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა“.

1.34. იოანე ნათლისმცემელი ამბობს – მე დავინახე და დავამოწმე, რომ ეს არის ძე ღვთისა“.

1.49. მიუგო მას ნათანაელმა: „რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ მეფე ისრაელისა“.

2.11. ისე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი დიდება, რომ ირწმუნეს მისმა მოწაფეებმა.

2.25. იესოს არც სჭირდებოდა, რომ ვინმეს დაემოწმებინა კაცის შესახებ, რადგან იცოდა, რა იყო კაცში.

3.13. არავინ ასულა ცაში, გარდა ციდან ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც ცაშია.

3.35. მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას მისცა ხელთ.

4.25. ეუბნება მას სამარიტელი ქალი: „ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს“.

4.26. ეუბნება მას იესო: „მე ვარ, ვინც შენ გელაპარაკება“.

5.17. იესომ მიუგო მათ: „მამაჩემი აქამდე ასე აკეთებს და მეც ვაკეთებ“.

5.19. მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ძე თვითონ ვერაფერს გააკეთებს, რომ არ ეხილოს, რასაც მამა აკეთებს, რადგან რასაც ის აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს.

5.20. რადგან მამას უყვარს ძე და, რასაც აკეთებს, ყველაფერს უჩვენებს მას. ამამე უფრო დიდ საქმეებსაც აჩვენებს, ისეთებს რომ გაგიკვირდებათ.

5.21. რადგან, როგორც მამა აღადგენს მკვდრებს და აცოცხლებს, ასევე ძეც აცოცხლებს მას, ვისი გაცოცხლებაც სურს.

5.22. რადგან მამა არავის განიკითხავს, არამედ მთელი განკითხვა ძეს გადასცა.

5.23. რათა ყველამ სცეს პატივი ძეს, როგორც მამას სცემენ პატივს. ვინც ძეს არ სცემს პატივს, ის არც მამას სცემს პატივს, მის მომავლინებელს.

5.26. რადგან, როგორც მამას აქვს სიცოცხლე თავის თავში, ასევე ძესაც მისცა, რათა ჰქონდეს სიცოცხლე თავის თავში.

5.27. სამართლის გაჩენაშიც ხელმწიფება მისცა მას, რადგან კაცის ძე არის იგი.

5.35. იგი ანთებული და მანათობელი სანთელი იყო და თქვენ ვინდოლათ გეხარათ ერთ ხანს მის ნათელში.

5.36. მე კი მაქვს უფრო დიდი მოწმობა, ვიდრე იოანესია, რადგან საქმენი, რომელნიც მამამ მომცა აღსასრულებლად, თვით ჩემს მიერ გაკეთებული საქმენი, მოწმობენ ჩემზე, რომ მამამ მომავლინა.

5.46. რადგან, თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, მეც მიწამებდით, ვინაიდან მან ჩემზე დაწერა.

6.41. იუდეველები დრტვინავდნენ მის გამო, რადგან თქვა: „მე ვარ პური, მეციდან ჩამოსული“.

6.69. პეტრემ უთხრა იესოს - ჩვენ ვინამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ღვთის წმიდა“.

8.12. კვლავ ელაპარაკა მათ იესო და უთხრა: „მე ვარ ნათელი სოფლისა“, ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას“.

8.16. მე თუ განვიკითხავ, ჩემეულიგან კითხვა ჭეშმარიტია, რადგან მე მართლ კი არ ვარ, არამედ მე და მამა, ჩემი მომავლინებელი“.

8.23. უთხრა მათ: „თქვენ ქვემოლდან ხართ, მე კი მაღლიდან ვარ. თქვენ სოფლისანი ხართ, მე კი სოფლისა არა ვარ.

8.53. განა შენ ჩვენს მამა აბრაამზე დიდი ხარ, რომელიც მოკვდა? წინასწარმეტყველნიც დაიხოცნენ. რა გგონია შენი თავი?“

8.54. მიუგო იესომ: „მე თუ ჩემს თავს განვადიდებ, ჩემი დიდება არაფერია. მე განმადიდებს ჩემი მამა, ვისზეც ამბობთ, ჩვენი ღმერთი არისო.

8.56. აბრაამს, მამათქვენს, უხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს. იხილა და გაიხარა“.

8.57. უთხრეს მას იუდეველებმა: „ჭერ თრმოცდაათი წლისაც არა ხარ და აბრაამი გინახავს?“

8.58. უთხრა მათ იესომ: „ჭემშარიტად, ჭემშარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ“.

9.38. თვალახელილმა ბრმამ თქვა: „მწამს, უფალო“. და თავგანი სცა მას.

10.30. „მე და მამა ერთი ვართ“.

10.33. მიუგეს მას იუდეველებმა: „ვეთილი საქმისთვის კი არ გქოლავთ, არამედ ღვთის გმობისათვის და იმისთვის, რომ კაცი ხარ და ღმერთად ხდი შენს თავს“.

10.34. მიუგო მათ იესომ: „განა თქვენს რჯულში არ სწერია, რომ „მე ვთქვი: თქვენ ღმერთები ხართ?“

10.35. თუ ღმერთები უწოდა მათ, ვის მიმართაც ღვთის სიტყვა იყო და ვის მიმართაც წერილი არ ირღვევა,

10.36. მას, რომელიც მამამ განწმიდა და მოავლინა სოფელში, ეუბნებით: ღმერთს გმობო, რაკი ვთქვი: ღვთის ძე ვარ-მეთქი?

11.27. მართა ეუბნება მას: „ჰო, უფალო, მე მწამს, რომ შენ ქრისტე ხარ, ძე ღვთისა, ამ სოფლად მომავალი“.

12.23. იესომ მიუგო მათ და უთხრა: „მოვიდა ჟამი, რომ განდილდეს ძე კაცისა.

12.32. და როცა ავმაღლდები მიწიდან, ყველას ჩემთან მივიზიდავ“.

12.35. უთხრა მათ იესომ: „ვიდეგ მცირე ხანს არის თქვენს შორის ნათელი. იარეთ, სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ. ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიდის.

12.40. ესაიამ თქვა: „მან თვალები დაუბრმაგა მათ და გული დაუხშო, რათა თვალებით ვერ ეხილათ და გულით ვერ მიმხვდარიყვნენ და არ მოქცეულიყვნენ, რომ განმეკურნა ისინი“.

12.41. ეს თქვა ესაიამ, რაკი იხილა მისი დიდება, და ლაპარაკობდა მასზე.

13.31. როცა გავიდა, ამბობს იესო: „ახლა განდიდდა ძე კაცისა და ღმერთი განდიდდა მასში.“

13.32. რაკი ღმერთი განდიდდა მასში, ღმერთიც განადიდებს მას თავისთან და უმაღლე განადიდებს მას.

14.1. „ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე.“

14.6. ეუბნება მას იესო: „მე ვარ გმა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერაფერ მივა, თუ არა ჩემით.“

14.8. ეუბნება მას ფილიპე: „უფალო, გვაჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის“.

14.9. ეუბნება მას იესო: „რახანია, თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მან მამაც იხილა. როგორღა ამბობ, მამა გვაჩვენეთ?

14.10. არ გნამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია? სიტყვებს, რომელთაც გეუბნებით, ჩემით არ ვამბობ. ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს.

14.11. მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია. თუ არადა, თვით საქმეებს მაინც ერწმუნეთ.

14.13. რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გაგაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში.

14.20. იმ დღეს გაიგებთ, რომ მე ჩემს მამაში ვარ და თქვენ ჩემში და მე თქვენში.

17.1. ეს ილაპარაკა იესომ და ცას მიაპყრო თვალები და თქვა: „მამაო, დადგა ჟამი, განადილო შენი ძე, რათა ძემ განგადიდოს შენ.“

17.2. რადგან მიეცი მას ხელმწიფება ყველა ხორციელზე, რათა ყველას, ვინც მას ჩააბარე, საუკუნო სიცოცხლე მისცეს.

17.5. ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავე დიდებით, რაც მქონდა შენთან სოფლის გაჩენამდე.

17.10. ყველაფერი ჩემი შენია, შენი კი - ჩემი. და მე მათში გან-
ვლილდი.

17.11. მე აღარა ვარ სოფელში, მაგრამ ისინი არიან სოფელში.
მე კი შენთან მოვდივარ. წმიდაო მამაო, დაიცავი შენი სახელით
ესენი, რომლებიც შენ მომეცი, რათა ჩვენსავით ერთნი იყვნენ.

17.22. და დიდება, რომელიც შენ მომეცი, მათ მივეცი, რათა
ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთნი.

18.36. მიუგო იესომ: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა. ჩემი
მეფობა რომ ამ სოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მხლებელნი
იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავვარდნოდი. არა,
ჩემი მეფობა სააქათ არ არის“.

18.24. უთხრეს ერთმანეთს: „ნუ დაგხვეთ, წილი ვყაროთ მასზე.
ვნახოთ, ვის შეხვდება“. რათა აღსრულებულიყო წერილი: „გან-
აწილეს ჩემი სამოსელი და წილი ჰყარეს ჩემს კვართზე“. ჭარის-
კაცებმაც ასე გააკეთეს.

20.28. მიუგო თომამ და უთხრა მას: „უფალი ჩემი და ღმერთი
ჩემი!“

20.31. ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრის-
ტი, ძე ღვთისა, და, რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი
სახელით.

ლუკას სახარება

1.26. მეექვსე თვეს კი წარმოიგზავნა ღვთისაგან გაბრიელ ან-
გელოზი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი,

1.28. და შევიდა მასთან და უთხრა: „გიხაროდეს, მიმადლებუ-
ლო, შენ თანაა უფალი. კურთხეული ხარ შენ დედათა შორის“.

1.32. დიდი იქნება ის და უზენაესის ძეი იწოდება. და მისცემს
მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის, ტახტს.

1.33. და საუკუნოდ იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას
არ ექნება დასასრული“.

1.35. მიუგო ანგელოზმა და უთხრა: „სულიწმიდა გადმოვა შენ-
ზე და მალის ძალა მოგჩრდილავს. ამიტომ წმიდაშობილი იწ-
ოდება ღვთის ძეი.

1.41. როცა ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა, ყრმა
შეუტოკდა მუცელში. და აღივსო ელისაბედი სულიწმიდით.

1.42. და დაიძახა ხმამაღლა და თქვა: „კურთხეული ხარ დედა-
თა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!

1.43. ვინა ვარ მე, რომ ჩემი უფლის დედა მოვიდა ჩემთან?

1.46. და თქვა მარიამმა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა,

1.47. და იბეიმა სულმა ჩემმა ღმერთში, ჩემს მაცხოვარში.

2.11. ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხო-
ვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.

2.49. მან უთხრა მათ: „რატომ მეძებდით? ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო?

3.4. როგორც სწერია ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა წიგ-
ნში: „ხმა მალაღებლისა უდაბნოში: განუმზადეთ გზა უფალს, მო-
ასწორეთ მისი ბილიკები.

3.16. მიუგებდა და ეტყოდა ყველას იოანე: „მე წყლით გნათ-
ლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის სანდლის თასმის
გახსნის ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით
და ცეცხლით.

3.22. და გადმოვიდა მასზე სულიწმიდა ხორციელი სახით, რო-
გორც მტრედი, დაგაისმა მეცით ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე,
რომელიც მოვიწონე მე“.

4.41. ბევრისგან ეშმაკებიც გამოდიოდნენ, ყვიროდნენ და ამ-
ბობდნენ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა!“ ის კი რისხავდა და უკრძა-
ლავდა ლაპარაკს, რადგან იცოდნენ მათ, რომ ქრისტეა იგი.

5.8. ეს რომ დაინახა სიმონ პეტრემ, დაეცა იესოს მუხლებთან
და უთხრა: „გამშორდი, უფალო, ვინაიდან ცოდვილი ვაცი ვარ“.

5.21. დაიწყეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მსჯელობა ურ-
თიერთშორის და ამბობდნენ: „ვინ არის ეს, ღმერთს რომ გმობს?
ვის ძალუძს ცოდვების მიტევება ერთი ღვთის გარდა?“

5.19. მთელი ხალხი ცდილობდა შეხებოდა მას, ვინაიდან მის-
გან გამოდიოდა ძალა და ყველას კურნავდა.

8.39. „დაბრუნდი შინ და უამბე, რაც გიყო ღმერთმა“. ისიც წავი-
და და მთელ ქალაქს ამცნობდა, რა გაუკეთა იესომ.

9.18. ერთხელ, როცა განმარტოებული ლოცულობდა და მო-
წაფეებიც მასთან იყვნენ, იესომ ჰკითხა მათ: „რას ამბობს ხალხი,
ვინა ვარ მე?“

9.19. მათ მიუგვს და თქვას: იოანე ნათლისმცემელი; სხვები - ელიაო, სხვები კი - ვინმე ძველი, აღმდგარი წინასწარმეტყველიო.

9.20. იესომ უთხრა: „თქვენ კი რაღას ამბობთ: ვინა ვარ მე?“ პეტრემ პასუხად უთხრა: „ღვთის ცხებულო“.

9.21. მაგრამ მან აუკრძალა მათ. უბრძანა, არაფისთვის გაემხილათ ეს.

10.22. ყოველივე ჩემი მამისგან გადმომეცა, ხოლო არაფინ იცის, ვინ არის მამა, გარდა ძისა. და არაფინ იცის ვინ არის ძე, გარდა მამისა, და იმისა, ვისაც ძეს სურს, რომ განუცხადოს“.

19.40. მან მიუგო და უთხრა: „თქვენ გეუბნებით, ესენი რომ დადუმდნენ, ქვები ილალადებენ“.

20.40. და ველარ გაბედეს, რამე ეკითხათ მისთვის, ხოლო მან უთხრა მათ:

20.41. „როგორ ამბობენ, რომ ქრისტე დავითის ძეა?

20.42. თვითონ დავითი კი ამბობს წიგნში: უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ.

20.43. ვიდრე შენს მტრებს დავამხობდე შენს ფერხთა კვარცხლობევად.

20.44. აჰა, დავითი უფალს უწოდებს მას და როგორღა არის მისი ძე?“

22.67. და უთხრეს: „თუ ქრისტე ხარ, გვითხარი“. უთხრა მათ: „რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ.“

22.69. ამიერიდან ძე კაცისა იქნება ღვთის ძალის მარჯვნივ მჯდომარე“.

22.70. თქვა ყველამ: „მაშ, შენა ხარ ძე ღვთისა?“ მან უთხრა მათ: „თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ“.

22.71. მათ თქვას: „შეტი რალა მონშობა გვჯირდება? ვინაიდან ჩვენ თვითონ მოვისმინეთ მისი პირიდან“.

24.26. აღდგომის შემდეგ მოწაფეებს ეუბნება: „განა ასე არ უნდა დატანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?“

24.51. როგორც კი აკურთხა, განშორდა მათ და ამაღლდა მეცაში.

24.52. მათ თაყვანისცეს მას და დაბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით.

მათეს სახარება

მათეს სახარება იყო პირველი. ლუკას სახარება ფაქტობრივად იმეორებს მათეს სახარებას იესოს ღმერთობის შესახებ. ამიტომ, აღარ გავიმეორებ იგივეს და მოვიყვან მხოლოდ განსხვავებულ ჩანაწერებს. მათეს სახარება გვაძლევს უფრო მეტ სწავლებას იესოს ქალაგებების შესახებ.

1.18. დედამისი, მარიამი იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, სულიწმიდისაგან დაორსულებული აღმოჩნდა:

1.20. როცა ამას ფიქრობდა, აჰა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის, მიღება, ვინაიდან მასში ჩასახული სულიწმიდისგან არის.

1.22. ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს:

1.23. „აჰა, მუცლად-იღებს ქალწული, შობს ძეს და უწოდებენ სახელად ემანუელს“, რაც თარგმანით ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი“.

14.33. ნავში მყოფებმა თაყვანი სცეს მას და უთხრეს: „ჭეშმარიტად ღვთის ძე ხარ შენ“.

17.2. და ფერი იცვალა მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი გასპეტაკდა როგორც ნათელი.

17.5. ის ჯერ ვიდევ ლაპარაკობდა, რომ აჰა, ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი, და აჰა, ამბობს ხმა ღრუბლიდან: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე. მას უსმინეთ!“

22.41. როცა ფარისეველები შეიკრიბნენ, იესომ ჰკითხა მათ:

22.42. „რას ფიქრობთ თქვენ ქრისტეზე? ვისი ძეა იგი?“ მათ უთხრეს: „დავითისა“.

22.43. უთხრა მათ: „აბა როგორღა უწოდებს დავითი სულში მას უფალს, როცა ამბობს:

22.44. „უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავამხობდე შენს მტრებს შენს ფერხთა კვარცხლბეკად?“

22.45. თუ დავითი უფალს უწოდებს მას, მისი ძე როგორღაა?“

25.31. „და როცა მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე.

26.63. იესო ღუმდა. მაშინ მღვდელმთავარმა უთხრა მას: „ცოცხალ ღმერთს გაფიცებ, გვითხარი, შენა ხარ ქრისტე, ძე ღვთისა?“

26.64. უთხრა მას იესომ: „შენ თქვი, მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: ამიერიდან იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ორუბლებზე მომაგაოს“.

26.65. მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსელი და თქვა: „მან ჰგმო, რაღად გვინდა მოწმენი?“

26.68. და ეუბნებოდნენ: „გვინინასწარმეტყველე, ქრისტე, ვინ დაგარტყა?“

27.9. მაშინ აღსრულდა წინასწარმეტყველი ერემიას მიერ ნათქვამი, რომელმაც თქვა: „და აიღეს ოცდაათი ვერცხლი, საფასი შეფასებულისა, ვინც შეფასდა ისრაელიანთა მიერ,

27.43. ღმერთს იყო მიწდობილი და ახლა იხსნას იგი, თუ ნებაგს, გინაიდან თქვა, ღვთის ძე ვარო“.

54. ხოლო ასისთავს და ამათ, ვინც მასთან ერთად დარაჯობდა იესოს, მიწისძვრა და ყოველივე მომხდარი რომ ნახეს, მეტისმეტად შეეშინდათ და თქვეს: „ეს ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო“.

28.18. მივიდა იესო მათთან და უთხრა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ბეცასა და მიწაზე.“

მარკოზის სახარება

მარკოზის სახარებაც იმეორეს სხვა სახარებების სწავლებას იესო ქრისტეს ღმერთობის შესახებ. ამიტომ აქ მხოლოდ განსხვავებულს დაგწერ:

1.2. როგორც ესაია წინასწარმეტყველში სწერია: „აჰა, მე მოვაგლენ შენი სახის წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც მოამზადებს შენს გზას.

1.3. ხმა მლაღადებლისა უდაბნოში. განუშვადეთ გზა უფალს, მოასწორეთ მისი ბილიკები“.

1.8. მე წყლით გნათლავდით, ის კი სულიწმიდით მოგნათლავთ“.

13.26. მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალით და დიდებით.

15.39. როცა მის წინაშე მდგომმა ასისთავმა დაინახა, რომ ასე შესძახა და განუტევა სული, თქვა: „ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო ეს კაცი“.

16.19. ასე, მათთან საუბრის შემდეგ უფალი იესო ამაღლდა ზეცად და დაჯდა ღვთის მარჯვნივ.

7. იესოს სასწაულები და ქადაგებები

საოცარია იესო ქრისტეს სასწაულები. არც მანამდე და არც მის შემდეგ ამ რაოდენობის, ასეთი მასშტაბის და მნიშვნელობის სასწაულები სხვას არავის გაუკეთებია. ასეთმა სასწაულებმა, იესოს ქადაგებებთან ერთად მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ საზოგადოებაზე და ძლიერი ბიძგი მისცა ჰუმანურ საწყისებზე დაფუძნებული ახალი რელიგიის ჩამოყალიბებას. თუ კარგად დავავკვირდებით, შეგვიძლია გამოვიტანოთ ასეთი დასკვნაც, რომ ამ სასწაულებიდან გამომდინარე, იესო ქრისტესთვის პრაქტიკულად შეუძლებელი არაფერი იყო – მას აქვს სასწაულებრივი ძალა არა მარტო ცოცხალ ადამიანებსა და ცხოველებზე, არამედ ბუნების მოვლენებზეც, ის არღვევს ფიზიკის ყველა კანონს და წარმოუდგენელ და დაუჭერებელ საქმეებს ჩადის. შეიძლება ვილაცამ თქვას, რომ ეს ყველაფერი მოგონილია და ეჭვი შეიტანოს ამ ყველაფერში, მაგრამ ფაქტია, რომ - მსგავსი სასწაულები, იესოს სახელით დღესაც ბევრი ხდება – სნეულნი განიკურნებიან, ადამიანები უცხო ენებზე იწყებენ ლაპარაკს და ა.შ. ამ ნაწილში მე თავი მოვუყარე სახარებაში მოცემულ ყველა იმ სასწაულს, რაც ფაქტიურად მის ყოვლისშემძლეობაზე მეტყველებს:

- სასწაული იყო დედამიწაზე იესოს მოვლინება;
- ის ხომ ქალწული მარიამისგან იშვა;
- პირველად მან წყალი ღვინოდ გააქცია;
- პური და თევზი გააბევრა;
- ბრძებს თვალები აუხილა;
- კეთროვანნი განკურნა;
- სნეულნი და დავრდომილნი ფეხზე დააყენა;
- მკვდარნი აღადგინა;
- აბობოქრებული ზღვა და ქარიშხალი დააწყნარა;
- წყალზე ფეხით გაიარა;
- თაბორის მთაზე ფერი იცვალა;
- მკვდრეთით აღდგა
- და აღდგომის შემდეგ მის მიმდევრებს სხვადასხვა ადგილებზე ეჩვენა;
- შემდეგ კი უჩინარი გახდა;

მონაფეებთან დახურულ ოთახში შევიდა;
ზეცად ამაღლდა და გაუჩინარდა.

იესოს ქადაგებები

ზოგიერთი ამბობს, რომ იესოს ახალი არაფერი უქადაგია და რომ ყველა მისი სწავლება იმეორებს იუდაისტურ მოძღვრებასო. ამით ისინი ცდილობენ დააკნინონ იესოს მნიშვნელობა, დაჩრდილონ მისი ღვთაებრივი ბუნება და წარმოადგინონ ის, როგორც სხვისი აზრების გამჟღერებელ ადამიანად. განსაკუთრებით, ასეთ მოსაზრებებს ავითარებენ იუდეველები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ სწავლებაში საერთოდ უარყოფენ ქრისტეს არსებობას და თვლიან, რომ მისი ისტორია გამოგონილია და არის სხვადასხვა დროს მოღვაწე ადამიანების ცხოვრების ერთგვარი ნაზავი, მაინც შედიან რელიგიურ დისკუსიაში და საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგოდ ავითარებენ ასეთ მოსაზრებას, რომ იესოს ახალი არაფერი უქადაგია და რომ მან მხოლოდ წინასწარმეტყველთა სწავლებები გაიმეორა. მოდით, ჩვენ თვითონ შევხედოთ ამ საკითხს და გავიაზროთ, იქადაგა თუ არა იესო ქრისტემ განსხვავებული და საზოგადოებისთვის მანამდე უცნობი მოძღვრება:

- იესომ პირველ რიგში სიყვარული იქადაგა;
- სიყვარული უფლისა და მოყვასისა და თვითონ მტრებისაც;
- მან მიტევება იქადაგა და არა შურისძიება;
- მან მშვიდობა იქადაგა და არა ძალადობა;
- მან სამართლიანობა იქადაგა და არა უსამართლობა;
- მან თავმდაბლობა იქადაგა და არა ამპარტავნება;
- მან თანადგომა იქადაგა და არა გულგრილობა;
- მან უანგარობა იქადაგა და არა მომხვეჭელობა;
- მან საკუთარი თავის შეცნობა იქადაგა და არა სხვისი განკითხვა;
- მან უფლის მიმართ მაღლიერება იქადაგა და არა უმაღურობა;
- მან რწმენა იქადაგა და რწმენის ძალა გვაჩვენა;
- მან წმინდა გულის მქონეთ ღმერთი დაანახა;
- მან სულის უკვდავების შესახებ გვამცნო და ცათა სასუფეველის კარი გაგვიხსნა.

8. რატომ არის სულიწმინდა ღმერთი

ქრისტიანული გაგებით, სულიწმინდა არის ერთი ღმერთის, ანუ წმინდა სამების მესამე პირი. ის მამა ღმერთისგან გამოდის და არის ერთი ღმერთის შემადგენელი ნაწილი. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, წმინდა სამება არის ღმერთის შინაგანი ბუნება/თვისება და მისი სამგვაროვნად დაყოფა ანუ ერთ არსებაში სამი პირი, რომელიც ერთ მთლიანს ქმნის. ღმერთის სამპიროვნულობაზე მიუთითებს აგრეთვე სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორიაც („წიგნი შესაქმნისა“ - თავის 1), სადაც ღმერთი თავის თავს მრავლობით ფორმაში მოიხსენიებს - „26. და თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ“. საერთოდ, ბიბლიისთვის უცხო არ არის ერთ არსში ორი პიროვნების გაერთიანება. იგივე შესაქმნეს წიგნში (თავი 1) ვკითხულობთ - „24. ამის გამო დატოვეს კაცი თავის მამას და თავის დედას და შეუერთდება თავის ცოლს, და იქნებიან ორნი ერთხორცი.“

რელიგიურ წრეებში სულიწმინდასთან დაკავშირებით არსებობს ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებებიც, რომ თითქოს სულიწმინდა არ არის ღმერთი, რომ ის მხოლოდ ღმერთისგან გამომავალი „ძალაა“ და მას არ გაჩნია ღვთაებრივი პიროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ა.შ.. კითხვების სიმრავლე არ არის გასაკვირი, ვინაიდან ქრისტეს შობამდე ღმერთის შინაგანი ბუნების, ანუ მისი სამპიროვნების შესახებ ცოდნა არ არსებობდა. არ იყო ცნობილი არც ძის (იესოს) და არც სულიწმინდის, როგორც ღმერთის მეორე და მესამე პირების შესახებ. ასეთი ცოდნა უკვე უშუალოდ იოანე ნათლისმცემლის, თვითონ იესო ქრისტეს და მისი მოციქულებისგან მოდის. მიუხედავად ამისა, ძველი აღთქმის წიგნებში ღმერთის წმინდა სულის შესახებ ჩანაწერებს ჩვენ ბევრგან ვხვდებით. არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ სულიწმინდის შესახებ ჩანაწერები არსებობდა აგრეთვე ძველ ებრაულ აპოკრიფებშიც, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხებს ეხებოდა, თუმცა როგორც ცნობილია, იუდეველები ასეთ წყაროებს არ თვლიდნენ სარწმუნოდ. ამიტომაც ისინი აღარ გვხვდება ბიბლიურ გადმოცემებში. სამწუხაროდ, ეს წყაროები არც საქრისტიანო

სამყაროსთვის არის ფართოდ ცნობილი, თუმცა ისტორიული მონაცემები ნამდვილად ამოწმებენ მათი არსებობის შესახებ.

ქრისტიანული გაგებით, სულიწმინდა იმიტომ არის ღმერთი ანუ ღმერთის მესამე პირი, რომ ის არის არამართო **ღვთის ძალა**, არამედ მას გააჩნია პიროვნული თვისებებიც – **გონება, ნიჭი, ნება და ნუგეშისმცემლობა**, რომლებსაც ის გადასცემს, ანიჭებს და უზიარებს ადამიანებს. სახარებაში და წმინდა წერილებში **მას აღიძვებენ და თაყვანს სცემენ, როგორც პიროვნებას**. ამაზე მიუთითებს თითონ იესოს სიტყვები - **„ყველა ცოდვა მიეტევება ადამიანს, გარდა სულიწმინდის გმობისა“** (შეურაცხყოფისა). ეს იმაზე მეტყველებს, რომ სულიწმინდა არის პიროვნება (თანასწორი მამისა და ძისა), ვინაიდან მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს შეურაცხყოფილი. სახარებაში სულიწმინდაზე, როგორც სამპიროვანი ღმერთის მესამე პირზე, თვითონ იესო ქრისტე საუბრობს, როდესაც ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ მისი რწმენა მთელს მსოფლიოში იქადაგონ და მონათლონ ადამიანები – **მამის, ძის და სულიწმინდის სახელით**.

ქრისტიანული გაგებით, ქრისტე სულიწმინდის მეშვეობით მართავს ეკლესიებს. სულიწმინდასთან დაკავშირებით ჩვენ უფრო მეტი ჩანაწერი გვხვდება „მოციქულთა საქმეებში“ და წმინდა წერილებში (ეპისტოლეებში), ვიდრე სახარებაში. **შეიძლება ითქვას ასეც, რომ თუ სახარება იესო ქრისტეს ცხოვრებას და მოღვაწეობას ეხება, მოციქულთა საქმეები და წმინდა წერილები უკვე მთლიანად ეთმობა სულიწმინდას, რომლის ძალითაც მოციქულები ახდენენ სასწაულებს და აქრისტიანებენ მთელ სამყაროს**.

სახარებასა და წმინდა წერილებში სულიწმინდა **სულ 70-ჯერ არის ნახსენები**, რაც გვეხმარება მის სწორ აღქმასა და გააზრებაში. კერძოდ, სულიწმინდის შესახებ სახარებაში ჩვენ ვკითხულობთ:

მათეს სახარება:

1.18. ხოლო იესო ქრისტეს შობა ასე მოხდა: დედამისი, მარიამი იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, **სულიწმინდისაგან დაორსულებული აღმოჩნდა**;

20. როცა ამას ფიქრობდა, აჰა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცო-

ლის, მარიამის, მიღება, ვინაიდან მასში ჩასახული სულიწმიდისგან არის.

3.11. მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად. მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით.

3. 16. ნათელღებული იესო მყისვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომაგალი, მასზე რომ ეშვებოდა.

12.31. ამიტომ გეუბნებით თქვენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევებათ ადამიანებს, მაგრამ სულიწმიდის გმობა არ მიეტევებათ.

12.32. ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას. მაგრამ თუ ვინმე იტყვის სულიწმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება მას არც ამ სოფლად, არც მომავალში.

28. 19. ახლა წადით და მოიმონაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით.

ლუკას სახარება:

1.35. მიუგო ანგელოზმა და უთხრა: „სულიწმიდა გადმოვა შენზე და მალის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილი იწოდება ღვთის ძეღ.

1.41. როცა ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა, ყრმა შეუტოვდა მუცელში. და ალივსო ელისაბედი სულიწმიდით.

1.42. და დაიძახა ხმამალლა და თქვა: „კურთხეული ხარ დედათა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!

2.25. და აჰა, იყო იერუსალიმში კაცი, სახელად სიმონი, კაცი მართალი და ღვთისმოშიში, რომელიც მოელოდა ისრაელის ნუგემისცემას, და სულიწმიდა იყო მასზე.

2.26. სულიწმიდისგან ჰქონდა ნაუნყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხებულის ხილვამდე.

3.16. მიუგებდა და ეტყოდა ყველას იოანე: „მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით.

3.22. და გადმოვიდა მასზე სულიწმიდა ხორციელი სახით, როგორც მტრედი, და გაისმა ზეცით ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.

4.1. იესო, სულიწმიდით აღვსილი დაბრუნდა იორდანეიდან და სულით გაყვანილ იქნა უდაბნოში.

11.13. ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“.

12.10. ყველას, ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება, მაგრამ სულიწმიდის წინააღმდეგ გმობა არ მიეტევება.

12.12. ვინაიდან სულიწმიდა გასწავლით, მაშინ რაც უნდა ილაპარაკოთ“.

მარკოზის სახარება:

1.8. მე წყლით გნათლავდით, ის კი სულიწმიდით მოგნათლავთ“.

3.29. ხოლო ვინც სულიწმიდას დაგმობს, მას აღარასოდეს მიეტევება, არამედ საუკუნო ცოდვის თანამდებია.

12.36. თვითონ დავითმა თქვა სულიწმიდით: უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემ მარჯვნივ, ვიდრე დავამხობდე შენს მტრებს შენს ფერხთა სადგამად.

13.11. როცა წავიყვანენ გადასაცემად, ნუ იბრუნებთ წინასწარ, რა ილაპარაკოთ; არამედ, რაც იმ ჟამს მოგეცემათ, ის ილაპარაკეთ, ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ სულიწმიდა.

იოანეს სახარება

1.33. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც მომავლინა წყლით სანათლავად, მან მითხრა: „ვისზეც დაინახო სული, გადმომავალი და დავანებული, ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი“.

14.26. ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს.

20.22. ეს რომ თქვა, სული შეუბერა და ეუბნება: „მიიღეთ სულიწმიდა“.

9. ქრისტიანული სასწაულები

საერთოდ, რწმენა ეფუძნება რელიგიური საკითხების მიმართ ცოდნას და ასევე იმ სასწაულებს, რომლებიც დღევანდელ დროშიც მრავლად ხდება. სასწაულებით და ერთი შეხედვით გონების-თვის დაუჭერებელი ფაქტებით, ღმერთი ჩვენში აღვივებს რწმენას და გვიმტკიცებს იმას, რომ ის მარად ჩვენთან არის. ბევრს ამის არ სჭერა და საკუთარი თავის გასამართლებლად ეპოტინება მეცნიერული ათეიზმის უტოპიურ იდეებს, მაგრამ რატომღაც ისე ხდება, რომ როდესაც ასეთი მოვლენები ხდება, ასეთი ადამიანები ამ ფაქტებს რა თქმა უნდა საკუთარი თვალითაც ხედავენ, მაგრამ რატომღაც ჩუმად არიან და საჭაროდ არ საუბრობენ ამის შესახებ. ყოველთვის მივვირბოდა, თუ მართლაც რატომ დუმდნენ ასეთ ფაქტებზე „მეცნიერები“ და თან მაინტერესებდა კიდევ, თუ როგორ ხსნიდა ამას თანამედროვე მეცნიერება. ამის შესახებ მე არცერთი საჭარო განცხადება არ მომისმენია, მაგრამ როგორც გავარკვიე, სასწაულებთან დაკავშირებით მეცნიერებას თავისი ჩამოყალიბებული და მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. ამაზე აუცილებლად მექნება საუბარი მე-11 თავში, სადაც განხილული იქნება - რწმენისა და ჰიპნოზის საკითხები. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი კრიტიკული მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, მე არ შემიცვლია ჩემი დამოკიდებულება ქრისტიანული სასწაულების მიმართ. პირიქით, ამან უფრო განამტკიცდა ჩემი რწმენა, ვინაიდან გავარკვიე, რომ თვითონ თანამედროვე მეცნიერებაც აღიარებს და არ უარყოფს რელიგიური რწმენის მაკურნებელ ძალას. ამიტომაც მჭერა, რომ ასეთი ფაქტები და მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში რეალურად ხდება. ამ გზით, ღმერთი ღიად და ამჭერად უკვე არადაფარულად გამოხატავს თავის არსებობას და პირდაპირ მოგვიწოდებს ადამიანებს რწმენაში განმტკიცებისკენ. შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ, ვიცო-

დეთ ასეთი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ და ვუზიარებდეთ ამ ცოდნას სხვებსაც. ამრიგად, ქრისტიანულ რელიგიაში ჩვენ ვხვდებით შემდეგ სასწაულებს:

1. ყოველ აღდგომას, იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლი გადმოდის, იგი განსხვავებულია იმით, რომ პირველ წამებში არ წვავს;

2. ყოველ ნათლისღებას მდინარე იორდანე უკუ იწყებს სვლას;

3. ყოველ მარიამობას, საბერძნეთის სოფელში მარკოპოლოში გველები ღვთისმშობლის ხატს ეხვევიან და მზის ჩასვლამდე სრულიად უვნებლები არიან;

4. ნაკურთხი წყალი არ ფუჭდება;

5. ხატებს მირონი და ხან სისხლი სდის;

6. წმინდანთა სხეულები არ იხრნება;

7. ზოგიერთ მორწმუნეს სხეულზე ქრისტეს მსგავსი ჭრილობები (სტიგმები) უჩნდება;

8. რწმენის ძალით სწეულები იკურნებიან;

9. ერთი კოვზით ზიარების დროს დაავადებები არ გადადის;

10. ლოცვის ძალით ბოროტი სულები განიდევენებიან;

11. მორწმუნეები უცხო ენებზე იწყებენ საუბარს;

12. სულიწმინდით აღვსილნი დაუღალავად ქადაგებენ და წინასწარმეტყველებენ.

10. რელიგია და მეცნიერება

რელიგია უხსოვარი დროიდან მოდის და სათავეს იღებს ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებიდან, თუმცა არსებობს ისეთი სამეცნიერო მოსაზრებებიც, რომლებიც ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ რელიგია ყოველთვის არ არსებობდა და რომ კაცობრიობა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა რელიგიური წარმოდგენების გარეშე. როგორც ჩანს, ასეთი სამეცნიერო მოსაზრებები განპირობებულია უფრო იმ განზრახვით, რომ საზოგადოება დააჭერონ ზებუნებრივი ძალების და შესაბამისად ღმერთის არარსებობაში. ჯერ ერთი, ამ თეორიის სისუსტე და აბსურდულობა იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება ვინმემ აბსოლუტური თავდაჭერებით ამტკიცოს ის, თუ მილიონობით წლის წინ რა სწამდათ ან არ სწამდათ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ასეთი ფაქტების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. თუმცა, ამ საკითხის შემდგომი განხილვა და კიდევ უფრო ჩაღრმავება ამ შემთხვევაში არ არის ჩემი მთავარი მიზანი. ვფიქრობ, რომ ამ თავში და ასევე მის მომდევნო თავშიც, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საკითხებს უნდა შევხვო და მიმოვიხილო განსახილველ თემასთან დაკავშირებით უფრო საინტერესო და აქტუალური საკითხები.

ცხადია, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რელიგია განიცდიდა მუდმივ ცვლილებას. ეს განპირობებული იყო ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებით და მისი უნარ-ჩვევების დახვეწით. რა თქმა უნდა კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა უამრავი რელიგია, მაგრამ დღევანდელ დღემდე ძირითადად მოაღწია ორმა მსხვილმა რელიგიურმა მიმდინარეობამ – 1) აბრამისტულმა რელიგიებმა (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და 2) ინდუისტურმა რელიგიებმა (ინდუიზმი, ბუდიზმი, კრიშნაიზმი, დაოიზმი და ა.შ.).

მეცნიერული ათეიზმის შეხედულება რელიგიაზე – რელიგიის წარმოშობას, ათეისტური მეცნიერება ადამიანებისთვის ამოუხსნელი ბუნებრივი მოვლენებით ხსნის. მეცნიერების აზრით, სწო-

რედ ასეთმა ამოუხსნელმა მოვლენებმა განაპირობა ადამიანის რელიგიური წარმოდგენების შექმნა, სინამდვილეში კი, არავითარი ზებუნებრივი ძალები არ არსებობს და ეს ყველაფერი არის ადამიანის მიერ გამოგონილი, მისი წარმოსახვის და ფანტაზიის ნაყოფი. ამასთან, ათეისტური მეცნიერება რატომღაც განსაკუთრებულად ერჩის ბიბლიას, კერძოდ მის მისტიკურ ნაწილს. ისინი ცდილობენ მოძებნონ კავშირები ძველ შუმერულ, ეგვიპტურ და ბაბილონურ წყაროებში, რომლითაც მათი აზრით, იკვებებოდა ბიბლია და ამით დააკნინონ მისი მნიშვნელობა. მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი კავშირების დადგენა არათუ აკნინებს ბიბლიას, არამედ კიდევ უფრო ბრძის მის მნიშვნელობას, ვინაიდან ის აერთიანებს და თავს უყრის ძველ სწავლებებს და ამტკიცებს ძველ გადმოცემებთან მის თავსებადობას და განგრძობადობას. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველამ ვიცით, რომ ათეისტურ მეცნიერებას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს რელიგიის მიმართ და განიხილავს მას უაღრესად ნეგატიურ მოვლენად. აღნიშნულ თემას უშუალოდ ეთმობა მე-4 და მე-5 თავები. დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია გაეცნოს მათ და მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებებიც. ამიტომ, ამ თავში აღარ გავიმეორებ იგივეს და გადავალ სახელმწიფოში რელიგიის როლზე, მის დადებით და შესაძლო უარყოფით ფაქტორებზე.

რელიგიის დადებითი ფაქტორები (პოზიტიური როლი) - რა თქმა უნდა მე არ ვეთანხმები რელიგიასთან დაკავშირებით მეცნიერული ათეიზმის მოსაზრებებს და მიმაჩნია, რომ პირიქით, **რელიგიას გარდა ჭეშმარიტებაზე პრეტენზიისა, აქვს აგრეთვე უაღრესად დადებითი გავლენა ნებისმიერ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე.** პირველ რიგში ის **ქმნის საზოგადოების ღირებულებათა სისტემას და** აყალიბებს საზოგადოების მორალურ და მწიფობრივ ნორმებს. ის იმავდროულად წარმოადგენს აგრეთვე თითოეული ადამიანის შინაგან წესრიგს (შინაგან კონსტიტუციას), რადროსაც ადამიანები საკუთარ თავს განუსაზღვრავენ გარკვეულ ღირებულებებს და უდგენენ ქცევის წესებს. მორწმუნე ადამიანები მკაცრად იცავენ თავის შინაგან კონსტიტუციას (რწმენას) და არ აძლევენ საკუთარ თავს ამ წესებიდან გადახვევის ან მათი დარღვევის შესაძლებლობას. რეალურად რომ ვთქვათ, რელიგია არ-

ის ადამიანის არასასურველი ქცევის ყველაზე ეფექტური შემოტყველი ინსტრუმენტი, რომელსაც სახელმწიფოს მიერ დანებსებული ვერც, ერთი კანონი თუ სხვა რეპრესიული ინსტიტუტი ვერ ჩანაცვლებს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით – რელიგია აუცილებელია სახელმწიფოში წესრიგის, სტაბილურობისა და განვითარებისთვის. აქვე შეიძლება ასევე გავიხსენოთ ერთი მაგალითი ბუდას ცხოვრებიდან – ერთხელ ხალხმა ჰკითხა მას, არსებობდა თუ არა ღმერთი? მან უპასუხა, რომ ღმერთი არ არსებობდა და ამას დიდი შფოთი, მღელვარება და არეულობა მოჰყვა. ეს რომ დაინახა ბუდამ, უხმო ადამიანებს და უთხრა მათ, რომ – ღმერთი ნამდვილად არსებობდა და ამის შემდეგ შეწყდა მღელვარება და დანყნარდა საზოგადოება. ეს მაგალითი კარგად მიუთითებს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის რელიგიის უდიდეს მნიშვნელობაზე.

რელიგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვითონ ადამიანის პიროვნული განვითარებისა და მოტივაციისთვის – რელიგიურ ადამიანს არასდროს დაეუფლება სასონარკვეთილება და ნიჰილიზმი. რელიგიურობა დამახასიათებელი და განუყოფელია ადამიანური ბუნებისთვის. რელიგიური რწმენა ადამიანში აღვივებს სამართლიანობის განცდას და აძლევს მას ცხოვრების იმედს, ინტერესს და მძლავრ სტიმულს (მოტივაციას). ამიტომ, ადამიანის რწმენისგან ჩამოშორება და ზოგადად რელიგიებთან ბრძოლა ყოველთვის წარუმატებელი მცდელობა იქნება. ისტორიამ დაგვანახა, რომ სახელმწიფოს მოწყობის ისეთი მოდელები (მაგალითად, როგორც იყო საბჭოთა სისტემა), რომლებიც პირდაპირ უპირისპირდებოდნენ ადამიანთა რწმენას, კლავდნენ და დევნიდნენ მორწმუნეებს და „ცრუმორწმუნეებს“ უწოდებდნენ მათ, საბოლოოდ მივიდნენ სახელმწიფოს სრულ ჩამოშლამდე და დემორალიზებამდე. რელიგიას ისინი „ხალხის გამაბრუებელ ნარკოტიკად (ოპიუმად)“ მოიხსენებდნენ და დასცინოდნენ მორწმუნეებს. ისინი ყველანაირი ძალიხსმევით ცდილობდნენ რელიგიური ღირებულებების ე.წ. „ანტირელიგიური საზოგადოებრივი მნიშვნელობით და მორალით“ ჩანაცვლებას, სადაც აღარ იქნებოდა ღმერთის ადგილი. შედეგად კი მიიღეს მორალურად გახრწნილი საზოგადოება, სადაც ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ ჰქონდა, ყვე-

ლა ცრუობდა, იპარავდა და ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. მოვლენების განვითარების ფონზე, ტოტალიტარული სისტემები საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პრაქტიკულად დაინახეს საკუთარი იდეოლოგიის უსუსურობა და უტოპიურობა, ასევე რწმენასთან დაპირისპირების უშედეგობა და საბოლოოდ აირჩიეს რელიგიებთან თანამშრომლობის გზა, მაგრამ უკვე საკმაოდ გვიანი იყო. მცდარი და აბსურდული შეხედულებების გამო მათ საერთოდ შეწყვიტეს არსებობა და ისტორიაში შევიდნენ როგორც არნახული ძალადობის, ადამიანთა ჩაგვრისა და კაცთმოძულეობის კლასიკური მაგალითი.

აქვე მინდა დავამატო ისიც, რომ ტოტალიტარული სისტემების ნგრევის მიუხედავად, **რელიგიებთან ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა**. მსოფლიოში კვლავაც არიან ადამიანები, თუ გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც მკვეთრად უარყოფითად აფასებენ რელიგიას და **ე.წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის“** პირობებში სურთ კაცობრიობის მისგან გათავისუფლება ან სულაც ერთი საერთო რელიგიის შექმნა. ამიტომ, **რელიგია დღეს კიდევ უფრო დიდი განსაცდელის წინაშე დგას**. ფაქტია, რომ თანამედროვე რეალობაში, რელიგიური შეხედულებები და მით უფრო რელიგიური ცხოვრების წესი სულ უფრო ნაკლებად პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. ამის საუკეთესო მაგალითია ევროპა თუ მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნები, სადაც კატასტროფული სისწრაფით იხურება ეკლესიები და მოსახლეობაც უკვე რელიგიის საჭიროებას ვეღარ ხედავს. რელიგიური ორგანიზაციები კონკურენციას ვეღარ უწევენ თანამედროვე ტენდენციებს და თანდათანობით კარგავენ გავლენებს. ვითარება იმდენად დრამატულია, რომ თუ რელიგიური ორგანიზაციები დროულად არ მოეგებიან გონს და არ მიიღებენ სათანადო ზომებს, მაშინ ისინი საბოლოოდ დაკარგავენ ავტორიტეტს და მომავალში აღარ ექნებათ არსებობის არანაირი პერსპექტივა. **რა თქმა უნდა კაცობრიობისთვის ეს ძალიან მძიმე სურათი იქნება. რელიგიების კვდომა პირდაპირ პროპორციულად აისახება მსოფლიო საზოგადოების მორალურ და მწიგნობრივ მდგომარეობაზე, კაცობრიობა დაკარგავს ტრადიციულ ღირებულებებს და მათ ჩაანაცვლებს ახალი და სრულიად განსხვავებული დაბალი ხარისხის ღირებულებები**. ეს რომ

არ მოხდეს ან თუნდაც რამენაირად შენელდეს მისი ტემპები, ამისათვის განსაკუთრებულად უნდა მოინდომონ თვითონ რელიგიურმა ორგანიზაციებმაც. საზოგადოებაში გავლენის და ავტორიტეტის კლების მიზეზი პირველ რიგში მათ საკუთარ თავში უნდა ეძიონ, ისინი მთლიანად უნდა განთავისუფლდენენ მატერიალურ სარგებელზე ზრუნვისგან, განმინდონ საკუთარი რიგები უზნეო და ამორალური ადამიანებისგან, განთავისუფლდნენ ნებისმიერი გარე ძალის გავლენისგან, ჩამოყალიბდნენ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ ინსტიტუტებად, სწორი და ობიექტური შეფასება მისცენ მიმდინარე მოვლენებს და ბოლოს, უანგაროდ და პატიოსნად ემსახურონ საზოგადოებას.

ბოლოს, მინდა ვისაუბრო რელიგიის შესაძლო უარყოფით ფაქტორებზეც – დასამალი არ არის, რომ რელიგიას ხშირად სხვადასხვაგვარი კონფლიქტების და ომების მიზეზადაც ასახელებენ. ჩემი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ყოველთვის არ არის განსხვავებული რელიგიური შეხედულებების არსებობა. ძალადობის ინციტორები რელიგიას ხშირად იყენებდნენ საკუთარი ინტერესებისა თუ აგრესიის გასამართლებლად. თუმცა, რეალურად რომ ვთქვათ, კონფლიქტები განსხვავებული რელიგიური შეხედულებების გამოც ხდება. ამის მიზეზი კი პირველ რიგში არის ადამიანის მიერ ზოგადად ყველანაირი განსხვავებული აზრის მიმართ შეუწყნარებლობა და მიუღებლობა. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება ყველაზე მძაფრად ვლინდება ხოლმე რელიგიაში. არადა, ნამდვილად გასაკვირია, თუ რატომ უნდა ხდებოდეს კონფლიქტები განსაკუთრებით რელიგიურ ნიადაგზე მაშინ, როდესაც ყველა რელიგია – მშვიდობას, სიყვარულს და თანადგომას ქადაგებს. ამასთან, ყველა რელიგია ემსახურება – სიკეთეს, სამართლიანობას და სურს ჰუმანური პრინციპების მქონე კეთილსინდისიერი ადამიანების შექმნა. ჩემი აზრით, რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია რელიგიურმა კონფესიებმა პირველ რიგში – უარი თქვან რელიგიურ ფანატიზმზე/ექსტრემიზმზე, პატივი სცენ ერთმანეთის რელიგიურ გრძნობებს და დაიწყონ დიალოგი – არა თუ რელიგიათა გაერთიანების (ეკუმენიზმის), არამედ რელიგიათა შორის შემწყნარებლობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების და ტოლერანტობის მიღ-

წევის მიზნით. ამასთან, რა თქმა უნდა დასაშვებია უნდა იყოს ასევე რელიგიური მოსაზრებების ჯანსაღი კრიტიკაც, თღონდ არა შეურაცხყოფა და დამცირება. ამ დროს მხარეებმა უნდა გამოიჩინონ ასევე გარკვეული თმენის ვალდებულებაც, არ გამოხატონ კრიტიკაზე აგრესია და მოიძიონ საწინააღმდეგო არგუმენტები. ჩემი აზრით, სწორედ ამ პრინციპებს შეესაბამება მომდევნო თავებში სხვა რელიგიების მიმართ ჩემ მიერ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი მიზანი – დაამტკიცოს მართლმადიდებლური ქრისტიანობის უტყუარობა და სისწორე. თუმცა, ჩემთვის ისიც გასაგები იქნება, რომ სხვა რელიგიის მიმდევრებს შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ.

11. რწმენა და ჰიპნოზი

აღნიშნული საკითხების ერთ თავში განხილვა გადავწყვიტე ზოგადად ამ საკითხებისადმი ათეისტური მეცნიერების უკიდურესად კრიტიკული დამოკიდებულების გამო. ისინი ცდილობენ, რომ ადამიანის რელიგიური რწმენა და რელიგიური სასწაულები ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ფსიქიკური პროცესებით ახსნან. უნდა აღვნიშნო, რომ მანამდე ასეთ თემებთან მე შეხება არ მქონია, მაგრამ წიგნზე მუშაობის პროცესში ცხადი გახდა, რომ მათ აუცილებლად უნდა შეეხებოდნენ. მე გულდასმით გავეცანი უამრავ სამეცნიერო მასალას თუ ინფორმაციას და გავარკვიე, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებას ნამდვილი ფრონტი აქვს გაჩაღებული ზოგადად ყველა რელიგიის და განსაკუთრებით ქრისტიანობის მიმართ. ამგვარი მიდგომა ბუნებრივია ეფუძნება მეცნიერული ათეიზმის მიდგომებს. თუმცა, მოდით მივყვეთ თანმიმდევრობით და თავდაპირველად განვიხილოთ ზოგადად რელიგიური რწმენის მნიშვნელობა, ქრისტიანობის ხედვა რწმენასა და ეჭვთან დაკავშირებით და შემდეგ გადავიდეთ უკვე ე.წ. „მოწინავე“ ათეისტური მეცნიერების თეორიებზე.

რელიგიური რწმენა – ღმერთის ანუ ზებუნებრივი ძალების მიმართ რწმენა წარმოადგენს რელიგიის მთავარ ქვავაკუთხედს. „რწმენას“ ცენტრალური ადგილი უკავია ნებისმიერ რელიგიაში. საერთოდ, რწმენა არის რაიმე რაიმე ფაქტის ან მოვლენის არსებობის ან არარსებობის დაჯერება. ეს შეიძლება იყოს ხილული ან უხილავი, მატერიალური ან არამატერიალური. რა თქმა უნდა ყველაფერს ხილულს ადამიანი ადვილად იჯერებს, ხოლო უხილავის დაჯერება უფრო რთულია და ეს ლოგიკური ამროვნების გარეშე შეუძლებელიც არის. მაგალითად, ადამიანი ლოგიკური ამროვნებით შეიძლება მიხვდეს იმას, რომ არსებობს „სამყაროს ჭკვიანი შემოქმედი“, რომ სიცოცხლე უსულო საგნებისა და ქვების გროვებისგან ვერ შეიქმნებოდა, რომ სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით მუდმივად იქნება დაუსრულებელი კითხვები, რომ არსებობს ბოლომდე ამოუცნობი რთული მოწყობის მაკრო და მიკრო სამყაროები და რომ ეს ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდ-

როდ არის დაკავშირებული და ა.შ. ადამიანი ლოგიკური აზროვნებით და ასევე ცხოვრებაზე დაკვირვებით შეიძლება მიხვდეს იმასაც, თუ როგორ ერევა უფალი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში - როგორ უმართავს ხელს ერთს ან სჯის მეორეს და ამაში შეიძლება გარკვეული კანონზომიერება და ლოგიკაც დაინახოს. ამ მხრივ, განსაკუთრებით შემზარავია სასტიკ ან ღმერთთან მებრძოლ ადამიანთა ხვედრი (ფროიდი, ნიცშე, ლენინი და სხვ.), სადაც კარგად იკითხება უფლის სამართალი, ასევე მისი ჭკვიანი და იმავდროულად სამართლიანი ხელის მოქმედება. თუ კარგად დავაკვირდებით მივხვდებით, რომ ადამიანში ჩადებულია ერთგვარი „მორალური კოდექსი“ და თუ ადამიანი დაარღვევს მას (მაგალითად, არ აღიარებს ღმერთს და სხვასაც აბრკოლებს, არღვევს 10 მცნებას (კლავს, იპარავს, მრუშობს და ა.შ.), ავლენს ამპარტაგნებას, შურს, ბოღმას, ანგარებას, აგრესიას და სხვა ნეგატიურ თვისებებს), მაშინ ის აუცილებლად დაისჯება. ეს წესი უნივერსალურია და საერთოა ყველა რელიგიისთვის. მაგრამ გარდა ლოგიკური აზროვნებისა და ცხოვრებაზე დაკვირვებისა, არსებობს აგრეთვე მეცნიერებისთვის დღემდე ამოუხსნელი უამრავი ფაქტი თუ მოვლენა, რომელსაც მორწმუნე ადამიანები სასწაულებს ვეძახით. ასეთი მოვლენები მრავლად გვხვდება როგორც წარსულში, ასევე აწმყო დროში. ამრიგად, ლოგიკური აზროვნება, ცხოვრებისეული დაკვირვება და ე.წ. ამოუხსნელი მოვლენები (თუ სასწაულები) ქმნიან ადამიანის რელიგიურ რწმენას. თუმცა, ბევრს არ აკმაყოფილებს ეს და უფრო მეტი რწმენისთვის სურს უშუალოდ ღმერთის დანახვა ან ღვთიურ ძალებთან პირდაპირი შეხება. ასეთი შეხედულებები რა თქმა უნდა ჩნდება რელიგიური საკითხების მიმართ არასაკმარისი ცოდნის გამო. ჩვენ პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი არის სული, ანუ უხილავი არსება და მას ჩვენი მატერიალური თვალით ვერ დავინახავთ, ხოლო რაც შეეხება ღვთის ძალას და მის ენერჯიებს - მისი შეგრძნება და მასთან შეხება შეუძლიათ სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფ „წმინდა გულის“ ქონე ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ წმინდა ცხოვრებით. ღმერთი ცოცხალი არსებაა და მისი ძალის გამოვლენა და მასთან შეხება მხოლოდ მის ნებაზე დამოკიდებულია. თუ ღმერთმა არ მოინდომა, ადამიანი თავისი ძალისხმე-

ვის მიუხედავად, ვერ შეძლებს ღვთიურ ძალებთან და ენერგიებთან შეხებას. აქვე მოვიყვან წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სიტყვებს: „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ, და ზოგი - იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ.“

რწმენის მნიშვნელობა ქრისტიანობაში – რწმენის მნიშვნელობაზე სახარებაში თვითონ უფალი საუბრობს – „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით, მარტო იმას კი არ გააკეთებთ, რაც ამ ლელვს დაემართა, არამედ ამ მთასაც რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, ასე მოხდება. ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ“. როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთს უპირისპირდება რწმენა და ეჭვი. უფალი ამბობს, რომ თუ ეჭვი არ გექნებათ და დაიჭერებთ, მაშინ ბევრ რამეს შეძლებთ. შეგვიძლია გავიხსენოთ ასევე სხვა სახარებისეული მაგალითიც, როდესაც იესო ბრძენს ეუბნება: „გნამთ, რომ მე შემიძლია ამის გაკეთება?“ უთხრეს მას: „კი, უფალო!“ და კიდევ - ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება სისხლდენით იტანჯებოდა „თავისთვის ამბობდა: მის სამოსელსაც რომ შეეცხო, განვიკურნებო.“ ხოლო იესო მიბრუნდა და უთხრა მას: „გამხნევიდი, ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა, და ქალი იმწამსვე განიკურნა.“ ასეთი მაგალითების გაცნობის შემდეგ შეიძლება გავავეთოთ ესეთი დასკვნა, რომ უფალი ჩვენგან ითხოვს მასზე სრულად მინდობას, მის შესაძლებლობაში დარწმუნებას – „მნამს უფალო იესო ქრისტე, რომ შენი ძალით განვიკურნები“, „მნამს უფალო იესო ქრისტე, რომ დამეხმარები“ და ა.შ. ის ჩვენგან ელოდება ამ სიტყვების წარმოთქმას და მისი რწმენით (და არა საკუთარი ძალით) განიკურნება და სხვა სასწაულებიც იქნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ასევე რწმენის გამოხატვის ფორმაც – სახარების მიხედვით, ეს უნდა მოხდეს სხვებისაგან დაფარულად – „ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი და შენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს, მოგიბოძავს შენ.“ როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მთლიანად ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე ღრმა პროცესებთან – რწმენასა და ეჭვთან, თუმცა ეჭვი იმდენად არის გამჟღარი ადამიანის გონებაში, რომ მხოლოდ ერთეულებს თუ შეუძლიათ მსგავსი შინაგანი ძალის გამოვლენა და ეჭვის რწმენით ჩანაცვლება. ადამიანის შინაგან სამყაროში რწმენისა და ეჭ-

ვის შეპირისპირება ისეთი იდეალური მოვლენაა, რომ ის მოითხოვს საკუთარ თავში უფრო ღრმად ჩანვლომას და არა სახარებისეული სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას. უამრავ ადამიანს ჰქონია ასეთი მცდელობა, მაგრამ სალი ამრის არქონის თუ არასწორი მოტივაციის გამო, ზოგისთვის ეს წარუმატებლად, ხოლო ზოგისთვის კი სულაც ტრაგიკულად დასრულებულა. **მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც ეს შეძლეს** – ღმერთზე მინდობით, ღვთის ნებით, ლოცვით, მარხვით, თავმდაბლობით, სათნოებით და სხვა ღვთიური თვისებების გამოვლენით. **ისინი სასწაულებს ახდენდნენ მხოლოდ** – სიკეთისთვის, ადამიანთა განკურნებისთვის, თანადგომისთვის და არა საკუთარი თავის განდიდების ან პრივილეგიებისთვის.

მეცნიერული შეხედულებები რწმენასა და რელიგიურ სასწაულებზე – ეს უაღრესად საინტერესო საკითხია პირადად ჩემთვის და დარწმუნებული ვარ საინტერესო იქნება აგრეთვე სხვებისთვისაც. ამიტომ, შევეცდები შეძლებისდაგვარად ვრცლად და უფრო გასაგებად მიმოვიხილო აღნიშნული საკითხი. მაშ ასე, **თანამედროვე მეცნიერება რწმენას და რელიგიურ სასწაულებს ხსნის ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქიკური პროცესებით და მიაჩნია, რომ რელიგიური სასწაულების დროს ჰიპნოზისა და ტრანსის ელემენტები გამოიყენება.** მეცნიერებმა მე-19 საუკუნეში აღმოაჩინეს „ჰიპნოზის“ ფენომენი და დაადგინეს, რომ ჰიპნოზურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მართვა და მანიპულირება რეალურად შესაძლებელია. ამ აღმოჩენამდე კი ისინი მივიდნენ ისევ რელიგიური, ოკულტური და მისტიკური თეორიების შესწავლის შედეგად. კერძოდ, ისინი გაეცნენ ძველ რელიგიურ ნაშრომებს – ჰიმნებს, ვედებს და სახელმძღვანელოებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა აღნიშნულ თემატიკას. მათ ინდურ წყაროებში მიაკვლიეს ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღრიცხვამდე დაახლოებით X-VIII საუკუნეებში დაწერილ წიგნს – **„მაჰაბჰარატა“**, სადაც პირდაპირ და გარკვევით არის საუბარი ისეთი ჰიპნოზური ილეთის გამოყენებაზე, როდესაც ერთი ადამიანი ცდილობს მის პირისპირ მყოფი სხვა ადამიანის მიმართ თვალეში ჩახედვით და დაჟინებული მზერით საკუთარი სურვილების და ამრების შთაგონებას. ისინი გაეცნენ აგრეთვე იოგას ფენომენს და **გაოცებას ვერ მალავდნენ.**

თუ როგორ ახერხებდნენ ფაკირი იოგები – სუნთქვის ხანგრძლივი დროით შეკავებას, ტკივილის ატანას, სასიცოცხლო ორგანოების გაჩერებას და დიდი ხნის განმავლობაში უსიცოცხლოდ ყოფნას და ა.შ. მათთვის საინტერესო იყო აგრეთვე თუ **როგორ შედიოდნენ შამანები ე.წ. „ტრანსის“ მდგომარეობაში** - მონოტონური რიტმული მუსიკით, ცეკვით, სიმღერით და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით. ტრანსის მდგომარეობაში შამანები ხედავდნენ მათი გადმოცემით – სულებს, ზებუნებრივ ძალებს და ესაუბრებოდნენ კიდევ მათ. მეცნიერები ყურადღებით გაეცნენ ასევე **ქრისტიანულ სასწაულებსაც** – სნეულთა განკურნების სახარებისეულ სცენებს, ასევე სხვა რელიგიურ სასწაულებს და **საბოლოო ჯამში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერი ეს ხდება ადამიანის ჰიპნოზური მდგომარეობის გამოყენებით.**

იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ, თუ რატომ უკავშირებს მეცნიერება რელიგიურ რწმენასა და სასწაულებს ჰიპნოზსა და ტრანსს, აუცილებელია თავდაპირველად გავცნოთ თვითონ – ჰიპნოზის არსს და მნიშვნელობას. პირველი მეცნიერი, ვინც აღმოაჩინა ჰიპნოზის ფენომენი იყო მე-19 საუკუნეში მოღვაწე ავსტრიელი მეცნიერი **ფრანს მესმერი.** თავდაპირველად ის თავის სამედიცინო პრაქტიკაში იყენებდა მაგნიტებით მკურნალობის მეთოდს და შემდეგ, მან ამ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიმუშავა თეორია, რომელიც გულისხმობდა **ე.წ. „მაგნიტური ველის“** გამოყენებით ადამიანების ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეყვანას და განკურნებას. 1874 წელს, მან გამოსცა ნაშრომი **„ცხოველური მაგნიტიზმი“**, სადაც ის ამტკიცებდა, რომ ყველა ცოცხალ არსებას გააჩნდა ე.წ. **„მაგნიტური ველი“**, რომ ადამიანში ის არსებობდა ე.წ. **„მაგნიტური ფლუიდის“** (სითხის) სახით და უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო ადამიანებისგან ამ „სითხის“ ამოღება და შენახვა. როგორც აღნიშნავენ, მან თავის დროზე დიდ წარმატებებსაც მიაღწია და ფართოდ გაითქვა სახელი, როგორც „ყოველისშემძლე მკურნალმა“. თუმცა, მისი თეორია, რომელიც გულისხმობდა ე.წ. „მაგნიტური ველის“ გამოყენებით ადამიანის ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეყვანას, მისი პოპულარობის მიუხედავად უარყო სამეცნიერო ჯგუფმა - დიდი მეცნიერების **ფრანკლინის და ლაუაზის** ხელმძღვანელობით. მათ დაასკვნეს, რომ არავითარი ე.წ. „მაგნიტური ველი“

არ არსებობდა და რომ ადამიანთა განკურნება ხდებოდა „შთაგონებისა და თვითშთაგონების“, ანუ ჰიპნოზის ინსტრუმენტების გამოყენების გზით.

შემდეგი მეცნიერი, ვინც აღნიშნულ თემაზე საფუძვლიანად იმუშავა, იყო ინგლისელი ჯეიმს ბრედი – პირველად მან უწოდა აღნიშნულ მოვლენას „ჰიპნოზი“, რაც ძველი ბერძნული სიტყვიდან მოდის და ნიშნავს – ძილს. ის ადამიანის ჰიპნოზურ მდგომარეობას იყენებდა სამკურნალო მიზნით. შემდეგ, ჰიპნოზის კვლევის ცენტრი გადავიდა უკვე საფრანგეთში, სადაც დომინირებენ მეცნიერები – შარკო და ბერნგეიმი. მათ შექმნეს „ნეიროპათოლოგიური სკოლა“. სამეცნიერო მოსაზრებების განვითარების კულმინაციურ წერტილში კი ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საერთოდ უარყვეს ე.წ. „ჰიპნოზის ფენომენი“ და ამტკიცებდნენ, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება მხოლოდ „შთაგონებით“ იყოს გამოწვეული. ამასთან, ჰიპნოზურ მდგომარეობას ისინი ძალიან საშიშ მოვლენად თვლიდნენ, ვინაიდან მათი დაკვირვებით ის ასუსტებდებდა ადამიანის ცნობიერებას და ბევრ ადამიანში იწვევდა ისტერიას და სხვა ფსიქიკურ დაავადებებს.

ამ მიმართულებით უდიდი შრომა გასწიეს ასევე რუსმა მეცნიერებმაც - პავლოვმა, ბერდიევმა, რაჟნოვმა და სხვებმა. ამასთან, რაჟნოვმა სპეციალური ანტირელიგიური ნაშრომიც კი გამოსცა („ჰიპნოზი და რელიგია“), სადაც ვრცლად ისაუბრა ჰიპნოზისა და რელიგიის ღრმა კავშირებზე. თუმცა, საბჭოთა კავშირის დროს ყველაზე გამორჩეულ და აღიარებულ ფიგურად მაინც ი.პ. პავლოვი ითვლებოდა. საბჭოთა მეცნიერები ერთხმად აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ წვლილსა და დამსახურებას. რუსი მეცნიერების შრომებიდან კარგად იკითხება, თუ როგორი მონღოლოზობით ცდილობენ ისინი რელიგიისა და რწმენისათვის ზიანის მიყენებას და დარწმუნებულებიც არიან იმაში, რომ თავიანთი კვლევებით რელიგიასა და მათი თქმით ე.წ. „ცრუ რწმენას“ ყოველგვარი საფუძველი გამოაცალეს და დიდი დარტყმაც მიაყენეს. თუმცა, აქვე ისიც არ უნდა დაგვაავიწყდეს, თუ როგორ სახელმწიფოში უწევდათ მათ ცხოვრება და როგორ იყო ამ სახელმწიფოში ყველაფერი გააფლენილი – კომუნისტური, ბოლშევიკური და აქედან გამომდინარე სამეცნიერო ათეიზმის პროპაგანდით და იდეოლო-

ოგით. ბოლოს პავლოვი იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ ამბობდა, ადამიანის ტვინი და გონება მაინც ბოლომდე ამოუხსნელი მოვლენა არისო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან და მისმა სამეცნიერო გუნდმა გერ ამოხსნა ჰიპნოზისა და შთავიწინების წარმოშობის ფიზიოლოგიური მექანიზმები.

ამრიგად, სამეცნიერო მოსაზრებების განვითარების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, აუცილებლად უნდა ვთქვა, თუ სინამდვილეში რა არის – ჰიპნოზი. თანამედროვე მეცნიერება თანხმდება იმაზე, რომ ჰიპნოზი არის – ე.წ. „ნერვული ძილი“, ანუ ძილის განსხვავებული მდგომარეობა. ამ დროს ადამიანი – დაკარგული აქვს ცნობიერება, მაქსიმალურად დაქვეითებული აქვს ან საერთოდ გამორთული აქვს მგრძობელობა და მას მართავს სხვა ადამიანი (ჰიპნოზიორი), ის ასრულებს მის დავალებებს, მთლიანად არის მისი გავლენის ქვეშ და წარმოსახვით ხედავს და შეიგრძნობს ჰიპნოზიორის მიერ შეთავაზებულ აზრებს, გრძობებს და სურათს. ფაქტობრივად, ჰიპნოზის ქვეშ მყოფი პირი არის ასე ვთქვათ „ზომბირებული“ ადამიანი, რომელიც უსიტყვოდ, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ასრულებს ჰიპნოზიორის დავალებებს, ანუ ის არის ე.წ. „რაპაპორტის“ მდგომარეობაში, როდესაც ობიექტს აღარ აქვს საკუთარი აზრები და მას ანაცვლებს მენტორის/ჰიპნოზიორის აზრები. ე.ი. გამომოდის, რომ ჰიპნოზის დროს შეიძლება მთლიანად შეიცვალოს ადამიანი და გახდეს ის სრულიად განსხვავებული. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰიპნოზურ მდგომარეობაში ყველა ადამიანის შეყვანა შეუძლებელია. ადამიანების დიდი ნაწილი არ ექვემდებარება ჰიპნოზს. ამას მეცნიერება ადამიანის სპეციფიკური ანატომიური აგებულებით ხსნის. ამასთან, მეცნიერება ამტკიცებს, რომ ჰიპნოზს ცხოველებიც ექვემდებარებიან (მაგალითად, ქათამი, ბაყაყი, თევზი, გველი, ნიანგი და ა.შ.), თუ მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათთვის უჩვეულო განსხვავებულ პოზაში გავაჩერებთ ან გამოვიყენებთ სხვა შესაბამის ილეთებს.

საინტერესოა ასევე, რა სახის ფიზიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს ჰიპნოზის დროს ადამიანის ტვინში – პავლოვი აღნიშნავდა, რომ ამ დროს ხდება ადამიანის ნერვულ სისტემაზე შემოქმედება და წარმართება ისეთი ფიზიოლოგიური პროცესი,

როგორც არის ადამიანის ტვინის „ნერვული უჭრედების დამუხრუჭება“ (პროცესების შენელება), რაზეც შემოქმედებას ახდენს სხვადასხვა გამლიზიანებელი, მაგალითად – მშვიდი და წყნარი საუბარი ან პირიქით სწრაფი და დამლოელი საუბარი, ხმამაღლა მბრძანებლური ტონით შეძახილი, რითმული და განმეორებითი მოძრაობები, დარტყმის ან ზარის ხმა, გამჭოლი მზერა, რიცხვების დათვლა და გონების გადაღლა, ნეგრული დაძაბულობა, რელიგიური რიტუალები, შელოცვები, ჯაღობები და სხვ. ამასთან, პავლოვის აზრით, ჰიპნოზის დროს ყველაზე ძლიერი გამლიზიანებელი არის – „სიტყვა“, რომლითაც ობიექტს მიაწვდიან – „შთაგონებენ“ სასურველ აზრს და სწორედ ეს სიტყვა ხდება ადამიანის ჰიპნოზულ მდგომარეობაში შეყვანის მთავარი ინსტრუმენტი. ამასთან, ჰიპნოზის რელიგიასთან კავშირზე საუბრისას მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ რელიგიური რიტუალების და სხვა გამლიზიანებლების გამოყენებით ხდება ადამიანის ე.წ. „ტრანსში“ შეყვანა, როდესაც მას დაქვეითებული აქვს ცნობიერება და ის წარმოსახვით ხედავს ჰიპნოზიორის მიერ შთაგონებულ ჰალუცინაციურ სურათს, ხოლო თვითჰიპნოზის დროს კი – საკუთარი ფანტაზიის და ღირებულებითი სისტემის მიერ შექმნილ ჰალუცინაციურ სამყაროს.

როგორ ხდება ადამიანის ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეყვანა – ჰიპნოზიორების პირველი წესი არის უკიდურესი თავდაჯერებულობა – თავდაჯერებული საუბარი და მოქმედება. ისინი უშუალოდ მოქმედებენ ადამიანის ნერვულ გამლიზიანებლებზე და როგორც წესი, იყენებენ შემდეგ ტექნიკას – ობიექტთან ისინი საუბარს იწყებენ წყნარი და დამამშვიდებელი ტონით, მიუთითებენ სხეულის მოღუნებაზე, სიმძიმის შეგრძნებასა და სხეულის მთლიანი ან ცალკეული ნაწილების დამძიმებაზე, სხვადასხვა საგნებზე, მოვლენებზე ან თუნდაც სხეულის ცალკეულ ნაწილებზე ყურადღების კონცენტრაციაზე, ჰიპნოზიორის მიმართ სრული ნდობის გამოცხადებაზე და უსიტყვოდ, ყოველგვარი შეპასუხებისა და კრიტიკის გარეშე მორჩილებაზე, შემდეგ ხდება ობიექტში წარმოსახვითი მოლოდინების გაღვივება-კულტივირება, კონკრეტული შეგრძნებების და წარმოსახვითი სურათების შეთავაზება და ჰიპნოზიორისთვის სასურველი აზრების შთაგონება. ამასთან, ზოგიერთი

ჰიპნოზიორი იყენებს აგრეთვე - შუბლზე ხელის დადების და ბრძანებითი ფორმით სიტყვების წარმოთქმის ტექნიკას ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების სხვა გამლიზიანებლებს.

ჰიპნოზი და სასწაულები – მეცნიერებს სჯერათ, რომ ადამიანების განკურნებასთან დაკავშირებული რელიგიური სასწაულები სინამდვილეში არის ადამიანში მიმდინარე ფსიქიკური და ფსიქოლოგიური პროცესების შედეგი და მას საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს ზებუნებრივ ძალებთან. კერძოდ, ავადმყოფების „სასწაულებრივი“ განკურნება ხდება ჰიპნოზის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიც არის მაგალითად **მენტორზე მთლიანად მინდობა**, მისი მხრიდან **შთაგონება**, **შემდეგ თვით-შთაგონება და ე.წ. „სასწაულის მოლოდინი“**. ამ მდგომარეობას ემატება ასევე ნერვული სისტემის/ნერვული უჯრედების ისეთ გამლიზიანებლებზე ზემოქმედება, როგორიც არის მაგალითად - **მულდონგლად მბრძანებლური ტონით ხმამალალი შეძახილი - შენ განიკურნე, შენ კარგად ხედავ, შენ ჯანმრთელი და ძლიერი ხარ, შენ ბედნიერი ხარ და ა.შ.** ე.ი. მეცნიერები არ უარყოფენ რელიგიურ სასწაულებს და მას ადამიანის „შთაგონების ძალას“ ანუ რწმენას უკავშირებენ. მათ მიაჩნიათ, რომ იგივეს გაკეთება ჰიპნოზსაც შეუძლია და რელიგია აქ არაფერ შეუაშია. ამის დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ უამრავი განკურნებული ადამიანის მაგალითი. თუმცა, ისინი იმასაც მკაფიოდ აღნიშნავენ, რომ ჰიპნოზის გამოყენებით შესაძლებელია მხოლოდ ფსიქო-ნერვული დაავადებების მკურნალობა, ხოლო სხვა დაავადებებს ვერც ჰიპნოზი და ვერც ე.წ. „რელიგიური სასწაულები“ ვერ უშველისო. მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ასევე ფაკირი იოგების შესაძლებლობებს და მოკლედ რომ ვთქვათ, მასაც თვითჰიპნოზის (თვითშთაგონების) მდგომარეობით ხსნიან.

შეჯამება და ჩემი აზრი – თუ კიდევ ერთხელ გადავხედავთ ჰიპნოზთან დაკავშირებით მეცნიერული შეხედულებების განვითარების ქრონოლოგიას, ადვილად მივხვდებით, რომ თანამედროვე მეცნიერება მთლიანად ეყრდნობა კაცობრიობის რელიგიურ, ოკულტურ თუ მისტიკურ გამოცდილებას. ადამიანის ჰიპნოზური მდგომარეობის შესახებ ცოდნა მათ მოიპოვეს სწორედ უძველესი მისტიკური წყაროებიდან და ადამიანთა საუკუნოვანი ტრადი-

ციებიდან. შემდეგ მათ უფრო კარგად გამოკვეთეს, დახვეწეს და კიდევ უფრო განავითარეს ჰიპნოზის შესახებ ცოდნა და მისი შესაძლებლობები. თუმცა, სინამდვილეში მათ ბოლომდე მაინც ვერ ამოხსნეს ადამიანის ტვინისა და გონების შესაძლებლობები, ვერ დაადგინეს ასევე ვერც ჰიპნოზისა და შთაგონების წარმოშობის ფიზიოლოგიური მექანიზმები. მაგრამ, ზოგიერთი კვლევის ამკარა ტენდენციურობის მიუხედავად, მე ნამდვილად ვერ დავუპირისპირდები სამეცნიერო მიღწევებს და მიმაჩნია, რომ ეს მიღწევები საერთოდ არ ეწინააღმდეგება რელიგიას. ამ სამეცნიერო გამოკვლევებიდან ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ის მომენტი, რომ თანამედროვე მეცნიერება არ უარყოფს „შთაგონებით“ ანუ „რწმენის ძალით“ ადამიანების განკურნების შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ რწმენას ნამდვილად აქვს ადამიანების რეალურად განკურნების უნარი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეჭვი არ უნდა შევიტანოთ სახარებისეული გადმოცემების სისწორესა და ჭეშმარიტებაში. აქვე დავამატებ იმასაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება სკეპტიკურად უყურებს „შთაგონების“ ანუ რწმენის ძალით არაფსიქო-ნერვული დაავადებების განკურნებას, სინამდვილეში ეს შესაძლებელია – რელიგიური რწმენის შემთხვევაში ადამიანები ასეთი „უკურნებელი“ დაავადებებისგანაც იკურნებიან და ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი არსებობს (ონკო-პაციენტებთან თუ სხვა მძიმე დაავადებების მქონე პირებთან დაკავშირებით). რაც შეეხება მეცნიერების შეხედულებას სხვა სასწაულებთან დაკავშირებით - ისინი ამას სერიოზულად არც განიხილავენ და ჩვეულებრივ თაღლითობად და შარლატანობად თვლიან. რა თქმა უნდა ასეთი პოზიცია მომგებიანია მათთვის, ვისაც დასმულ კითხვებზე პასუხები არ გააჩნია. და ბოლოს იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, რელიგია და რწმენა იმდენად დიდი სფეროა, რომ შეუძლებელია ათეისტური იდეოლოგიით გაჟღენთილმა მეცნიერებამ სრულად დაფაროს და ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა კითხვას.

12. ქრისტიანობა და იუდაიზმი

ქრისტიანობა აბრამისტული რელიგიების ერთ-ერთ სახეობა, და ეფუძნება იუდაისტურ რელიგიას, თუმცა იმავდროულად გვაძლევს ახალ/განახლებულ რელიგიურ ცოდნას და სწავლებას. კერძოდ, ამ ორი რელიგიისთვის საერთოა – ძველი აღთქმა, მათ შორის - ბიბლიური ისტორია, 10 მცნება, ძველი აღთქმის წმინდანები და წინასწარმეტყველებები, ლოცვები, ფსალმუნები და ა.შ. ხოლო ძირითადი განსხვავება კი მდგომარეობს – **ა) ღმერთის არსში და ბ) რჯულის საკითხებში**, კერძოდ:

ა) იუდეველები არ ცნობენ წმინდა სამებას – მამას, ძეს და სულიწმინდას. მათთვის არსებობს მხოლოდ მამა ღმერთი და არ აღიარებენ იესოს, როგორც ღმერთის მხოლოდშობილ ძეს. ანუ იუდეველებისთვის იესო ქრისტე არ იყო მესია და **ისინი კვლავ მოელიან საკუთარ მესიას, რომელიც მათი წარმოდგენით უნდა იყოს „ხილული ძალაუფლების მქონე ძლიერმოხილული ხელმწიფე“**, რომელიც ერთპიროვნულად მართავს მსოფლიოს ქვეყნებს და ერებს. **იესო ამბობდა, რომ ჩემი ძალაუფლება ამ ქვეყნის არ არის**. ანუ ის ამქვეყნიურ ძალაუფლებას არაფრად (დროებითად და წარმავლად) თვლიდა და **გვაჩვენებდა უფლის ნამდვილ უხილავ და მარადიულ ძალაუფლებას**. მან ადამიანთა გულები სწორედ ამ უხილავი ძალაუფლებით დაიპყრო და კაცობრიობას დაუტოვა სიყვარულის და თანადგომის სწავლება. სხვა რელიგიური ლიდერებისგან განსხვავებით იესოს ნამდვილად არ ჰქონდა არანაირი ამქვეყნიური ძალაუფლება, მაგრამ შთამბეჭდავია მისი რელიგიის გავრცელების ფორმაცა (მონამეობრივი გზა) და მასშტაბებიც. ქრისტიანობა დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი რელიგიაა. ამრიგად, კიდევ ერთხელ დაგვბრუნდები მესიის ვინაობის საკითხს, რომელიც ყველაზე მწვავედ დგას ამ ორ რელიგიას შორის. **იუდეველები კვლავ მოელიან ძლიერმოხილულ მესიას, ხოლო ქრისტიანები - ანტიქრისტეს**, რაც მათ შორის არსებითად შეუთავსებლობის საფუძველი არის.

და მაინც, საინტერესოა, რას ამბობენ და როგორ აფასებენ იუდეველები იესო ქრისტეს პიროვნებას. **იუდეველების რელიგია**

საერთოდ უარყოფს იესო ქრისტეს არსებობას და თვლის, რომ მისი ამბავი გამოგონილია და შედგება სხვადასხვა დროს მოღვაწე ადამიანთა ცხოვრებისგან. თუმცა, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დანამდვილებით ვიცით, რომ იესო ნამდვილად არსებობდა და ქრისტიანობა სწორედ პირველი საუკუნიდან ვრცელდებოდა მთელს მსოფლიოში (ამას ადასტურებს არა მხოლოდ პირველ საუკუნეშივე შედგენილი 4 სახარება და ეპისტოლეები, არამედ იუდეველი - იოსებ ფლავიუსის, რომაელების - კლრნელი ტაციტის, გაიუს ტრანკვილის და რომის იმპერატორ ტრაიანეს, ბერძენი ლუკიანეს, სირიელი მარა ბარ სერაპიონის წერილები და სხვა ისტორიული წყაროები, რომლებიც იმავედროულად ადასტურებენ ასევე იესოს ჯვარცმასაც). პირველი ქრისტიანებიც სწორედ ებრაელები იყვნენ, მაგრამ იუდეაში/ისრაელში ქრისტიანობამ ფეხი ვერ მოიკიდა იმის გამო, რომ ისინი განიცდიდნენ იუდეველი მღვდელმთავრების მხრიდან სასტიკ დევნას და შევიწროებას. მათ იესო რომაელებს გადასცეს განსასჯელად, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, უფრო ზუსტად კი ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს ისრაელის სახელმწიფომ ისევ რომაელთა ხელით დაასრულა არსებობა. რომაელებმა საძირკვლიანად დაანგრიეს სოლომონის ტაძარი (ეძებდნენ რა გადამალულ განძს) და იუდეის/ისრაელის სახელმწიფოს კვალის ნაშლის მიზნით ამ ტერიტორიაზე შექმნეს ახალი – სირია-პალესტინის სახელმწიფო, იერუსალიმს კი – „ელია კაპიტოლინა“ უწოდეს. შემდეგ წლებში და საუკუნეებში, ქრისტიანების წინააღმდეგ გაერთიანებულ იუდეველებს და რომის იმპერატორებს ბევრჯერ ჰქონდათ სოლომონის ტაძრის აღდგენის მცდელობა, თუმცა მათი ყველა მცდელობა რატომღაც წარუმატებლად მთავრდებოდა. ამ ამბებიდან უკვე 20 საუკუნე გავიდა, მაგრამ ისინი მაინც ვერ მიხვდნენ თუ რატომ დაედოთ ესეთი მძიმე სასჯელი, სამწუხაროდ - მათ ვერ შეიცნეს მესია. ამ ისტორიის გაცნობის შემდეგ უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ მაღავენ ისინი საგულდაგულოდ იესო ქრისტეს შესახებ ისტორიას. სხვათაშორის, იესოს არარსებობის იდეა თან გასდევს მთელ ათეისტურ იდეოლოგიას და მეცნიერებას, რომელთა სათავეში მათ შორის იუდეველი მეცნიერებიც იდგნენ;

ბ) ამ ორ რელიგიას შორის არსებობს დიდი განსხვავება მოსეს რჯულთან დაკავშირებითაც, რომელიც იმ დროისთვის გამოხატული იყო უფრო „გარეგნული მსახურების“ ჩატარებით – გარკვეული საკვების აკრძალვით, წინდაცვეთით, დამნაშვეთა მიმართ შურისძიებით, ცხოველთა მსხვერპლშენივით და სისხლის პკურების გზით ცოდვების მიტევებით და ა.შ. ქრისტიანობამ მოსეს რჯულის ნაწილი, ანუ „გარეგნული მსახურება“ რწმენით ჩაანაცვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობამ „გარეგნულ მსახურებაზე“ უფრო წინ დააყენა ადამიანის შინაგანი სამყარო (სულიერი სისუფთავე) და რწმენა, რომლითაც ჩვენ ვუახლოვდებით უფალს. ქრისტიანობა თვლის რომ – წინდაცვეთა, ცხოველთა მსხვერპლშენივრა, სისხლის დაპკურება ან სხვა ამგვარი გარეგნული მსახურება ვერ აღწევს ადამიანის შიგნით, ვერ ცვლის მის შინაგან სამყაროს და ვერ განმწმენდს მას, თუ ადამიანმა თვითონ არ მოინდომა საკუთარი თავის შეცვლა, ცოდვების მონანიება და პატიება. აქედან გამომდინარე, ქრისტიანობამ კი არ გააუქმა მოსეს რჯული, არამედ ხელუხლებელი (ალუსრულებელი) დატოვა ყველა გარეგანი მსახურების რიტუალი და ადამიანის განსაწმენდად დაამკვიდრა ახალი (ანუ განახლებული) წესები - უსისხლო მსხვერპლშენივრა (ლოცვა და მსახურება), მიტევება, მონანიება, ზიარება, ნათლისღება და ა.შ., რომელიც უფრო ღრმად აღწევს ადამიანის შინაგან სამყაროში და მთლიანად ცვლის მას. სწორედ რელიგიის ამგვარ განახლებას გულისხმობდა სიტყვები: „ახალი აღთქმა“, რომლის დადგენასაც (ანუ გულში ჩადებას) შეკპირდა ღმერთი ებრაელ ხალხს ჯერ კიდევ „ძველ აღთქმაში“ იერემია წინასწარმეტყველის პირით (31:30-33).

რჯულის მიმდევრები ქრისტიანებს ადანაშაულებენ იმაში, რომ რჯულის შეცვლა თვითონ ქრისტეს არ მოუთხოვიაო. იესო ამბობდა, რომ მე არა რჯულის შესაცვლელად, არამედ მის აღსასრულებლად მოვედიო. მაგრამ ქრისტიანები თვლიან, რომ რჯულის აღსრულება უნდა მოხდეს არა გარეგნული, არამედ შინაგანი მსახურებით (რწმენით) ანუ უსისხლო მსხვერპლშენივრით, რომელსაც ადამიანის განმწმენდელი ძალა აქვს. სახარებაში ჩვენ ვერსად ვნახავთ იესოს მიერ რჯულის გარეგნული მსახურების ამსახველ სურათს, უფრო პირიქით – ის შაბათ დღეს კურნავს ადამი-

ანს, პურს ჭამს ცოდვილებთან, სტუმრობს მეზაჟეს, ესაუბრება სამართლებელ ქალს, საუბრობს აკრძალულ საკვებზე, (რომ საკვები ვი არ აბინძურებს ადამიანის სულს (ანუ ის რაც ჩადის მასში), არამედ ის რაც მისგან გამოდის (სიტყვა და მოქმედება)), ქვებით ჩაქოლვისაგან იხსნის მეძაგ ქალს, შურისძიების ნაცვლად ქადაგებს შენდობას და ა.შ.. აქ ჩამოთვლილი მოქმედებები რა თქმა უნდა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა რჯულის გარეგნულ წესებს, **თუმცა რჯულის ის წესები (10 მცნება, ლოცვა, მსახურება, რწმენა და სხვ.), რომლებიც რეალურად ცვლის ადამიანის შინაგან სამყაროს, განწმენდს და აახლოვებს მას ღმერთთან, კვლავაც უცვლელი დარჩა.** ამიტომაც, თქვა იესომ, რომ ის რჯულის აღსასრულებლად მოვიდა, რაშიც **ის გულისხმობდა რჯულის სწორად ანუ რწმენით აღსრულებას.** რჯული, რომლის აღსრულებამაც საუბრობდა იესო, გულისხმობდა მათ შორის იუდეველების მიერ - წელიწადში ერთხელ **„უმსხვერპლო მსხვერპლშენიღვასაც“**, ასევე **„განბანვის რიტუალსაც“ (რაც ნათლისღების წინა სახეა).** რაც ძალიან ახლოს არის ქრისტიანობასთან. მსხვერპლშენიღვის შესახებ ძველ აღთქმაში თითონ ღმერთი ამბობს - **რათ მინდა თქვენი შესაწირი, ყველა ცხოველი და ყოველი არსება ხომ მე შეკუთვინის.** ამით უფალი ითხოვს ადამიანის არა გარეგნულ, არამედ შინაგან სინამდის და სისუფთავს. როგორც ჩანს, თავის დროზე, იმ დროინდელი ხალხებისთვის ცხოველთა მსხვერპლშენიღვა იყო უფალთან მიახლოების და დაკავშირების ერთ-ერთი გზა, ვინაიდან ამით ისინი საკუთარი თავისთვის ყველაზე ძვირფასს და სანუკვარს (ანუ საარსებო წყაროს – საკვებს) იკლვებდნენ და გამოხატავდნენ ღმერთის უზენაესობას და აღმატებულობას. მაგრამ კაცთმოყვარე ღმერთისთვის ეს რა თქმა უნდა არ იყო საკმარისი ადამიანის სულიერად ამაღლების და რწმენაში განმტკიცებისთვის. რჯულისა და რწმენის საკითხები კიდევ უფრო კარგად არის ახსნილი და განიხილული უშუალოდ პავლე მოციქულის **ეპისტოლეში „ებრაელთა მიმართ“**. ამრიგად, რელიგიური საკითხებისადმი ასეთი მიდგომით, იესოს მოძღვრებამ მთლიანად შეცვალა კაცობრიობის ამროვნება, საფუძვლიანად გადააფასა მისი ღირებულებები და ხელი შეუწყო ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებზე დაფუძნებული მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მიუხედავად იმისა, რომ იუდეველები ოფიციალურად უარყოფენ ქრისტეს არსებობის ფაქტს, ისინი მაინც გვერდს ვერ უვლიან მის პიროვნებას. მათ კარგად ესმით მთელს მსოფლიოში ასეთი გამორჩეული და განუმეორებელი ადამიანის გავლენის მასშტაბები. ამიტომ, იძულებულნი არიან საკუთარი თავის დაცვისა და თან იესოს პიროვნების გაფერმკრთალების მიზნით, საკუთარი მრწამსისვე საწინააღმდეგოდ ზოგიერთი წარმომადგენლის პირით განაცხადონ, რომ იესოს ძველი აღთქმის წმინდანებისგან განსხვავებული ახალი არაფერი უთქვამს და ახალი ქადაგება მას არ ჰქონიათ. რა თქმა უნდა ეს არ არის სწორი, ვინაიდან ქრისტიანობამ:

1. პირველ რიგში შეცვალა წარმოდგენა თვითონ ღმერთზე – თუ ძველი აღთქმის მიხედვით ადამიანებს ღმერთი უფრო მრისხანე და შურისმაძიებელი ეგონათ, ახალ აღთქმაში კიდევ უფრო კარგად წარმოჩინდა ღმერთის არსი და მისი ნამდვილი ბუნება და ის უკვე უზომოდ მოსიყვარულე, სამართლიანი და მიმტევებელი ჩანს;

2. ქრისტიანობამ სისხლისმიერი მსხვერპლშენიშვნა - უსისხლო საეკლესიო წირვით შეცვალა;

3. რჯულისმიერი შურისძიება – მიტევებით და მტერთა სიყვარულით შეცვალა;

4. წინდაცვეთა – ნათლისღებით შეცვალა, ასევე დააწესა აღსარება, ზიარება და სხვა რიტუალები;

5. რჯულით აკრძალული საკვები აკურთხა და გააუქმა აკრძალვები;

6. რჯულის გარეგნული წესები – რწმენის ძალით ჩაანაცვლა;

7. გარეგანზე მეტად – ადამიანის შინაგანი სულიერი სისუფთავე დააყენა;

8. ადამიანის უკვდავი სულის, ასევე სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ გვამცნო, ხოლო იუდაიზმის მიხედვით სამოთხე და ჯოჯოხეთი ჯერ არსებობს და ის მხოლოდ მკვდართა საყოველთაო აღდგომის შემდეგ შეიქმნება.

13. ქრისტიანობა და ისლამი

ისლამი არის აბრამისტული რელიგიის ერთ-ერთი სახეობა. ის ეფუძნება იუდაიზმსა და ქრისტიანობას, თუმცა ქმნის ახალ და განსხვავებულ რელიგიას. ისლამი, თავისი შინაარსით უფრო ახლოს დგას იუდაიზმთან, ვინაიდან ის ღმერთად თვლის მხოლოდ მამა ღმერთს და მისდევს მოსეს სჯულს. შესაბამისად, ისლამისთვის მისაღებია სისხლით მსხვერპლშეწირვა, წინდაცვეთა, გარკვეული საკვების აკრძალვა და ა.შ. თუმცა, ბევრიც თვლის, რომ ისლამი უფრო ახლოს დგას ქრისტიანობასთან, ვინაიდან ცნობს და აღიარებს იესო ქრისტეს პიროვნებას.

რაც შეეხება ქრისტიანობასთან კავშირს, ისლამი აღიარებს – იესო ქრისტეს როგორც სასწაულმოქმედს და წინასწარმეტყველს (ყურანში მას „ისა წინასწარმეტყველი“ ეწოდება). ქალწული მარიამისგან იესოს სასწაულებრივ შობას, ამალლებას, მომავალში მის მეორედ მოსვლას და კაცობრიობის განკითხვას (განსჯას), აღიარებს ასევე სულის უკვდავებას, სამოთხეს და ჯოჯობეთს, მაგრამ არ აღიარებს – წმინდა სამებას, იესოს ჯვარცმას, აღდგომას, ნათლისღებას და საერთოდ ეს რელიგია იესოს ცხოვრების შესახებ სრულიად განსხვავებულ და არასახარებისეულ ვერსიას გვთავაზობს. ყურანი ამბობს, რომ იესო არ მომკვდარა, ის ამალოდა გეცად და მისი მეორედ მოსვლის ჟამს უფალი მისი ხელით განსჯის სამყაროს. შესაბამისად, ყურანში საერთოდ არაფერია ნახსენები იესოს ჯვარცმისა და მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ. არადა, ეს საკითხი ქრისტიანობის მთავარი ქვაკუთხედიანია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამის დასადასტურებლად მუსულმანები ვერცერთ წყაროს ვერ ასახელებენ და მტკიცებულებად მოჰყავთ ისევ მე-7 საუკუნეში დაწერილი – ყურანი. საპირისპირო კი მტკიცდება უამრავი ისტორიული წყაროთი – პირველივე საუკუნეში შედგენილი 4 სახარებით და შემდეგ – იუდეველ იოსებ ფლავიუსის, რომაელების – კორნელი ტაციტის, გაიუს ტრანკვილიუსის და რომის იმპერატორ ტრაიანუს, ბერძენი ლუკიანუს, სირიელი მარაბარ სერაპიონის და სხვა წყაროებით, რომლებიც იმავედროულ-

ად ადასტურებენ ასევე იესოს ჯვარცმის ფაქტსაც. უფრო მეტიც, მეცნიერებში არავითარ ეჭვს არ იწვევს ასევე იესოს საფლავის არსებობა, სადაც დაასვენეს ჯვარცმული მაცხოვარი, აღმოჩენილია ასევე ჯვარი, (რომელზეც გააკრეს იესო) და სხვა არტეფაქტები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სახარებაში მოთხრობილი ისტორიის სრულ ჭეშმარიტებას.

მიუხედავად იმისა, რომ ყურანში უფრო მეტჯერ არის ნახსენები იესო ქრისტე, ვიდრე მუჰამედი, ისლამისთვის მესიად მაინც წინასწარმეტყველი მუჰამედი ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ ისლამში მექანიკურად აერთიანებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის ელემენტებს და თითქოს იმავდროულად გვევლინება კიდევ ამ ორ რელიგიას შორის დამაკავშირებელ ერთგვარ ხილად. ამ გზით ის საკუთარ რიგებში იზიდავს იუდეველებსაც და ქრისტიანებსაც და თავის მხრივ, ქმნის ახალ, მზარდ ძალაუფლებამე დამყარებულ რელიგიას. ისლამის ძირითადი სახელმძღვანელო წიგნია ყურანი, რომელიც მუჰამედის გარდაცვალებიდან დაახლოებით 23 წლის შემდეგ შეიქმნა. რელიგიური დატვირთვის და შინაარსის მქონე ჩანაწერების გარდა ეს წიგნი შეიცავს ასევე – ომის (ანუ ბრძოლების) წარმოების, მართლმსაჯულების, მრავალცოლიანობის მართვის და სხვა არარელიგიური ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს. აქედან გამომდინარე, ეს წიგნი რელიგიურთან ერთად იმავდროულად ითვლება ასევე ისლამური სამართლის მთავარ წყაროდ.

მუსულმანები ისლამს „ყველაზე მშვიდობიან რელიგიას“ უწოდებენ, თუმცა არსებობს მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებებიც. მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მისი მიმდევრები თავს ესხმიან განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებს, სასტიკად უსწორდებიან ისლამის კრიტიკოსებს, სიკვდილით სჯიან სხვა სარწმუნოებაზე გადასულ პირებს და ა.შ. ამბობენ, რომ ის განსაკუთრებით მკაცრად ექცევა იუდეველებს და ქრისტიანებს, ვინაიდან მათ არ ირწმუნეს მუჰამედის და არ გაჰყვნენ მას „სალვით ბრძოლებში“ (ამის შესახებ მოთხრობილია ყურანში – სურა 9). გულახდილად რომ ვთქვათ, აღამიანების უმრავლესობამ რეალურად არც არაფერი იცის ამ რელიგიის ნამდვილი არსის შესახებ, ვინაიდან ისლამის მიმდევრები ვერ იტანენ კრიტიკას და

შურისძიებით ემუქრებიან ყველა ასეთ ადამიანს. ამასთან, გაუგებრობას და ურთიერთგანსხვავებულ ინტერპრეტირებას იწვევს თვითონ მუსულმანებისთვის წმინდა წიგნის „ყურანის“ ზოგიერთი ჩანაწერიც. დასამალი არ არის, რომ ის პირდაპირ შეიცავს ძალადობისა და მკვლელობისკენ მოწოდებებს, თუმცა ამაზე მუსულმანები ამბობენ, რომ ასეთი ჩანაწერები არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით და რომ თითოეულ ჩანაწერს თავისი ისტორიული წინაპირობები ჰქონდა. ამ რელიგიის პატივისცემის ნიშნად, მეც მოვერიდები მის კრიტიკულ შეფასებას, მაგრამ უფრო მეტი თვალსაჩინოებისა და განსჯისთვის მოვიყვან რამდენიმე მითითებას ამ წიგნიდან:

ა) მუსულმანების წინააღმდეგ მებრძოლთა და განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების წინააღმდეგ ომის წარმოებისა და ადამიანების მოკვლის შესახებ პირდაპირ ჩანაწერებს შეიცავს: სურა 2: 190-193, 216-218; სურა 4: 84, 89, 91, 92, 95, 104; სურა 5:33; სურა 8: 13-17, 38-39, 41-42; სურა 9: 5, 29,73,123; სურა 15: 74, 79;

ბ) ურჩი ცოლების მსუბუქად ცემის უფლებას იძლევა – სურა 4:34;

გ) სასჯელის სახით განკეპვის (სურა: 24:2), ასევე ხელის მოკვეთის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა: სურა 5 – 38, 39, 45;

დ) ბრძოლების შედეგად მოპოვებული ალაფის დაუფლებისა და ნადავლის გაყოფის წესებს შეიცავს - სურა 8:41;

ე) ტყვედ ჩაგარდნილ ქალებთან სქესობრივი კავშირის დამყარების თავისუფლებას იძლევა: სურა 33 – 50-52, 55).

არ ვიცი, შეიძლება მართლაც არსებობდეს ამ ჩანაწერების განსხვავებული განმარტებაც, მაგრამ ერთი უდავო ფაქტია, რომ მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა შემდგომში საფუძველი ჩაუყარეს არაბთა ძლევამოსილი იმპერიის (ისლამური ხალიფატის) შექმნას, რომელიც აწარმოებდა დაპყრობით ომებს და ძალით ავრცელებდა ისლამს. აქ შეიძლება შეგვეკამათონ ოპონენტები და მიგვითითონ ჯვაროსნულ ომებზე ან ქრისტიანობის სახელით ჩადენილ სხვა ძალადობის ფაქტებზე, რომლებიც ნამდვილად მრავლად გვხვდება ისტორიაში. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ უშუალოდ ქრისტიანული მოძღვრება („სახარება“)

„ყურანისგან“ განსხვავებით არ შეიცავს ძალადობისკენ მოწოდებებს თუ მსგავს ჩანაწერებს. პირიქით, ის კრძალავს ყოველგვარ ძალადობას და ადამიანის მოკვლას არ ამართლებს მათ შორის არც ქრისტიანობის გავრცელების საბაბით. ისტორიიდან ისიც ცნობილია, რომ V საუკუნემდე (ანუ სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე), ქრისტიანობა ვრცელდებოდა მხოლოდ ქადაგებითა და მისი მიმდევრების მოწამეობრივი გზით, ხოლო ისლამისთვის თავიდანვე დასაშვები და გამართლებული იყო ამ რელიგიის ძალადობრივი გზით გავრცელების ფორმაც. ამის კლასიკური მაგალითი იყო თუნდაც საქართველო, რომელსაც არაბები 3 საუკუნის განმავლობაში მართავდნენ. გვახსოვს ასევე **არაბი აბო**, რომელსაც ისლამის უარყოფის და ქრისტიანობის მიღების გამო თავი მოჰკვეთეს და შემდეგ დაწვეს მისი სხეული. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი მეტეხის ხიდთან, მისი თავის კვეთის ადგილზე მცირე სამლოცველო ააგო, ის თბილისის მფარველად და ქრისტესთვის წამებულად წმინდანად შერაცხა და **„აბო თბილელი“** უწოდა.

ისლამის, როგორც რელიგიის უკეთესად გააზრებისთვის საინტერესო იქნება, ასევე **ერთმანეთს შეგადართო იესო ქრისტეს და მუჰამედის პერსონაჟები:**

1. იესო ქალწული მარიამისაგან იშვა, ხოლო მუჰამედს ორივე მშობელი ჰყავდა;
2. იესო ქრისტეს არ ჰყავდა არც ცოლი და არც შვილები, ხოლო მუჰამედს ერთი ვერსიით 13, ხოლო მეორე ვერსიით 26 ცოლი ჰყავდა. აქედან ერთ-ერთი ცოლი სახელად „აიშა“ მხოლოდ 9 წლის, ხოლო სხვა ვერსიით 15 წლის იყო. მუჰამედს სულ 3 შვილი ჰყავდა;
3. იესო ქრისტე იყო ღარიბი და უქონელი, ხოლო მუჰამედი მდიდარი და შეძლებული;
4. იესო ქრისტეს არავითარი ამქვეყნიური ძალაუფლება არ ჰქონდა, ხოლო მუჰამედი იყო ჯერ გავლენიანი ვაჭარი და შემდეგ არაბეთის ძლევამოსილი ერთპიროვნული მმართველი;

5. იესო ქრისტეს არ ჰყავდა მონები, მუჰამედს კი ჰყავდა;
6. იესო ქრისტეს არავინ მოუკლავს, ხოლო მუჰამედი პირადად აწარმოებდა დაპყრობით ომებს, მეთაურობდა ჯარს და თავისი ხელით კაციც ჰყავდა მოკლული;
7. იესო ქრისტე მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა, მკვდრეთით აღდგა და გეცად ამაღლდა, ხოლო მუჰამედი 45 წლის ასაკში ავადმყოფობით გარდაიცვალა და მისი ცხედარი მექაშია დაკრძალული.

14. ქრისტიანობა და ინდუიზმი

ინდუიზმის მნიშვნელობა

ინდუიზმი, ანუ ძველი სახელწოდებით – „სამატანა“ – არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი რელიგია. ის ითვლება არამონოთეისტურ რელიგიად, რომელიც აღიარებს მრავალღმერთიანობას. მიუხედავად ამისა, ინდუიზმში ყველაფრის საწყისად და შემოქმედად ითვლება ერთი ღმერთი – „ბრაჰმა“. ის ითვლება სამყაროს შემოქმედად, სამყაროს გონებად, კოსმიურ ძალად და ა.შ. ინდუისტური მოძღვრების მიხედვით, მან თავისი სხეულის ნაწილებიდან შექმნა ღმერთები და ბოროტი ძალები და მათთან ერთად ცხოვრობდა ცაში და დედამიწაზე. მას ჰყავდა ცოლი და შვილები. მანვე შექმნა ღმერთები – ვიშნუ და შივა. ამასთან, ვიშნუ ითვლება მშვიდობის, წესრიგის და სამყაროს გადამრჩენელ ღმერთად, ხოლო შივა განასახიერებს – თავისუფლების, თვითგანვითარების და დამანგრეველ ღმერთს.

გარდა ამისა, ინდუისტები აღმერთებენ ასევე ცხოველებს (მაგ., ძროხებს, ხარებს და ა.შ.) და ღმერთებად თვლიან ასევე ღმერთებისგან გამოგზავნილ „ავატარებს“ - კრიშნას, რამას, ბუდას და ა.შ., რომლებიც დედამიწაზე ამარცხებდნენ ბოროტ მმართველებს და ამყარებდნენ სამართლიანობას, სიკეთეს და მშვიდობას. როგორც წესი, ეს ავატარები იყვნენ ქვეყნის ძლევა მოსილი მმართველები. მათ ჰყავდათ ათასობით ცოლი და აწარმოებდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლებს. ამ ავატარებისგან განსხვავებული ისტორია აქვს ბუდას, რომელიც მართალია იყო ერთ-ერთი პროვინციის მეფის შვილი, მაგრამ მან ყველაფერი მიატოვა (საკუთარი ცოლ-შვილიც კი), დაიწყო ჭეშმარიტების ძიება, ასკეტური ცხოვრება და გადაწყვიტა მედიტაციის გზით სრულყოფილების მიღწევა. ინდუისტური გაგებით, მან მიაღწია უმაღლეს სრულყოფილებას - სამათხის (ანუ ფიზიკურად გაბრწყინდა, გამოიღვიძა, გაასხენდა თუ ვინ იყო ის წინა ცხოვრებაში და ა.შ.). ბუდა ითვლება ინდუისტური სრულყოფის ე.წ. შუალედური (მსუბუქი) გზის ფუძემდებლად. ის ამბობდა, რომ ადამიანი ჭეშმარიტებამდე მიჰყავს არა რადიკალურ ასკეტიზმს (რის გამოც ის კინალამ დაიღუპა),

არამედ „შუალედურ გზას“. ამაში ის გულისხმობდა ზომიერების დაცვას - ცხოვრებისეულ საზრუნავსა და მედიტაციას შორის, ანუ მათ შორის ბალანსის დაცვას. მისთვის ღმერთის არსებობა - არ-არსებობის საკითხი არ იყო მნიშვნელოვანი. ზოგჯერ ის იმასაც ამბობდა, რომ ღმერთი არ არსებობსო, მაგრამ შემდეგ ის მიხვდა, რომ ამ ნათქვამს მოსახლეობაში უნესრიგობა და ძალადობა მოჰყვა. ღმერთის არსებობა არარსებობაზე უფრო მნიშვნელოვანი მისთვის იყო ადამიანის ტანჯვისგან გათავისუფლება, გამოღვიძება, გაცნობიერებულობა და პიროვნული განვითარება, ანუ ინდუისტური ე.წ. „სანსარის“ წრიდან გამოსვლა და „სამათხის“ მიღწევა. ასეთი შეხედულებების გამო, ბუდიზმს იმავდროულად ყველაზე „ათეისტურ რელიგიასაც“ უწოდებენ .

ინდუიზმის მიხედვით, არსებობს ე.წ. „სანსარა“ (ერთგვარი „წრე“/„ბორბალი“), რომელიც შედგება ღვთაებრივი, მატერიალური სამყაროს და სხვა განზომილებებისგან. ცოცხალი სულები კი მუდმივად ტრიალებენ ამ განზომილებებში (ანუ ერთი მდგომარეობიდან გადადიან მეორეში და საბოლოო ჯამში ტრიალებენ ერთი და იგივე წრეზე) და მხოლოდ ადამიანად გახდომის შემდეგ ეძლევა სულს ამ წრიდან გამოსვლის შესაძლებლობა (განთავისუფლება). ინდუისტური რელიგიის უმთავრესი მიზანი არის სწორედ „სანსარის“ ამ ჯადოსნური წრიდან გამოსვლა და ღმერთთან (ანუ ბრაჰმასთან) შერწყმა. ამას ადამიანი აღწევს ე.წ. „სამათხის“ ანუ სრულყოფის/გასხივოსნების მიღწევის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის სული ბრუნდება ისევ სანსარის წრეზე და მოგვევლინება – სხვა ცოცხალ არსებად, მცენარედ ან ცხოველად (რეინკარნაცია).

ყველა აღმოსავლური მიმდინარეობა – ბუდიზმი, დაოიზმი, კრიშნაიზმი და ა.შ., ასევე მათი მიღწევის გზები – იოგა, ციგუნი და სხვა, ეფუძნება ინდუისტურ რელიგიას და ფილოსოფიას. ყველა ამ მიმდინარეობის სათავე და საბოლოო მიზანი არის სწორედ ინდუიზმი, რა დროსაც ადამიანები მედიტაციის გზით ცდილობენ მიიღონ ე.წ. „ცარიელი გონება“ და შეიგრძნონ „სამყაროს სიცარიელე“. ინდუისტური გაგებით ადამიანის პიროვნება არ არსებობს – მას აქვს ბუნებისგან შექმნილი სხეული და გონება, ხოლო სული კი არის ღმერთის (ბრაჰმას) ნაწილი. მათი აზრით, ყველა-

ნაირი ინდივიდუალიზმი არის ილუზია, რომელსაც რეალობასთან კავშირი არა აქვს. აქედან გამომდინარე, ინდუისტები თვლიან, რომ – ყველა გასხივოსნებული ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფის უმაღლეს მწვერვალს – „სამათხის“, გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა „სანსარის წრიდან“, მთლიანად დაკარგა თავისი ინდივიდუალიზმი (პიროვნულობა) და მთელი თავისი არსებით (სულით) შეერწყა ღმერთ-ბრაჰმას, ანუ - გახდა ღმერთის ნაწილი. შესაბამისად, მათ მიაჩნიათ, რომ გასხივოსნებულ ადამიანებს უკვე აღარ გააჩნიათ არანაირი პიროვნული ნიშანთვისება, ვინაიდან განხორციელდა მათი დეპერსონალიზაცია და აღარ არსებობს არც მათი პიროვნული სული.

ქრისტიანობის და ინდუიზმის შედარება

მსგავსება – ერთი შეხედვით არსებობს გარკვეული მსგავსება ამ ორ რელიგიას შორის, კერძოდ: **1) მსგავსება სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით**, ინდუიზმის მიხედვით, სამყარო შექმნა პირველსაწყისმა – ერთმა ღმერთმა ბრაჰმამ, რომელიც ითვლება სამყაროს გონებად და შემოქმედად; **2) ინდუიზმშიც არსებობს 3 ძირითადი ღმერთი (ტრიადა)** - ბრაჰმა, ვიშნუ და შივა, რომლებიც ერთად მართავენ სამყაროს; **3) ინდუსი ასკეტების ცხოვრება** წააგავს ქრისტიანულ ასკეტიზმს, ეს არის ყველანაირი ხორციელის უარყოფა და მხოლოდ საკუთარი სულის ხსნაზე ფიქრი; **4) წყალში განბანვის რიტუალი** ძალიან ჰგავს ნათლისღების რიტუალს; **5) ინდუისტურ/ბუდისტურ საკულტო ნაგებობებში გვხვდება ასევე - მარები, სანთლები, საკმეველები, ფრესკები და ქანდაკებები**; **6) ქრისტიანობის მსგავსად ინდუიზმის მთავარი მიზანი არის – ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობა და ღმერთთან კავშირი**.

განსხვავება - მიუხედავად ერთგვარი ფორმალური მსგავსებებისა, ინდუიზმსა და ქრისტიანობას შორის არსებობს ღრმა შინაარსობრივი განსხვავება: **1) პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ინდუიზმი ცხადია უარყოფს სამყაროს ბიბლიურ გაგებას** - ბიბლიურ ღმერთს, ანგელოზებს, ჯოჯოხეთს, სამათხის; **2) ინდუიზმი სინამდვილეში უარყოფს „ადამიანის გონებას“ (აზროვნებას)** და ვერ ხედავს მის საჭიროებას. ისინი ამბობენ, რომ ადამიანის გონება გვიანდელი ევოლუციის პროდუქტია და მასზე უფრო ძველია ად-

ადამიანის სხეულის მეხსიერება, რომელსაც აქვს სრული გენეტიკური ხაზი, რაც გამოუვლია ადამიანს თავისი პირველი წინაპრიდან დღემდე. შესაბამისად, ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ყველანაირი აზრისგან და იმოქმედოს მხოლოდ სპონტანური მოქმედებებითა და ინსტიქტებით, ანუ სხეულის გონებით. სწორედ ამიტომ მიისწრაფვიან ისინი ე.წ. „ცარიელი გონების“ მიღწევისკენ და „სამყაროს სიცარიელის შეგრძნებისკენ“. ქრისტიანობაში კი გონებას (აბროვნებას) განსაკუთრებული დატვირთვა აქვს – სული, გონების მეშვეობით მართავს სხეულს, უკავშირდება გარე სამყაროს და სწორედ მათი ერთიანობა ქმნის „სრულ ადამიანს“. შესაბამისად, ქრისტიანობა არ ებრძვის აზრებს და ფიქრებს (ზოგადად აბროვნებას), ის ებრძვის მხოლოდ ცოდვას და ვნებებს, რომელიც ამძიმებს და ღუპავს ადამიანის სულს. ქრისტიანობას კარგად ესმის, რომ ადამიანი უპირველესყოვლისა გონიერი არსებაა და დაფიქრების, აბროვნებისა და განსჯის გარეშე ის ვერ შეძლებს ვერც ღმერთის შემეცნებას; 3) ინდივიზმი მიმართულია საკუთარი პიროვნების სრული გაქრობისკენ (დეპერსონალიზაციისკენ) და ე.წ. კოსმიურ სულთან ღმერთ-ბრაჰმასთან შერწყმისკენ, ანუ გაღმერთებისკენ (ღმერთად გახდომისკენ). ასეთი მიდგომა არც არის გასაკვირი, ვინაიდან მათი რწმენით, ადამიანის ინდივიდუალიზმი არის სრული ილუზია – სხეულიცა და გონებაც ბუნების ნაწილია, სული კი ღმერთის, რომელიც „გასხივოსნების“ შემთხვევაში უბრუნდება და ერთიანდება ისევ ღმერთთან. ქრისტიანობა კი ამ საკითხს სრულიად განსხვავებულად უყურებს – ის ამბობს, რომ ადამიანის სხეული, გონებაცა და სულიც არის ღმერთის ქმნილება. შესაბამისად, ადამიანს აქვს თავისი უნიკალური და განუმეორებელი პიროვნულობა (ინდივიდუალიზმი), რომელიც არ არის ღმერთი. შესაბამისად, გარდაცვალების შემთხვევაში ადამიანის სული არ ხდება ღმერთი, ანუ არ უერთდება მას და სულიერ სამყაროში ის დაიძვინდრებს თავის ადგილს მისი ამქვეყნიური ცხოვრებას შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული ცხოვრების მთავარი ამრი არის საკუთარი პიროვნების, ანუ პიროვნული სულის ხსნა/გადარჩენა (სულის ცხოვნება) და არა მისი ნაშლა და გაქრობა; 4) ქრისტიანული გაგებით ადამიანის მთავარი მოწოდება და დანიშნულებაა – სიყვარული და სიკეთის კეთე-

ბა (თანადგომა, დახმარება, სიბრალული, მიტევება და ა.შ.). ამიტომაც ითვლება, ქრისტიანობა ყველაზე უფრო **კონტაქტურ და სოციალურ რელიგიად**, რომ მისი უმთავრესი მიზანი არის სწორედ ადამიანებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება და ამ გზით ღვთიური მაღლის მოპოვება. **ინდუიზმში კი ამას არა აქვს განსაკუთრებული დატვირთვა**, ვინაიდან მისი უმთავრესი მიზანი არის - ადამიანის „გასხივოსნება (სამათხის მიღწევა)“ და ღმერთთან (ბრაჰმასთან) შერწყმა, რაც ვერ მიიღწევა ლოცვისა (მანტრა) და მედიტაციის (ცარიელი გონების და სამყაროს სიცარიელის შეგრძნების) გარეშე. **ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ამყარებენ იმედებს, იციან რომ ეს გზა მხოლოდ მათი გასაგლეჯია და ამაში მათ ვერაფერს დაეხმარება**. ამიტომაც ისინი ფიქრობენ, რომ ადამიანთა თანადგომა, სიყვარული და სიკეთის კეთება მათი საბოლოო მიზნის მიღწევაზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს.

15. მედიტაცია და მედიტაციის პრობლემები

მედიტაცია

„მედიტაცია“ არის ინდუისტური რელიგიის სრულყოფის ერთ-ერთი გზა. მისი მიმდინარეობებია ინდური - იოგა და ჩინური - ციგუნი. ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია - ინდუისტური სრულყოფა - „სამათხის“ მიღწევა, ანუ „სანსარის“ წრიდან გამოსვლა და ღმერთთან (ბრაჰმასთან) შერწყმა/გალმერთება. მედიტაციის დროს სრულდება სპეციალური ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშები. ამასთან, იოგაში სუნთქვითი ვარჯიშები სრულდება გარკვეულ პოზებში, ხოლო ციგუნის დროს - მოძრაობაში. იოგასგან განსხვავებით ციგუნი იმავდროულად არის ჩინური საბრძოლო ხელოვნების - კუნგფუს განუყოფელი ნაწილიც, რომელიც ასწავლის ადამიანის ენერჯიების მართვასაც. იოგაში არსებობს ასევე სიკვდილის მედიტაციაც, როდესაც ადამიანები გვემავენ და შეგნებულად შედიან სიკვდილის მედიტაციაში.

ცნობილი იოგები (სადხგურუ) ამბობენ, რომ მედიტაცია არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი რჩება საკუთარ თავთან და აკვირდება მას. რეალურად კი ეს არის ერთგვარი ხიბლი, რის გამოც ადამიანი ინტერესდება მედიტაციით. თუმცა, სინამდვილეში მედიტაცია არ სჭერდება მხოლოდ ამ სიტყვებს და მიდის კიდევ უფრო შორს, რაც საბოლოო ჯამში მიმართულია - ადამიანის ყველანაირი აზრისგან განშენდისკენ, ე.წ. ცარიელი გონების მიღწევისკენ, სამყაროს სიცარიელის შეგრძნებისკენ და მატერიალური საჭიროებების უარყოფისკენ. ისინი ამბობენ, რომ ადამიანის გონება გვიანდელი ევოლუციის პროდუქტია და უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ სხეულის გონებას, რომელიც მათი აზრით უფრო მეტი ინფორმაციის მატარებელია და აქვს სრული გენეტიკური მესხიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს არ სჭირდება გონება, აზრები, ფიქრები და საერთოდ აზროვნება. ისინი დამაბრკოლებელია ადამიანის განვითარებისთვის და მათ ნაცვლად ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს სხეულის გონებით (სპონტანური მოქმედებებით და ინსტინქტებით). იოგები არ უარყოფენ, რომ მედიტაცია შლის ადამიანის პიროვნების (ინდივიდის საზღვრებს) და

ახდენს პირის დეპერსონალიზაციას. მათი ამრით, ადამიანის ინდივიდუალიზმში სრული ილუზიაა, ვინაიდან ადამიანის სხეული ეკუთვნის ბუნებას, ხოლო სული არის ღმერთის ნაწილი.

მედიტაციის პრობლემები

1) ზოგადად მედიტაცია ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში. არსებობს ძალიან ბევრი წიგნი, ფილმი, რეკლამა თუ სხვა საშუალება, რომლებიც აქტიურად იზიდავს და ხიბლავს საზოგადოებას. ჩემი ამრით, ამ შემთხვევაში უკვე პირველი პრობლემები ჩნდება ინსტრუქტორებთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ ეს დისციპლინები იმდენად სიღრმისეულია, რომ მისი არც ცოდნა და არც პრაქტიკული გამოცდილება მათ სინამდვილეში არ გააჩნიათ. ინსტრუქტორები მექანიკურად აკეთებინებენ მოსწავლეებს გარკვეულ ვარჯიშებს ისე, რომ არ უხსნიან ამ ვარჯიშების საბოლოო დანიშნულებას და მიზანს. მეტ წილ შემთხვევაში მათ თვითონ არ იციან ეს და გაუაზრებლად აკეთებინებენ მოწაფეებს იმას, რისი თეორიული ცოდნაც მათ არ გააჩნიათ. ვარჯიშების შედეგად მოწაფეებს უჩნდებათ მოჭარბებული და აქამდე მათთვის უცნობი ენერგიები. ისინი ხვდებიან, რომ მათ ორგანიზმში და სულიერ სამყაროში მიდის რაღაც პროცესები და საკუთარი ფანტაზიით ცდილობენ ასეთი მოვლენების ახსნას, მაგრამ პასუხს ვერ პოულობენ. შედეგად კი ხდება ადამიანის დაბნევა და გაუცხოება;

2) ზოგადად ადამიანის მიერ საკუთარი თავის დაკვირვება და შესწავლა რა თქმა უნდა სასარგებლოა და აუცილებელია თითოეული ადამიანისთვის. სასარგებლოა ასევე საკუთარი თავის (აზრების, ემოციების, მოთხოვნილებების და მოქმედებების) მართვა და კონტროლი, მაგრამ თვითონ ადამიანის გონებასთან ბრძოლა და აზრებისა და ფიქრების სამუდამოდ განდევნა (ანუ ე.წ. „ცარიელი გონების“ მუდმივ მდგომარეობაში ყოფნა), ასევე სრული სიცარიელისა და უაზრობის შეგრძნება, არასწორია და დიდი ზიანის მომტანია ადამიანისთვის. უპირველესყოვლისა ადამიანი გონიერი არსებაა და იმით განსხვავდება ცხოველისგან, რომ მას აქვს ფიქრის და აზროვნების უნარი. ბუნებრივია მასთან ბრძოლა წაშლის ადამიანის ინდივიდის საზღვრებს და ის უკვე

ველარ იქნება სოციალური არსება, რაც სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემებსაც შეუქმნის ადამიანს;

3) ღრმა და ხანგრძლივი მედიტაციები, რომელიც გულისხმობს ე.წ. „ცარიელი გონების“ მიღწევას, ასევე სრული სიცარიელისა და უაზრობის შეგრძნებას, საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ქრისტიანი ადამიანის რელიგიურ თირებულებებზეც. ამ დროს უკვე ადამიანი სხვაგვარად იწყებს გარემოს და საკუთარი თავის გაცნობიერებას და ხვდება, რომ მას უკვე ღმერთი აღარ სჭირდება. პრინციპში ასეთი რეაქცია არც არის გასაკვირი იმიტომ, რომ ამ გზაზე დამდგარი ადამიანი თავისდაუნებურად ღრმად ეფლობა ინდუისტურ რელიგიაში. მედიტაციურ გზაზე მდგარ ადამიანში ინდუისტური მსოფლმხედველობა უკვე იმდენად იპყრობს მის გონებას, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე ამყარებს იმედს და ფიქრობს, რომ მხოლოდ მას შეუძლია საკუთარი თავის „ხსნა და გადარჩენა“. ამ დროს მან შეიძლება ჯერ კიდევ ნათლად არ იცოდეს ან ძალიან ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ეს „ხსნა და გადარჩენა“. პრინციპში, ხვდება თუ არა ის ამას, ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ ის იმედს ამყარებს მხოლოდ საკუთარ თავზე და თავისი ამ გადაწყვეტილებით შეგნებულად ამბობს უარს ღმერთზე. ამიტომაც არის, რომ ის უკვე ღმერთის დახმარების საჭიროებას ვეღარ ხედავს. ამ დროს ეს ადამიანი ვერ ხვდება, რომ საბოლოო ჯამში თავისი გადაწყვეტილებით ის „სულიერ კარიბჭეს“ უხსნის ბოროტ ძალებს. ანუ ის რჩება მარტო ბოროტი ძალების პირისპირ ღმერთის დახმარების გარეშე. ამ საქმეში წარმატებულ ბევრ ადამიანს უთქვამს, რომ ე.წ. „სრულყოფილების მიღწევის“ გარკვეულ ეტაპზე ბევრ მათგანს ეცხადება უხილავი ძალა - ე.წ. „სულიერი მასწავლებელი“ (გურუ) და მიჰყვება მის გზას (სწავლა-დარიგებებს). ქრისტიანული გაგებით ეს არის ბოროტი ძალა, რომელიც უძღვება მას გონების ამღვრევის და დაღუპვისაკენ. თუმცა, ბევრი მათგანი დროულად მიხვდა ამას და შემოტრიალდა ისევე ჭეშმარიტი რწმენისკენ;

4) ფსიქოლოგების აზრით - ღრმა და ხანგრძლივი მედიტაცია არის ერთგვარი ძილის მდგომარეობა, როდესაც ადამიანის გონება გადის რეალური სამყაროდან. ეს არის ტვინის და ფიზიოლო-

ოგონური პროცესების მუშაობის შენელება და საბოლოო ჯამში ამროვნების პროცესის შეწყვეტასთან ერთად ტვინის მუშაობის შეწყვეტაც. ასეთი ადამიანი წყდება რეალურ ცხოვრებას და სოციალურ აქტივობას, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მას კვლავ უწევს რეალურ დროში დაბრუნება, რომელსაც მეტ-ნაკლები სიმწვავეით უკვე თან ახლავს სოციალურ გარემოს ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები (მოვლენებისადმი არაადეკვატურობა, შენელებული რეაქცია და ა.შ.). გარდა ამისა, **მედიტაცია ეს არ არის მხოლოდ სიამოვნება,** როგორც ეს ბევრს ჰგონია. სხვადასხვა ეტაპზე **მას ყოველთვის თან ახლავს არასასიამოვნო განცდები და ფსიქიკური ტრამვებიც.** ხშირია შიზოფრენიის და სხვა მძიმე ფსიქიკური დაავადებაც. მაგალითად, მედიტაციის დროს შეიძლება დაგავინწყდეს საკუთარი ვინაობა, დაკარგო მეტყველების უნარი და ა.შ..

ჩემი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ციგუნსა და იოგაში ინდუისტური რელიგიის კომპონენტის (ე.წ. ცარიელი გონების მიღწევა და სამყაროს სიცარიელის შეგრძნება) არსებობა **შესაძლოა განპირობებული იყოს რელიგიური ფაქტორის მეგავლენითაც და მას არანაირი კავშირი არ ჰქონდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშებთან.** ასეთი მოსაზრება მიჩნდება იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ ვარჯიშებს იმავდროულად სასარგებლო დანიშნულებაც აქვთ – ისინი ხელს უწყობენ ადამიანის ჯანმრთელობას და ფიზიკურ გაძლიერებას. თუმცა, შეიძლება ვილაცამ თქვას, რომ ე.წ. „ცარიელი გონების“ ვარჯიშების გარეშე აზრი არ აქვს ამ დისციპლინების შესრულებას. **პირადად მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ვარჯიშების ზომიერად კეთება სასარგებლოა საკუთარი თავის გაცნობიერების, აზრების და გრძნობების მართვის, ასევე საჭიროების შემთხვევაში გონებაში დამაბრკოლებელი ამრების ჩაკეტვის უნარების გამომუშავებისთვის.** მაგალითად, ასეთი ვარჯიშები ზომიერების ფარგლებში ნამდვილად აუცილებელი და სასარგებლო იქნება - ორთაბრძოლებით დაინტერესებული ადამიანების, მეომრების თუ სხვა სახიფათო პროფესიების მქონე ადამიანებისთვის, რომ მათ ეფექტურად მართონ თავიანთი აზრები, გაუძლონ ტკივილს და არ დაუშვან შიში საკუთარ გონებაში. თუმცა, მეორეს მხრივ ვეთანხმები ასევე იმ მოსაზრება-

საც, რომ ე.წ. „ცარიელი გონების“ ვარჯიშების სისტემატურად კეთება და ზოგადად ადამიანის მუდმივად ამ მდგომარეობაში ყოფნა არის მავნებელი და დამაზიანებელი ადამიანისთვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მედიტაციული ვარჯიშების კეთება, ზომიერების ფარგლებში დასაშვებია. ოღონდ, ამ შემთხვევაში, მთავარია მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ისეთი ვარჯიშები, რომელიც მიმართულია აზრების დაბლოკვის და ე.წ. „ცარიელი გონების“ მიღწევისკენ.

16. ისიხაზმი და მედიტაცია

ისიხაზმი საკმაოდ დიდი თემაა და ცალკე მსჯელობის საგანია. ეს საკითხი მე უფრო ვრცლად მაქვს დამუშავებული, თუმცა ამ წიგნში მოკლედ გადმოვცემ ძირითად ინფორმაციას და არსებულ შეხედულებებს. ისიხაზმი არის მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი ასკეტული მიმართულება. თვითონ სიტყვა „ისიხაზმი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს **სულიერი სიმშვიდის** მოპოვებას.

ისიხაზმის მიზანია - ღვთიური ნათელის ხილვა, ღვთიურ ენერგიებთან შეხება, ადამიანის ფერისცვალება, სულიწმინდის მოპოვება და **გალმერთება (ანუ ღმერთის ჭვრეტა)**.

ისიხაზმის მთავარი არსს – წარმოადგენს – **„იესოს გონიერი ლოცვის“** სისტემატურად და დიდი ხნის განმავლობაში უწყვეტად კითხვა. ამ დროს **გონება კონცენტრაციას ახდენს ხორციელ გულზე** (სადაც მათი ამრით ღმერთი იმყოფება) და ლოცვა **სრულდება სპციალური სუნთქვის (შესუნთქვა-გამოსუნთქვის)** გზით.

სიმონ ახალი ღვთისმეტყველი გვთავაზობს იესოს ისიხასტური ლოცვის შემდეგ მეთოდს: **განმარტოვდი, დაჯეჟი, იყავი ჩუმად, დამშვიდდი, დახარე თავი, დახუჭე თვალები, ისუნთქე ჩუმად, წარმოსახვით დაუკავშირდი გულს, რაც ნიშნავს, რომ ამრები მიმართე გულისკენ და სუნთქვისას ჩუმად წარმოსთქვი (ან გულში თქვი): „უფალო იესო ქრისტე. ძეო ღვთისაო შემინყალო მე ცოდვილი“.** ეცადე განდევნო სხვა ამრები, იქონიე მოთმინება და ხშირად გაიმეორე ლოცვა ასეთი წესით.

ისიხასტები გრძნობენ – გულიდან გამომავალ სითბოს, ღვთაებრივ სიტკბოებას (ნეტარებას/სიამოვნებას), წარმოსახვით ხედავენ (ჭვრეტენ) ღვთიურ ნათელს, შეიგრძნობენ ღვთიურ ენერგიებს და მიისწრაფვიან საკუთარი ფერისცვალებისკენ (გაბრწყინებისკენ).

გრიგოლ პალამა იყო მე-14 საუკუნეში ათონის მთაზე მოღვაწე მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი, რომელიც ცნობილია ისიხაზმის აპოლოგეტად. ამ მიმართულებით, მას რამდენიმე ნაშრომი აქვს დაწერილი. ის აღნიშნავს, რომ ისიხაზმის პირ-

ველი ფუძემდებლები იყვნენ – ისააკ ასური, დიონისე არეოპაგელი (პავლე მოციქულის მოწაფე), იოანე სინელი (კიბისალმწერელი), გრიგოლ ნოსელი, ანტონი დიდი, მეუღაბნოელი წმინდანები და სხვები.

ისიხაზმის განვითარების ეტაპები – ისიხაზმის განვითარებამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. გამოარჩევენ: სინას მთის ისიხაზმს (7-10 საუკუნეები) და ათონის მთის ისიხაზმს (14-15 საუკუნეები). თავდაპირველად, მსოფლიოს ეკლესიებმა ვერ გაიგეს ის. მიუხედავად ამისა, ისიხაზმი მართლმადიდებლური სწავლების ძირითად ქვაკუთხედად იქცა. ის ეფუძნება ასკეტურ ცხოვრებას. ტერმინი ასკეტა ბერძნული სიტყვაა, ძველ საბერძნეთში მას ჰქონდა აგრეთვე ვარჯიშების მნიშვნელობაც, ხოლო ქრისტიანობაში მან ასევე შეიძინა – **თვითრეგულირების, თვითდაკვირვების და გნებებისგან განწმენდის მნიშვნელობა**.

შეხედულებები ისიხაზმზე – არსებობს მრავალი შეხედულება ისიხაზმთან დაკავშირებით. კათოლიკებს საერთოდ არ ესმოდათ, ხოლო ზოგიერთი მართლმადიდებელი აკრიტიკებდა მას და მის მიმდევრებს ხიბლში მყოფებს და ერეტიკოსებს ეძახდნენ. მაგ., ისიხაზმის ყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეპისკოპოსი **გარლამ კალაბრიელი**, რომელიც უპირისპირდებოდა გრიგოლ პალამას და ისიხასტებს ეძახდა „შესუნთქვა-გამოსუნთქვის მიმდევრებს“. მაგრამ კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ მე-14 საუკუნეში მიღებული დოგმატური გადაწყვეტილებების მიხედვით – ისიხაზმი ჩაითვალა მართლმადიდებლობის ქვაკუთხედად და მას შემდეგ დღემდე ამ საკითხზე რელიგიური დისკუსია აღარ გამართულა.

ისიხაზმის მგავსება მედიტაციებთან – ზოგადად ეკლესია არ საუბრობს ამ საკითხზე. უფრო მეტად, ის უარყოფს ისიხაზმის კავშირს იოგასთან, თუმცა თვითონ იოგას მიმდევრები საუბრობენ მათ დიდ მსგავსებაზე - განსაკუთრებით სპეციალური სუნთქვებისა და გონების კონცენტრაციის გამო. იოგას ერთ-ერთი მიმდევარი **დოქტორი მიკოლა პერჩი** – ისიხაზმს „ბიზანტიურ იოგასაც“ ეძახის და ვრცლად საუბრობს მათ ღრმა კავშირზე.

დღევანდელი მართლმადიდებლობის საფუძვლად – დღეისათვის ეკლესია ნამდვილად თვლის ისიხაზმს მართლმადიდებლობის საფუძვლად (ქვაკუთხედად),

თუმცა ის ასწავლის მხოლოდ „იესოს გონიერ ლოცვას“. სპეციალური სუნთქვების და გონების გულზე კონცენტრაციის გარეშე. მკაფიოა ასევე ეკლესიის პოზიცია ისიხასტური გზით ადამიანის „გალმერთების“ (თეოზის) საკითხთან დაკავშირებითაც და ორბროვნების თავიდან აცილების მიზნით, ეს ტერმინი გაიგივებულია – „ღმერთის ჭვრეტასთან“ და ადამიანის მიერ სიკეთის, მონყალეების და სხვა ღვთიური თვისებების შექენასთან, ანუ „ღმერთთან მიმსგავსებასთან“ და არა პირდაპირი მნიშვნელობით ადამიანის გაღმერთებასთან.

მესამე ნაწილი

ჩემი რჩევები

17. გვნამდეს ღმერთი და ვიცხოვროთ ქრისტიანულად

აღამიანები ხშირად სვამენ კითხვას, თუ რა არის ცხოვრების მთავარი ამრი და მიზანი. ჩემი ამრით, აღამიანის ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამე არის მთავარი და მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველაზე უმთავრესი მაინც არის ღმერთის რწმენა და ქრისტიანული ცხოვრება. ეს აღამიანური ბუნების მოთხოვნილებაა, რომლის გარეშეც აღამიანი ვერ შეიგრძნობს რეალობას და ვერ ეზიარება ჭეშმარიტებას. რწმენაში ყოფნისათვის კი უნდა ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანები - ვიცხოვროთ ღმერთის რწმენით და დავიცვათ მისი მცნებები. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ უფლის არსებობის განცდა და რწმენით ცხოვრება მოგვანიჭებს ჩვენ ნამდვილ (ჭეშმარიტ) სულიერ სიმშვიდეს, სიამოვნებას, კმაყოფილებას და ბედნიერებას, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი მაინც უფლის რწმენაა, ხოლო სხვა ყველაფერი ამაოებაა, უმნიშვნელო და წარმავალია, მხოლოდ უფლის რწმენის ძალა და უფლის წყალობა გადაგვალახვინებს ჩვენ უამრავ ცხოვრებისეულ სირთულეს და განსაცდელს. მორწმუნეებს ღმერთი არ მიატოვებს. ის აძლევს მათ თავის მადლს, სიკეთეს, წყალობას და დაჰყავს თავისი გზებით. მორწმუნე აღამიანი, როდესაც თავისი განვლილი ცხოვრებას გადახედავს, კარგად დაინახავს ღმერთის ჩარევას და დახმარებას მის ცხოვრებაში – თუ როგორ მოემართა მას ხელი და რამდენს მიალწია, მაშინ, როდესაც სხვები შეიძლება უფრო მეტს ცდილობდნენ, უფრო ჭკვიანები, მდიდრები ან ძლიერებიც იყვნენ. ამიტომ, ჩემი პირველი რჩევა იქნება, რომ ვიცხოვროთ ქრისტეს რწმენით, ამისათვის კი:

ა) კარგად უნდა ვიცოდეთ ქრისტიანული მოძღვრება და დავიცვათ ქრისტეს მცნებები - ვიკითხოთ ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმა), ვიცოდეთ – 10 მცნება, მრწამსი, 9 ნეტარება, 7 საიდუმ-

ლოება, სათნოებები, ცოდვები და ა.შ.. რაც უფრო მეტ რელიგიურ ცოდნასა და განათლებას მივიღებთ, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენთვის, უფრო განმტკიცდება ჩვენში უფლის რწმენა და რაც მთავარია, გვეცოდინება კარგისა და ცუდის (კეთილისა და ბოროტის) გარჩევა. ამასთან, რელიგიური საკითხებით დაინტერესებისას, ჩვენ შეიძლება მოვისმინოთ ბევრი კრიტიკული თუ განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება ჩვენი მართლმადიდებლური რწმენის დამაბრკოლებლადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ იმაში, რომ ყველა ეს მოსაზრება მცდარია, ხოლო ჩვენი რწმენა ჭეშმარიტი, ვინაიდან გამოცდილია დროით და გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებითა და ხილული სასწაულებით. მაგალითად, ყველაზე ხშირად ისმის ხოლმე კრიტიკა ხატთან და ჭვართან დაკავშირებით, რომ თითქოს ის კერპია და არ შეიძლება მათი თაყვანისცემა. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ წმინდა სამების გარდა ჩვენთვის სხვა ღმერთი არ არსებობს, ხატების თაყვანისცემით ქრისტიანები სხვა ღმერთს არ ვეთაყვანებით, ხატები და ჭვრები კი ჩვენთვის უფლის მიმართ დიდი სიყვარულის და წმინდანთა პატივისცემის გამოხატულებაა. სწორედ ამიტომ იმეტებს უფალი მორწმუნეების მიმართ თავის დიდ წყალობას და ხატებისა და ჭვრის ძალით კურნავს ადამიანებს, შეისმენს მათ თხოვნებს და უგზავნის მათ ათასგვარ სიკეთეს. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლური რელიგია პირველი ქრისტიანული რელიგიაა, რომელიც ზუსტად მიჰყვება ქრისტეს სწავლებას და მისი „მრწამსი“ უშუალოდ მოციქულების მიერ არის შედგენილი, სანამ ისინი ქადაგებას და მისიონერულ-მოწამეობრივ მოღვაწეობას დაიწყებდნენ;

ბ) ყოველდღე ვილოცოთ და ავანთოთ სანთელი – თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ლოცვა (ანუ სამყაროს შემოქმედი ღმერთის განდიდება და მის მიმართ მაღლიერების გამოხატვა) ადამიანური ბუნების მოთხოვნილებაა. ლოცვის დროს, ადამიანი თავისი გონებით (წარმოსახვით) ამყარებს კავშირს სამყაროს შემოქმედ დიდ გონებასთან (ღმერთთან) და განიცდის ჭეშმარიტ სულიერ სიამოვნებას. გვახსოვდეს, რომ სანამ ჩვენ ვლოცულობთ, მანამდე ბოროტი ვერაფერს დაგვაკლებს. უდიდ-

ესი ძალა აქვს ამ ლოცვებს – „უფალო იესო ქრისტე, არ მიმატოვო, დამეხმარე და შემინყალე მე ცოდვილი“, „მწამს შენი, რომ დამეხმარები უფალო..“. **რაც შეეხება სანთელს** – ის მოდის უხსოვარი დროიდან, რომლის უმთავრესი დანიშნულება იყო ჩაბნელებული წყვდიადის განათება. ქრისტიანობაში ის განასახიერებს ასევე იესო ქრისტეს, რომელმაც თავისი მოსვლით გაანათა კაცობრიობის ამროვნებაში არსებული სიბნელე (წყვდიადი). მან ყინულივით დაადნო ადამიანის გაუხეშებული შეგნება და სიყვარულით, სითბოთი და თანაგრძნობით აავსო ადამიანების გულები. სანთელი უკავშირდება ასევე ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას - ღვთაებრივ ნათელს, რომელიც მან გამოაჩინა თავის მოწაფეებთან თაბორის მთაზე ფერისცვალებისას (გაბრწყინებისას). ქრისტიანებისთვის სანთელი არის ერთგვარი „მიკროფონი“, რომლის საშუალებითაც ჩვენ ღმერთს ვესაუბრებით. სანთლის ანთებას კი აქვს დიდი სასწაულებრივი ძალა. თუ კარგად დავაკვირდებით, ამ დროს სრულიად იცვლება ადამიანის შინაგანი სამყარო, პირველ რიგში, ის ცდილობს მოიპოვოს სიმშვიდე და გახდეს უფრო უკეთესი, უფრო გულწრფელი, თავმდაბალი, მოსიყვარულე, მიმტევებელი და სხვა ღვთაებრივი თვისებების მქონე. ზოგს უფრო მეტად გამოსდის ასეთი ტრანსფორმაცია და ზოგს ნაკლებად. ამ დროს ადამიანში იწყება სულიერი განმენდის (გარდაქმნის) პროცესი. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს უსმენს ღმერთი. ლოცვის დასრულების შემდეგ რა თქმა უნდა ადამიანი გამოდის ამ მდგომარეობიდან (განზომილებიდან) და უბრუნდება ისევ რეალურ ცხოვრებას. სწორედ ამიტომაც არის აუცილებელი ლოცვის ყოველდღიურობა და სისტემატურობა, რომ ადამიანი არ მოწყდეს ღმერთთან კავშირს და მუდმივად შეინარჩუნოს ასეთი მდგომარეობა.

გ) არასდროს არ მივატოვოთ დედა ეკლესია. აუცილებლად უნდა ვიართო კვირის წირვებზე და საღვთისაწაულო ლიტონიბებზე. კარგი იქნება, თუ მოვახერხებთ ასევე შაბათის ლოცვამე სიარულს. უნდა ვიცოდეთ, რომ წირვისა და ლიტონიობის დროს სრულდება ყველაზე დიდი ღვთისმსახურება. ამ დროს უფლისგან დიდი წყალობა და მაღლი გადაეცემა ეკლესიაში მყოფ ყველა ადამიანს და ასევე მათი ოჯახის წევრებს;

დ) მივიღოთ და ვემიაროთ ყველა ეკლესიურ სიკეთეს – და-ვიცვათ მარხვა, ჩავაბაროთ აღსარება, ვემიაროთ, მივიღოთ მე-თისცხება, მირონცხება და ნაკურთხი წყალი – ამ სიკეთეების გა-რეშე ადამიანი ვერ გახდება ნამდვილი ქრისტიანი. ეს არის იმაგ-დროულად ბოროტი ძალებისგან დაცვის საშუალებაც. შესაბამი-სად, ცხოვრებაში მხოლოდ ე.წ. „კარგ ადამიანად“ ყოფნა ან თუნ-დაც ქრისტეს არსებობა-არარსებობის ფაქტის დაჭერება რა თქმა უნდა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანს ქრისტიანი ერქვას. ამის მნიშვნელობა ბევრს არ ესმის. ამიტომ, შევცდები მოკლედ შევებო ამ საკითხს – საერთოდ, სახარებიდან ვიცით, რომ ზიარების გარეშე არ არსებობს სულის ცხონება, ანუ ვერავინ შევა „ცათა სასუფეველში“ თუ არ მიიღებს ქრისტეს სისხლსა და ხორცს. მაგრამ ზიარებამდე არსებობს სულიერი განწმენდის გრძე-ლი გზა - ლოცვა, მარხვა და აღსარება. ამასთან, ქრისტიანული სწავლებიდან ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბოროტი ძალები ადამიანის-გან მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნებიან. ამ დროს ადამიანის შინაგან სამყაროში ნამდვილად საინტერესო პროცე-სები ხდება – ადამიანი ამცირებს საკვებზე და სხვა მატერიალურ საჭიროებებზე დამოკიდებულებას, უფრო მეტ ყურადღებას უთ-მობს შინაგან სულიერ სამყაროს, უფრო მეტი გულმოდგინებით იცავს ქრისტიანულ მცნებებს, მძაფრად შეიგრძნობს მანკიერ ვნე-ბებსა და ცდუნებებთან ბრძოლას, აკონტროლებს საკუთარ ქცე-ვას, შეცდომების გამო გამოხატავს სინანულს და ცდილობს გა-მოსწორებას. საბოლოო ჯამში კი, ადამიანი თვითონვე ამჩნევს საკუთარი თავის განახლებასა და ცვლილებას. ქრისტიანული გა-გებით, სწორედ ეს არის ადამიანის „განღმრთობის გზა“, როდე-საც ის იძენს ღვთიურ თვისებებს (სიყვარულის, თავმდაბლობის, მიტევების, შენდობის, თანადგომის, სამართლიანობის და სხვა თვისებებს). ამ გზით, ადამიანი უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდება მატერიალურ საჭიროებებზე და ყალიბდება „სულიერ არ-სებად“, რითაც უფრო მეტად შეიგრძნობს უფალს. აქედან გამომ-დინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები, რომლებიც არ ცხოვ-რობენ ასეთი წესით, რა თქმა უნდა ძალიან შორს არიან ქრისტი-ანობისგან;

ე) დაგალოცვინით მშობლებს ჩვენი თავი – მშობლის მიმართ პატივისცემას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიურ სწავლებაში, რომ მას 10 მცნებაში მე-5 ადგილი უკავია. ამიტომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლის მიერ გამოხატულ სიტბოს, მადლიერებას და სიყვარულს. მშობელი ჩვენში თავის გაგრძელებას ხედავს და მის დალოცვას განსაკურებული ძალა და მადლი აქვს. რაც უფრო მეტად ვცემთ პატივს ჩვენს მშობლებს, მით უფრო მეტ სიკეთეს მოგვაგებს უფალი;

გ) ვიცხოვროთ ქრისტიანულად – ეს იმას ნიშნავს, რომ ვიყოთ **ნამდვილი ადამიანები** ანუ - თავმდაბალნი, სხვა ადამიანების მიმართ თანამგრძობნი და თანამდგომნი, ვიყვარდეს და გვებრალებოდეს ისინი, გვექონდეს პატიების და შენდობის უნარი, დაუღალავად ვაკეთოთ სიკეთე, არ გავუკეთოთ სხვას ცუდი, განვთავისუფლდეთ ამპარტავნებისგან, განკითხვისგან, ბოდმისა და შურისგან, ანგარებისგან, ვიყოთ სამართლიანები, არ მოვინდომოთ სხვისი ქონება, მივიღოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენ გვეუკუთვნის, ვიყოთ პატიოსანი და წესიერი ადამიანები და ა.შ. ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და გონებაშიც გვექონდეს ჩაბეჭდილი, რომ მხოლოდ რწმენა (ანუ უფლის არსებობის დაჯერება) არ არის საკმარისი. მორწმუნემ თავისი ცხოვრების წესით და საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი მორწმუნეობა – **„რწმენა თვინიერ საქმეთა გარეშე მკვდარია“** (ეს არის **იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის – იაკობის სიტყვები**). აქვე გავიხსენებ ასევე წმინდა **ილია მართლის (ილია ჭაჭჭაჭაძის) სიტყვებსაც** – **„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, – აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“** პრინციპში, კარგად რომ შევხედოთ, დაახლოებით **მსგავსი მიზნები აქვს არა მარტო ქრისტიანობას, არამედ სხვა რელიგიებსაც** - მათი მიმდევრებიც ემსახურებიან სიკეთეს და ცდილობენ გახდნენ წესიერი და პატიოსანი ადამიანები. ანუ სიტყვებით რომ ვთქვათ, **ყველა რელიგიის საერთო მიზანი და საბოლოო პრობლემატა მანაც არის ისეთი ადამიანის შექმნა და ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება მსგავსი კეთილშობილური თვისებები**. ამიტომ, მორწმუნე ადამიანისთვის დაუშვებელი უნდა იყოს განსხვავებული აზრის, მით უფრო რელიგიური აზრის შეუწყნარებლობა და რაიმე ფორმით აგრესიის გამოხატვა. გვახსოვდეს,

რომ უფალი მოწყალეა და ყველას მიაგებს თავისი დამსახურების მიხედვით;

ბ) ვიყო ზომიერები რწმენაში - ზომიერების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიასთან მიმართებაში, რომ **არ გადაიბარდოს ის ფანატიკოზში**. ფანატიკოსებს სურთ, რომ სხვა მორწმუნეებზე უფრო აღმატებულები იყვნენ. ამას მათ ამპარტავნება და ხიბლის ცოდვა აკეთებინებთ. უფალი ბრძანებს, რომ თქვენ შორის უმცირესი იყოს უდიდესი, ხოლო უდიდესი – უმცირესი. მორწმუნემ ისე უნდა იცხოვროს, რომ **არ გამოსცადოს უფალი**, რაც იმას ნიშნავს, რომ ის განსაკუთრებული საჭიროების გარეშე არ უნდა ითხოვდეს სასწაულების მოხდენას და არ უნდა ახსენებდეს ფუჭად ღმერთის სახელს. უნდა გვესმოდეს, რომ რწმენა არ არის თამაში და ადამიანი მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს მას. **რწმენაში ზომიერებისთვის კი საკმარისია მხოლოდ ქრისტიანული მცნებების დაცვა და ღმერთი თვითონ მოგვაგებს ჩვენ წილ სიკეთეს, როცა ამის დრო მოვა**. სასწაულების მოხდენა მთლიანად ღმერთის ნებაზე დამოკიდებული და მას ადამიანი ხელოვნურად (ძალით) ვერ მიიღებს. **რელიგიაში ზომიერების დაცვა იქნება მაგალითად:**

– **ადამიანის შინაგანი მოწესრიგებულობა და პირად ჰიგიენაზე ბრუნვა:**

– **სხვების დახმარება ისე, რომ თავად არ გახდეს დასახმარებელი:**

– **არა ჩაკეტილობა და თვითიზოლაცია, არამედ ხალხთან ურთიერთობა და კონტაქტი** (ქრისტიანობა ყველაზე სოციალური რელიგიაა, რომელიც გვასწავლის ადამიანებს შორის სწორ და სამართლიან ურთიერთობას – სიყვარულს, პატიებას, დახმარებას, თანადგომას და ა.შ. ყველაზე დიდი ასკეტი მამებიც კი განმარტოვების შემდეგ ისევ ხალხს უბრუნდებოდნენ და ასკეტური ცხოვრების დროს მიღებულ ცოდნასა და ღვთიურ მაღლს ისევ ხალხს უზიარებდნენ. თუ ადამიანებთან ურთიერთობას გავექცევით, მაშინ როგორ მოვახერხებთ ქრისტიანული სარწმუნოების აღსრულებას. **ქრისტიანული რწმენის დაცვა ხომ ადამიანებთან ურთიერთობაში გამოიხატება**. ჩაკეტილობას და თვითიზოლაციას ერთადერთი გამართლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, თუ

ეს კეთდება მცირე დროით საკუთარ თავში უკეთ გარკვევის და ღმერთის შემეცნების (გაამრების) მიზნით;

– არა მუდმივი მწუხარება, არამედ სიხარული და იმედი (მწუხარების და სინანულის მდგომარეობაში უნდა ვიყოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენს ცოდვებს ვინანიებთ, მაგრამ მუდმივად მწუხარე მდგომარეობაში ყოფნა არასწორია. ეს იწვევს ადამიანის დაბალ თვითშეფასებას, ასევე უუნარობის და უიმედობის განცდას. მუდმივად შეწუხებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან ურთიერთობა ნამდვილად არავის სიამოვნებს. მწუხარებას აქვს გადამდები თვისებაც, რაც აღვივებს უიმედობის და სასონარკვეთილების განცდას. სასონარკვეთილება კი არის მძიმე ცოდვა, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი უკვე ღმერთშიც ველარ ხედავს ხსნას და კარგავს ცხოვრების ინტერესს. უნდა გიცოდეთ, რომ ქრისტიანობა არის სიხარულის და არა მწუხარების რელიგია. ჩვენ ძლიერები ვართ იმით, რომ იმედს ვამყარებთ უფალზე და გვწამს მისი დახმარების. ამიტომ, ჩვენ ზომიერების ფარგლებში უნდა ვიყოთ მხიარულებიც, დავტკბეთ უფლისგან ნაჩუქარი სიცოცხლით და სიკეთებით, ვზრუნავდეთ საკუთარი თავის ფიზიკურ, სულიერ და კულტურულ განვითარებაზე, ვანუგეშებდეთ და სიხარულს ვანიჭებდეთ ერთმანეთს და ა.შ.);

– არა ზედმეტი მორიდება და სირცხვილი, არამედ თავმდაბლობა და გამბედაობა (ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მორიდება (სირცხვილი) და თავმდაბლობა. საერთოდ ზედმეტი მორიდება და სირცხვილი არ არის კარგი ადამიანისთვის. ის კეტავს და არ აძლევს მას საკუთარი ნიჭისა და უნარების გამოვლენის და განვითარების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, სირცხვილი არის ადამიანის ბუნებაში ყველაზე მყარად ფესვგადგმული კომპლექსი, რომელიც ყოველგვარი წარმატების მიღწევის შანსს უკარგავს ადამიანს. ის ჩნდება გაუცნობიერებლად იმის გამო, რომ სხვამ არ დასცინოს და ამით არ იგრძნოს თავი შეურაცხყოფილად (არ შეეღაბოს თავმოყვარეობა). ამ დროს ადამიანი ვერ ერევა საკუთარ თავს, ექცევა საკუთარი წარმოსახვების ზეგავლენის ქვეშ და ველარ აკონტროლებს საკუთარ მოქმედებებს. აქედან გამომდინარე მას უკვე უჩნდება საკუთარი თავის მიმართ დაბალი შეფასება და არასრულფასოვნების განცდაც. ე.ი. როგორც ვხედავთ, ამ

შემთხვევაშიც მთავარ პრობლემას ქმნის გონებაში სპონტანურად (ანუ თავისით) შექმნილი წარმოსახვები და ფანტაზიები. ამიტომ, ადამიანმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ პროცესის გაცნობიერებას და ამჯერად უკვე საკუთარი ძლიერი ნების გამოვლენით არ დაუშვას საკუთარი თავის დამაზიანებელი წარმოსახვებისა თუ ფიქრების შექმნა. თავმდაბლობა კი სირცხვილისგან იმით განსხვავდება, რომ ადამიანი ამ დროს არ ქმნის დამაზიანებელ წარმოსახვებს, ის მთლიანად ფლობს და აკონტროლებს საკუთარ თავს და მხოლოდ იმიტომ იკავებს თავს ამა თუ იმ მოქმედებისგან, რომ მისი მოქმედება არ ჩაითვალოს ამპარტავნებად და საკუთარი თავის განდიდებად. თუ შენ იცი და შეგიძლია რამის გაკეთება, მაგრამ გამბედაობა არ გყოფნის, მაშინ უნდა მოინდომო და უფრო თამამი გახდე (თანდათანობით გამოიმუშავო სითამამე), ხოლო თუ ამისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარები არ გყოფნის, მაშინ სითამამე ვერაფერს გიშველის და ჯობია ისევ თავი შეიკავო ზედმეტი აქტიურობისგან. საერთოდ, სითამამისა და გამბედაობის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა ადამიანმა ჯობია ბავშვობის ასაკიდან დაიწყოს. ეს გრძელვადიანი პროცესია და შეიძლება სწრაფად არ მოხდეს. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა სააღმზრდელო ინსტიტუტმა (ოჯახმა, საბავშვო ბაღმა, სკოლამ, სპორტულმა წრეებმა, უბანმა და ა.შ.). მობრდილობის ასაკში ამის მიღწევა უკვე საკმაოდ რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი);

– არა ჩაკეტილობა და ზედმეტი თვითშეზღუდვა. არამედ აქტიურობა და სიცოცხლის რეალური შეგრძნება – ზოგს ჰგონია, რომ ქრისტიანობა მხოლოდ შეზღუდვების რელიგიაა, არ აძლევს ადამიანს თავისუფლების განცდას და უკრძალავს მას თითქმის ყველანაირ სასიცოცხლო აქტივობას (მაგალითად, სპორტს, მუსიკას, ხელოვნებას, გართობას, იუმორს ან ნებისმიერ სხვა გატაცებას). ზოგიერთი მათგანი შეიძლება მთელი სერიოზულობითაც ავითარებდეს ასეთ შეხედულებას, ფაქტობრივად ყველანაირი სოციალური აქტივობის აკრძალვამდეც კი დადიოდეს და აღარ უტოვებდეს მორწმუნე ადამიანს თავისუფლების თუნდაც მცირე სივრცეს. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ უშინაარსო და უაზრო აკრძალვების სიმრავლემ შეიძლება გამოუს-

წორებული შედეგები გამოიწვიოს და მოახდინოს ადამიანის სრული ინერტულობა და პარალიზება. რა თქმა უნდა ასეთი მიდგომა არ არის სწორი და ძალიან შორს არის ჭეშმარიტი ქრისტიანობისგან. უპირველესყოვლისა, ადამიანი სოციალური არსებაა და მას აქვს სოციალური აქტივობით დაკავების ბუნებითი მოთხოვნილება. ის მიჭაჭვულია სოციალურ გარემოზე და ვერ მონყდება რეალობას. უფრო მეტიც, სოციალური გარემოდან მონყვეტას არც ქრისტიანობა მოითხოვს. პირიქით, ქრისტიანობა არის რელიგია, რომლის ცენტრალური ხაზი გადის სწორედ ადამიანებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაზე. ის შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, დატკბეს უფლისგან ბოძებული ყველანაირი სიკეთით, დააფასოს სიცოცხლე და მადლობდეს უფალს თითოეული დღისთვის. ამ პროცესში კი, ქრისტიანებს ევალებათ შეინარჩუნონ რწმენა და გაუძლონ ცდუნებებს. ამავდროულად, ქრისტიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვრებაში მაინც ყველაზე მთავარი არის და უპირველეს ადგილზე დგას უფლის რწმენა, ხოლო სხვა ყველაფერი, მათ შორის მისი გატაცება თუ სხვაგვარი აქტივობა, არის დროებითი და მეორე ხარისხოვანი.

თუმიცა, ზომიერების დაცვა ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ რწმენის მიმართ გავხდეთ გულგრილები. ვიყოთ ასე ვთქვათ „ნელ-თბილები“, თან გვწამდეს და თან არა, არ შეგვეძლოს რწმენისთვის თავდადება და ა.შ. თუ ასეთები ვიქნებით, მაშინ ჩვენ უკვე აღარ გვერქმევა მორწმუნეები და ვერ მივიღებთ ღვთიურ მადლს. მორწმუნეები არც მაშინ ვიქნებით, თუ ჩვენ შეგვრცხვება ჩვენი რწმენის გამო. ქრისტეს რწმენის შენარჩუნებისთვის სიკვდილი არ არის ფანატიზმი, ეს უფრო რწმენის სიმტკიცის და ჭეშმარიტების დამოწმებაა. თუ ჩვენ უარყოფთ ქრისტეს, მაშინ ისიც უარგყოფს და ხელს აიღებს ჩვენი მფარველობისგან და ჩვენ დაგკარგავთ უფლის მადლს და წყალობას.

P.S. ზოგიერთი იტყვის, რომ თანამედროვე დროში ქრისტიანულად ცხოვრება შეუძლებელია, ვინაიდან **ასეთი ცხოვრების წესი შეუთავსებელია საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებებთან და სტერეოტიპებთან.** კერძოდ, თანამედროვე საზოგადოებ-

ის დიდ ნაწილს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას უფრო მეტად იზიდავს – განკითხვა, დაცინვა, ბილწსიტყვაობა, „აღვირახსნილი თავისუფალი ცხოვრება“, კრიმინალური მენტალიტეტი, ნარკოტიკი, უღმერთობა და ა.შ. ისინი ვინც არ არიან ასეთები, განიხილებიან საზოგადოების ჩამორჩენილ წევრებად. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობა არ უკრძალავს ადამიანს არც გართობას და არც მხიარულებას. ის არ ართმევს ადამიანს სიხარულისა და ბედნიერების უფლებას. ქრისტიანობა კრძალავს მხოლოდ ცოდვას - გარყვნილებას, დაცინვას, ჩაგვრას, ნარკოტიკს, ქურდობას და სხვაგვარ უკეთურ საქციელს, რაც რყვნის და ღმერთისგან აშორებს ადამიანს. შესაბამისად, ქრისტიანმა თავი უნდა შეიკავოს და განერიდოს ასეთ პროცესებს. რა თქმა უნდა ეს არ არის მარტივი საქმე. მთელი სირთულე კი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ პროცესებში, როგორც წესი – ხშირად ჩვენი უახლოესი ადამიანები მონაწილეობენ და იქმნება გარკვეული უხერხულობის განცდაც, რომ თითქოს კონკრეტულ სიტუაციაში მათი მიტოვება არ იქნება სწორი. ამიტომ, ასეთმა ახლობლებმა თუ მეგობრებმა ჯობია წინასწარ იცოდნენ ჩვენი შეხედულებები, რომ არ ჩაგვითრიონ ასეთ საქმეში. ხოლო თუ მეგობარი ჩვენი რწმენის გამო უარს იტყვის ჩვენზე, მაშინ გამოდის, რომ ის არც ყოფილა ჩვენი ღირსი. ასეთი ადამიანი თუ ცოდვისთვის გაგვიმეტებს, მაშინ არც სხვა რამეში დაგვზოგავს. ამიტომ, უნდა გამოვავლინოთ შინაგანი ძალა და მისი დაკარგვის გამო განსაკუთრებულად არ უნდა ვწუხდეთ. რა თქმა უნდა ეს პერიოდი განსაკუთრებით მგრძობიარე და მტკივნეულია მოზარდი თაობისთვის. ბუნებრივია, მათ სჭირდებათ ცხოვრებაში თანამოაზრის პოვნა, ვისთანაც ისინი უფრო გახსნილები და ბედნიერები იქნებიან. ზოგს შეიძლება გაუშვართლოს და ზოგს არა, მაგრამ ეს მაინც არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ ჩვენ ვაგტყდეთ, გადავუხვიოთ ჩვენი რწმენიდან ან მათნაირები ვავხდეთ. ამ გზას უამრავი მორწმუნე გაღის და ღირსეულად უნდა გავიაროთ ასევე ჩვენც. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ უფალი ჩვენ არ მიგვატოვებს და ყოველთვის მოგვიძებნის გამოსავალს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანულად ცხოვრება თანამედროვე დროშიც სავსებით შესაძლებელია. მსგავსი გამონგვევები ყველა ეპოქაში არსებობდა და უფრო უარესი დროც ყოფილა, როდესაც ქრისტიანებს საკუთარი რწმენის გამო დევნიდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ, მაგრამ ისინი არ გატყდნენ და უარი არ თქვეს საკუთარ რწმენაზე. გვახსოვდეს, რომ რწმენაში სიმტკიცე და შეუვალობა სულიერად გაგვამძლიერებს და ყველა სირთულეს გადაგვალახვინებს.

18. გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო და ვიყოთ ნამდვილი პატრიოტები

რატომ უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო და რატომ უნდა ვიყოთ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები – შეიძლება იკითხოთ ადამიანმა. ჩვენი სამშობლო იმიტომ უნდა გვიყვარდეს, რომ პირველ რიგში, ეს გრძნობა ჩვენ გვანიჭებს დიდი სიამოვნების და სიამაყის განცდას. დიახ, სწორედ სიამაყისა და სიამოვნების განცდას გვანიჭებს იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ ვართ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის და უძველესი ერის შვილები, თეთრი რასის სამშობლო, სადაც შეიქმნა მინიმუმ სამი დამწერლობა, ქართველებმა პირველებმა ვისწავლეთ რკინის დამუშავება, ღვინის დაყენება, თაფლის წარმოება, ხორბლის მოყვანა, ძაფის მორთვა და ა.შ.. ჩვენ ვართ თითოეული ქართველისგან შემდგარი ქართული სხეულის ნაწილი და უნიკალური კულტურის, ნიჭისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანები. ისიც ვიცით, რომ საქართველომ ათასობით საუკუნე გამოიარა, ხოლო ჩვენმა გვირმა წინაპარმა უამრავი სისხლი დაღვარა, რომ ჩვენ დღევანდელ დღემდე მოვსულიყავით. ისლამური სამყარო საქართველოს „გურჯისტანს“ ანუ მგლების ქვეყანას ეძახდა, ვინაიდან ვერც მათ და ვერც სხვა დამპყრობელმა ვერ შეძლო საქართველოს ბოლომდე გატეხვა და დაჩოქება. მაშინ, როდესაც კავკასიის რეგიონში ყველა ძირძველმა სახელმწიფომ, მათ შორის – ალბანეთმა და სომხეთმა თავის დროზე დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, მხოლოდ საქართველომ შეძლო მისი შენარჩუნება. ბრიტანელი პროფესორი ქართველოლოგი დევიდ მარშალ ლენგი იმასაც ამბობდა, რომ საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ღმერთს არსებობას ირწმუნებო, ვინაიდან ამ ქვეყანას თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან და აგრესიული იმპერიების გარემოცვიდან გამომდინარე, არანაირი შანსი არ ჰქონდა გადარჩენისო.. შეუძლებელია ასეთი ისტორიების მოსმენის შემდეგ არ გაგიჩნდეს ქვეყნის სიყვარულის და თავდადების განცდა. სწორედ ამიტომაც, ჩვენ გვაქვს პირდაპირი ვალდებულება და დიდი პასუხისმგებლობაც, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტობა, ჩვენი გენი და სამ-

შობლო და გადაცვით ის მომავალ თაობას. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ გარდა ჩვენს ქვეყანას სხვა პატრონი არავინ ჰყავს. საქართველო მხოლოდ ჩვენთვის არის ძვირფასი, თორემ სხვისთვის ის მხოლოდ ლამაზი და მიმზიდველი გეოგრაფიული ადგილია. თუმცა, ჩვენი ქვეყნის სიყვარული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სხვა ქვეყანა ან სხვა ხალხი გვეჭავრებოდეს. პირიქით, ჩვენ, როგორც ნამდვილ ქრისტიანებს, უფლება არ გვაქვს არ გვიყვარდეს ისინი. აქ საუბარია მხოლოდ საკუთარი ხალხის მიმართ უფრო მეტ სიყვარულზე და არა სხვის სიძულვილზე. და რა დასამაღლია, რომ ვინც შენ გიყვარს, რა თქმა უნდა მისთვის უფრო მეტიც გემეტება და უფრო მეტი სიკეთის კეთებაც გინდება. **სამშობლო ხომ ჩვენი დიდი ოჯახია** და როგორც საკუთარი ოჯახის წევრებს გამოვარჩევთ სხვებისგან, ისე უნდა გამოვარჩიოთ და გვიყვარდეს ისიც.

იმისათვის, რომ ვიყოთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტები და ღირსეული შვილები, აუცილებელია - კარგად ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, მისი ეროვნული გმირები, საქართველოს ეროვნული ღირებულებები და ამ ცოდნითა და სულისკვეთებით ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს, ვიზრუნოთ მისი აღორძინების, გაძლიერების და განვითარებისთვის. **თუმცა, ამ ყველაფერზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ არცერთმა ქართველმა სამუდამოდ არ მიატოვოს დედა სამშობლო და ამით არ დაასუსტოს ქართული სხეული.** წინააღმდეგ შემთხვევაში იმასაც უნდა ვხვდებოდეთ, რომ ჩვენ ძალიან მალე დაგვარგავთ ჩვენს ქვეყანას, შევერწყებით სხვა ხალხებს და საერთოდ გავქრებით სხვა ერების მსგავსად. **ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველოსთვის ყველაზე დიდი მსახურება იქნება ის, რომ თითოეული ქართველი შეეცდება სამუდამოდ არ მიატოვოს დედასამშობლო,** ხოლო უცხოეთში დროებით წასვლის შემთხვევაში კი შეინარჩუნებს აქტიურ კავშირს ჩვენს ქვეყანასთან. ამასთან, არც ისიც უნდა დაგვავიწყდეს, რომ **საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და თუ სამუდამოდ მივატოვებთ მას, მაშინ მოგვაკლდება მისი მადლი და მფარველობა.**

უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ვიცოდეთ ის, თუ რა არის ჩვენი ქვეყნის **ნამდვილი ეროვნული ღირებულებები.** ჩვენი ქვეყ-

ნის უმთავრეს ეროვნულ ღირებულებას ჩემი აზრით, წარმოადგენს – ქართული ეთნო-კულტურული იდენტობის შენარჩუნება“, რომელშიც მოიაზრება:

- ა) ქართული ეთნო-კულტურული დომინირების შენარჩუნება;
- ბ) საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა;
- გ) სახელმწიფოში დემოკრატიასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- დ) საქართველოს ისტორიისა და ტრადიციების პატივისცემა;
- ე) მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ერთგულება;
- ვ) მორალური და მწიგნობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება;
- ზ) ქართული კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერა;
- თ) ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტის პოპულარიზაცია;
- ი) ქართული საბრძოლო სულის და მხედრული ტრადიციების აღორძინება;
- კ) შემწყნარებლობა და ტოლერანტობა.

ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ ასევე ჩვენი ქვეყნის ახლო წარსული და ისტორიაც - თუ რა გვინდოდა, რისთვის ვიბრძოდით და ვიღწვოდით, ვის სურდა ნამდვილი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ა.შ. ამას იმიტომ ვწერ, რომ უკანასკნელი პერიოდის მოვლენებზე შეიძლება ბევრი ურთიერთგანსხვავებული ისტორია მოვისმინოთ. შეიძლება ზოგმა თავდაყირა დააყენოს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსული, ლაფში ამოსვაროს გმირები, ბრწყინვალეების შარავანდედი შეასხას უღირსებს და ა.შ. ამიტომ, ამ ნაწილში მე შეგვცდები მოკლედ გადმოვცე საქართველოს ბოლო წლების ნამდვილი ისტორია, რომელმაც ჩემ თვალწინ გაიარა და კარგად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ობიექტური და მიუკერძოებელი ისტორიის მოსმენა დაგვეხმარება ჩვენ იმაშიც, რომ კარგად გავიაზროთ საქართველოში არსებული ვითარება და სწორად დავგეგმოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ავაშენოთ ისეთი საქართველო, რომელმაც ოცნებობდნენ ილია, ზვიადი და მერაბი. მათ სურდათ რეალურად დამოუკიდებელი და ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქვეყნის ჩამოყალიბება. მათგან ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების რეალური შანსი მხოლოდ ზვიადს მიეცა. მან, ჯერ კიდევ საბჭოთა

კავშირის შემადგენლობაში მყოფ ქვეყანაში შეძლო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება და შემდეგ იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. ორივე დოკუმენტი ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში და წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედს. მის ყველაზე დიდ დამსახურებად ითვლება აგრეთვე ისიც, რომ მან, მერაბთან ერთად შეძლო ხალხში ერთგული და რელიგიური გრძნობების გამოღვიძება და ქართული სულის აღზევნა. იმ დროს ქართველებს ნამდვილად გვიყვარდა ერთმანეთი და ვოცნებობდით ძლიერ და ბედნიერ საქართველოზე. მაშინ ჯერ კიდევ არ გვქონდა ტერიტორიული პრობლემები და ამას ვერც წარმოვიდგენდით. ამ პერიოდით შთაგონებული და აღფრთოვანებული ცნობილი პოეტი და საქართველოს ნამდვილი პატრიოტი მუხრან მაჭავარიანი მოგვიანებით იმასაც ამბობდა, რომ - „მე ისეთი საქართველო მინდა, რომლისთვისაც ზვიად გამსახურდია მოკვდაო“. თუმცა, გამსახურდიამ თავის მმართველობის მოკლე დროში (სულ რაღაც 1 წელიწადსა და 2 თვეში) მეტის გაკეთება უკვე ვეღარ მოასწო. საბჭოთა იმპერიამ არ აპატიო მას საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და საბჭოთა პარტიული ბოსის ეღუარდ შევარდნაძის მეთაურობითა და საბჭოთა ინსტიტუტების („წითელი ინტელიგენციის“, „კანონიერი ქურდების“, საბჭოთა აგენტურისა და საბჭოთა ჯარის) აქტიური დახმარებით, 1992 წელს შეძლო კანონიერი ხელისუფლების დამხობა და შემდეგ მისი ფიზიკურად განადგურებაც. ამას მოჰყვა „თბილისის ოქმი“, უკანონო ხელისუფლების მიერ სამეგრელოს არაერთგზის აოხრება და ბოლოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა. სამწუხაროდ, სახელმწიფო გადატრიალებისა და მასობრივი არეულობების ფაქტზე თვალეები დახუჭა ე.წ. „დასავლეთმაც“. როდესაც ამ მოვლენებს ვისხენებ, მიჩნდება ასეთი აზრი, რომ რეალურად საქართველო შეეწირა ეღუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტს, ვინაიდან სწორედ მისი დიდი ავტორიტეტის გამო დადუმდა მთელი მსოფლიო. დედამიწაზე არ აღმოჩნდა არცერთი პოლიტიკური ძალა თუ რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც გამოეხსნა რელობა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და დევნილ პრეზიდენტს და იტყოდა სიმართლეს. ერთა-

დერთი ვინც გამსახურდიას თანადგომა გამოუცხადა, იყო **ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჭოხარ დუდაევი**. ის თავის მასწავლებლად თვლიდა ზვიადს და ორივე ოცნებობდნენ **ერთიან და ძლიერ კავკასიაზე**. თუმცა, კარგი მომავალი არც მას ელოდა. ამჯერად უკვე მოდერნიზებული რუსული იმპერია სასტიკად გაუსწორდა პირადად მას და მთელ ჩეჩენ ხალხს. შესაბამისად, **„ერთიანი კავკასიის იდეამ“** შემდგომი გაგრძელება უკვე ვეღარ ჰპოვა. ეს იდეა დღესაც აქტიური და პოპულარულია ეროვნული ცნობიერების მქონე ადამიანებში. ისინი ფიქრობენ, რომ **კავკასიის სახით ნეიტრალური და უსაფრთხო და თან იმავდროულად ცივილიზებულ და დემოკრატიულ რეგიონად ჩამოყალიბება შეიძლება უფრო საინტერესო და მომგებიანი იყოს ყველა დიდი ქვეყნისთვის**. როგორც ირკვევა, თავის დროზე ამ იდეას მხარს უჭერდა **ბრიტანეთიც**. რომლმაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ შამილს გადასცეს **სამგარსკვლავიანი დროშა**, რომელშიც მოიაზრებოდა – დაღესტნის, ჩერქეზეთის და საქართველოს ერთობა. ირკვევა, რომ მსგავსი იდეები ყოფილა ასევე თვითონ რუსეთშიც და არსებობდა ასეთი მოსაზრებაც, რომ **რუსეთის სამხრეთით ქრისტიანობის დამცველი ძლიერი კავკასიური ერთობა შეექმნათ**. მაგრამ როგორც ჩანს ეს მხოლოდ ამ იდეისთვის კბილის მოსინჯვა იყო და ქვეყნების „იმპერიული მართვის მოდელი“ მათთვის გაცილებით უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა. ამიტომ, ჩვენ ცოტა უფრო რეალურად უნდა შევაფასოთ არსებული ვითარება და ჩვენი შესაძლებლობებიც. რეალური ვითარება კი იმაში მდგომარეობს, რომ **თანამედროვე მსოფლიოს საერთოდ არაფერი აქვს ცივილიზაციასა და ჰუმანიზმთან**, ეს არის სასტიკი სამყარო, სადაც დიდი სახელმწიფოები მოქმედებენ ისევ შუასაუკუნეების ბარბაროსული მეთოდებით, ზრდიან შეიარაღებას და კვლავაც ცდილობენ სუსტი ქვეყნების დაჩაგვრას. ამჟამად, რომ ამ მხრივ კაცობრიობამ არანაირი პროგრესი არ განიცადა და მისი ცნობიერება ისევ ძალმომრეობაზეა დაფუძნებული. **ასეთი მიდგომები განსაკუთრებით თვალსაჩინოა კავკასიის რეგიონში**, სადაც მოქმედებს ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ძლიერი ინტერესი. თუ გავითვალისწინებთ ასევე იმასაც, რომ კავკასიის ხალხებს შორის არსებობს დიდი განსხვავებაც და ეს პირ-

ველ რიგში გამოიხატება რელიგიური ნიშნით განსხვავებაში, შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი დასკვნაც, რომ კავკასიის რაიმე ფორმით გაერთიანებას და მით უფრო სახელმწიფოთა კავშირის შექმნას მომავალი არ უნერია. ჩემი აზრით, იგივე მიზეზების გამო, მომავალი არ უნერია ასევე არც ე.წ. „მშვიდობიანი კავკასიის“, როგორც დამოუკიდებელ და ნეიტრალურ რეგიონად ჩამოყალიბების იდეას, ვინაიდან კავკასიის ყველა სახელმწიფოს თუ სუბიექტს უკვე ჰყავს თავისი უცვლელი სტრატეგიული პარტნიორი და ეს რეგიონი წარმოადგენს მათი ინტერესების შეჯახების არეალს. სხვათაშორის, თავის დროზე, სახელმწიფო ნეიტრალიტეტის მოდელი აირჩია საქართველოს პირველმა დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ნოე ყორღანის ხელმძღვანელობით, მაგრამ როგორც ისტორიამ ცხადჰყო, მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ გაამართლა. საქართველო მართო დარჩა აგრესიულ სამეზობლო გარემოში, რასაც მოჰყვა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 70 წლიანი ოკუპაცია და ანექსია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ საქართველოს აუცილებლად მოუწევს არჩევანის გაკეთება და მან უნდა ამოირჩიოს ისეთი სანდო პარტნიორი, რომელიც შეუნარჩუნებს მას სახელმწიფოებრიობას და მის ეთნო-კულტურულ იდენტობას. ამ შემთხვევაში, სავარაუდო პარტნიორებად განიხილებიან რატომღაც ისევ – რუსეთი და მისი ალტერნატივა ე.წ. „დასავლეთი“. ეს ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხია, რომელიც პერმანენტულად წამოიწევს ხოლმე საზოგადოებაში, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მან განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა. საზოგადოება უკვე დაბნეულია და აღარ იცის, თუ რა მიმართულებით წავიდეს. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ამ თემასაც შევხებოდი და მცირე მიმოხილვის შემდეგ გადმომეცა ასევე ჩემი შეხედულებაც, თუ როგორ წარმომიდგენია საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი. ამ საკითხს იმიტომაც ვუთმობ ამხელა ყურადღებას, რომ არ მინდა აქ განხილული საკითხები მხოლოდ კეთილ სურვილებად დარჩეს და ვერ პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, მის მფარველობას და პარტნიორობას – ცხადია ჩვენ მასთან უნდა გვქონდეს მშვიდობი-

ანი და არაგრესიული პოლიტია. ჩემთვის, **რუსეთის არგალიზაცი-
ების პოლიტიკა მისაღებია** და უფრო მეტიც – საჭიროა კიდევ უფ-
რო მეტი დიპლომატიისა და ლავირების მეთოდების გამოყენება.
რუსეთი უდიდესი შესაძლებლობების მქონე ქვეყანაა და მას შე-
უძლია კიდევ ბევრი ცუდისა და კარგის გაკეთებაც. ამიტომ, ამხე-
ლა ქვეყანასთან ურთიერთობისას ცოტა მოზომილებები უნდა ვი-
ყოთ, ვინაიდან **ჯერ ჩვენი დრო არ დამდგარა**. მაგრამ ასეთი პო-
ზიცია არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის
მთავარი/ძირითადი პარტნიორი და უარი ვთქვათ დასავლეთთან
მეგობრობაზე. ეს მისი სანუკვარი ოცნებაა, რომ საქართველო
ისევ მართლ დარჩეს მის პირისპირ და მერე რასაც უნდა იმას გვი-
ზამს. ჩემი აზრით, **რუსეთთან, როგორც ქვეყნის მთავარ პარტნი-
ორთან, ურთიერთობის დამყარებას არ მოიწონებს ქართველი
ხალხი**. ეს ამ ქვეყანასთან ურთიერთობის **მრავალსაუკუნოვან ის-
ტორიულ გამოცდილებას ეფუძნება**, რომლის მიხედვითაც რუსე-
თი საქართველოს სანდო პარტნიორი არც არასდროს ყოფილა.
აქ მე მოვიყვან მცირე ისტორიულ მიმოხილვას, რომელმაც სამ-
ნუხაროდ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ქვეყნებს შორის ურ-
თიერთობებზე. მას ასე, საქართველომ რუსეთთან ურთიერთო-
ბის მწარე გაკვეთილი იწვინა **ჯერ კიდევ ამ ურთიერთობების სა-
ნის ეტაპზევე – ვახტანგ VI-დან ერეკლე II-მდე**. ბოლოს რუსეთის
იმპერიამ ისიც კი იკადრა, რომ საერთოდ გაგვიქემა ქართული
სახელმწიფოებრიობა და ზედ მიაყოლა ეკლესიის ავტოკეფალი-
აც. თანაც ეყო იმის თავხედობა, რომ სახელმწიფოებრიობის გა-
უქმების შესახებ თხოვნის წერილი ქართლ-კახეთის უკანასკნელ
მფეს **გიორგი XII-ს მიანერა**, სინამდვილეში კი რუსეთის იმპერი-
აში შედგენილ ამ დოკუმენტზე მეფის ხელმოწერა არ ყოფილა.
ამის შემდეგ, რუსეთში გადაასახლეს ბაგრატიონთა დინასტია, გა-
იტანეს ბაგრატიონთა იტორიული არქივი, გაიტანეს საეკლესიო
ქონება, გადაღებეს ქართული ეკლესიები, აკრძალეს ქართულ
ენაზე წირვა-ლოცვა და საეკლესიო გალობა, გაატარეს მკაცრი
რუსიფიკატორული პოლიტიკა, სასტიკად უსწორდებოდნენ ყვე-
ლას, ვინც არ ემორჩილებოდა მათ და ა.შ. **შეიძლება ვილაყამ
თქვას, რომ რუსეთმა ხომ შემოგვიერთა სამცხე-ჯავახეთი და აჭ-
არა, ალაგმა ჩრდილოკავკასიელთა შემოსევები და ა.შ.** თუ ასეა,

მაშინ სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას – ამ შემთხვევაში რეალურად რუსეთის იმპერიის ქართული სახელმწიფო (რომელიც უკვე აღარ არსებობდა) გამთლიანების იდეა კი სტანჯავდა ან ჩრდილოკავკასიელთა თარეშის გამო კი არ წუხდა, არამედ ის გაშმაგებით მიისწრაფვოდა იმპერიის საზღვრების გაფართოების და კავკასიის სრული დამორჩილებისკენ. სხვათაშორის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ტერიტორიების დაბრუნებისას რუსულ ჯარში ძირითად მოიერიშე ძალას სწორედ ქართველები და სომხები წარმოადგენდნენ. რუსეთის „გამორჩეულ პარტნიორობაზე“ მიუთითებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თურქებისგან გათავისუფლებული სამცხე-ჯავახეთიდან მათ სრულად განდევნეს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, რომელსაც იძულებით ჰქონდათ თავს მოხვეული ისლამი და მათ ნაცვლად, ქართველი თავადაზნაურების მრავალჯერადი თხოვნის მიუხედავად, ჩაასახლეს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, თან იმავედროულად აკრძალეს ქართულ ენაზე ნებისმიერი კომუნიკაცია. სხვათაშორის, უნდა ვიცოდეთ ისიც, მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის რღვევის შემდეგ, რუსეთისგან მიტოვებული აჭარის გათავისუფლება ისევ ქართულმა მხედრობამ შეძლო გენერალ – **გიორგი მაზნიაშვილის** და სხვათა მამაცობით. **საბჭოთა რევოლუციის შემდეგ კი**, რუსეთის მაშინდელმა მმართველმა – **გლადიმერ ლენინმა**, საქართველოს დაუკითხავად, **ყარსის ხელშეკრულებით**, ისტორიული ტაო-კლარჯეთი თავისი მოსახლეობით გადასცა თურქეთს. ეს არ იკმარა „საბჭოთა რუსეთმა“ და დაიწყო ქართული მიწების შემდგომი განიავება – სოჭი რუსეთს დაუთმო, საინგილო – აზერბაიჯანს, ლორე – სომხეთს და ა.შ. საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში კი ხელი მიჰყვეს – ეკლესიების ნგრევას, ინტელიგენციის და სასულიერო პირების დახვრეტას, არნახულ რეპრესიებს, მთელს ქვეყანაში შექმნეს მხეცური, არაადამიანური და გაუსაძლისი გარემო, სასტიკად გაუსწორდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პატრიარქებს (**ლოენიდე ოქროპირიძეს და ამბროსი ხელაიას**), გადატრიალება მოაწყვეს ეკლესიაში და ა.შ.. ამას დაემატა ისიც, რომ საბჭოთა იმპერიამ საქართველოში ჩადო გრძელვადიანი მოქმედების „ნაღმები“ სამაჩაბლოს, აფხაზეთის, დავით გარეჯის, სამცხე-ჯავახეთის

და სხვა რეგიონების სახით, სადაც კონფლიქტების გაღვივების მიზნით, მასობრივად ჩაასახლა სხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა დაგეგმა და დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ეთნიკური წმენდა მოუწყო ქართველ ხალხს, საქართველოს რეგიონებში აამოქმედა პოტენციური კონფლიქტური კერები და ა.შ. აი, ამ ყველაფრის ფონზე, არ ვიცი როგორ უნდა გახდეს რუსეთი საქართველოს მთავარი პარტნიორი? ის ხომ ისევ იმპერიული მონადირის თვალთ გვიუყურებს, პატივს არ სცემს ჩვენს ისტორიას და საქართველოს თავისი იმპერიის ქვეშევრდომ ვასალად ხედავს. არადა, ჩემი აზრით, სიმართლე ის არის, რომ მათ ობიექტურად და რეალურად ვერ შეაფასეს საქართველოს როლი რუსეთის სახელმწიფოს წინაშე! ფაქტია, რომ რუსეთმა სწორედ საქართველოს დახმარებით დაიმორჩილა კავკასია და რეგიონიდან განდევნა თურქეთი და ირანი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საქართველომ რუსეთისთვის უდიდესი ისტორიული მისია შეასრულა და ის დღესაც წარმოადგენს რუსეთის მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს. უბრალოდ ისინი ვერ ხედავენ ამას. აბა, ერთი წამით წარმოვიდგინოთ, ამ რეგიონში საქართველო რომ არ ყოფილიყო რა ბედი ელოდა რუსეთს – სამხრეთ კავკასიას პირდაპირ ჩაყლაპავდა ისლამური სამყარო და მიაღებოდა კავკასიის მთებს. ამის შემდეგ უკვე რთული გამოსაცნობი აღარ იქნებოდა, თუ რა ბედი ელოდა მას - ცხადია ის სამუდამოდ დაკარგავდა კავკასიას და ამოიკვეთავდა ფეხს ამ რეგიონიდან. მაგრამ, რათ გინდა – რუსეთის მმართველები იმდენად „ნიჭიერები“ აღმოჩნდნენ, რომ საქართველოს, ამ მართლაც სტაბილურობის გარანტს, თვითონ დაუნყეს ბრძოლა და შევიწროება. თუმცა, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება არც მომავალში შეიცვლება, ვინაიდან მათ ისტორიულ და სტრატეგიულ დოკუმენტებში საქართველოს მიკერებული აქვს ე.წ. „მეამბოხე ერების“ სტატუსი, ამიტომ, ისინი კვლავაც ჩვეული წარმატებით გააგრძელებენ ე.წ. „რუსული ჩეჩმის“ უაზრო პოლიტიკას.

რაც შეეხება ე.წ. „დასავლეთს“ – ზოგადად, „დასავლეთი“ საქართველოში ყოველთვის აღიქმებოდა დემოკრატიისა და ცივი-

ლიზაციის ოაზისად. რაც მე ვიცი და გამიგონია, ამისკენ მიისწრაფვოდა მთელი თაობები და ჩვენი ქვეყნის პატრიოტები. საქართველო ჯერ კიდევ დღესაც დგას ამ რელსებზე. ცხადია, ჩვენ „დასავლეთთან“ ისტორიული მეზობლობა ან მით უფრო ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების გამოცდილება არ გვქონია. ამიტომ, მასთან დაკავშირებით ზოგჯერ შეიძლება გაზვიადებული წარმოდგენები ან გადაჭარბებული მოლოდინებიც გვქონია ხოლმე. ეს კარგად გამოჩნდა თუნდაც ჩვენს ახლო წარსულში, როდესაც დასავლეთი მოგვევლინა საკმაოდ „პრაგმატულ“ პოლიტიკურ ძალად. ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ ისევ საქართველოში 1991-1992 წლებში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც მათ არა მარტო თავი შეიკავეს მოვლენების პოლიტიკური შეფასებისგან, არამედ პირიქით - აშკარად მხარი დაუჭირეს უკანონო ხელისუფლებას, ისევ ედუარდ შევარდნაძის „საერთაშორისო ავტორიტეტის“ დამსახურებით. აღნიშნული პერიპეტებიდან ისტორიას შემორჩა ასევე აშშ-ს პრეზიდენტ ბუშის სიტყვებიც – „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“. ეს იყო იმდროინდელი საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის პირველი შოკი, რაზეც მოგვიანებით ზვიად გამსახურდიაც საუბრობდა. შემდეგ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა და „თეთრმა მელამ“ 90-იანი წლების ბოლოს შეძლო საქართველოში რუსეთის გავლენების შესუსტება და ქვეყნის კურსი აიღო დასავლეთისკენ. მან, თავისი პოლიტიკური ხრიკებით და რევოლუციური სცენარით 2003 წელს, საქართველოს ხელისუფლება გადააბარა პროდასავლურ ძალებს და საბოლოოდ გაემიჯნა რუსეთს. ამის გამო, რუსეთის მხრიდან მკაცრად დაისაჯა საქართველო – ჯერ ედუარდ შევარდნაძეზე ორგზის ტერაქტის და შემდეგ უკვე პრეზიდენტ სააკაშვილის დროს – 2008 წელს, როდესაც რუსეთმა პირდაპირი ფართომასშტაბიანი ომი გააჩაღა საქართველოსთან. სამწუხაროდ, ამ ომში საქართველო განწირული იყო და ცხადია არანაირი გამარჯვების იმედი არ გვქონდა, მაგრამ ამ დროს ტერიტორიების და ადამიანების დანაკარგების გარდა, ყველაზე გულდასაწყვეტი იყო ის, რომ სათანადოდ ვერ წარმოჩინდა საქართველოს თავდაცვის ძალების რეალური შესაძლებლობები და პოტენციალი. ამის გამო, ხშირად ქილიკობენ

ხოლომე ჩვენი ე.წ. „კითილისმსურველები“ და ჩვენს საზოგადოებაშიც უკვე დამკვიდრებულია ისეთი აზრიც, რომ ჩვენ ბრძოლა არ შეგვიძლია და არაფრის თავი არ გვაქვს. არადა ეს ასე არ არის. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ **ომის დროს ქართული ჯარის სამხედრო მიზნები ანუ საცეცხლე წერტილები იყო მხოლოდ სეპარატისტული ხელისუფლების საჯარისო დანაყოფები და არა რუსეთის სამხედრო ნაწილები.** ქართული ჯარი არ ელოდა რუსეთის მხრიდან შეტევას, რაც მოულოდნელად დაატყდა მას თავს და ამიტომაც დაიწყო პანიკა და დაცვის ხაზის სტიქიურად მოშლა. მიუხედავად ამისა, ქართული ჯარი სწრაფად გადაეწყო ახალ სამხედრო მიზნებზე და სერიოზული დაზიანებაც მიაყენა რუსულ არმიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-2 ქვეითი ბრიგადის მაღალი საბრძოლო შედეგები და მათივე მონაწილეობით შინდისის ბიჭების გმირული ისტორია. ომის ასე სწრაფად დამთავრების მიზეზად სამხედროები დღესაც ასახელებდნენ მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირდაპირ ჩარევას საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისა და მართვის პროცესში. ჩვენს სამხედროებს დღემდე გული სწყდებათ, რომ მათ არ მიეცათ **„ქართული სამხედრო ჩანაფიქრის“** რეალიზაციის შესაძლებლობა. შეიძლება ვიღაცა არ დამეთანხმოს და თქვას ეს ასე არ იყო, რომ მე განსხვავებულ ამბავს ვყვები, მაგრამ ჩემი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინების გარდა, სვეპტიკოსებს ვურჩევ, ასევე გაეცნონ **გენერალ გიორგი ყარყარაშვილის** წიგნს, რომელიც უშუალოდ ამ ომს ეხება. ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს სამწუხაროდ სათანადოდ ვერ წარმოჩინდა ქართული ჯარის რეალური შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე, ჩვენს საზოგადოებაში არსებობს მის მიმართ არასწორი შეფასებები და მოლოდინები.

მოდით დავუბრუნდეთ ისევ, „დასავლეთთან“ ურთიერთობის საკითხს და **გაგარკვიით ნამდვილად შეიძლება თუ არა გახდეს ის საქართველოსთვის სანდო პარტნიორი.** როგორც ამბობენ, დასავლეთი „ჭრელია“, შედგება ბევრი ქვეყნისგან და ურთიერთგანსხვავებული ხალხებისგან. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში აისახება გადაწყვეტილებების მიღების სირთულესა და სისწრაფეზე. ამის გამო ხშირად აკრიტიკებენ დასავლეთს და ამბო-

ბენ, რომ ის ვერ იღებს დროულ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს. ამის მაგალითად მოჰყავთ თუნდაც საქართველო და უკრაინა და ამბობენ, რომ ეს ქვეყნები „ნატოში“ რომ დროულად გაწევრიანებულიყვნენ, რეალურად აიცილებდნენ რუსეთის მხრიდან აგრესიას და ფართომასშტაბიან ომს. გარდა ამისა, დღეისათვის დასავლეთთან დაკავშირებით მთელ მსოფლიოში ისმის კიდევ უფრო მწვავე კრიტიკაც, რომ – ის მიისწრაფის გლობალიზაციისკენ, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებისკენ, სახელმწიფოთა საზღვრების გაუქმებისკენ, ერების ასიმილაციისკენ, ეროვნული, ტრადიციული და რელიგიური ღირებულებების მოშლისკენ და ა.შ. ასეთ დისკუსიაში შესვლა ძალიან რთულია და შეიძლება ამაში იყოს რაღაც სიმართლის მარცვალიც, მაგრამ ასეთი გლობალური საკითხების მიმოხილვა ამ წიგნში რა თქმა უნდა ვერ მოხერხდება. ამიტომ, მე უფრო ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, თუ როგორ ხედავს ქართული საზოგადოების ნაწილი ე.წ. „დასავლეთს“ და რა არ მოსწონს მის მიწრაფებებში. ძირითადად, ეს არის ორი რამ, რაც ყველაზე თვალსაჩინოა ჩვენს საზოგადოებაში – 1) ევროპულ ღირებულებებში რელიგიის როლის დაკნინება და მორწმუნე ადამიანების დაბალი დაცვის სტანდარტი; და 2) „ლაგბტ“ მოძრაობის პირდაპირი მხარდაჭერა, რომელიც „ახალი ტიპის დასავლურ ღირებულებებად“ ითვლება. აღნიშნული ღირებულებები აქტიურად იწერება ჩვენს საზოგადოებაში და უფრო მეტიც – ხდება საზოგადოების პირდაპირი იძულება, რომ მან გაითავისოს და შეიძინოს ახალი ტიპის, მისთვის არადაამახასიათებელი ღირებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს ძალიან მტკივნეულად აღიქვამს ჩვენი ხალხი, ვინაიდან თვლის მას უზნებლად და გარყვნილებად. არადა საქმე იმაშია, რომ ამ ახალი ე.წ. „ევროპული ღირებულებების“ საზოგადოებაზე იძულებით თავს მოხვევა დიდ დარტყმას აყენებს პირველ რიგში ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაციის იდეას. ამ ფაქტორს კარგად იყენებს რუსეთი და თავისი „საცეცხის“ გამოყენებით ალვივებს დასავლეთის მიმართ მკვეთრად უარყოფითად განწყობას. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი პოლიტიკის გამო კარგავს დღეს დასავლეთი თავის მხარდამჭერებს საქართველოში. საქმე უკვე იქამდეც მივიდა, რომ რელიგიისა და მორალურ-ზნეობრივი ღირე-

ბულებების დაცვის მოტივით, საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკვე იმაზეც თანახმაა, რომ უარი თქვას ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაციაზე და არჩევანი გააკეთოს ისევ ცნობილ „მახრჩობელა“ რუსეთის იმპერიაზე. მოკლედ, გამოსავალი თითქოს არ ჩანს, ყველა პოტენციურ პარტნიორს თავისი ნაკლი აქვს. მაგრამ ჩემი აზრით, მხოლოდ ე.წ. „ლიბერალური“ შეხედულებების გამო დასავლეთის დაწუნება და არჩევანის ისევ რუსეთის სასარგებლოდ გაკეთება არ იქნება სწორი. ასე, კონფლიქტი „ლიბერალიზმსა“ და „კონსერვატიულ“ ღირებულებებს შორის მუდმივად არსებობს და თანაც ყველა ქვეყანაში. ყველაზე მძაფრად ეს კონფლიქტი სწორედ დასავლეთის ქვეყნებში ვლინდება. დღეისათვის ძალიან ძლიერია კონსერვატიული მოძრაობები - აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში, პოლონეთში, საბერძნეთში და ა.შ. რაც შეეხება რუსეთს - ის ძალიან ცდილობს, რომ „ცხვრის ქურქივით“ მოირგოს კონსერვატიული ქვეყნის იმიჯი, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გამოდგება ასეთი იდეების დამცველად, ვინაიდან ძალიან შორს არის უმთავრესი კონსერვატიული ღირებულების – „მწიბვის, მორალის, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობისგან“ – პირველ რიგში ის ჩაგრავს მართლმადიდებელ ქვეყნებს – საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ატარებს ისევ რუსიფიკატორულ საეკლესიო პოლიტიკას, მტრული დამოკიდებულება აქვს თავის მეზობელ ყველა ქვეყანასთან და გვევლინება კარგად ნაცნობ „ჟანდარმად“. ამრიგად, შეჯამების სახით მინდა ვთქვა, რომ ჩემი აზრით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი გადის ისევ დასავლეთზე, ოღონდ მის კონსერვატიულ ნაწილზე და ჩვენმა ქვეყანამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იაროს!!! საერთაშორისო საზოგადოებისგან იბოლაცის შემთხვევაში, საქართველოს ძალიან გაუჭირდება საკუთარი სახელმწიფოებრიობის და იდენტობის შენარჩუნება.

19. გავაცნობიეროთ და ვმართოთ საკუთარი თავი

რწმენაში ყოფნასთან ერთად ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა საკუთარი თავის გაცნობიერება და მართვა. ამისკენ მოგვიწოდებს ყველა ფილოსოფიური თუ რელიგიური მოძღვრება. პრინციპში, ასეთი კითხვები თანდაყოლილია ადამიანში. გონიერ ადამიანს არ ძალუძს უბრალოდ დაკმაყოფილდეს მხოლოდ არსებული სამყაროს მატერიალური სიკეთეებით და ის მუდმივად რაღაცის ძიებაშია. ამ დროს კი მის ცხოვრებაში წინა პლანზე იწვევს ცხოვრების მნიშვნელობის, ანუ ცხოვრების მთავარი არსის ცნება, რისი გარკვევაც შეუძლებელია საკუთარი თავის გაგების გარეშე. „ვინც ერთხელ დაეუფლა საკუთარ თავს, ის არაფერს დაჰკარგავს ამქვეყნიად და ვინც ერთხელ შეიცნო ადამიანი საკუთარ თავში, ის გაიგებს ყველა ადამიანის გულისთქმას“ (შტეფან ცვაიგი).

ეს საკითხი ნამდვილად მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია. მართლაც, როგორ შეიძლება ადამიანმა იცოდეს მისგან გარე მყოფი სამყაროს შესახებ „ყველაფერი“ ან „ბევრი რამე“, მაგრამ არაფერი იცოდეს საკუთარი თავის შესახებ. პირველ რიგში ადამიანმა უნდა იცოდეს, თუ ვინ არის ის და რეალურად ხედავდეს (შეიგრძნობდეს) საკუთარ არსებას. ზოგიერთი ამ არსებას ადამიანის შინაგან „მე-ს“, ზოგიერთი კი „გონებას“-ს ან/და „სულს“ ეძახის. ადამიანი ასევე უნდა შეეცადოს საკუთარი აზრების, ემოციების, განწყობილებების, გრძნობების და მოთხოვნილებების გაცნობიერებასა და მართვას, რაც ნამდვილად არ არის მარტივი საქმე. უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანი არის ერთგვარი მანქანა-მოწყობილობა, რომლის მართვასაც სჭირდება სპეციალური ცოდნა და უნარები. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი არც არასდროს დაფიქრებულა ამ საკითხებზე. ცხოვრებაში ადამიანები ისე არიან გართულნი თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით, რომ უფრო მეტად ასრულებენ მექანიკურ მოქმედებებს და ცხოვრობენ ინსტინქტებით, ვიდრე გაცნობიერებული ცხოვრებით. გონებაში მოდის უამრავი აზრი და ადამიანები მოქმედებენ

ამ აზრების და ფიქრების შესაბამისად, მაგრამ თვითონ ეს პროცესი (ანუ აზრების მიმოსვლა და შემდეგ მოქმედება) ხდება ავტომატურ რეჟიმში, პროცესის გაუცნობიერებლად. ფსიქოლოგიაში ამას - „საბაზისო ცნობიერება“ ჰქვია, როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს ამ პროცესების დაკვირვებას და გაცნობიერებას. ასეთი მდგომარეობა ძალიან შორის არის „ცნობიერების უმაღლესი დონისგან“, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც მოაზროვნე ინდივიდის გაცნობიერებას, ანუ „თვითცნობიერებას“.

ადამიანების უდიდესი ნაწილი ნამდვილად ვერ ახერხებს საკუთარი თავის გაცნობიერებას. ისინი ხვდებიან, რომ თითქოს ძილბურანის მდგომარეობაში არიან, მაგრამ არ იციან თუ როგორ დააღწიონ თავი ამ მდგომარეობას. მათ არ იციან ასევე ყველაზე მთავარი - თუ სინამდვილეში ვინ არიან ისინი, ვინ მართავს მათ და როგორ ჩამოხსნან ფარდა ამ ილუზალებას. ბევრს ჰგონია, რომ მათ გონებაში გაჩენილი აზრი, გრძნობა ან თუნდაც სხეული არის მათი ნამდვილი არსება, მაგრამ ეს ესე არ არის. უფრო მეტად ადამიანები საკუთარ თავს აიგივებენ მხოლოდ საკუთარ სხეულთან, რომელსაც სხვა ცოცხალი არსების მსგავსად ახასიათებს სიკვდილი. აქედან გამომდინარე, სიკვდილის შიში გადადის და ეუფლება უკვე ადამიანის სულსაც, რის გამოც ადამიანები მუდმივად იტანჯებიან. ანუ ადამიანები განიცდიან წუხილს და ტანჯვას იმის გამო, რომ მათ არ იციან თავიანთი ნამდვილი ვინაობა. ადამიანის ნამდვილი ვინაობა (არსება) კი რეალურად არის ადამიანის შინაგანი - „მე“ (სული), რომელიც ხელაგს, აკვირდება და აცნობიერებს, როგორც საკუთარ თავში, ისე მის გარშემო მიმდინარე პროცესებს. საკუთარი თავის გაცნობიერების შემდეგ, ადამიანი შეიგრძნობს ამ შინაგან „მე“-ს (სულს), მის უკვდავებას და თავისუფლდება ამ შფოთვისგან.

მაშ ასე, რა ან ვინ უნდა გავაცნობიეროთ საკუთარ თავში - ადამიანმა უნდა ჩაიხედოს საკუთარ თავში, დააკვირდეს და გააცნობიეროს საკუთარი - სხეული, აზრები და გრძნობები, ასევე ნათლად ხელაგდეს და შეიგრძნობდეს მასში მყოფ ცოცხალ არსებას („მე“-ს), აზრებისა და გრძნობების გარეშე. ის ასევე ცხადად უნდა შეიგრძნობდეს საკუთარ სიცოცხლეს და მის დინამიკას, რაც ზო-

გიერთი ფილოსოფიური თუ რელიგიური მოძღვრებისთვის ცხოვრების მთავარ ამრსა და მიზანს წარმოადგენს. ამისათვის კი პირველ რიგში ადამიანმა ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს თავისი გარე და შიდა სამყაროები. ამ სამყაროებს შორის ერთგვარ კარიბჭედ კი პირობითად შეიძლება დასახელდეს ადამიანის თვალი, მაგალითად – თვალის გახელით ჩვენ გარე (ანუ ხილულ) სამყაროში აღვმოჩნდებით, ხოლო თვალის დახუჭვით – შინაგანში. ამიტომაც არის ხოლმე, რომ თვითგაცნობიერების პროცესში უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ თვალების დახუჭვის ტექნიკას, რომელიც იძლევა საკუთარ თავში უფრო ღრმად ჩახედვის შესაძლებლობას. ამასთან, თვითგაცნობიერების პროცესში, დამკვირვებელი ამრებთან და ფიქრებთან ერთად აკვირდება ასევე საკუთარ თავსაც და აცნობიერებს მასაც, რა დროსაც ჩვენ იმაგდროულად ვხვდებით ამ **დამკვირვებლის თვისებებსაც – მას არ აქვს რაიმე კონკრეტული ფორმა, ის არ ლაპარაკობს და მხოლოდ ჩუმად უყურებს ამ ყველაფერს.** ამ დროს, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს გონებაში ყველაფერი სწრაფად იცვლება - ერთი ამრი ან გრძნობა ანაცვლებს მეორეს და ა.შ., მაგრამ არ იცვლება თვითონ დამკვირვებელი. **აი, სწორედ ეს დამკვიდრვებელი ვართ ჩვენ!!!** ეს მომენტი რომ უფრო კარგად შევიგრძნოთ და დავაფიქსიროთ, საკუთარ თავს უნდა ვეუბნებოდეთ, რომ **„ეს დამკვირვებელი ვარ მე“.** **ეს დამკვირვებელი იმაგდროულად არის ასევე ადამიანის ნამდვილი/რეალური მართვის ორგანოც.** უტრირებულად რომ ვთქვათ, სხეული და გონება არის მანქანა, ხოლო დამკვირვებელი (სული/„მე“) არის მძღოლი, რომელიც მართავს ამ მანქანას. ზოგადად ადამიანს ბევრი ამრი და ბევრი პატარა ყალბი „მე“ აქვს, რომლებსაც სხვადასხვა მიზანსწრაფვები აქვთ, მაგრამ ყველა მათგანი საბოლოო ჯამში უნდა დაექვემდებაროს ერთ მთავარ ორგანოს (დამკვირვებელს) და მოუსმინოს მას. გონება, რომელიც მუდმივად „დახტის“ და ქმნის სხვადასხვაგვარ ამრებს (უამრავ პატარა „მე“-ს), საკუთარ სხეულში უნდა შემოვიყვანოთ, ანუ შინაგანი სამყაროსკენ უნდა მივმართოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ერთ საქმეს ვაკეთებთ ან ვფიქრობთ, ამ დროს გონება იმაგდროულად არ უნდა ფიქრობდეს სხვა რამეზეც. ეს აბრკოლებს და აფერხებს მთავარ საქმეს. ამ შემთხვევაში გონების ში-

ნაგანი სამყაროსკენ მიმართვა იქნება, როდესაც შევწყვეტთ სხვა რამეზე ფიქრს და მთელი გონება ერთი მთავარი საქმით იქნება დაკავებული. ასეთ შემთხვევაში სხეული, გონებაცა და სულიც სამივე ერთად იქნება (ერთად შეიკვრება) და ადამიანი შეძლებს საკუთარი თავის ერთიანობაში გაცნობიერებასაც. სწორედ ეს ერთიანობა ქმნის სრულყოფილი ადამიანის განცდას. ასეთ შემთხვევაში, ადამიანის ყველა ეს შემადგენელი ერთიანად მოდის მწყობრში და ჰარმონიულად იწყება მოქმედება საერთო მიზნის მისაღწევად.

საინტერესოა ამ საკითხზე ქრისტიანობისა და სხვა რელიგიების შეხედულებებიც:

ა) ქრისტიანობაში საკუთარი თავის შეცნობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ადამიანის „გამოღვიძება“ და საკუთარი თავისა და ღმერთის შეცნობა. „გამოიძიე საკუთარი თავი“ - ბრძანებს ბასილი დიდი. ქრისტიანები ღმერთს საკუთარ თავში ეძიებენ და არა ციურ სხეულებში ან კოსმოსში. ამიტომაც იყო, რომ განდევნილი ბერები განსაზღვრულად და ცოდვისგან თავის დასაღწევად განემორბოდნენ საზოგადოებას/ყოველდღიურ ამოცებას და ღმერთისა და საკუთარი თავის უკეთ შესაცნობად დიდი სიხარულითა და ენთუზიამით მიაშურებდნენ უდაბნოსა და მღვიმეებს. მღუმარების, თვალების დახუჭვისა და ლოცვის დროს ისინი კიდევ უფრო ღრმად შედიოდნენ საკუთარ თავში, ასევე შინაგან სამყაროში უხმობდნენ და გონებით კავშირს ამყარებდნენ სამყაროს შემოქმედ ღმერთთან. ქრისტიანები ფიქრობენ, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო არის სწორედ ის ადგილი, სადაც შეიძლება მორწმუნე ადამიანმა ღმერთი იხილოს ან შეიგრძნოს. ამიტომაც არის ნათქვამი, რომ ადამიანის სხეული არის „სულიწმინდის ტაძარი“, სადაც მას შეიძლება ღმერთი გამოეცხადოს. ნათქვამია ასევე ისიც, რომ თუ ადამიანი საკუთარ თავს (მეს/სულს) დაინახავს, მაშინ ის ღმერთსაც დაინახავს. მორწმუნეები საკუთარი თავიდან ჭვრეტენ პირველ რიგში საკუთარ სულს, შემდეგ ღმერთს და შეიგრძნობენ ღვთაებრივ ძალებს (ენერგიებს). აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, განიხილავდნენ „აპოთაქტურ ღვთისმეტყველებას“ (შესვლა საკუთარ თავში და დაკვირვება) და „კატაქტურ ღვთისმ-

ეტყველებას“ (საკუთარი თავისა და ღმერთის ბუნებრივი ჭვრეტა-შემეცნება). **წმინდა ნიკიტა სტიფატი** გვთავაზობს საკუთარი თავის **შეცნობის კონკრეტულ ტექნიკას** – „*ბაგეთა მღუმარება, თვალთა დახუჭვა და სასმენელთა დახშობა . . . ჩაკეტავს გარედან შემოსულ კართ და ადამიანი საკუთარი თავისკენ იწყებს ხედვას და აკვირდება თავის მოძრაობებს*“. ამ მიმართულებას განსაკუთრებულად ავითარებდნენ ასკეტი ბერები, ხოლო ათონის მთაზე მოღვაწე **„ისიხასტმა ბერებმა“** კიდევ უფრო სხვა სიმაღლეზე აიყვანეს და უფრო მეტი სიახლეც შემოგვთავაზებს („ისიხაზმის“ საკითხი უფრო ვრცლად არის განხილული მე-16 თავში);

ბ) **ინდუისტურ რელიგიაში**, საკუთარი თავის შეცნობა ერთ-ერთი უმთავრესია, რაც მიიღწევა **მედიტაციური ვარჯიშების** გზით. უფრო მეტიც, მედიტაციური ვარჯიშები (ინდური – იოგა და ჩინური – ციგუნი) **მთლიანად ეძღვნება საკუთარი თავის შეცნობასა და განვითარებას** (ე.წ. „გასხივოსნებას“). ისინი ამბობენ, რომ **„ცხოვრებაში მხოლოდ ერთადერთი რამე არის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი - რომ მივხვდეთ, თუ ვინ ვართ ჩვენ“, ხოლო სხვა ყველაფერს ამრიგ არ აქვს**.“ ინდუისტების ამრით, გამოღვიძებული ადამიანი, რომელმაც შეძლო საკუთარი თავის პოვნა, მოიპოვებს ასევე სიმშვიდის და სიამოვნების (ნეტარების) განცდას. მათივე მტკიცებით, თვითგაცნობიერებას აქვს ასევე ადამიანის თვითგანკურნების თვისებაც.

ამ საკითხზე მუშაობისას ძალიან საინტერესო მასალას წაგანყდი - თურმე არსებობდა საკუთარი თავის გაცნობიერების **„უძველესი კავკასიური სწავლება“-ც**, რომელიც **„რულილუღვისი“-ს** სახელწოდებით არის ცნობილი. ასეთ ცოდნას ფლობდნენ **„უძველესი კავკასიელი ბერები“ (როგორც ჩანს ეს უფრო ქრისტიანობამდელი პერიოდია)**. მათ შემუშავებული ჰქონდათ თვითშემეცნების პრაქტიკული სწავლების მეთოდი და გაკვეთილების მთელი სისტემა. მოწაფეებს ისინი უხსნიდნენ ადამიანის ნამდვილ არსს, გადასცემდნენ დაფარულ ცოდნას და ასწავლიდნენ საკუთარი თავის შესახებ მცდარი და არასრულყოფილი შეხედულების შეცვლის ტექნიკას, რომელთა დახმარებითაც ისინი შეძლებდნენ საკუთარ თავში ნამდვილი „მე“-ს შემეცნებას. ამასთან, სანამ მოწაფე არ დაეუფლებოდა საწყისი სწავლების ცოდნას, ან სულ მცირე

სანამ ჭეშმარიტება არ აღიბეჭდებოდა მის ცნობებებში, არ იძლეოდნენ მომდევნო გაკვეთილებს. ბერები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი გამოღვიძებამდე ვერ აცნობიერებს სინამდვილეში თავის არსს, არ შეუძლია გაიგოს საკუთარი ძალის საწყისი, ან იგრძნოს მისი „ნების“ მოქმედება. ჩემთვის, ეს ნამდვილად საინტერესო აღმოჩენა იყო, მაგრამ ამაზე უფრო მეტი ინფორმაცია მე ვერ მოვიძიე. სინამდვილეში, შეიძლება მართლაც არსებობდა მსგავსი ცოდნა და სწავლება, თუმცა როგორც ჩანს მან ვერ მოაღწია დღევანდელ დღემდე და დარჩა მხოლოდ ისტორიულ მესიერებად.

საინტერესოა, რას ფიქრობს თანამედროვე მეცნიერება და აქვს თუ არა მასაც თვითშემეცნების რაიმე მეთოდი – როგორც გავარკვიე, ამაზე ბევრს საუბრობენ ფსიქოლოგები და რა თქმა უნდა გვთავაზობენ კიდევ თვითშემეცნების საკუთარ მეთოდებსაც. როგორც მივხვდი, ამ შემთხვევაში ასეთი მეცნიერული მეთოდების მთავარი მიზანი არის - **ადამიანის ხასიათის თვისებების, ემოციური მახასიათებლების, უნარების და შესაძლებლობების გარკვევა**. ამის დადგენა კი ძირითადად ხდება სპეციალური ტესტების გზით, თუმცა მათივე განმარტებით შედეგები ყოველთვის შეიძლება არ იყოს ზუსტი. თვითშემეცნებაზე საუბრისას მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს არის უნიკალური პროცესი, მაგრამ **„შეუძლებელია ამ თეორიის სრულად გაგება, რადგან მისი შთამბეჭდავი ნაწილი არაცნობიერის სფეროშია“**. ჩემი აზრით, აღნიშნული მიდგომა ნამდვილად საინტერესოა და რა თქმა უნდა წარმოადგენს კიდევ თვითდაკვირვების პროცესის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ადამიანის არსების, ანუ შინაგანი „მე“-ს ბოლომდე დანახვისა და გააზრებისათვის. ადამიანის თვისებები, უნარები, შესაძლებლობები და ემოციური მდგომარეობა მუდმივად ცვალებადია. ამიტომ, ეს მახასიათებლები არ შეიძლება იყოს და ვერც იქნება ადამიანის ნამდვილი არსი. როგორც ჩანს, თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება, ადამიანის თვითშემეცნებაზე მსჯელობისას ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე თუ - **„როგორია ადამიანი?“** და არა ის თუ სინამდვილეში **„ვინ არის ადამიანი?“** პრინციპში, მათი მხრიდან ასეთი მიდგომა არც არის გასაკვირი, ვინაიდან მეცნიერების დიდი ნაწილი

ეფუძნება რა მეცნიერული ათეიზმის იდეებს, ღმერთის მსგავსად ადამიანის გონებას და პიროვნულ „მე“-საც სრულ ილუზიად მიიჩნევს, ხოლო ზოგიერთი მეცნიერი მართალია არ უარყოფს მის არსებობას, მაგრამ დარწმუნებულია იმაში, რომ ადამიანის პიროვნული „მე“ მუდმივად ცვალებადია და ამაში ისინი მოიაზრებენ ადამიანის - თვისებებს, ემოციებს და შესაძლებლობებს. სწორედ ასეთ მიდგომებს ეყრდნობა თანამედროვე მეცნიერება, მაგრამ ჩემი აზრით, თვითშემეცნების მეცნიერული მეთოდები მაინც ბოლომდე ვერ ხსნის და გვერდს უვლის ადამიანის ნამდვილ არსებას, ანუ პიროვნულ „მე“-ს.

ამ მცირედი მიმოხილვის შემდეგ აუცილებლად უნდა ვისაუბრო იმ ვარჯიშებზე, რომლითაც მიიღწევა თვითდაკვირვების სასურველი შედეგები. ამრიგად, თვითდაკვირვებას აქვს თავისი მეთოდი. როგორც ვხედავთ, ეს მეთოდი მეტნაკლებად საერთოა და არ ეწინააღმდეგება არცერთ რელიგიას თუ ფილოსოფიას. მისი მიზანი არის მხოლოდ საკუთარი თავის გაცნობიერება და საკუთარი თავის მართვის უნარების გამომუშავება. მართალია, ადამიანები მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ცდილობენ საკუთარი თავის გაცნობიერებას, ეს პროცესი ჩვილობის ასაკიდან იწყება და სიცოცხლის დასასრულამდე გრძელდება, მაგრამ სამწუხაროდ მათი დიდი ნაწილი მაინც ვერ ახერხებს საკუთარი თავის ბოლომდე შეცნობას. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მათ არ იციან თვითშემეცნების სწორი გზა და თვითდაკვირვების სწორი მეთოდი. ხოლო თუ ადამიანმა არ იცის ეს მეთოდი, მაშინ მას ძალიან გაუჭირდება ამ საქმეში რაიმე წარმატების მიღწევა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ადამიანის შინაგანი სამყაროს ერთგვარი „გასაღები“, რომლითაც ის შეძლებს შინაგან სამყაროში შეღწევას და საკუთარ თავში მოგზაურობას. სინამდვილეში, ეს მეთოდი ძალიან მარტივია და არ ახასიათებს მას განსაკუთრებული სირთულე. თვითშემეცნება რა თქმა უნდა უწყვეტი პროცესია და ამ მეთოდის გამოყენებით ჩვენ შევძლებთ ამ საქმეში უფრო მეტი წარმატების მიღწევას. თუ ეს ადამიანს ნამდვილად სურს, მაშინ ის მთელი სერიოზულობით და გულმოდგინებით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს, მთელი ძალიხსმევა მიმართოს ამისთვის და ერთ დღეს ის ნამდვილად მიაღწევს სა-

სურველ შედეგს. თვითშემეცნება მხოლოდ ჩვენი გზაა და ის მხოლოდ ჩვენი გასავლელია.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ თვითდაკვირვების ეს მეთოდი, რომელზეც აქ არის საუბარი - არ არის ჩემი „გამოგონება“. ამის შესახებ მე გავიგე და მოვისმინე ჭკვიანი ადამიანებისგან, რომელთა ცოდნა და გამოცდილება ეფუძნება თვითშემეცნების საუკუნოვან პრაქტიკას. მე ამ პრაქტიკიდან ავიღე მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიმართულია საკუთარი თავის გაცნობიერების (თვითდაკვირვების) და მართვის უნარების გამომუშავებისკენ. შესაბამისად, ეს არ არის იოგას მედიტაცია, ვინაიდან მის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის აზრებისგან სრულად დაცლა და ე.წ. „ცარიელი გონების“ მიღწევა. ეს არ არის ასევე არც „ჰიპნოზური მდგომარეობა“, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადამიანი არ კარგავს ცნობიერებას, არ მიჰყვება ჰიპნოზოროს (მენტორის) ნებას და არ ექცევა მის მიერ შეთავაზებული წარმოსახვის, შთაგონებისა და თუ ცალკეულ ობიექტებზე კონცენტრაციის ზემოქმედების ქვეშ. მეთოდი, რომელზეც აქ ვისაუბრებ, მე თვითონ გამოვცადე საკუთარ თავზე და დღესაც წარმატებით ვიყენებ თავისუფალ დროს.

სანამ უშუალოდ ამ მეთოდის (ანუ ვარჯიშების) აღწერაზე გადავალ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მსგავს ვარჯიშებს უკვე აქტიურად იყენებს და თავის საქმიანობაში სულ უფრო მეტად ნერგავს თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერებას. ასეთი ვარჯიშები „აუტოგენური ვარჯიშების“ სახელწოდებით არის ცნობილი. ის შეიმუშავა ცნობილმა გერმანელმა ნეიროპათოლოგმა შულცმა. 1932 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი მონოგრაფია „აუტოგენური ვარჯიში - ფოკუსირებული რელაქსაცია“, სადაც დეტალურად აღწერა ასეთი ვარჯიშების კომპლექსი. „აუტოგენური ვარჯიშები“ ნიშნავს - გონების ვარჯიშს, ორგანიზმის თვითრეგულირებას და თვითჰიპნოზსაც. მისი ძირითადი მიზანია - სხეულის ორგანული ფუნქციების რესპირატორული, გულსისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი ფუნქციების თვითრეგულირება და საკუთარი თავის ფსიქოთერაპია. დღეისათვის, „აუტოგენურ ვარჯიშებს“ ასევე აქტიურად იყენებენ განვითარებული და ძლიერი ქვეყნების სპეცსამსახურები, სადაც ასეთი ვარჯიშები

შედის მოსამსახურეთა სპეციალური მომზადების პროგრამებში. ეს ვარჯიშები ძირითადად ეფუძნება იოგას მედიტაციურ ვარჯიშებს, ვინაიდან ის იყენებს მედიტაციის ისეთ ელემენტებს როგორცაა - სხეულის მოდუნება, სხეულის დამძიმება, სითბოს და სიცივის შეგრძნება, ასევე სუნთქვაზე, გულზე, მზის წნულზე და სხეულის სხვა ნაწილებზე გონების კონცენტრაცია. მაგრამ, იოგას ან სხვა სულიერი პრაქტიკებისგან განსხვავებით ის არ მიდის კიდევ უფრო შორს/უფრო ღრმად და არ ახდენს ადამიანის შინაგანი სამყაროს საფუძვლიან გამოკვლევას - აზრების მონიტორინგს და დაკვირვებას, მათ მართვასა და კონტროლს, ასევე ის არ იყენებს ე.წ. „ცარიელი გონების“ მეთოდს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, „აუტოგენური ვარჯიშები“ ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს საკუთარი თავის გაცნობიერებას და თვითშემეცნების სასურველი შედეგების მიღწევას.

რაც შეეხება უშუალოდ იმ ვარჯიშებს, რომლითაც ჩემი აზრით მიიღწევა თვითდაკვირვების კარგი შედეგები - ასეთი ვარჯიშები სრულდება დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში (შეიძლება მეტი ან ნაკლები დროით, ჩვენი სურვილის მიხედვით). ვარჯიშებისთვის აუცილებელია იყოს მშვიდი და წყნარი გარემო იმისათვის, რომ არ გაგვეფანტოს ყურადღება და შევძლოთ საკუთარი თავის მაქსიმალური რელაქსაცია (მოდუნება) და ყურადღების კონცენტრაცია. შეგვიძლია ვივარჯიშოთ ყოველდღიურად და დღეში რამდენჯერმეც, თუმცა ეს არ არის სავალდებულო. თუ გულით მოვინდომებთ, სასურველ შედეგს ადრე თუ გვიან მაინც მივაღწევთ. მთავარია ადამიანს ჰქონდეს თვითშემეცნების ძლიერი სურვილი, მოტივაცია და ენთუზიაზმი. ვარჯიშების მთავარი პრინციპი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ არ დავიძაბოთ და მივიღოთ ამ მართლაც საინტერესო პროცესისგან დიდი სიამოვნება. ამიტომ, არ დაფუნესოთ საკუთარ თავს მკაცრი შეზღუდვები და ვივარჯიშოთ ჩვენთვის მოსახერხებელ თავისუფალ დროს. ეს ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს დამოუკიდებლადაც, ინსტრუქტურის დახმარების გარეშეც და ამაში საშიში არაფერია. ამრიგად, ვარჯიშები სრულდება შემდეგი წესითა და თანამიმდევრობით:

- სასურველია, დანჯეთ ზურგზე, თავი ვიგრძნოთ მაქსიმალურად კომფორტულად და თავისუფლად;

- დავხუჭოთ თვალები, დავმშვიდდეთ და მაქსიმალურად მოვადუნოთ სხეული – მოვადუნოთ ყველა კუნთი, ჯერ თავი, სახის ყველა კუნთი, მხრები, სხეული, ხელები, ფეხები, ტვინი, შემდეგ ჯერ მარჯვენა მხარე, შემდეგ მარცხენა, წინა და უკანა მხარეები. ისე უნდა მოვდუნდეთ, რომ სხეულის სიმძიმე ვიგრძნოთ;
- ვისუნთქოთ ღრმად, მშვიდად და აუჩქარებლად;
- შინაგანი მზერით ვიყურებით პირდაპირ;
- გონებით უნდა ვიყოთ აწმყოში (ანუ რეალურ) დროში და არა წარსულში ან მომავალში;
- მაყურებელივით დავაკვირდეთ საკუთარ ამრებს (ფიქრებს, გრძნობებს, ემოციებს, განწყობილობებს, მოთხოვნილებებს), ანუ ყველაფერს იმას, რაც შემოდის და გადის ჩვენს გონებაში;
- თვალი მივადევნოთ რა ამრები მოდის, არ ჩავუღრმავდეთ და არ გავყვეთ მათ, გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ მხოლოდ დამკვირვებლები;
- გავიხსენოთ და უკან მივყვეთ ჩვენს ამრებს, რაც მოგვივა თავში უკან იგივე თანამიმდევრობით – იმ დღეს, წინა დღეს და ა.შ. (ეს ვარჯიში ხელს შეუწყობს მეხსიერების განვითარებასაც. ის ძალიან სასარგებლოა მეხსიერებისთვის, თუმცა ზედმეტი სირთულის გამო მისი შესრულება ყოველთვის არ არის აუცილებელი);
- ახლა შევეცადოთ, რომ ჩავკეტოთ გონება, არცერთი ამრი არ შემოუშვათ და არაფერზე არ ვიფიქროთ, ანუ მივიღოთ ე.წ. „ცარიელი გონება“ (ეს ვარჯიში აუცილებელია იმისათვის, რომ ამრების და გრძნობების გარეშე დავინახოთ ჩვენი ნამდვილი არსება – „მე“, ასევე შევძლოთ არასასურველი ამრების დაბლოკვა, მაგრამ მისი სისტემატურად კეთება არ არის სასურველი, გინაიდან ამან შეიძლება შეაფერხოს ამრების წარმოშობის პროცესი);

ვარჯიშის დასრულების შემდეგ დავიზილოთ სახე და სხეული, ავამოძრაოთ კიდურები და სახსრები.

ამ ვარჯიშების შედეგად ჩვენ შეიძლება შევიგრძნოთ, რომ - თითქოს გამოვიღვიძეთ, უკეთ ვხედავთ და შევიგრძნობთ საკუ-

თარ თავს, მკაფიოდ აღვიქვამთ დროს და რეალობას, აღარ ვართ ისეთი დაბნეულები და უფრო თავდაჯერებულებიც გავხდით, შევიგრძნობთ ჩვენს თავისუფლებას და თავისუფალ ნებას, უსარგებლო ამრებისგან გავწმენდავთ გონებას, მივხვდებით თუ საიდან მოდის თითოეული ამრი და რა ინვეფს მათ, უკეთესად ვმართავთ საკუთარ თავს და დასახული მიზნის მისაღწევად შეგძლებთ, რომ გონებაში არ შემოვუშვათ სხვა ამრები, რაც ძალიან დაგვეხმარება ჩვენი მიზნების მიღწევაში.

ეს ვარჯიშები საკუთარი თავის გაცნობიერებასა და მართვასთან ერთად დაგვეხმარება აგრეთვე იმაშიც, რომ **დავიცვათ ერთგვარი ბალანსი ამრებისგან დაცლასა და ამრებისგან (ფიქრებისგან) გადატვირთვას შორის.** ამ პროცესში, აუცილებელია ასევე გამოვიმუშავოთ არასასურველი ამრების დაბლოკვის, პირიქით - ამრების შენარჩუნების ან ფიქრის სხვა მიმართულებით გადატანის უნარიც. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნეგატიური აზრმა შეიძლება დიდი დისკომფორტი გამოიწვიოს და ხელი შეგვიშალოს ჩვენი საქმიანობის განხორციელებაში ან ის შეიძლება მძიმე დაავადების მიზეზიც გახდეს. ამასთან, საკუთარი თავის გაცნობიერების გზაზე ჩვენ შეიძლება დავინახოთ ასევე ჩვენსავე გონებაში ზოგადად ამრების და განსაკუთრებით **უსარგებლო ამრების შემცირების დინამიკა** და ამღვრეული ამრებისგან განმედილი საკუთარი გონება (**ე.წ. „წმინდა გონება“**). ამის შემდეგ ჩვენ უკვე ბუნებრივად გავვიჩნდება ჩვენთვის ჭეშმარიტად სასარგებლო და საინტერესო ამრების მოძიების და შექმნის მოთხოვნილება. რა თქმა უნდა გონება ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ უნდა იმყოფებოდეს ფიქრისა და ამროვნების გარეშე. ეს ნამდვილად საზიანოა. **თუ ასეთი რამე ვიგრძენით, მაშინ დროებით უნდა შევამეროთ ეს ვარჯიშები და გონება დავტვირთოთ ჩვენთვის საინტერესო თემებით.** ამისათვის კი საჭიროა - უფრო მეტი ვიკითხოთ, განვავითაროთ წარმოსახვის უნარი, გვექონდეს ადამიანებთან აქტიური ურთიერთობა, უფრო მეტად ვილოცოთ და ა.შ..

ამრების წარმოშობა (შექმნა) - არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ თავში უნდა განვიხილოთ. საკუთარი თავის გაცნობიერებისა და მართვის საკითხებთან ერთად დიდ

ინტერესს იწვევს ასევე ადამიანის შინაგან სამყაროში არა მხოლოდ აზრების დაკვირვების და აზრებისგან დაცლის, არამედ **აზრების წარმოშობის და შექმნის პროცესი**. ამასთან, ზოგიერთი აზრი შეიძლება ბუნებრივად გაჩნდეს გონებაში, ხოლო ზოგიერთი კი ადამიანის ძალისხმევის (ნების) შედეგად, ანუ ხელოვნურად შეიქმნას. გონებაში აზრების შექმნის პროცესი ნამდვილად საინტერესო მოვლენაა. ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობს, რომ სხვადასხვა ადამიანის გონებაში წარმოშობილი აზრები/ფიქრები ქმნიან **აზრების ერთიან და უსაზღვრო სამყაროს (ე.წ. „აზრების სამყაროს“)**, ანუ ერთი ადამიანის გონებაში გაჩენილი აზრი შეიძლება სხვამაც დაინახოს, მიხვდეს ან შეიგრძნოს. ესეთი შეხედულება ახლოს დგას უფრო **ტელეპათიასთან**, როდესაც ადამიანები უსიტყვოდ გადასცემენ ერთმანეთს საკუთარ აზრებსა და ფიქრებს. თუმცა, დაგუბრუნდეთ ისევ აზრების ბუნებრივად და ხელოვნურად წარმოშობის საკითხებს:

აზრების ბუნებრივად წარმოშობა – ჩემი დაკვირვებით, ადამიანის გონებაში აზრების ბუნებრივად წარმოშობა ხდება **ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე**. ეს მოთხოვნილებები პირობითად შეიძლება დავყოთ 7 მსხვილ ჯგუფად – **1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები** – ამაში შედის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების და გამრავლების (სექსუალური) მოთხოვნილებები; **2) პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნილებები** - რომელიც გულისხმობს საზოგადოების მხრიდან ადამიანის დაფასებასა და პატივისცემას, ხოლო ზოგიერთ ადამიანში ის გლინდება ასევე ამპარტავნების, საზოგადოებაზე მბრძანებლობის, ადამიანების დაშინების და დამორჩილების მოთხოვნილების სახითაც; **3) სიამოვნებისა და თვითკმაყოფილების მოთხოვნილებები**; **4) შემეცნებითი მოთხოვნილებები**; **5) განვითარებისკენ სწრაფვის მოთხოვნილებები**; **6) წესრიგისა და სამართლიანობის დაცვის მოთხოვნილებები**; **7) სამყაროს შემოქმედითან (ღმერთთან) ურთიერთობის, ანუ რელიგიური მოთხოვნილებები**. ჩემი აზრით, ადამიანის გონებაში ბუნებრივად წარმოშობილი ყველა აზრი გამომდინარეობს და ემსახურება სწორედ ამგვარი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. როგორც გავარკვიე, დაახლოებით იგივე შეხედულებებს ავითარებს ფსიქოლოგიის დარ-

გში ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი აბრაჰამ მასლოუ, რომელიც იმავდროულად გვთავაზობს ამგვარი მოთხოვნილებების ერთგვარ იერარქიას, რომელიც „მასლოუს პირამიდის“ სახელით არის ცნობილი.

აზრების ხელოვნულად წარმოშობა – აზრი შეიძლება იყოს ასევე ადამიანის ძალისხმევის და მისი ნების გამოვლენის შედეგიც. ჩემი აზრით, ეს პროცესი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს არის აზრებისგან დაცლა და განშენდა. უამრავი მეცნიერი ცდილობს იმის გარკვევას, თუ როგორ უნდა შექმნას (მიიღოს) ადამიანმა სასურველი აზრები, თუ გონების რომელი ნაწილიდან უნდა წამოიღოს (მოწყვიტოს) ისინი, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ისინი ამჯერადაც ვერ გვთავაზობენ რაიმე კონკრეტულ რეცეპტს (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ეს უცნობია). ამიტომ, გონებაში აზრების ჩამოყალიბების (ფორმირების) პროცესს ყოველი ადამიანი თვითონ უნდა დააკვირდეს, მიხვდეს თუ რა პროცესია ეს და როგორ ჩნდებიან აზრები მის გონებაში. ჩემი აზრით, გონებაში აზრების წარმოქმნას დიდ სტიმულს აძლევს ადამიანის განწყობილება, ემოცია, ოცნება, ფანტაზია და წარმოსახვა, ასევე კონკრეტულ საკითხზე ფიქრი და ყურადღების კონცენტრაცია (ფოკუსირება). ეს პროცესი ქმნის ახალ აზრებს და ქვეცნობიერი მახსიერებიდან ცნობიერებაში გადმოაქვს შენახული და დაარქივებული აზრები.

აზრების წარმოშობის სიჩქარე – აზრების წარმოშობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი ადამიანის გონებაში აზრების წარმოშობის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ხოლო ზოგიერთთან კი შედარებით ნელი ტემპით. ფსიქოლოგიაში ამას ადამიანის „ტემპერამენტი“ ეწოდება. აღნიშნული ნიშნის მიხედვით პიროვნების ტიპოლოგია სათავეს იღებს ჯერ კიდევ ჩვენს წელთააღრიცხვამდე, როდესაც ჯერ გალენმა და შემდეგ ჰიპოკრატემ შემოგვთავაზეს ადამიანის „ტემპერამენტის ტიპების აღწერა“. რა თქმა უნდა პირველ რიგში ეს განპირობებულია ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობით და შესაძლებლობებით, თუმცა, ჩემი აზრით, აღნიშნული პროცესი შეიძლება უკავშირდებოდეს ასევე ადამიანის წარმოდგე-

ნებს, შთაგონებას, განწყობას და ემოციურ ფონსაც. მაგალითად - რაც უფრო ემოციურად დატვირთულია (ანუ როლში შედის) ადამიანი, მით უფრო ინტენსიურია ფსიქიკური პროცესები და შესაბამისად აზრებიც უფრო სწრაფად ვითარდება.

მთლიანობაში რომ ვთქვათ – აზრების წარმოშობა და მათი მრავალფეროვნება ძირითადად განპირობებულია იმით, თუ რა ღირებულებები და ფასეულობები გააჩნია ადამიანს და როგორ სოციალურ გარემოში უწევს მას ყოფნა. ეს ღირებულებები და ასევე არსებული სოციალური გარემო ქმნის კონკრეტული აზროვნების და ქცევის ტიპს. მე ამას აზროვნების (გონების) განზომილებას ვეძახი. ადამიანი ფიქრობს და იქცევა ისე, როგორც ამას მისი ღირებულებებითი სისტემა ან არსებული ვითარება კარნახობს. ამიტომ, ჩემი აზრით, აზრების წარმოშობისას და ქცევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ აღნიშნულ ფაქტორებს.

20. როგორი უნდა იყოს ადამიანის შინაგანი მდგომარეობა

ა) ვიყოთ მშვიდი და განჯანსჯილი ადამიანები - შინაგანი სიმშვიდე ხელს უწყობს სწორ აზროვნებას და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. შინაგანი სიმშვიდის მნიშვნელობაზე თვითონ იესო საუბრობს: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. სიმშვიდის შენარჩუნებას, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პირველ რიგში ხელს უწყობს ძილის რეჟიმის მონესრიგება. სიმშვიდის მოპოვებისთვის ჩვენ უნდა გამოვიმუშავოთ ასევე მოთმინების უნარიც. ადვილად არ უნდა ვლიზიანდებოდეთ და გამოვიდეთ მდგომარეობიდან. გვახსოვდეს, რომ როცა მშვიდად ვართ ე.ი. უფრო ძლიერები ვართ. ძალა სიმშვიდეშია და არა მრისხანებაში. ზოგადად, მრისხანება უფრო მეტ ენერჯიას მოითხოვს, ამიტომ მრისხანე ადამიანი ვერასოდეს იქნება მშვიდზე ძლიერი. ამასთან, უნდა ვეცადოთ, რომ სიმშვიდე აგრესიულ ან ცინიკურ ადამიანებთანაც შევინარჩუნოთ. ამით ჩვენ დავანახებთ მათ ჩვენს უპირატესობას, მაგრამ იმავდროულად ყოველთვის უნდა ვიყოთ ფხიზლად და ვიმოქმედოთ სწრაფად ვითარების შესაბამისად, რომ დროულად ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე;

ბ) დადებითად განწყობილი ჩვენი თავი - დადებითად განწყობა ნიშნავს იმას, რომ ვიყოთ - უფრო ხალისიანი, მხიარული, პოზიტიური, იმედიანი და ენერჯიული ადამიანები. შესაბამისად, არ უნდა ვიყოთ მუდმივად მოწყენილ და პესიმისტურ მდგომარეობაში. ამისთვის კი უნდა ვაკვირდებოდეთ ჩვენს თავს და ვიცოდეთ - თუ რა გვანიჭებს ჩვენ სიხარულს და რა მწუხარებას. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ იმაზე და გავაკეთოთ ის, რაც ჩვენ გავახარებს და მოგვანიჭებს კმაყოფილების განცდას. ასეთი მდგომარეობა კი მიიღწევა იმით, რომ გონებაში დავბლოკავთ და არ შემოვუშვებთ ისეთ აზრებს, რომლებიც ჩვენ შეგვიქმნის ცუდ გუნება-განწყობილებას. დადებით განწყობილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორი აზროვნების და ზოგადად ნებისმიერ საქმეში წარმატებისთვის;

გ) გონებით უნდა ვიმყოფებოდეთ ანმყო ანუ რეალურ დროში და არა წარსულში ან მომავალში - როდესაც გონება იმყოფება ანმყო დროში, მაშინ ადამიანი ადეკვატურად აზროვნებს, მკაფიოდ და რეალურად აღიქვამს პირველ რიგში საკუთარ თავს, ასევე მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს და იღებს სწრაფ გადაწყვეტილებებს. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ ანმყოში და არა წარსულში ან მომავალში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ წარსულზე ან მომავალზე. პირიქით, ეს აუცილებელიც არის, ვინაიდან ადამიანი გონიერი არსებაა და შესაბამისად მას საკუთარი აზროვნების განვითარებისთვის სჭირდება როგორც წარსულზე, ისე მომავალზე ფიქრიც. ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ადამიანი თავისი აქტივობისას დროის დიდ ნაწილს ატარებდეს რეალურ დროში – ანმყოში (მაგალითად, როდესაც ის ურთიერთობს სხვა ადამიანებთან, ასრულებს რაიმე მოქმედებებს და ა.შ.);

დ) დავიცვათ აზროვნების ბალანსი – ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზედმეტად არ უნდა დავძაბოთ (გადავტვირთოთ) გონება და არც უაზრო (ცარიელი) გონებით უნდა ვიყოთ. აზროვნების განვითარებისთვის აუცილებელია როგორც აქტიური ფიქრი და აზრების კონცენტრაცია, ასევე გონების დასვენება. აზროვნების ბალანსის დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ შინაგანი სიმშვიდე, ადეკვატურად ვრეაგირებდეთ მოვლენებზე და ცხელი გონებით არ ვიღებდეთ გადაწყვეტილებებს;

ე) პატივი ვცეთ საკუთარ თავს - საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მთლიანობაში დადებითად აფასებდეს საკუთარ თავს და ზომიერების ფარგლებში ჰქონდეს ასევე თვითკმაყოფილების განცდაც. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი საკუთარ თავზე იყოს გადაჭარბებულად შეყვარებული (ნარცისი). საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა ნიშნავს ასევე იმასაც, რომ ადამიანი დადებითად ერთად რეალურად და ობიექტურად უნდა ხედავდეს ასევე საკუთარ ნაკლსაც და ცდილობდეს მის გამოსწორებას. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ადამიანი

თვითონ არ სცემს საკუთარ თავს პატივს, მუდმივად უკმაყოფილოა საკუთარი თავის, საყვედურობს ან დასცინის მას. ზოგიერთი ამას რელიგიური მოტივებითაც აკეთებს. ამ საკითხზე ჩემი აზრია, რომ საკუთარი თავის მიმართ ზომიერი კრიტიკა მართლაც მისაღები და აუცილებელია, ვინაიდან ის ხელს უწყობს შეცდომების გამოსწორებას და ადამიანის პიროვნულ განვითარებას, მაგრამ საკუთარი თავის მიმართ მხოლოდ კრიტიკის თუ დამცირების მდგომარეობაში ჩაყენება და ნეგატიური შეფასებების განვითარება რა თქმა უნდა არასწორია და საბოლოო ჯამში გამოიწვევს ადამიანის დემორალიზებას, სრული უუნარობის განცდას და დაბალ თვითშეფასებას. ასეთი ადამიანი კი რეალურ ცხოვრებაში ნამდვილად ვეღარ შეძლებს რაიმე წარმატების მიღწევას და საზოგადოებაში თუნდაც ელემენტარული ავტორიტეტის მოპოვებას;

გ) გვექონდეს შინაგანი თავისუფლება – გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ სრულიად თავისუფალი (ანუ თავისუფალი ნების) ადამიანები და არცერთ მოქმედებაში თუ ფიქრში შეზღუდულები არ ვართ. ჩვენ უნდა გვექონდეს მოხერხებულობა, ყველაფრის კეთების უნარი და მკაფიოდ შევიგვირძნობდეთ ჩვენს თავისუფალ ნებას. ჩვენ უნდა ვაკეთებდეთ ან არ ვაკეთებდეთ რამეს მხოლოდ ჩვენი შეგნებით და არა ჩვენი უძღურების თუ უუნარობის გამო. შინაგანი თავისუფლებისთვის ასევე აუცილებელია, რომ ადამიანს გააჩნდეს საკუთარი აზრი და განთავისუფლდეს უსაფუძვლო შიშების, სირცხვილისა თუ სხვა დამამიანებელი წარმოსახვებისგან (კომპლექსებისგან და სტერეოტიპებისგან). გვახსოვდეს ისიც, რომ თავისუფალი ადამიანი არც ერთი ადამიანის მონა და ლაქია არ უნდა იყოს. **მონობა არის ის, როდესაც ადამიანი კარგავს თავისუფალ ნებას და მის ნაცვლად გადაწყვეტილებას იღებენ სხვები.** საინტერესოა თუ **როგორ უყურებს ამ საკითხს ქრისტიანობა** – ქრისტიანული გაგებით ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად და **მისცა მას ასევე თავისუფალი ნება**, რაც ადამიანის ერთ-ერთი უმთავარესი თვისებაა. აღსანიშნავია, რომ თვითონ **„ქრისტიანული მორჩილებების“ დროსაც კი მორწმუნე ადამიანს არ**

ერთმევა თავისუფალი ნება. ამ დროს ადამიანი აკონტროლებს საკუთარ თავს და მხოლოდ თავისი შეგნებით იღებს გადაწყვეტილებას - ღვთის ნებისადმი მორჩილებაზე, განსაცდელის მოთმინებით ატანაზე, ქრისტიანული მცნებების დაცვაზე, საეკლესიო დასში სუბორდინაციული წესების შესრულებაზე, მოძღვრის დაჯერებაზე და ა.შ. ქრისტიანობაში „მორჩილება“ ნამდვილად ითვლება უდიდეს ქრისტიანულ სათნოებად, მაგრამ **ის არის უფრო თავმდაბლობისა და პატივისცემის გამოხატვა და არა მონობის.** ამასთან, მორჩილება არ ნიშნავს ასევე ნებისმიერი ადამიანის დავალებების უსიტყვო შესრულებას, საკუთარი აზრის არქონას, უპრინციპობას და ადამიანის პირადი პატივისა და ღირსების უგულვებელყოფას. **„ქრისტიანული მორჩილება“ მიემართება და სრულდება მხოლოდ ღმერთის და საეკლესიო დასის მიმართ.** უფრო მეტიც, ღმერთთან მიმართებაში - ქრისტიანობა ამ საკითხს განიხილავს უფრო არა ბატონისა და მონის, არამედ **როგორც მამისა (ანუ ღმერთის) და შვილების (როგორც ვაცობრიობის)** ჭრილში. თვითონ იესო ქრისტე თავის მიმდევრებს **სულიერ ძმებსაც** გვინოდებს, რაც სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უფალს უნდა ვემსახუროთ უფრო **მამა-შვილური და ძმური სიყვარულით.** გამოვხატოთ მის მიმართ ისეთი ნდობა, მორჩილება, მადლიერება, პატივისცემა და თაყვანისცემა, როგორც ეს ეს მამას, ანუ ჩვენს შემოქმედ ღმერთს შეეფერება. მაგრამ, მამა-შვილური დამოკიდებულება ჩვენ ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ ამპარტავნება დაგვეუფლოს, ხიბლში ჩავვარდეთ და დავვარგოთ ღვთისადმი რიდი და პატივისცემა. ამრიგად, **ქრისტიანობა არ უპირისპირდება და არ ეწინააღმდეგება ადამიანის შინაგან თავისუფლებას და არ ართმევს მას თავისუფალ ნებას.** პირიქით, ქრისტიანები ყოველგვარ მატერიალურზე ამაღლებული და ყველაზე თავისუფალი ადამიანები არიან;

ბ) ვიყოთ თავდაჯერებულნი და ავიმაღლოთ საკუთარი თვით-შეფასება – თუ ვიცით, რომ სწორად ვმოქმედებთ, მაშინ უნდა ვიმოქმედოთ თავდაჯერებულად და არ დავუშვათ, რომ სხვა აზრმა

ხელი შეგვიშალოს ჩვენი მოქმედებების განხორციელებაში. საკუთარი თავის მიმართ თავდაჯერებულობისთვის კი აუცილებელია, რომ გვნამდეს და გვჯეროდეს ჩვენი თავის, ჩვენი შესაძლებლობების და გვექონდეს საკუთარი აზრი, ასევე ამ აზრის თამამად გამოხატვისა და დაცვის უნარიც. საკუთარი თავის მიმართ რწმენას გაზრდის და თავდაჯერებულობის განცდას გამოგვიმუშავებს ასევე ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებები, რომელიც ჩვენ აუცილებლად გვექნება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე. ხშირად გავიხსენოთ ეს წარმატებები და დაგარწმუნოთ ჩვენი თავი საკუთარ შესაძლებლობებში.

21. როგორ განვაპირობოთ ჩვენი შესაძლებლობები და უნარები

ჩვენი შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ნებისმიერ საქმეში წარმატებისთვის. საერთოდ, განვითარება და პროგრესისადმი სწრაფვა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისება და ბუნებითი მოთხოვნილებაა. ადამიანი ცნობისმოყვარეა და მას არ შეუძლია მუდმივად ერთსა და იმავე მდგომარეობაში ყოფნა. მას სჭირდება სიახლე - ახალი უნარების შექმნა და პიროვნული განვითარება. შესაბამისად, მხოლოდ რწმენა და საკუთარი თავის გაცნობიერება ადამიანის ბედნიერებისა და კმაყოფილებისთვის არ არის საკმარისი. საჭიროა ასევე საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებაც. ამისათვის კი ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი ბავშვობის ასაკიდან დაიწყოს. პირველ რიგში, ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მშობელმა და ყველა იმ დაწესებულებაში, რომელიც მონაწილეობას იღებს სააღმზრდელო პროცესში. ჩვენ ბავშვებს უნდა გაგულვივით პიროვნული განვითარებისა და სრულყოფისადმი სწრაფვის სურვილი და შემდეგ თვითონ ბავშვმაც უნდა მოინდომოს. მხოლოდ გამოკვება, ჩაცმა, ცოდნის მიცემა და მატერიალურ საჭიროებებზე მზუნვა რა თქმა უნდა არ არის საკმარისი ბავშვის ჯანსაღად აღზრდისთვის. მას სასიცოცხლოდ სჭირდება აგრეთვე პიროვნული განვითარებაც. რაც აუცილებლად დაეხმარება მას წარმატების მიღწევაში და ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავებაში. მართალია, ზოგიერთ უნარს ადამიანი უკვე სიმწიფის ასაკში იღებს, მაგრამ პროცესის სწორად დაწყებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ საკითხებზე საუბრისას არ მინდა ვინმეს შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს მე ყველა ამ შესაძლებლობასა თუ უნარს ვფლობ ან ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც აქ წერილი. განვითარება და სრულყოფა მუდმივი პროცესია და ის არასდროს სრულდება. რა თქმა უნდა შეცდომებსაც ხშირად ვუშვებთ ხოლმე, ვინაიდან ჩვენ ადამიანები ვართ და ასეთი რამე დასაშვებია. ამ შემთხვევაში, მთავარია გვეტონდეს სწორი შეფასების და გან-

სტის უნარი, რომ დროულად მიგხვდეთ, სად დავეშვით შეცდომა და ვეცადოთ მის გამოსწორებას. ამ ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ ამის საჭიროება მე დავინახე ჩემი ცხოვრების განმავლობაში. ასე მაგალითად, პირადად მე – უფრო მეტი სითამამე, გამბედაობა, დამოუკიდებლობა, ორატორობის და სხვა უნარებიც რომ მქონოდა, შეიძლებოდა უფრო მეტი პიროვნული განვითარებისა და წარმატებისთვისაც მიმეღწია.

დღეისათვის, ადამიანის პიროვნული განვითარების საკითხებზე უკვე ბევრი საუბრობს. ეს თემა ძალიან პოპულარულია და თუ დავინტერესდებით ამ საკითხებით, უამრავ რჩევასა და დარიგებასაც მოვისმენთ. რა თქმა უნდა მე გამოვიყენე ბევრი მათგანი გონივრული მოსაზრებები და მაქსიმალურად მივესადაგე ისინი ჩემს შეხედულებებს. ამ შემთხვევაში, ჩემი მიზანი იყო არა მხოლოდ ამ შესაძლებლობებისა და უნარების მშრალად ჩამოთვლა, არამედ მათი მიღწევის კონკრეტული გზებისა და ტექნიკის შემოთავაზებაც. ვფიქრობ, რომ ეს ნაწილიც ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნება პიროვნული განვითარების საკითხებით დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის. მაშ ასე, ჩემი აზრით, რა შესაძლებლობები და უნარები უნდა განავითაროს ადამიანმა:

ა) განვავითაროთ აზროვნებისა და წარმოსახვის უნარი - აზროვნების განვითარებისთვის პირველ რიგში საჭიროა **დაგაკვირდეთ** ჩვენს გარე სამყაროს (ადამიანებს, ფაქტებს მოვლენებს და ა.შ.), **ანუ ვიყოთ დაკვირვებული ადამიანები**. ასევე უნდა ვეცადოთ, რომ გვქონდეს არა ბუნდოვანი, არამედ მკაფიო და ნათელი აზრები, ანუ საკუთარი თავისა და სხვებისათვის ადვილად გასაგები აზრები - **ვისწავლოთ აზრების გამართივება**. ამით ჩვენ შევძლებთ ურთულეს საკითხებში ღრმად ჩანვლომას და ასევე სხვა ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე მათ მივწოდებას. ბევრი ადამიანი საერთოდ არ აქცევს ამას ყურადღებას და საუბრისას თუ წერისას ვეღარ ხვდება რამდენად გასაგებია მისი ნათქვამი პირველ რიგში საკუთარი თავის და შემდეგ სხვებისთვის. ამრიგად, **დაკვირვებულობა და აზრების მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (აზრების გამართივება) უმნიშვნელოვანესია აზროვნების განვითარებისთვის**. გარდა ამისა, აზროვნების განვითარებისთვის კარგი იქნება, რომ ჩვენ ყველაფერზე გვქონდეს **საკუთარი**

აზრი (შეფასება). არცერთ აზრს არ უნდა გავექცეთ და ყველაფერზე უნდა გვექონდეს ჩვენი პასუხი. ყურადღებით უნდა მოვესმინოთ სხვებს, მაგრამ გაუაზრებლად არცერთი აზრი არ მივიღოთ. აზროვნებისა და წარმოსახვის უნარის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა **კითხვა და სხვადასხვა თემებით დაინტერესება.** ჩვენ უნდა შევიყვაროთ კითხვა, რომელიც გაგვიფართოვებს აზროვნების ფარგლებს, მოგვცემს ცოდნას, დაგვიხვეწავს მეტყველებას და ჩამოგვყალიბებს ჩვენ განათლებულ ადამიანებად. აზროვნების და წარმოსახვის უნარის განვითარებისთვის ასევე კარგი საშუალებაა **მეხსიერების ვარჯიშებიც.** როდესაც ჩვენ ვიხსენებთ წარსულში მომხდარ ფაქტებს და ვცდილობთ კონკრეტული დღის (დღეების) თუ ცალკეული ფრაგმენტის (სურათის) აღდგენას, ასევე კონკრეტული სახელების, ციფრების თუ მოვლენების გახსენებას;

ბ) გავკონტროლოთ და გმართოთ ჩვენი ემოციები - ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა ჰქონდეს ემოციები. ჩვენ არ უნდა ჩავკეტოთ და არ უნდა დავახშოთ ისინი. ემოციები ადამიანის ადევკატურობაზე მეტყველებს და ის უნდა იცვლებოდეს არსებული ვითარების შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს ზომიერების ფარგლებში მხიარულებაც და გაბრაზებაც, მწუხარებაც და სიხარულიც და ა.შ.. ცხოვრებაში ზოგჯერ ადამიანს **დეპრესია** (უიმედობის განცდა) ეუფლება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დროებითია და აუცილებლად გაივლის. ჩვენ უნდა შევისწავლოთ, თუ რა არის ამის მიზეზი და შეძლებისდაგვარად ვეცადოთ ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ უფრო ისეთ თემებზე, რომლებიც ჩვენ დადებით ემოციებს (სასიამოვნო განცდებს) მოგვანიჭებს და უფრო იმედიანად განგვაწყობს. გვახსოვდეს, რომ ზოგჯერ დეპრესიაც არ არის ცუდი. ამ დროს შეიძლება ადამიანი უფრო მეტად ჩაუღრმავდეს საკუთარ ცხოვრებას, დაამსხვრიოს თავის თავში გაბატონებული მითები/წარმოდგენები თუ სტერეოტიპები და უფრო მეტი სიბრძნეც გამოიტანოს აქედან. **რაც შეეხება ემოციების მართვას** - ემოციების გამოხატვისგან **თავის შეკავება ან პირიქით სასურველი ემოციის შექმნა** არის ემოციების მართვის ელემენტები. ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა გამოვიმუშავოთ ასეთი უნარებიც. ზოგჯერ ცხოვრებაში ასეთი შინაგანი ძა-

ლის გამოვლენა აუცილებელიც არის საკუთარი სულიერი სიძლიერის წარმოსაჩენად ან სხვათა სანუგეშებლად და ა.შ.. ჩემი აზრით, სასურველი ემოციური მდგომარეობის მიღება შესაძლებელია: ა) არასასურველი ემოციური მდგომარეობის გამომწვევი ამრების დაბლოკვით; ბ) ყურადღების სხვა უფრო სასიამოვნო თემებზე გადატანით; გ) სასურველი ემოციური განწყობილების წარმოსახვით. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ასევე ჩინური საბრძოლო ხელოვნების (კუნგფუს და ციგუნის) ოსტატების მოსაზრებები, რომლებიც საუბრობენ - ჰაერის შეკავების, კონცენტრაციის და სპეციალური სუნთქვების გზით ემოციების მართვის ტექნიკაზე. თუმცა, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში შედეგი მაინც იგივე დგება – არასასურველი ემოციური ფონიდან ყურადღება გადადის სხვა რამეზე - კონკრეტულ ვარჯიშებზე. ადამიანის ემოციური მდგომარეობა უდიდეს ინტერესსს ინვესს ასევე შეცნიერებაში. მათ კარგად იციან, რომ ადამიანში მიმდინარე ფსიქიკური პროცესების ვიზუალური დანახვა და უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. ამიტომაც არის, რომ ისინი ამუშავებენ სამეცნიერო თეორიებს, სადაც არა აბსოლუტური დარწმუნებით, არამედ მაღალი ალბათობით საუბრობენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება განსაზღვრო და გამოიცილო ადამიანის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა მისი - ქცევის, საუბრის, მოსმენის, მზერის, ჟესტიკულაციის, კალიგრაფიის, სხეულის აგებულების, სახის გამომეტყველების თუ სხვა ნიშნების მიხედვით;

გ) გავძლიერდეთ ფიზიკურად და სულიერად - ფიზიკური და სულიერი სიძლიერე ადამიანს ანიჭებს თავისუფლების, თავდაჯერებულობის, სიამოვნების და თვითკმაყოფილების განცდას. ის ეხმარება ასევე ადამიანს ტკივილისა და შიშის დაძლევაში. ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ადამიანები ესთეტიკურადაც კარგად გამოიყურებიან და როგორც წესი, საზოგადოების დაფასებული წევრებიც არიან. ფიზიკური და სულიერი ძალა აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი უფრო დაცულად გრძნობდეს პირველ რიგში საკუთარ თავს. სხვა ადამიანი, რომელმაც იცის შენი ძალა და შესაძლებლობები, რა თქმა უნდა მოერიდება შენთან კონფლიქტს და უსიამოვნებას. ამასთან, ასეთ ადამიანს იმავდროულად ეძლევა რეალური შესაძლებლობა, რომ ის უფრო ღირსე-

ულად ემსახუროს თავის სამშობლოს, დადგეს სიმართლის და სიკეთის სადარაჯოზე, შეაჩეროს ძალადობა, არ დაუშვას სხვა ადამიანების ჩაგვრა და ა.შ. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიზიკური და სულიერი სიძლიერე ეხმარება ადამიანს საკუთარი რწმენის, ღირებულებებისა და ვალდებულებების პირნათლად შესრულებაშიც. გავისხენოთ ჩვენი წინაპრებიც - ისინი რომ ძლიერები არ ყოფილიყვნენ ვერც ჩვენი ქვეყანა და ვერც ჩვენი სარწმუნოება დღევანდელ დღემდე ვეღარ მოაღწევდა. ამიტომ, სხეული მუდმივად უნდა იწრთობოდეს და განიცდიდეს სრულყოფას. ეს რა თქმა უნდა არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ რწმენას, პირიქით - ქრისტიანული გაგებით, ადამიანის სხეული ითვლება სულიწმინდის ტაძრად. შესაბამისად, მასზე მზუნვა, მისი მოვლა და მუდმივად მწყობრში ყოფნა ყველა ქრისტიანის პირდაპირი მოვალეობაა. ფიზიკური აქტივობა ეხმარება ასევე ადამიანს საკუთარი თავის უკეთ შეცნობაშიც. რწმენაში განუზომლად წინ მდგომი ადამიანები – წმინდა ბერები, უდიდეს ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ და ამით მუდმივად ინარჩუნებდნენ ფიზიკურ მხნეობას. იმავდროულად ისინი სამშობლოს და სარწმუნოების ყველაზე თავგამოდებული დამცველებიც იყვნენ და საკუთარ სიცოცხლესაც სწირავდნენ მისთვის. ამდენად, თუ ვინმე საუბარობს იმაზე, რომ თითქოს ფიზიკური და სულიერი სიძლიერე ეწინააღმდეგება ქრისტიანულ რელიგიას - არასწორია. ხოლო იმისათვის, რომ ვიყოთ ფიზიკურად და სულიერად უფრო ძლიერები, აუცილებელია სისტემატურად ვივარჯიშოთ და ვიყოთ ფორმაში. ამ საქმისთვის რა თქმა უნდა ყველა სპორტი მისაღებია, თუმცა პირადად მე, უპირატესობას ვანიჭებ უფრო ორთაბრძოლის შერეულ სახეობებს, რომელიც რეალურად იძლევა სასურველ შედეგებს.

დ) გვქონდეს ინტერესის სფერო (ჰობი) - დავინტერესდეთ სხვადასხვა თემებით და გვქონდეს ინტერესის სფერო - კითხვა, სპორტი, ცეკვა, სიმღერა, მეცნიერება, პროფესია ან ნებისმიერი სხვა რამე. ამისათვის, ჩვენ უნდა შევარჩიოთ ისეთი სფერო (ჰობი), რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს ცნობიერებას, გემოვნებას და მოგვანიჭებს სიამოვნებისა და თვითკმაყოფილების განცდას. ინტერესის სფეროს სწორად შერჩევას ანუ ადამიანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს

თითოეული ადამიანისთვის, რომ უშუალოდ ამ საკითხის სწორად გადწყვეტაზე არის დამოკიდებული - თუ რამდენად ბედნიერად იგრძნობს ადამიანი საკუთარ თავს, საინტერესო იქნება თუ არა მისთვის ეს ცხოვრება და რამდენად კმაყოფილი იქნება ის ამით. თუ ადამიანს გააჩნია რომელიმე ინტერესის სფერო, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ის საკუთარ ცხოვრებას არ თვლის უაზროდ და მას ნაკლებად ემუქრება უიმედობისა და სასოწარკვეთილების განცდა. ანუ ინტერესის სფერო იმავდროულად იცავს ადამიანს ფსიქიკური ტრავმებისგანაც და ხელს უწყობს მასში სასიცოცხლო ენერგიების გამომუშავებას;

ე) გიყვთ კარგი ორატორები - ორატორობის უნარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც აზროვნების განვითარების, ისე საზოგადოებაში საკუთარი თავის დადებითად წარმოჩენის და ზოგადად წარმატების მიღწევისათვის. **ამისათვის კი, პირველ რიგში აუცილებელია განვითარებული გვექონდეს მეტყველების აპარატი,** რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. მეტყველების დასახვეწად და განსავითარებლად უამრავი ვარჯიში არსებობს და კარგი იქნება თუ პრაქტიკულად ვისარგებლებთ ამ შესაძლებლობით. გარდა ამისა, ასეთი უნარების გამომუშავებისა და შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაკვირდებოდეთ ჩვენს მეტყველებას და ვცდილობდეთ მის დახვეწას, გამოსწორებას და განვითარებას. **ამაში რა თქმა დაგვეხმარება ყოველდღიურად ხმამაღალი ან ჩურჩულით კითხვა (თუნდაც ერთი გვერდის).** ამ დროს, ყურადღება უნდა მივაქციოთ ხმის ტემბრს, ინტონაციას, საუბრის სისწრაფეს, მელოდიურობას, ჟღერადობას, თავდაჭერებულობას და ვარეგულიროთ ისინი. ხოლო უშუალოდ სიტყვით გამოსვლისას, პირველ რიგში წინასწარ უნდა ვიცოდეთ და შევაფასოთ, თუ როგორ აუდიტორიაში მოგვინევს გამოსვლა და რა მოეწონება ან არ მოეწონება მას. შემდეგ უნდა შევარჩიოთ საუბრის მთავარი თემატიკა, **დავნიშნოთ და ჩამოთვალოთ ძირითადი სასაუბრო საკითხები** (რისი გადმოცემაც გვსურს) და ბოლოს დავიწყობთ საუბარი. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ **საუბრის პროცესში არ დავიძაბოთ, ასევე თავისუფლად, თამამად და თავდაჭერებულად ვგრძნობდეთ თავს.** იმისათვის, რომ საუბრისას მთავარი აზრი არ

გაგვექცეს და არ ავცდეთ ჩვენს სასაუბრო თემას, პირველ რიგში გონებაში არ უნდა შემოგუშვათ სხვა ამრები და გიფიქროთ მხოლოდ იმაზე თუ რას ვიტყვით ჩვენ და არა იმაზე თუ ვინ როგორ შეგვაფასებს ან ვის რა რეაქციები იქნება. ამ დროს არ არის სასურველი მათ შორის არც თვითდაკვირვების პროცესების გააქტიურება, ვინაიდან ეს იქნება მთავარი ამრიდან ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა. ამროვნების და ორატორული უნარების განვითარებისთვის ასევე კარგი იქნება თუ წავახალისებთ წინასწარ დაუგეგმავ და სპონტანურ საუბრებსაც და ამ პროცესში შევეცდებით საკუთარი ამრების მართვას, ანუ განვავითარებთ - ხმაშალა ამროვნების უნარსაც;

გ) ვიყოთ თვითკრიტიკულები - ზომიერების ფარგლებში საკუთარი თავის მიმართ კრიტიკა ადამიანს ეხმარება შეცდომების დანახვაში, მათ გამოსწორებაში და პიროვნულ განვითარებაში. თვითკრიტიკულობა ადამიანს აძლევს ობიექტურობის განცდას და ხელს უწყობს სალი ამრის ჩამოყალიბებას. ამის საპირისპიროა ე.წ. „უკიდურესი ამროვნება“, როდესაც ადამიანი საკუთარ თავში არ უშვებს არანაირ კრიტიკულ ამრს და არასდროს ეპარება ეჭვი საკუთარ სიმართლეში. ასეთი მდგომარეობა ადამიანის ამპარტავნებაზეც მიუთითებს, როდესაც ადამიანს საკუთარი თავი სხვაზე ჭკვიანი და აღმატებული ჰგონია. იმისათვის, რომ ადამიანი გამოვიდეს ასეთი დგომარეობიდან და განავითაროს კრიტიკული ამროვნება, ამისათვის აუცილებელია, რომ პირველ რიგში ჰკითხოს საკუთარ თავს - ხომ არ უშვებს ის შეცდომას და რამდენად სწორია მისი საქციელი. უფრო მეტი კრიტიკულობისა და ობიექტურობისთვის ადამიანმა ზოგჯერ გარედანაც უნდა შეხედოს საკუთარ თავს და შეეცადოს სხვისი თვალთაც დაინახოს და შეაფასოს საკუთარი პიროვნება;

ბ) ვიყოთ გადაწყვეტილებაუნარიანები – ზოგიერთ ადამიანს საერთოდ არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ზოგიერთი მას ნაჩქარევად ან პირიქით დაგვიანებით იღებს. ადამიანების, რომლებსაც არ აქვთ გადაწყვეტილების მიღების უნარი, ძირითადად დამოკიდებულები არიან სხვა ადამიანებზე და როგორც წესი, ელოდებიან მათ გადაწყვეტილებებს. ეს მიუთითებს ასეთი ადამიანების არასრულფასოვნებაზე, უპრინციპობასა და

საკუთარი აზრის არქონაზე. ასეთი მდგომარეობა კი, ნებისმიერ შემთხვევაში არასასურველია წარმატების მიღწევისთვის. რა თქმა უნდა ადამიანი უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი გადაწყვეტილება იქნება უფრო სწორი და მისაღები, მაგრამ მას აუცილებლად უნდა შეეძლოს რომელიმე გადაწყვეტილების მიღება. ზოგჯერ მძიმე შედეგები შეიძლება გადაწყვეტილების სწრაფად ან დაგვიანებით მიღებასაც მოჰყვეს. ამიტომ, თითოეული გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს არსებული სიტუაციის და ვითარების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება სწრაფად და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული, თუ საქმე შეეხება პირად ან სხვათა უსაფრთხოებას, სამსახურებრივ საქმიანობას და ა.შ., ხოლო თუ სწრაფი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს, მაშინ ჯობია არ ვიჩქაროთ და წყნარად შევარჩიოთ უფრო მისაღები ვარიანტი. ამასთან, კატეგორიულად მიზანშეუწონელია სწრაფი გადაწყვეტილების მიღება ძლიერი სულიერი ალელვების ან სხვა მძიმე ემოციურ ფონზე. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილებების უმეტესობა ყოველთვის მცდარი და არასწორია. ამიტომ, მსგავს შემთხვევაში ჯობია მოვითმინოთ და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას (გამოვიჩინოთ მოთმინების სიბრძნე). მორწმუნე ადამიანისთვის ღმერთი თვითონ დაალაგებს ვითარებას და გამოაჩენს ყველაზე საუკეთესო გამოსავალს. რაც შეეხება გადაწყვეტილების სისწორს – ზოგადად რომ ვთქვათ, სწორი გადაწყვეტილების მიღება ნამდვილად არ არის მარტივი. საკითხში უფრო მეტად გარკვევისა და ობიექტურობისთვის ზოგჯერ გარე დამკვირვებლის თვალითაც (ანუ გარედან) უნდა შევხედოთ საკუთარ თავს და გადასაწყვეტ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებისთვის თავდაპირველად უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ვარიანტები და გამოვკვეთოთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ დროს უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ შერჩეულთაგან რომელი იქნებოდა ყველაზე საუკეთესო და მისაღები ვარიანტი. ამასთან, გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი იმისათვის, რომ ჩვენს სინდისთან და შინაგან მრწამსთან ვიყოთ მართლები. იმავდროულად, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სწორი გადაწყვეტილება იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მისი მიღების შემდეგ მოგვანიჭებს

ჩვენ თვითკმაყოფილებას განცდას. უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ **საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლოს მიღებული გადაწყვეტილების სწრაფად და მარტივად შეცვლა** (ეს ყველას არ შეუძლია და ბევრი ადამიანი საკუთარი გადაწყვეტილების სიმტკიცის, სიჭიუტის და პრინციპულობის მსხვერპლი ხდება), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით – **უფრო მეტი პრინციპულობის გამოჩენა და საკუთარი გადაწყვეტილების დაცვა ცვალებადი ამრებისგან.** ანუ გადაწყვეტილებების მიღებისას ვიყოთ უფრო მოქნილები და პრაგმატულები;

თ) ვიყოთ თამამები და გამბედავები – გამოვიმუშავოთ სითამამისა და გამბედაობის უნარები. ასეთი უნარები სწრაფად არ მოდის. **ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სითამამისა და გამბედაობის განცდა ადამიანს ბავშვობის ასაკიდან ჩამოუყალიბდეს.** ამისათვის კი აუცილებელია, რომ საკუთარ თავს არ მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ სირცხვილის, მორიდებისა თუ სხვა კომპლექსის გამო, ვერ განვახორციელოთ ჩვენი ჩანაფიქრი და აქტივობები. **ადამიანი მუდმივად უნდა ებრძოდეს სირცხვილს და არასრულფასოვნების განცდას.** მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხს, ეტაპობრივად გადალახოს ეს პრობლემები და გაზარდოს საკუთარ თავში ასეთი უნარები;

ი) ვიყოთ მხიარულები – ვიყოთ ზომიერების ფარგლებში მხიარულები, მოვიფიქროთ და დავგეგმოთ რაიმე ღონისძიება - გართობა/მხიარულება, შევთავაზოთ სხვებს სამხიარულო ამბები, ისტორიები, ანეკდოტები და ა.შ.. ეს ჩვენ შეგვიქმნის პოზიტიურ განწყობილებას, მოგვითანს დადებით ემოციებს და აამაღლებს საზოგადოების თვალში ჩვენს შეფასებას;

კ) ვიყოთ აქტიურები – აქტიურობა ნიშნავს სიცოცხლეს, ამროვნებას და მოქმედებას. ამის საპირისპიროა ინერტულობა, უძრავობა და უსაქმურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დავკავდეთ რაიმე საქმით და არ მივეცეთ სიზარმაცეს. ამისათვის, სისტემატურად უნდა მივცეთ დავალებები საკუთარ თავს (**იფიქრე! იამროვნე! იმოქმედე! იაქტიურე! იყავი თამამი! განავითარე წარმოსახვა! და ა.შ.**) ეს ხელს შეუწყობს ამროვნების განვითარებას, მოახდენს მოქმედებების სტიმულირებას და თავს გვაგრძობინებს რეალურ სამყაროში მყოფ ცოცხალ არსებებად;

ლ) ვიყოთ ინიციატივიანები – თამამად შევთავაზოთ ჩვენი იდეები სხვებს, მოვისმინოთ ასევე მათი აზრიც და მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები. ინიციატივიანობა ხელს შეუწყობს ჩვენში სითამამის და საკუთარი თავის მიმართ რწმენის ჩამოყალიბებას, ასევე საზოგადოების მხრიდან ჩვენი შეფასების ამაღლებას;

მ) ვიყოთ კარგი ორგანიზატორები – ორგანიზება და მართვა გავუწიოთ ადამიანთა ჯგუფს ან თუნდაც ერთ ადამიანს მაინც და ვიყოთ მათი ლიდერი/მმართველი/წინამძღოლი. ეს ხელს შეუწყობს ადამიანში ლიდერობის უნარის ანუ საზოგადოების ხელმძღვანელობის უნარის ჩამოყალიბებას;

ნ) ვისწავლოთ უცხო ენები – უცხო ენების ცოდნა გაგვიხსნის დიდ სივრცეს მრავალფეროვანი ურთიერთობისთვის, დაგვებმარება ცოდნის გაღრმავებაში და უცხოური გარემოს უკეთ ათვისებაში. უცხო ენების ცოდნა გაგვხდის ჩვენ უფრო წარმატებულებს და შედეგიანებს;

ო) გვექონდეს საიდუმლოების შენახვის უნარი – მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს შეეძლოს საიდუმლოების დაცვა, ანუ საკუთარ თავში ინფორმაციის სხვებისთვის გაუმჟღავნებლად შენახვა. უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ საკუთარი თავი შეიძლება იყოს ინფორმაციის შენახვის ყველაზე საუკეთესო და საიმედო ადგილი. ბევრ ადამიანს ამის უნარი არ გააჩნია და ამით ისინი საკუთარი ხასიათის სისუსტეს ავლენენ. საიდუმლოების დაცვის უნარი ხელს შეუწყობს ადამიანის შინაგან სამყაროში შეუვალლობის, ადამიანის ხასიათის სიმტკიცის და პრინციპულობის განცდას, ასევე საკუთარი თავის მიმართ თავდაჯერებულობისა და რწმენის ამაღლებას. ასეთი უნარი დაეხმარება ასევე ადამიანს თავისი საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში;

პ) ვეცადოთ ჩავწვდეთ და გავუგოთ სხვებს – ვეცადოთ ჩავწვდეთ და გავუგოთ სხვა ადამიანებს. დავაკვირდეთ თუ საიდან მოდის მათი აზრები და რა ამოძრავებს მათ. ამისათვის ნებისმიერი ადამიანის გარდასახვა უნდა შეეძლოს, ანუ სხვის ადგილზე უნდა წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი. თითქოს წარმოსახვით უნდა შევიდეთ და ჩავვდეთ მის გონებაში და სხეულში, მისი თვალთ შევხედოთ სამყაროს, მისნაირად ვიფიქროთ და ვიაზროვ-

ნოთ და ამის შემდეგ ჩვენ მივხვდებით თუ რატომ იქცევა ის ასე და სინამდვილეში რა სურს მას;

ჟ) გამოვიმუშავოთ დარწმუნების უნარი – საზოგადოებაში აშკარად იგრძნობა ადამიანური შეგნების და გაგების დაბალი დონე. ადამიანებს არ გვესმით ერთმანეთის და რეალურად მართლაც ძალიან რთულია ამ ცხოვრებაში ვინმეს რამე გააგებინო. ადამიანების უდიდესი ნაწილი იმდენად არის პრინციპული და შეუვალია თავის ე.წ. „სიმართლეში“, რომ არ შეუძლია განსხვავებული აზრის არა თუ მიღება და დაჯერება, არამედ მოსმენაც კი. ასეთ სცენებს ხშირად ვხვდებით მათ შორის ჩვენს ახლოობებშიც, როდესაც ადამიანები ელემენტარულ საკითხებშიც კი ვერ ვახერხებთ შეთანხმებას. სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთი მდგომარეობა მიუთითებს ადამიანური ბუნების მანკიერ მხარეზე – ამპარტაგენებაზე, პირად თავმოყვარეობასა და პატივმოყვარეობაზე, რის გამოც ადამიანს ვერ წარმოუდგენია და არ სურს, იყოს დამარცხებულ და დამცირებულ მდგომარეობაში. სხვისი აზრის მიმდებლობა, გაგება და დაჯერება უმეტესობისთვის რატომღაც პირად დამცირებად და შეურაცხყოფად აღიქმება. ამიტომაც, ადამიანები ცდილობენ, იყვნენ ბოლომდე ჯიუტი და შეუვალნი საკუთარ შეხედულებებში. ამიტომ, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე გადაწყვიტე რამდენიმე სიტყვით შეგხეობდი ასეთ აქტუალურ თემასაც, რომელიც დარწმუნებული ვარ ასევე ჩემსავით აინტერესებს ბევრ ადამიანს. ჩემი აზრით, ადამიანის პიროვნული განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის დარწმუნებისა და ნდობის მოპოვების უნარების გამოიმუშავებას. უნდა ვიცოდეთ, რომ პირველ რიგში ასეთი უნარები ჩვენ აგვარიდებს კონფლიქტს, შეგვმატებს თანამოაზრეებს, აამაღლებს საზოგადოების თვალში ჩვენს ავტორიტეტს და მოგვითანს უფრო მეტ წარმატებას. ამისათვის კი აუცილებელია ვიცოდეთ ის მეთოდები, ხერხები თუ საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობს ასეთი უნარების გამოიმუშავებას. ამ საკითხზე უამრავი მასალა არსებობს, მაგრამ მე გამოვყოფდი მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რომელიც ჩემი აზრით ყველაზე უფრო ეფექტური და ძლიერი ინსტრუმენტებია:

- პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ (ჩამოვავალიბოთ) საუბრის მთავარი მიზანი და ამის შემდეგ დავგეგმოთ და მოვამზადოთ ძირითადი სასაუბრო თემატიკა, მათი თანამიმდევრობა და შესაბამისი არგუმენტები;
- ვეცადოთ, რომ შევქმნათ დიალოგისთვის მაქსიმალურად მშვიდი, ხელსაყრელი და კეთილგანწყობილი გარემო;
- არ დავიძაბოთ, მაქსიმალურად მოვადუნოთ სხეული და გისუნთქოთ მშვიდად და რითმულად იმისათვის, რომ ანალოგიური სიმშვიდე გადავცეთ ჩვენს ოპონენტს;
- დიალოგს არ მივცეთ კამათისა და დაპირისპირების სახე. ცხადია, კამათის დროს უფრო მეტად ღვივდება დაპირისპირება და ნებისმიერ შემთხვევაში, რომელიმე მხარე (ან ყველა მხარე ერთად) თავს გრძნობს დამარცხებულად ან გამარჯვებულად. ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ დაპირისპირებული მხარეები კამათის გზით ხშირად ვერ მიდიან საერთო შეთანხმებამდე და ერთმანეთის მიმართ უყალიბდებთ ნეგატიური შეფასება. მართალია არსებობს ასეთი გამოთქმა, რომ – „ჭეშმარიტება კამათში იბადებაო“, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ სულ სხვა ამოცანასთან გვავევს საქმე - ჩვენი მიზანი არის ადამიანის დარწმუნება, მისი ნდობისა და კეთილგანწყობილების მოპოვება, არა მასზე გამარჯვება ან მისთვის ე.წ. „სიმართლის“ დამტკიცება;
- საუბრის ინიციატივა დავუთმოთ ოპონენტს და ბოლომდე გამოვათქმევინოთ საკუთარი მოსაზრება - თუ ჩვენ გამოვალთ საუბრის დაწყების ინიციატორებად, მაშინ ჩვენი აზრების მოსმენამ შეიძლება უფრო გააღვიძინოს მეორე მხარე და საუბრის დასაწყისშივე ის უარყოფითად განაწყოს. მისი მხრიდან სასაუბრო თემის განვრცობისთვის და შესაბამისად კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებისთვის, შეგვიძლია დავუსვათ მას დამამუხტებელი კითხვები „როგორ?“ და „რა?“, ხოლო მისი პოზიციის დასაბუთებისთვის და უფრო ღრმად ჩაფიქრებისთვის - „რატომ?“. ამ დროს უნდა დავიჭიროთ აზრების თანხვედრის მომენტი და ვუთხრათ მას, რომ „ის მართალია და სრულად ვეთანხმებით მას კონკრეტულად ამ ნაწილში, მაგრამ კარგი იქნებოდა რომ ამ

- საკითხზეც გვეფიქრა“.. ან „ეს ყველაფერი კი გასაგებია, მაგრამ მოლით აბა ამ საკითხს სხვა თვალითაც შევხედოთ..“ და შევთავაზობთ ისეთი ალტერნატიული აზრი, ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც დააფიქრებს, მაგრამ არ გაალიზიანებს მას. არასოდეს არ ვუთხრათ მას, რომ ის არასწორად მსჯელობს ან მისი მოყვანილი ფაქტები მცდარია. თუ ვხედავთ, რომ რაღაც საკითხებში გვეთანხმება ჩვენი ოპონენტი, მაშინ ასეთი თანხმობის დაფიქსირების და გამყარების მიზნით, კარგი იქნება თუ ჩვენი აზრების შეთავაზების შემდეგ მეორე მხარეს დაუსვამთ კითხვას – „ასე არ არის?“;
- თავისნარ, მსგავს, შინაურ და ახლობელ ადამიანად ვაგრძნობინოთ ჩვენი თავი ოპონენტს – მეორე მხარემ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ არ ვართ მისი მტრები, მისგან განსხვავებულები და შეიძლება ბევრი საერთოც გვქონდეს - შეხედულებები, ღირებულებები, საახლობლო წრე, კონკრეტული ქცევა, ჟესტები, მეტყველება და ა.შ. ეს განაპირობებს მისი მხრიდან უფრო მეტი კეთილგანწყობილების და ნდობის მოპოვებას;
 - მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი აზრის გამოთქმისას ვიყოთ თავდაჯერებულნი, ვისაუბროთ ნათლად და გარკვევით, ოპონენტისთვის გასაგები და მისაღები ტემპით. საუბრის მიზანი არ უნდა იყოს ოპონენტის დამცირება, შეურაცხყოფა ან მისი სულელად წარმოჩენა. ის უნდა გრძნობდეს ჩვენი მხრიდან პატივისცემას და დაფასებას. საუბრის დროს, კარგი იქნება ასევე თუ რაღაც ნაწილში „ვალიარებთ“ კიდეც ჩვენს „ვითომ შეცდომებს“, რომ რაღაცაში თითქოს ჩვენც ვცდებოდით, რომ არასწორად ვფიქრობდით და ა.შ. კარგი იქნება ასევე თუ დავეთანხმებით ხოლმე მას ცალკეულ საკითხებში, დავუქნევთ თავს და ხშირად ვტყვივით სიტყვას: „გავიგე შეგობარო“. ოპონენტის შექება და პატივისცემის გამოხატვა კიდეც უფრო მეტ სტიმულს მისცემს მას და მოახდეს მასზე დადებით ზეგავლენას;
 - კარგი იქნება ასევე თუ საუბრისას უფრო მეტ ემოციას და სენტიმენტებს აღვძრავთ მასში. ანუ აღვძრავთ ისეთ გრძნობებს, რომლებიც გამოიწვევს სიბრალოულის და სინანულის

ძლიერ განცდებს. ასეთი ემოციური ფონიც განაწყობს მას საკუთარი პოზიციის დათმობის და განსხვავებული აზრის მიმღებლობისკენ;

- საბოლოო ჯამში, ოპონენტის მიმართ, ასეთი წამახალისებელი თუ კომპრომისული ზომების გამოყენება უკვე მოამზადებს და განაწყობს მას საკუთარი შეხედულებების ცვლილებისთვის. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებული აზრის მიღება უკვე აღარ იქნება მისთვის დამამცირებელი და ტრაგიკული მოვლენა. ზოგჯერ ადამიანისთვის ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ის, რომ მან კამათის დროს გამარჯვებულად და კმაყოფილად იგრძნოს თავი. ვიდრე ის თუ რეალობად რას დაეთანხმება ის.

ამასთან, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი დეტალი, თუ როგორი ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანთან გვინევს ურთიერთობა და ამის მიხედვით განვსაზღვროთ ჩვენი ურთიერთობის სტრატეგია. ქვემოთ მოცემულია ის მეთოდები, რომლებიც კარგად არის დანერგილი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში და ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაშიც. მე, მოკლედ გადმოვცემ ადამიანის თითოეულ ტიპს და მასთან ურთიერთობის სტრატეგიას, მაგალითად:

- 1) თუ ურთიერთობა გვინევს ისეთ ადამიანთან (პარანოიალურ ტიპთან), რომელიც შეყვარებულია საკუთარ თავზე, აქვს გადაჭარბებული წარმოდგენა და ითხოვს საზოგადოების მხრიდან მის განსაკუთრებულ დაფასება-აღიარებას, მაშინ პირველ რიგში არ უნდა გავუცროთ მას იმედები და უნდა გამოვიყენოთ - შექება, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე ხაზგასმა და შემდეგ შევთავაზოთ მას, მისთვის და საერთო საქმისთვის ხელსაყრელი შედეგი. როგორც წესი, ასეთი ადამიანები არ გამოირჩევიან დიდი სანდოობით, ამიტომ ასეთ ადამიანებთან შეთანხმება შეიძლება შედგეს მხოლოდ მათი კეთილგანწყობილების მოპოვების შემდეგ;
- 2) თუ ურთიერთობა გვინევს ზედმეტად თვითკრიტიკულ, დაქვეითებული გუნება-განწყობილების მქონე, დაბალი თვითშეფასების მქონე არასრულფასოვან ადამიანთან (ასთენი-

ურ ტიპთან), მაშინ პირველ რიგში ასეთ ადამიანთან უნდა შევექმნათ ისეთი გარემო, სადაც მას არ დასცინებენ და ჩრდილი არ ადგება მის რეპუტაციას. როგორც წესი, ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური დატვირთვის ატანა, ამიტომ მათ არ უნდა შევექმნათ ისეთი ვითარება, როდესაც მათ მოუწევთ ყოყმანი და გაუჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება. ასეთი ადამიანი მალელობელი იქნება თუ მის ნაცვლად გადაწყვეტილებას მიიღებს სხვა და ის განთავისუფლდება ამ პასუხისმგებლობისგან;

- 3) თუ ურთიერთობა გვიწევს ისეთ ადამიანთან, რომელსაც აქვს გადაჭარბებული დამოკიდებულება წესრიგისადმი, ნივთების დალაგებასა და საქმისადმი (**ეპილოპტოიდური ტიპი**), მაშინ პირველ რიგში პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ მის შეხედულებებს და წესებს, მოვიქცეთ უფრო კონსერვატიულად, ვიდრე ვულგარულად და ხშირავ ვკითხოთ ამრიგად თუ იმ საკითხზე;
- 4) თუ ურთიერთობა გვიწევს ისეთ ადამიანთან, რომელიც ცდილობს ნებისმიერ ფასად ყურადღების მიპყრობას, მაგრამ არ შეუძლია ობიექტურად საკუთარი თავის ან სხვების შეფასება (**ისტეროიდული ტიპი**), მაშინ ასეთი ადამიანის მიმართ უნდა გამოვიყენოთ პარანოიალურ ტიპთან ურთიერთობის მსგავსი სტრატეგია – შექება და მისი დამსახურების აღიარება, ასევე მის კეთილშობილებაზე და საზოგადოების მხრიდან მის პატივისცემაზე აპელირება. უნდა ვეცადოთ, რომ გავხდეთ ასეთი ადამიანებისთვის დადებითი ემოციის წყარო. უნდა მოვერიდოთ მათთან კატეგორიული ტონით საუბარს და მათ დამოძღვრას;
- 5) თუ ურთიერთობა გვიწევს ისეთ ადამიანთან, რომელიც მონყვეტილია რეალურ ცხოვრებას, მიდრეკილია თეორიებისადმი და ყოველგვარი აბსტრაქტულისადმი (**შიზოიდური ტიპი**), მაშინ პირველ რიგში უნდა გამოვხატოთ მისი იდეებისადმი ინტერესი და თანადგომა, ხაზი გავუსვათ მის ძლიერ მხარეებს, არ ვაგრძნობნოთ მას თავი უცნაურ არსებად და ამით არ მივაყენოთ მას ფსიქიკური ტრავმა. გვახ-

სოვდეს, რომ მისთვის ყველაზე მთავარი და სათუთია მისი იდეები (ილუზიები). ამიტომ, უნდა ვეცადოთ, რომ ისეთი გზით და ფორმით შევთავაზოთ ჩვენი აზრები, რომ გვერდი ავუაროთ მათ თეორიებს;

- 6) თუ ურთიერთობა გვინწევს ისეთ ადამიანთან, რომელსაც აწეული აქვს გუნება-განწყობილების ფონი, აქვს დიდი ენერგიულობა და აქტივობა (ჰიპერტიმული ტიპი), მაშინ გვახსოვდეს, რომ ასეთი ადამიანები კარგად ექვემდებარებიან გავლენას და შესაძლებელია მათი აქტივობის საჭირო მიმართულებით წარმართვა. ჰიპერაქტიურობიდან გამომდინარე, ისინი ხშირად უჩივიან გულმავიწყობას და უწესრიგო კავშირებს. მათ მიმართ კარგად მოქმედებს ემოციური დარწმუნება-შთაგონება, შეცდომების შეხსენება, რაც უკეთესი იქნება მისთვის.

22. როგორ გავხდეთ წარმატებულები

როგორც ვხედავთ, წიგნის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ისეთი თანმიმდევრობით, რომ თავდაპირველად მოცემულია ინფორმაცია რელიგიური თუ ზოგადსაკაცობრიო საკითხების შესახებ (რაც თავის მხრივ გვთავაზობს გარკვეულ ღირებულებათა სისტემას), შემდეგ საუბარია ადამიანის მიერ საკუთარი თავის გაცნობიერების მეთოდებზე და ამის შემდეგ გადავდივართ უკვე ადამიანის პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების საკითხებზე. წესით, ეს საკმარისი უნდა იყოს დასკვნების გასაკეთებლად და სხვადასხვა ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არსებობს საზოგადოებაში დაგროვილი ძალიან მდიდარი გამოცდილება და პრაქტიკა, რომელიც გვთავაზობს კონკრეტულ რჩევებსა და დარიგებებს თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ სიტუაციაში და როგორი გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ვიყოთ ჩვენს საქმიანობაში უფრო წარმატებულები და შედეგიანები. ჩვენ ყურადღებით უნდა გავეცნოთ მსგავს რჩევებს და მათი გათვალისწინებით უნდა მივიღოთ საკუთარი გადაწყვეტილებები. რამდენიმე ასეთი რჩევა-დარიგება მეც მაქვს მომზადებული. ის ეფუძნება, როგორც ჩემს ხედვებს, ისე ამ სფეროში არსებულ გამოცდილებასა და პრაქტიკას. ის გვთავაზობს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივალწიოთ წარმატებებს და სასურველ შედეგებს:

ა) დაგვეგმოთ ჩვენი საქმიანობა და განვსაზღვროთ ჩვენი მიზნები – გვეჩვენებს ჩვენი ყოველდღიური და გრძელვადიანი საქმიანობის გეგმა (სასურველია წერილობით). უნდა გვეჩვენოს ასევე ჩვენი **დიდი და პატარა მიზნები** და მთელი გულმოდგინებით უნდა მოვიწოდოთ ამ მიზნების მიღწევა. გვახსოვდეს, რომ თუ ბოლომდე არ დავიხარჯებით, ისე ჩვენს მიზნებს ვერ მივალწევთ ვერც სპორტში, ვერ სწავლაში, ვერც სამსახურში და ვერსად. ასეთი გეგმებით და მონღომებით ცხოვრებაში უფრო მეტს მივალწევთ და ფუჭად და უაზროდ აღარ დავკარგავთ დროს;

ბ) სწორად შევარჩიოთ ჩვენი საქმიანობა (პროფესია) – ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საქმიანობის (პროფესიის) სწორად შერჩევას. ამაზე იქნება დამოკიდებული ის, თუ რამდენად წარმატებულნი და კმაყოფილნი ვიქნებით ჩვენს ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანები სხვისი მიმბაძველობით თუ სხვა გარემოებების გამო, ირჩევენ ისეთ პროფესიას თუ საქმიანობას, რომელიც რეალურად არ შედის მათი ინტერესის სფეროში ან არ აქვთ ამისთვის საკმარისი უნარ-ჩვევები. მომავალი პროფესიის თუ საქმიანობის სწორად შერჩევა ნამდვილად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის და განსაკუთრებით მოზარდი თაობისთვის. შესაბამისად, ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს სათანადო ცოდნა და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მივუდგეთ ამ საკითხს და როგორ მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები. აღნიშნულ საკითხზე არსებობს უამრავი რჩევა-დარიგება, მაგრამ მე აქ მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

- **განვსაზღვროთ ჩვენი ინტერესის სფერო** – ნებისმიერი საქმიანობა თუ პროფესია, რომელსაც ავირჩევთ, პირველ რიგში უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ინტერესის სფეროს. თუ ასეთი ინტერესი არ გვქონება, მაშინ იმ სფეროში ნაკლებად სავარაუდო იქნება რაიმე წარმატების მიღწევა. ამასთან, ინტერესების სფეროს შერჩევის პროცესში, შეიძლება ჩვენ თავიდანვე ნათლად ვერ გამოვკვეთოთ ან არ გაგვახსენდეს ყველა მათგანი. ამისათვის კი საჭირო იქნება მოვიძიოთ საქმიანობების (პროფესიების) ჩამონათვალი და მათგან ამოვარჩიოთ ჩვენთვის სასურველი საქმიანობები (პროფესიები), რომლებიც ყველაზე უფრო მეტად გვაინტერესებს და ახლოს არის ჩვენს ღირებულებებსა თუ გემოვნებასთან. ამ დროს შეგვიძლია გავიხსენოთ ასევე ჩვენი ბავშვობის ოცნებებიც თუ რომელი საქმიანობა (პროფესია) მოგვწონდა უფრო მეტად, ვინ გვინდოდა რომ გამოვსულიყავით და შეიძლება მოვიფიქროთ ასევე სხვა რამეც იმისათვის, რომ უფრო კარგად გამოვკვეთოთ ჩვენი ინტერესების სფეროები;

- **წარმოვიდგინოთ თუ როგორი საქმიანობა მოგვანიჭებს ჩვენ სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდას** – ინტერესის გარდა, შერჩეული საქმიანობა უნდა გვანიჭებდეს აგრეთვე სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდას. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა გვქონდეს ამ საქმის მიმართ სიძულვილი და შიშლი. აღნიშნულ საკითხში უკეთ გარკვევისთვის, შეიძლება გვითხოსთ საკუთარ თავს – ხელით მუშაობა უფრო გვიზიდავს თუ გონებით, რა უფრო კარგად გამოგვდის და წარმოვიდგინოთ თუ როგორი საქმიანობა მოგვანიჭებს ჩვენ უფრო მეტი სიამოვნებას და კმაყოფილების განცდას;
- **რეალურად შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობები (ცოდნა და უნარები)** - დაფიქრდეთ, წარმოვიდგინოთ და გვითხოსთ ჩვენს თავს რეალურად შევძლებთ თუ არა შერჩეული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას;
- **დავაკვირდეთ თუ რომელი საქმიანობა (პროფესია) იქნება ჩვენთვის უფრო სარგებლიანი და სამომავლოდ პერსპექტიული** - გავითვალისწინოთ ისიც, რომ მომავალი საქმიანობის თუ პროფესიის არჩევისას ფინანსურ შემოსავალზე ორიენტირება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, თუმცა არა გადამწყვეტი. მაღალ შემოსავალზე ფიქრმა არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს შესაძლებლობებს და უნარებს. ამიტომ, აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ და ჩამოვაცალიოთ ჩვენი შესაძლებლობების შესახებ ობიექტური სურათი და მივუსადაგოთ ის განსახორციელებელ საქმიანობას, წინააღმდეგ შემთხვევაში წარუმატებლობა გარანტირებული იქნება;

გ) სწორად შევარჩიოთ მეგობრები - მეგობრები ჩვენი ცხოვრების თანამგზავრები არიან. ისინი დიდ როლს თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში და ხშირად განაპირობებენ წარმატებას ან მარცხს. საზოგადოების წევრები ყურადღებით აკვირდებიან თუ ვინ ვისი მეგობარია და ამის მიხედვით განსაზღვრავენ მათ მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას და შეფასებებს. ამიტომ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ცხოვრებაში ვინ იქნება ჩვენი მეგობარი. მეგობრად ისეთი ადამიანი უნდა შევარჩიოთ, რომელსაც პირ-

ველ რიგში ვეყვარებით, გავვიგებს და იქნება ჩვენი ერთგული. მეგობრული ურთიერთობები (გრძნობა) თავისით უნდა მოვიდეს და მას ძალით ვერ მოვიყვანთ. ეს მოყვასის სიყვარულია, რომელიც გულიდან მოდის, გულს კი ვერ უბრძანებ თუ ვინ უნდა უყვარდეს. მეგობრობა უფრო ხშირად ყალიბდება მაშინ, როდესაც ადამიანებს შორის არსებობს საერთო ინტერესები და თანდათანობით იკარგება, როდესაც ქრება ასეთი ინტერესები. მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ჩვენ მივხვდებით, როცა კონკრეტულ ადამიანთან ურთიერთობა მოგვანიჭებს ჩვენ გარკვეულ სიამოვნებას/კმაყოფილებას და დავინახავთ მისი მხრიდანაც იგივეს. ამრიგად, საერთო ინტერესები, უალაატობა და ერთგულება მეგობრობისთვის დამახასიათებელი ყველაზე მთავარი ნიშნებია. საქართველოში მეგობრობა ოჯახის წევრობას ნიშნავს და ყველა ნათესავზე თუ ახლობელზე უფრო მეტიც არის. ამიტომ, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ვიმეგობროთ წესიერ ადამიანებთან, რომ მომავალში მათ გამო უაზრო შარში არ გავხვეთ. ამასთან, დიდი ყურადღებით უნდა ვიყოთ მეგობრის შერჩევისას. უნდა ვიცოდეთ, რომ მეგობრად არ გამოგვადგება ისეთი ადამიანი, რომელსაც შევატყობთ - შურს, ანგარებას, არაგულახდილობას, სიცრუეს, ჭორიკნობას, ღალატს, სიბოროტეს ან სხვა ცუდ თვისებებს. ასეთი ადამიანი მომავალში აუცილებლად გამოავლენს იგივე დამოკიდებულებას ჩვენ მიმართაც იმიტომ, რომ სულიერად ძალიან სუსტია და არ ძალუძს ასეთი მანკიერებებისგან განთავისუფლება. ცუდი მეგობრის ყოლას ჭობია საერთოდ არ გვყავდეს მეგობარი. შური, სიცრუე, ანგარება და სხვა უარყოფითი თვისებები ხშირად გამხდარა მეგობრობის დაშორების მიზეზი. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ თუ სინამდვილეში ვინ არის ჩვენი მეგობარი ზოგჯერ შეიძლება გამოვცადოთ კიდევ, თუ რამდენად გულწრფელი და ერთგულია ის ჩვენ მიმართ.

23. როგორ დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება

ამ თავში მე განვიხილავ ისეთ საკითხებს, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით თუ პერიოდულობით გარდაუვლად ხდება ჩვენს ცხოვრებაში. კერძოდ, საუბარი იქნება ადამიანებისგან მომდინარე საფრთხეებზე, ბრაზის მართვის ტექნიკაზე, ბულინგზე და სხვადასხვა სახის კონფლიქტზე, ასევე მათი მოგვარების გზებზე. რა თქმა უნდა, კარგი იქნება თუ ჩვენ წინასწარ გვეცოდინება თუ როგორ მოვიქცეთ მსგავს სიტუაციებში და როგორ ავირიდოთ საფრთხე ან მოვახდინოთ მასზე ადეკვატური რეაგირება. ეს მოგვეცემს ჩვენ იმის შესაძლებლობას, რომ უფრო მეტად დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება, დავიცვათ ჩვენი ბავშვები და თავიდან ავიცილოთ არასასურველი შედეგები.

ა) თავიდან ავიცილოთ საფრთხეები და გიცხოვროთ მშვიდობიანად – ჩვენი უსაფრთხოებისათვის პირველ რიგში **უპირატესობა უნდა მივანიჭოთ წყნარ, მშვიდობიან და არააგრესიულ ცხოვრებას**. ნებისმიერ სიტუაციაში უნდა ვიყოთ წინდახედულები, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი შარი და ხიფათი. ასეთი სულისკვეთებით ცხოვრება, ჩვენ მომავალში წინასწარ აგვარიდებს ბევრ უსიამოვნობასა და განსაცდელს. წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრებისთვის ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ – ზოგჯერ შეიძლება საკუთარი პრინციპებიდან და შეხედულებებიდანაც კი გადავუხვიოთ, მაგალითად – მოგვიწიოს თუნდაც ტყუილის თქმა, თუ ის განმუხტავს დაძაბულ ვითარებას და დაამყარებს მშვიდობას. მშვიდობის დასამყარებლად და ხიფათის ასაცდენად ჩვენ ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ (თუმცა გააჩნია კონკრეტულ ვითარებასაც – ასეთი ქმედება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხვა გამოსავალი აღარ რჩება და ის ადამიანების გადარჩენით და სხვა უკიდურესი აუცილებლობით არის გამოწვეული);

ბ) როგორ გავუმკლავდეთ ბრაზს – საერთოდ, ბრაზი არის ადამიანის ძლიერი ემოცია. ეს საკითხი ამ თავში იმიტომ ავსახე, რომ ის პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს უსაფრთხოებასთან. ბრაზი არის დამანგრეველი და გამანადგურებელი ენერჯია

და მას შეუძლია დიდი ზიანის მიყენება. თუმცა, სანამ ასეთ ძლიერ ემოციას შევაფასებდეთ, მოდიოთ უფრო კარგად გაგვერკვეთ მის არსში. დღეისათვის, აღნიშნულ საკითხზე ბევრს საუბრობენ და განიხილავენ სხვადასხვაგვარ მოსაზრებებს – თუ რა ინვესტს მას, როგორია მისი ზემოქმედების შედეგი ადამიანზე, როგორ გავუმკლავდეთ მას ან გამოვიყენოთ ის ჩვენ სასარგებლოდ და ა.შ. მოსაზრებები ნამდვილად ბევრია, მაგრამ ჩემი აზრით – **ბრაზის წარმოშობის 2 უმთავრესი მიზეზი არსებობს: 1) ეს არის ადამიანის ღირსებაზე ზემოქმედება; და 2) საზოგადოების მიერ ადამიანის ღირებულებების უპატივისმცელობა და დაუფასებლობა. ერთ შემთხვევაში**, ბრაზი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ადამიანის ღირსებაზე ზემოქმედებენ („ღირსება“ კი ნიშნავს საზოგადოების მხრიდან ადამიანის პიროვნების შეფასებას, მის დამოკიდებულებას). ანუ ამ დროს ბრაზის წარმოშობა ხდება მუსტად იმ მომენტში, როდესაც ადამიანი განიცდის საზოგადოების მხრიდან მისი პიროვნების მიმართ არასათანადო დამოკიდებულებას და დაბალ შეფასებას. **ხოლო მეორე შემთხვევაში**, ბრაზის წარმოშობის მიზეზად გვევლინება ისეთი გარემოება, როდესაც საზოგადოება სათანადოდ ვერ აფასებს და პატივს არ სცემს ჩვენს შეხედულებებსა და ღირებულებებს. **შედეგების თვალსაზრისით**, ბრაზი არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ უარყოფით ან მხოლოდ დადებით მოვლენად. მას **შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები**. მაგალითად, **დადებითად უნდა შევაფასოთ** ისეთი მოვლენა, როდესაც ბრაზი გვევლინება **ადამიანის ძლიერ მორტივატორად**. ამ დროს ადამიანს უჩნდება რაიმესკენ სწრაფვის ძლიერი სურვილი და გამოუმუშავდება უდიდესი ენერგეტიკული მუხტი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ცდილობს წარმატების მიღწევას და საზოგადოებისთვის რაღაცის დამტკიცებას, მაგალითად - სპორტში, სწავლაში, სამსახურებრივ კარიერაში, ბიზნესში ან სხვა საქმიანობაში. ამ დროს ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეცვალოს მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და მოიპოვოს მის თვალში უფრო მეტი დაფასება და ავტორიტეტი. დადებით კონტექსტში უნდა ვისაუბროთ ასევე ბრაზზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის ჩნდება ინდივიდში ან საზოგადოებაში მაგალითად – უსამართლობისა

და უზნეობის გასაპროტესტებლად. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თვლის, რომ არსებული ვითარება ეწინააღმდეგება და კონფლიქტში მოდის მის შეხედულებებთან და ღირებულებებთან. შესაბამისად უჩნდება ბრაზი, ანუ ძლიერი ემოციური მუხტი და სურვილი, რომ შეცვლოს მისთვის არასასურველი ვითარება და თანხვედრაში მოიყვანოს ის საკუთარ ღირებულებებთან. **რაც შეეხება ბრაზს, როგორც უარყოფით მოვლენას** – ასეთად განვიხილავ **შურისძიებას** და ბრაზის ისეთი ფორმას, რომელიც გადაიზრდება ადამიანის **ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობად (აფექტად)**. ასეთ ბრაზს უკვე ნამდვილად აქვს დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალა. შურისძიების შემთხვევაში ადამიანი ცდილობს ნებისმიერი ფორმით და საშუალებით სხვის დაზიანებას და განადგურებას. ის ამისთვის ცოცხლობს და ამ გრძნობით იკვებება. ჩემთვის ძალიან რთულია იმის თქმა ამ შემთხვევაში სწორად იქცევა თუ არა ადამიანი. ეს ბევრ ფაქტორზე და გარემოებაზე დამოკიდებული, მაგრამ იმაში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ შურისძიების წყურვილი თვითონ ამ ადამიანსაც სპობს და ანადგურებს, ვინაიდან ის განიცდის უკიდურეს დაძაბულობას და სტრესს. **რაც შეეხება ადამიანის ძლიერ სულიერ აღელვებას (აფექტს)** - ასეთ მომენტში ადამიანი კონტროლს ვეღარ უწევს საკუთარ თავს და მან არც ის იცის თუ რეალურად რას მოიმიქმედებს. როგორც წესი, ამ დროს ადამიანი ახდენს ერთი პრობლემის ირგვლივ მთელი ყურადღების კონცენტრაციას და განიცდის ძლიერ სტრესს, გაღიზიანებას, აგრესიას, ასევე სისასტიკისა და შურისძიების წყურვილს. როგორც წესი, ის გრძელდება ხანმოკლე დროით, მაქსიმუმ 5-6 წუთის განმავლობაში, მაგრამ ეს დრო საკვებით საკმარისია ბევრი რამის გასაფუჭებლად.

როგორ გმართობ ბრაზი - ამ თემით დაინტერესებული ადამიანები ბევრს საუბრობენ ბრაზზე, მის წარმოშობაზე, გამოხატვის ფორმაზე და ა.შ., მაგრამ ყველაზე ნაკლებ დროს უთმობენ ბრაზის მართვის კონკრეტულ ტექნიკას, რაც უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნებოდა ყველასთვის. შეჯამებულად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ძირითადად **განიხილავენ რეაგირების ორ ფორმას** - 1) ბევრს გამართებულად და **დასაშვებად მიაჩნია ასეთი ემოციის გამოშვება** და თვლის, რომ თავის შეკავება უფრო

ამიანებს ადამიანს, იწვევს სხვადასხვა დაავადებებს და ა.შ. ისინი გვირჩევენ, რომ უარყოფითი ენერგია უნდა მივმართოთ არა უშუალოდ ბრაზის წყაროს, არამედ სხვა მიმართულებით, მაგალითად - დავკავდეთ სპორტით ან სხვა საქმიანობით, წავიდეთ ტირში, დავაზიანოთ რამე „უწყინარი“ ნივთი და ა.შ. ანუ, ამ შემთხვევაში მთავარია რამენაირად გამოვუშვათ დაგროვილი უარყოფითი/ნეგატიური ენერგია; 2) მეორე მიდგომა კი ახლოს დგას უფრო პრობლემის რელიგიური გზით მოგვარებასთან - დავწყნარდეთ, შევუნდოთ, გავვრიდოთ და ა.შ. ანუ, ამ შემთხვევაში უარყოფითი ენერგიის გამოშვება აუცილებლობას არ წარმოადგენს. პრინციპში, ბრაზზე რეაგირების ორივე ეს მეთოდი მიმართულია იმისკენ, რომ ბრაზი არ გადაიზარდოს აფექტში და ადამიანის მოქმედება არ გახდეს უკონტროლო, მაგრამ ჩემი აზრით, უშუალოდ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება ძალიან რთული იქნება - მეექვსეა გაბრაზებულმა და „ჭკუიდან გადასულმა“ ადამიანმა იმ მომენტისთვის შეძლოს სპორტულ აქტივობაზე ფიქრი ან სხვა საქმით დაკავება. ძალიან რთულად მესახება აგრეთვე - შენდობა, პატიება და განრიდება, ვინაიდან ეს მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. ამ შემთხვევაში, მე უფრო მეტ უპირატესობას მივანიჭებდი თვითშთავლენას, რა დროსაც ადამიანმა უნდა განახორციელოს სამი მოქმედება: 1) პირველ რიგში მან უნდა დაამშვიდოს/დააწყნაროს საკუთარი თავი; 2) უფრო მეტი ეფექტისთვის - ცოტა უნდა შეაშინოს კიდევცის, რომ მის ემოციურ აფეთქებას აუცილებლად მოჰყვება მძიმე შედეგები და პირველ რიგში ეს დამაზიანებელი იქნება მისთვის, და ბოლოს 3) კარგი იქნება თუ ადამიანი შეძლებს ყურადღების სხვა ნებისმიერ რამეზე გადატანას, მაგალითად რომელიმე პიროვნების, ფაქტის ან მოვლენის წამიერად გახსენებას და ამ აზრის შენარჩუნება-განვითარებას. ეს მეთოდი შეიძლება ნამდვილად ეფექტური აღმოჩნდეს, ვინაიდან მან შეიძლება რეალური გავლენა მოახდინოს და შეასუსტოს აფექტური მდგომარეობის შემადგენელი მთავარი ელემენტი – მხოლოდ ერთი პრობლემის ირგვლივ ყურადღების უკიდურესი კონცენტრაცია. ამრიგად, ადამიანმა ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისთვის, რომ ბრაზი არ გადაიზარდოს აფექტურ მდგომარეობაში. თუმცა, ეს იმას არ ნიშ-

ნავს, რომ ბრაზის დროს ადამიანი საერთოდ გაჩერდეს და არ ჰქონდეს არანაირი რეაგირება. ხოლო ის თუ რა სახის რეაგირება შეიძლება გვექონდეს ბრაზის დროს, ამაზე უფრო დეტალურად იქნება საუბარი მომდევნო ქვეთავში;

გ) როგორ ვიმოქმედოთ დამცირებისა და პირადი შეურაცხყოფისას - ადამიანის დამცირება და შეურაცხყოფა კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამ დროს განსაკუთრებულად რთულია მორწმუნე ადამიანის მდგომარეობა, ვინაიდან ის დგება არჩევანის წინაშე - მოახდინოს რეაგირება დამცირებაზე ან რელიგიური მოტივებით თავი შეიკავოს ასეთი რეაგირებისგან. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება – ერთის მხრივ, ქრისტიანული მოძღვრება თავმდაბლობის, მოთმინებისა და პატიების შესახებ და მეორე მხრივ, საკუთარი თავმოყვარეობა (პატივი) და საზოგადოებრივი ავტორიტეტი (ღირსება). თუ ადამიანი მოითმენს დამცირებას, მაშინ ის დაკარგავს საზოგადოებაში ავტორიტეტს, მაგრამ თუ პასუხს გასცემს, მაშინ ის მოიპოვებს ასეთ ავტორიტეტს, მაგრამ დაკარგავს პირველს. ცხადია, არასაკუთარი ცხოვრების მქონე მორწმუნეებისთვის ასეთი მოთხოვნების დაცვა ზედმეტად რთულია. მორწმუნე ადამიანს უნდა რომ იცოს საზოგადოების დაფასებული წევრიც და იმავდროულად მორწმუნეც, მაგრამ ეს ორი რამ რთულად შეთავსებადია ერთმანეთთან. აბა როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ დაიცვას ორივე ეს ფაქტორი და რომ იტყვიან არც მწვადი დანვას და არც შამფური. **ჩემი პასუხი ასეთია** - ვინაიდან ჩვენ ვრჩებით საზოგადოების წევრებად, არ ვცხოვრობთ ასკეტური ცხოვრებით. გვყავს ოჯახები და წარმოვადგენთ ასევე მათ სახესაც. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვახდინოთ რეაგირება შეურაცხყოფასა და დამცირებაზე. უაღრესად მნიშვნელოვანია, ადამიანს ჰქონდეს ავტორიტეტი და დაფასება როგორც საზოგადოებაში, ისე საკუთარი თავის მიმართ. ოღონდ ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ პირველივე ჯერზე მუშტიკრივი გავუმართოთ ავრესორს. თუ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ დაპირისპირება, მაშინ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ასეთი შესაძლებლობა. ნათქვამია **„ვინც მოითმენს ის მოიგებს“ და ნამდვილად ეს არის ცხოვრების უდიდესი სიბრძნე**, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი აღარ რჩება, მაშინ უნდა

გამოვიყენოთ რეაგირების ფორმები - სანყის ეტაპზე კი რეაგირების უფრო მსუბუქი ზომები, კერძოდ:

- პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და არ გამოვიდეთ მწყობრიდან;
- გავერიდოთ შარს და არ მოვახდინოთ რეაგირება, თუ უცხო საზოგადოებაში ვიმყოფებით და ასეთი საქციელი არ მოახდენს გავლენას ჩვენს რეპუტაციაზე;
- ვიმოქმედოთ თამამად და მშვიდი მიმართვით ავახსენებინოთ აგრესორს მისი მოქმედების მიზეზი, გავაგებინოთ ასევე, რომ ჩვენ არ გვსურს კონფლიქტი და დაგვანებოს თავი;
- გადავატანინოთ ყურადღება სხვა საკითხზე და გავფანტოთ ამით მისი ყურადღება (თუ ჩვენ ვართ დაცინვის ადრესატი, მაშინ შეიძლება ჩვენც გავიცინოთ საკუთარ თავზე და შემდეგ გადავიტანოთ ისევ ყურადღება სხვა საკითხზე ან პიროვნებაზე);
- თუ ამან განგრძობადი ხასიათი მიიღო, ვისარგებლოთ უფროსების ან სხვა ავტორიტეტული ადამიანების დახმარებით.

ხოლო თუ მშვიდობიანმა გზამ არ გაამართლა, მაშინ შეგვიძლია გამოვიყენოთ რეაგირების უფრო მკაცრი ზომებიც, მაგალითად:

- გავაფრთხილოთ აგრესორი, რომ შეწყვიტოს თავისი საქციელი;
- იგივე ან სხვა სიტყვებით მივმართოთ აგრესორს, რომ მიხვდეს თუ ვისთან აქვს საქმე;
- ხოლო თუ არცერთმა გზამ არ გაამართლა და დარწმუნებული ვიქნებით, რომ ვაჭობებთ მას, მაშინ მის მიმართ უნდა გამოვიყენოთ ძალა. ძალის გამოყენებისთვის კი ნამდვილად საჭიროა ფიზიკური მომზადება. ანუ საბოლოო ჯამში ჩემი აზრით მაინც ყველაფერი დადის ფიზიკურ და სულიერ სიძლიერედ, რომელიც ყველასთვის ანგარიშგასანწევია. თუმცა, ეს უნდა იყოს ყველაზე უკიდურესი ზომა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციო იმას, რომ პირველ რიგში ჩვენ თვითონ არ დავზარალდეთ და მეორე რიგში მოწინააღმდეგეს არ მივაყენოთ მძიმე დაზიანება.

დ) როგორ დავიცვათ ბავშვები ბულინგისგან - ბულინგი არის ადამიანის ჩაგვრა, დაცინვა, დამცირება, შეურაცხყოფა, ლანძღვა, მუქარა, ცემა, ასევე სხვაგვარი ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობა, რომელიც იწვევს ადამიანის ტანჯვას. ბულინგი არის საზოგადოებაში მუდმივად მიმდინარე პროცესი, როდესაც ადამიანები ბავშვობის ასაკიდანვე ცდილობენ სხვების დაჩაგვრის გზით საკუთარი თავის რეალიზაციას და ავტორიტეტის მოპოვებას. დაბულინგებული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. როგორც წესი, ისინი მიდრეკილები არიან დეპრესიისა და სუიციდისკენ. ბულინგის შედეგად ბავშვობაში მიღებული ფსიქოლოგიური ტრამვა შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვეს ადამიანს და დიდი გავლენაც მოახდინოს არამართო მის ცხოვრებაზე. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი გაიზარდოს ჯანსაღად გარემოში და არ იყოს ის ბულინგის მსხვერპლი.

ბულინგის მსხვერპლი - არის ბავშვი, რომელიც განიცდის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ჩაგვრას;

მოძალადე - არის ბავშვი, რომელიც ეძებს სუსტ ბავშვს და ცდილობს მისი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის გზით სიამოვნების მიღებას და ამით საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებას;

ბულინგის ხელშემწყობი ფაქტორებია:

- **თვითონ მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა** - მოწყვნილი, დათრგუნული, საკუთარ თავში ჩაკეტილი, არამეგობრული და დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვი. ასეთი ბავშვები პირდაპირ იწვევენ და მაგნიტივით იზიდავენ მოძალადე ბავშვებს;
- **ძალადობის ფაქტზე სიჩუმე**, როდესაც - ზრდილობის, ხათრის, მორიდების, უზრდელური სიტყვის თქმისგან თავის შეკავების თუ სხვა მიზეზის გამო მსხვერპლი არ რეაგირებს ძალადობაზე. ეს ფაქტორი კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევს მოძალადეს და ამის გამო ის თანდათანობით იწყებს უკვე ბულინგის სულ უფრო მძიმე ფორმების გამოყენებას;
- **მსხვერპლის შიში**, რომ მას ფიზიკურად გაუსწორდებიან და მას არავინ დაიცავს;

- ოჯახის წევრების უყურადღებობა - როგორც წესი, ოჯახის წევრები არ უსმენენ ასეთ ბავშვებს, არ აქვთ მათთან დიალოგი (თუ რატომ არიან ისინი მოწყვნილნი და ა.შ.), ხშირად საყვედურობენ, დასცინიან, ცემენ, ჩაგრავენ და თვითონ აბუღინებენ. რაც ყველაზე მთავარია ბავშვები ვერ გრძობენ მათგან თანადგომას და ძალას;
- სოციალური გარემოს გულგრილობა - უბნის, ბაღის, სკოლის, სასწავლებლის და ნებისმიერი სოციალური გარემოს გულგრილობა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ბუღინგი გართობაა და ვერ აღიქვამენ მას სერიოზულ პრობლემად.

ბუღინგის წინააღმდეგ ბრძოლა და რეაგირების ფორმები:

- უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას, რომ ბავშვი არ იყოს მოწყვნილი, დაძაბული და დათრგუნული ან პირიქით - აგრესიული. ის უნდა იყოს აქტიური, ხალისიანი, თამამი, მეგობრული, კონტაქტური, უყვარდეს ხუმრობა და ჰქონდეს იუმორის გრძობა;
- ასეთ დროს ბავშვი უნდა შეეცადოს, რომ პირველ რიგში შეინარჩუნოს სიმშვიდე, არ დაიძაბოს და არ დაითრგუნოს;
- ბავშვმა უნდა იცოდეს თავისი შესაძლებლობები და არ უნდა აჰყვეს და არ დაუჭეროს მოძალადის სიტყვებს და შეფასებას;
- ბავშვი უნდა გრძობდეს ძალას - მან უნდა იცოდეს, რომ ის მართლ არ არის და მის უკან დგას მთელი ჯარი, რომელსაც ის უყვარს და ყოველთვის დაიცავს მას ნებისმიერი აგრესიისგან. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მას გვერდში უდგანან მისი უსაყვარლესი ადამიანები - ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, უბნელები, მასწავლებლები და მანდატურები, რომლებიც არავის დააჩაგრინებენ მას.
- ბავშვი არ უნდა გაჩუმდეს და შეძლებისდაგვარად უნდა ჰქონდეს რეაქცია მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე. რა თქმა უნდა ბავშვისთვის ეს ყველაზე რთული პერიოდია მის ცხოვრებაში, მაგრამ რეაგირება უკიდურეს-

ად აუცილებელია იმისათვის, რომ ის აღარ იყოს მოძალადის სამიმნე. ამისათვის ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს სითამამის და გამბედაობის განცდა. შეპასუხების ფორმები კი შეიძლება იყოს სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით;

- **ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი თავის ფიზიკურად დაცვა** - ბავშვი იქნება უფრო თავდაჯერებული და არ ექნება დაპირისპირების შიში, როდესაც ის იქნება საამისოდ მომზადებული და ფიზიკურად ძლიერი. თუმცა, ყველა შემთხვევაში ჩხუბი უნდა იყოს ყველაზე უკიდურესი ზომა, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი აღარ დარჩება, მაშინ მოძალადეს აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ თუ მოძალადე მასზე ძლიერია ან მათი რაოდენობა ბევრია, მაშინ ჯობია ის გაეცალოს დაპირისპირების ადგილს და საქმის კურსში ჩააყენოს ოჯახის წევრები და ახლობლები, რომლებიც აუცილებლად განმუხტავენ დაძაბულ სიტუაციას, პასუხს მოსთხოვენ აგრესორს და დააწყნარებენ კონფლიქტურ სიტუაციას.

24. როგორ გამოვიყუთოთ ბამძლეობის უნარი

ამ თავში განხილული იქნება ისეთი საკითხები, რომლიც განუყოფელია ადამიანის ცხოვრებისგან. ეს არის ისეთი ძლიერი განცდები, როგორიც არის – შიში, ტკივილი და სტრესი. ის დამახასიათებელია ნებისმიერი ადამიანისთვის და იწვევს მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, უსიამოვნებასა და დისკომფორტს. თუმცა, ადამიანებმა თავისი არსებობის განმავლობაში შეძლეს ასეთ ძლიერ განცდებთანაც გამკლავება და დააგროვეს ამ სფეროში გარკვეული ცოდნაცა და გამოცდილებაც. დღეისათვის არსებობს უამრავი ფსიქოლოგიური მეთოდი და სწავლება თუ როგორ უნდა დაძლიოს ადამიანი წამლის გარეშე ასეთი არასასურველი განცდები (გრძნობები). ამ საკითხებზე მეც მაქვს ჩემი მოსაზრებები, რომლებიც რა თქმა უნდა განხილული იქნება ამ თავში. ჩემი აზრით, ასეთი მეთოდის თუ ტექნიკის შესახებ ცოდნა უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ შეძლონ ბამძლეობის უნარების გამომუშავება და მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება:

ა) როგორ დაგძლიოთ შიში – შიში არის ადამიანში ყველაზე ძლიერი და მრავალფეროვანი გრძნობა. ტკივილის გრძნობის მსგავსად ისიც ადამიანის თვითგადარჩენის ინსტინქტიდან მოდის და გვატყობინებს საფრთხის მოახლოებას. ანუ შიში არის ჯერ კიდევ არღამდგარი საფრთხე, რა დროსაც ადამიანები განიცდიან ძლიერ სტრესს (აღელვებას, დაძაბულობას, სუნთქვის გართულებას, უძალობას, უუნარობას, განადგურების საფრთხეს და ა.შ.), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით, სტრესთან ერთად - ძალების განსაკუთრებულ მოზღვაებას და საკუთარი თავის ან ახლობლის გადარჩენისთვის დიდი გმირობებსაც სჩადიან.

ქრისტიანული გაგებით - ქრისტიანს უნდა ჰქონდეს მხოლოდ უფლის შიში და სხვა არაფრის. სხვა რამის შიში უკვე რწმენიდან გადახრაა. ამიტომაც მოუწოდებს ქრისტიანობა ადამიანებს რწმენისა და სიმტკიცისკენ - „იფხიზლეთ, მტკიცედ იდევით რწმენით, მხნედ იყავით და გაძლიერდით“ (1 კორ. 16, 13). ქრისტიანებმა

თავიანთი განვლილი გზით დაამტკიცეს საკუთარი უშიშარობა, როდესაც ისინი რწმენის გამო მოთმინებით იტანდნენ უკიდურეს დამცირებას და უსასტიკეს წამებას.

წარმოსახვა - შიშის როგორც ადამიანური გრძნობის დადგომას **ყოველთვის წინ უსწრებს ადამიანის წარმოსახვა**. ამ დროს ადამიანები წამიერად წარმოიდგენენ მოსალოდნელ საფრთხეებს და ამ საფრთხეების მძიმე სურათის გამო მათ ეუფლებათ შიშის განცდა (სტრესი). **ანუ წარმოსახვის გარეშე ადამიანში ვერ გაზრდება შიშის გრძნობა**. წარმოსახვა კი არის ადამიანის გონების მიერ შექმნილი პროდუქტი (აზრი და ფიქრი), რომლის დაკვირვება, კონტროლი და მართვა შეუძლია ადამიანს. შესაბამისად, ადამიანი, რომელსაც ექნება აზრების კონტროლის და მართვის უნარი, იმავდროულად შეძლებს ასევე შიშისგან გათავისუფლებასაც. ასეთი ადამიანი უკვე თავის გონებაში აღარ დაუშვებს მისთვის დამაზიანებელი წარმოსახვითი სურათის შექმნას ან ასეთი სურათი აღარ მოახდენს გავლენას მის ემოციურ (მგრძნობელობით) მდგომარეობაზე.

წარმოსახვითი საფრთხე – შიშის გრძნობის წინმსწრები **წარმოსახვითი საფრთხე** შეიძლება იყოს **რეალური ან არარეალური**. საფრთხე რეალურია მაშინ, როდესაც ადამიანს ნამდვილად ემუქრება სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების საფრთხე ან განადგურება, ხოლო არარეალური საფრთხის დროს არ არსებობს ნამდვილი საფრთხე და ეს ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია.

რეალური საფრთხე – შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: **ფიზიკურ საფრთხედ** და **ინტელექტუალურ საფრთხედ**. ფიზიკური საფრთხის დროს დაზიანების ან განადგურების საფრთხე ემუქრება უშუალოდ ადამიანს ან მის ქონებას, ხოლო ინტელექტუალურის დროს - არსებობს ადამიანის რეპუტაციის, ანუ მისი პატივისა და ღირსების შელახვის საფრთხე.

მოქმედება შიშის დროს – რეალური საფრთხის დროს ადამიანი მა სწრაფად და ადეკვატურად უნდა იმოქმედოს, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საშიშროება, ხოლო არარეალური საფრთხის დროს მან უნდა გააცნობიეროს თავისი აზრები (ფიქრები) და დაარწმუნოს საკუთარი თავი იმაში, რომ ეს მხოლოდ მისი მცარი ფანტაზიაა. ზოგიერთი ადამიანი იმასაც ამბობს,

რომ არარეალურ საფრთხეებზე უნდა გაერთო და თან უნდა იამაყო კიდევ, რომ შენს გონებას აქვს ასეთი მდიდარი ფანტაზიის და შემოქმედების უნარი.

შიშის დაძლევის ტექნიკა – 1) პირველ რიგში ადამიანი უნდა დამშვიდდეს, ისუნთქოს ღრმად და რითმულად; 2) გააცნობიეროს შიშის გამომწვევი წარმოსახვითი საფრთხე რეალურია თუ არარეალური; 3) არ დაუშვას გონებაში საკუთარი თავის დამაზიანებელი ამრის (წარმოსახვის) გაბატონება, ჩაანაცვლოს წარმოსახვითი საფრთხე ნებისმიერი სხვა წარმოსახვით (ამრით) და ამისათვის გამოიყენოს ამრების მართვის ტექნიკა; 4) ყურადღება გაამახვილოს (კონცენტრაცია) მზის წნულზე იმიტომ, რომ ფიზიოლოგიურადაც შიშის დროს გამოიყოფა კუჭის წვენი და ადამიანი გრძნობს, რომ თითქოს შიში თავს იყრის სწორედ ამ ადგილას; 5) ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და დაარწმუნოს საკუთარი თავი, რომ ის დაძლევეს ყველა სირთულეს და გამოწვევას; 6) იმოქმედოს სწრაფად ან თავი შეიკავოს მისი პიროვნულად თუ რეპუტაციულად დამაზიანებელი მოქმედებებისგან;

ბ) როგორ დავძლიოთ სტრესი – კრიზისულ სიტუაციაში ნებისმიერ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს სტრესი. ის შეიძლება გამოხატული იყოს ძლიერი ან სუსტი ფორმით. ამ დროს ადამიანი განიცდის სხეულისა და გონების დაძაბულობას (დაჭიმულობას). სტრესი შეიძლება იყოს ადამიანისთვის საზიანოც ან სასარგებლოც. ზოგჯერ ხდება ისე, რომ მსუბუქად გამოხატული სტრესი განაპირობებს ადამიანის განსაკუთრებულ მობილიზებას, მაგალითად – სპორტული შეჯიბრების, საჯარო გამოსვლის თუ ნებისმიერი აქტივობის დროს. თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტრესი იწვევს ადამიანის სრულ დემორალიზებას, პარალიზებას და უკონტროლოობას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ძლიერი ტკივილით, შიშით ან ძლიერი უარყოფითი ემოციით (წარუმატებლობით, დანაკარგით და ა.შ.). რა თქმა უნდა ასეთი მდგომარეობა უკიდურესად შემაშფოთებელი და დამაზიანებელია ადამიანისთვის. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებაში წინა პლანზე იწვევს ყველაზე ნეგატიური ამრები, მათ შორის სუიციდური ამრებიც. ასეთ შემთხვევაში ადამიანები ეძებენ ასეთი მძიმე მდგომარეობისგან თავის დასაცემს.

რეობიდან გამოსავალს და მიმართავენ ნებისმიერ ზომას, რომ თავი დააღწიონ ამ საშინელ მდგომარეობას – იღებენ ალკოჰოლს, მედიკამენტებს, ახდენენ გარე სამყაროსთან თვითიზოლაციას და ა.შ.. ეს საშუალებები რა თქმა უნდა აპრობირებული და გამოცდილია პრაქტიკაში, თუმცა ასეთ მდგომარეობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნა ცხადია უკიდურესად დამაზიანებელია ადამიანისთვის. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს საკითხები კარგად არის მეცნიერულად დამუშავებული და არსებობს უამრავი რჩევა-დარიგება და რეკომენდაცია თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ადამიანი ძლიერ სტრესს. მაგალითად არსებობს ასეთი რეკომენდაცია, რომ - 1) ადამიანს საშუალება მისცე ბოლომდე გამოხატოს/დახარჯოს თავისი ემოცია; 2) არ ჩაიკეტოს და აქტიური ურთიერთობა იქონიოს სხვა ადამიანებთან; 3) მობილიზება გაუკეთოს დადებით ემოციებს და სასიამოვნო ფიქრებს და ა.შ. ჩემი მხრივ, ამგვარ რეკომენდაციებს შეიძლება დავეუბნო ასევე თვითგაცნობიერების და საკუთარი თავის მართვის ისეთი კომპონენტები, როგორც არის – სხეულისა და გონების დაძაბულობის შესუსტება (მოღუნება), გონებაში პრობლემური ამრების დაბლოკვა და ყურადღების ნებისმიერ სხვა საკითხზე გადატანა.

გ) როგორ დავძლიოთ ტკივილი – რა თქმა უნდა ტკივილი არ არის სასიამოვნო გრძნობა და ის დისკომფორტს უქმნის ადამიანს, თუმცა მეორე მხრივ, ტკივილის გრძნობა იმავდროულად გვაფრთხილებს ჩვენ, რომ თავი შევიკავოთ გარკვეული მოქმედებებისგან და ვიმოქმედოთ „თვითგადარჩენის ინსტიქტით“. ტკივილი შეიძლება იყოს ხანმოკლე ან გძელვადიანი (ავადმყოფობა). ტკივილს შეუძლია როგორც დაასუსტოს, ისე გააძლიეროს ადამიანი. ასეთი გამოთქმაც არსებობს – „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს“.

ქრისტიანული გაგებით ტკივილი შეიძლება იყოს ცოდვის შედეგი ან შეიძლება განსაცდელის სახით იყოს მოვლენილი ადამიანის გამოცდისთვის. მისი მოვლენით ღმერთი შეიძლება ერთდროულად გვსჯიდეს და გვწმენდდეს კიდეც ჩვენი ცოდვებისათვის. ამ დროს უფალი შეიძლება მიგვითითებდეს უფრო სწორი ცხოვრებისაკენ, მოწამეობრივი ცხოვრებით სრულყოფისკენ

და ა.შ. წმ. ნიფოტი აღნიშნავს: „როგორც ოქრო ცეცხლით იწმინდება ჟანგისგან, ისე ავაღმყოფი იწმინდება ცოდვებისგან“. წმინდა ბერები მოთმინებით იტანდნენ ტკივილსა და ავაღმყოფობას, ამაზე განსაკუთრებულად არ წუხდნენ, ღმერთს მიანდობდნენ საკუთარ ჯანმრთელობას და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, შეგნებულად არ ლოცულობდნენ განკურნებისთვის. ისინი ფიქრობდნენ, რომ ტკივილს და ავაღმყოფობას უფალი მოუვლენს ნაკლებ ღვაწლში მყოფ და ნაკლები ღვთიური მადლის მქონე ადამიანს იმისათვის, რომ ეს ადამიანი უფრო მეტი მადლით აღვსილი და ცოდვებისგან განმენდილი წარდგეს უფალთან. ანუ ქრისტიანობაში ტკივილი და ავაღმყოფობა სულიერ განწმენდასთან არის დაკავშირებული, რასაც მოთმინებით უნდა შეხვდეს ქრისტიანი. ოღონდ ეს ისე არ უნდა გაგვივით, რომ თითქოს ქრისტიანობა მიისწრაფვის ტკივილისა და ავაღმყოფობისაკენ. ყველა ადამიანის ცხოვრებაში ის გარდაუვლად მოვა და როცა მოვა, მაშინ უნდა დახვდეს მას მზად ადამიანი. ცხოვრებაში ყველაზე დიდი გმირობა კი ის იქნება, რომ ადამიანი სიკვდილსაც არა შიშით, არამედ ომილით, დიდი ინტერესითა და უფლის იმედით შეხვდება.

ცხოვრების განმავლობაში რა თქმა უნდა ყველა ადამიანი განიცდის ტკივილს. ამიტომ, ყველა ადამიანს შეძლებისდაგვარად უნდა ჰქონდეს ტკივილის ატანის უნარიც. ადამიანს ტკივილის ატანაში რწმენის გარდა შეიძლება დაეხმაროს ასევე სპეციალური გარჯიშებიც, მაგალითად - ორთაბრძოლების სახეობები. ამ დროს ჩვენ ვსწავლობთ დატვირთვის ატანას, ტკივილის მოთმენას, ტკივილთან შეგუებას და ზოგჯერ ტკივილით სიამოვნებასაც. ვარჯიშების შედეგად, ტკივილი ხდება უკვე ჩვენთვის ნაცნობი გრძობა. შესაბამისად, მისი დადგომისას ჩვენ უკვე გვეცოდინება, თუ როგორ მოვიქცეთ და როგორ გავუმკლავდეთ მას. გარდა ამისა, არსებობს ასევე ტკივილის დაძლიების კონკრეტული ხერხები და მეთოდებიც, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ის ჩვენსავე გონებაში. ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა მეთოდები, რომელსაც წარმატებით იყენებენ ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ადამიანები:

- პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, რომ დავმშვიდდეთ;
- მოვადუნოთ მთელი სხეული, მათ შორის სხეულის დაჭიმული და მტკივნეული ნაწილები;

- დავარეგულიროთ სუნთქვა, ვისუნთქოთ ღრმად და რითმულად;
- ყურადღება მივაქციოთ ჩვენს სუნთქვას – შესუნთქვას და გამოსუნთქვას ან ყურადღება გადავიტანოთ სხვა რამეზე;
- თუ ყურადღების სხვა რამეზე გადატანა არ იქნება შედეგიანი, მაშინ ჯობია ვცადოთ „ტკივილის გაცნობიერების გზა“ - დავხუჭოთ თვალები, გავაცნობიეროთ ტკივილის გრძნობა, თუ როგორ გემოქმედებს ის ჩვენზე და წარმოსახვით გამოვრთოთ მგრძნობელობა – ეს იმას ნიშნავს, რომ გონებამ უნდა უბრძანოს და შთააგონოს სხეულს, რომ მან არ იგრძნოს ტკივილი. ამ დროს საკუთარ თავს უნდა ვეუბნებოდეთ: „მე არ ვგრძნობ ტკივილს, ეს მე არ მტკივა“. ამის კარგად შეგრძნებისთვის ისევ წარმოსახვით უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ჩვენი თავი (მე/სული) და ჩვენი სხეული. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ სხვა ვართ და ჩვენი სხეული სხვაა. ჩვენ მხოლოდ ვცხოვრობთ ჩვენს სხეულში და ვმართავთ მას. ამ დროს ყურადღება გადაგვაქვს მგრძნობელობის დაკარგვის დინამიკაზე და თანდათანობით ვხვდებით, თუ როგორ ვკარგავთ ტკივილის შეგრძნებას. ტკივილის მომატების შემთხვევაში კი მგრძნობელობის დაკარგვის ნება ვიდევ უნდა გაძლიერდეს (*ამ მეთოდს - საბჭოთა მზვერავების იყენებდნენ*);
- უნდა წარმოვთქვათ ლოცვა - **„უფალო შემინყალე, დამლოცე და გამაძლიერე“** და ჩავთვალოთ, რომ ტკივილი ღმერთისგან იყო დაშვებული ჩვენს განსაწმენდად და გასაძლიერებლად.

ISBN 978-9941-9810-8-1



9 789941 981081